ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიჩის კურსით

ილიჩის შუქი ავსებდა დარბაზს,
სიმართლე ჟღერდა პარტიის ხმაში...
ხმა აღიმაღლა ნათელმა აზრმა
და მქუხარებდა დარბაზი ტაშით.
რა მომხიბლავი იყო ეს ძალა,
რა სასურველი — მომავლის ხედი...
კომუნიზმისკენ!
პარტიამ ბრძანა
და გაგვახარა ლენინურ ხედვით.
— კომუნიზმისკენ! —
ილიჩის კურსით, —
დიდი ბელადი დაგვყურებს მაღლით!...
ეს აზრი ჩქეფდა ყრილობის სულში,
ამ აზრით თრთოდა პარტიის ძარღვი.
ეს აზრი ჩვენგან სიმტკიცეს ითხოვს,
ქმედებას ითხოვს,
წვას და ძიებას...
რომ იყოს მეტი სიკეთის სითბო,
რომ იშრიალონ პლანტაციებმა.
რომ მეტი ჰქონდეთ სინათლე ჰესებს,
მეტი სიჩქარე — ხომალდებს ცისას...
ამ სიბრძნით გვხიბლავს პარტიის გეზი,
ამგვარად ვხედებით პარტიის მიზანს.
ადამიანი და მასზე ზრუნვა,
აი, ყრილობის მთავარი არსი...
რწმენით შევხედეთ ილიჩის სურათს,
— ადამიანის ამაღლდა ფასი.
....იქ გავჩნდეთ,
სადაც პარტია მოგვთხოვს,
იქ დავდგეთ,
სადაც ილიჩი გვეტყვის...
და კაცის სულში არასდროს მოთოვს
და რომანტიკაც იქნება მეტი.

ნოდარ ნარსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

227

გამოცემის მეცხრამეტე წელი

4

აპრილი

1976

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს სსრკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვეანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაბუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაძრაკაძე,
გურამ გვეთრდღიფთელი,
ბივი გეგეშეკორი,
რისმან გოგოლეზინანი,
გიორგი ბუხლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
ოტია კაპანაძე.
(პასუხისმგებელი მდივანი)
ნუგზარ წერეთელი,
ტარიელ ჯანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

შინაარსი

3. ივანე ქოგალია. გრძოლისა და გამარჯვების დიადი კოდგრამა

პროზა, პოეზია

12. ჯემალ ქარჩხაძე. მდგმური. რომანი (ფაგრძელება)
80. ჯუმბერ ტიკარაძე. მარადისობა. მოთხრობა
92. თეიმურაზ ჯანტურიშვილი. ზღაპარი ცხადად (მინიატურა)
5. მაქსიმ ტანი. ორი გაზაფხული. ლექსი
75. ალუდა ანაბული. მარადიული იმედი. ლექსი
77. მარი ანარავიშვილი. ლექსები
79. შალვა ამისულაშვილი. სანდრო ახმეტელის ბოლოლოგი. ლექსი
93. ნოდარ ნარსია. ლექსები

ძმობის სიმღერა

7. დიმიტრი გული. ლექსები
8. იუა კოლონია. ლექსები
9. კონსტანტინე ლომია. ლექსები
10. ნიკოლოზ კვიწინია. ლექსები

ნარკვევი

95. გიორგი მრელაშვილი. პირველი კომუნა „ძმობა-ერთობა“ კახეთში
99. „ცისარის“ ანუბა: აკაკი გაწერელია. ზაზა ანზასინიძ. გურამ ასათიანი. გიორგი ბაჩეჩილაძე. გურამ გვეთრდღიფელი. ჯუმბერ თიმოთრია. კოტა ივიდაშვილი. რევაზ მიშველაძე. სოსო სიგუა. ჯანაულ ღვინჯილია.

წერილები

135. დავით ჩხიკვიშვილი. სუმგათაშვილი და შექსპირის თეატრი
149. გიორგი მირცხულავა. „ბოდბის“ ჰორიზონტი
151. იაკობ გალანაშვილი. ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. (ფაგრძელება)
154. ჯონდო ბგასალია. ეპოქა
156. კაროდიები

ЗРІЗОЛЬНІСА ДА ЗАМАРЖЗЕЗЕНІС ДІАДІ ПРОГРАМА

სკკპ XXV ყრილობა მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენაა. ამიტომ ადევნებდნენ თვალს მის მუშაობას ასე ყურადღებით საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გაკეთა ლ. ი. ბრეჟნევმა, შეჯამებულია განვლილი ხუთწლედის შედეგები და დასახულია წინსვლის ახალი პერსპექტივები.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა ვ. ი. ლენინმა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მოწინავე რაზმია. ლენინიზმი ტაქტიკის ნიმუშია ყველასათვის. ამიტომ საანგარიშო მოხსენებაში, უპირველეს ყოვლისა, დახასიათებულია პარტიის საერთაშორისო საქმიანობა მის ყველა ასპექტში.

სკკ პარტია განუხრელად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. მაგრამ „ჩვენი გონებისა და გულისათვის უფრო ახლოა, — ნათქვამია მოხსენებაში, — მსოფლიოს ის ნაწილი, სადაც პრაქტიკულად ეხებება ხორცი კომუნისტურ იდეალებს". განვლილი ხუთწლედი სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების პერიოდია. მომავ სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის საფუძველთა საფუძველი კომუნისტური პარტიების საბრძოლო კავშირია, მათი მსოფლმხედველობის ერთიანობაა. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის პოზიციები. კაცობრობისათვის დიდი სიკეთეა, ნათქვამია მოხსენებაში, რომ ესოდენ მატლობს მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა.

სკკ პარტიის XXV ყრილობამ დასახა მშვიდობისათვის ბრძოლის განმქმელი პროგრამა. განვლილი პერიოდი იყო „ცივი ომიდან" მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ, დაძაბულობიდან ნორმალური ურთიერთ-ხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ შემობრუნების პერიოდი. საბჭოთა ქვეყნის საშშვიდობო პოლიტიკას მხარს უჭერენ კეთილი ნების ადამიანები დედამიწის ყველა კუთხეში.

საანგარიშო მოხსენებაში მეცნიერული არგუმენტაციით არის განალაზებული ის ფაქტორები, რომელთა ზემოქმედების გათვალისწინება აუცილებელია პარტიის სგგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას. დიდი ყურადღება ეთმობა განვითარებად, განსაკუთრებით, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებას, და განმტკიცებას. განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საფუძველი იყო და არის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განუხრელი დაცვა, დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციის დამკვიდრების კურსი. განვლილმა პერიოდმა, ერთხელ კიდევ დაადასტურა ნარკვსზმ-ლენინიზმის დებულების სისწორე, რომ მშვიდობა სოციალიზმის, კომუნიზმის მოკავშირეა.

ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გამოცხადდა, რომ სკკ პარტია კვლავაც იბრძოლებს ჰეგეციე მშვიდობასათვის და განუხრელად დაიცავს ორი სისტემის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს.

მაგრამ დაძაბულობის შენელებით კლასობრივი ბრძოლა როდი სუსტდება. ეს ანტაკომუნისტებისა და ოპორტუნისტთა თვალსაზრისია. ამასთან დაკავშირებით საანგარიშო მოხსენებაში დახასიათებულია თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესი და დასახულია მისი განვითარების კანონზომიერებანი. კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მაღლა უჭირავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური დროშა. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მსოფლიო ასპარეზზე უფრო განმტკიცდეს სოციალიზმისა და დემოკრატიის პოზიციები. ჩვენს დროში აქტუალური გახდა ერთიანი ანტიიმპერიალისტური საერთო-სახალხო ფრონტის შექმნის ამოცანა. ამისათვის აუცილებელია საერთაშორისო კომუნისტური გრძნობის ერთიანობა და შეკავშირება, კავშირურთიერთობის გაღრმავება პროგრესულ არაკომუნისტურ პარტიებთან — რევოლუციურ-დემოკრატიულ და მემარცხენე სოციალისტურ პარტიებთან, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ორგანული შეხამება და სხვ.

საანგარიშო მოხსენებაში ღრმა მეცნიერული სიზუსტით არის განსაზღვრული პარტიის ამ-ოცანები საშინაო პოლიტიკის დარგში. პარტიისა და ხალხის მთავარი ამოცანაა წარმატებით განსახორციელოს განვითარებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის დიდი პროგრამა. X ხუთწლედი ახალ ეტაპს შექმნის მომწიფებული სოციალიზმის კომუნისტურ საზოგადოებად სრულყოფის გზაზე.

საანგარიშო მოხსენებაში შეკამეფულია IX ხუთწლედის შედეგები და განსაზღვრულია პარტიის ეკონომიკური სტრატეგია X ხუთწლედში და მისი ძირითადი თავისებურებანი. პარტიამ აიღო წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების, მისი ეფექტანობის ამაღლების, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების კურსი. X ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი იქნება.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია კომკავშირი. კომკავშირელთა 35-ე მილიონიანი არმია პარტიის საიმედო თანაშემწეა, მისი მებრძოლი რეზერვია. ლენინური კომკავშირი გულმხურვალედ ეხმაურება ყოველ კარგ წამოწყებას კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. ახე იყო ადრეც. ახეა დღესაც. მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ცხოვრება კომკავშირს უყენებს ახალ და ახალ მაღალ მოთხოვნებს. საჭიროა კომუნისტურ მშენებლობაში შენგებული მოსაწილეობა. ახეთი შეგენის ჩანერგვა კი ძნელი საქმეა. აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმს, ბიუროკრატიულ მიდგომას რომ აწუდებიან ეს ანელებს მეზნებარებას. აუცილებელია ენთუზიაზმი, ხსარი გონება, ახალგაზრდული ენერგია ადამიანებს უნდა ჰკონდეთ მთელი ცხოვრების მანძილზე. „პარტიას მტკიცედ სწამს, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, რომ ახალგაზრდობა, კომკავშირელები ახალ სახელოვან ფურცლებს ჩაწერენ კომუნისტური მშენებლობის მატიანეში".

ახალი ადამიანის ფორმირება კომუნისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ჩვენი წყობილების ძალა მასების შეგნებულობაშია. პარტიის შედეგი ზრუნვის საგანს შეადგენს ადამიანებისათვის კომუნისტური შეგნების, კომუნიზმის აშენებისადმი მზადყოფნის, ნებისყოფისა და უნარის ჩანერგვა.

ჩვენს დროში ეკონომიკა მთავარი პოლიტიკაა. ეკონომიურ-სამეურნეო წარმატებებზეა დამოკიდებული საბოლოო ჯამი, საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ. ამიტომ აიღო პარტიამ კურსი შემოამტრუნოს ეკონომიკა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგრამ კომუნიზმის აშენება შეუფერებელია მხოლოდ სამეურნეო — ეკონომიურ წარმატებებზე დაყრდნობით. საჭიროა ყოველმხრივ განვავითაროთ თვით ადამიანი. ადამიანის კულტურის, განათლების, შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნიზმი შეუძლებელია.

საანგარიშო მოხსენებაში დასახულია პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის ფართო პროგრამა. „კომუნისტური იდეურობა, ნათქვამია მოხსენებაში, ეს არის ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შენადნობი". განვითარებული სოციალიზმის პირობებში უადგილად აქტუალური ჯახდა პოლიტიკური და შრომითი აღზრდის შერწყმის, ზნეობრივი აღზრდის, პიროვნების თავისუფლების, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მშრომელთა, კერძოდ, ახალგაზრდობის აღზრდის და სხვ. პრობლემები.

დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეში. საანგარიშო პერიოდში გამოსული ნაწარმოებებში ჯერიგნაგ ეისახა ახალი დადებითი ცხოვრებისეული პროცესი. „საწარმოო თეატრში", მორალის, ზნეობრივი ძიების, სამამედლო ომის, და მშვიდობისათვის ბრძოლის თემებმა ნამდვილად მხატვრული ფორმა შეიძინეს. ჭეშმარიტი ხელოვნება აცოცხლებს წარსულს და ზრდის მომავლის დამთაბს, საბჭოთა პატრიოტს, ინტერნაციონალისტს. „არაფერი არ ამაღლებს ისე პიროვნებას, როგორც ჭეშმარიტი ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობანი. სადმი შეგნებული დამოკიდებულება, რაც სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ქცევის ზოგადდღიური ნორმა" — სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ეშოყენებულ ამ დებულებას ხახელმძღვანელო ბნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც, ესოდენ ქმედთთ ღონისძიებები ტარდება ნეგატიური მოვლენების დასაძლევად.

საანგარიშო მოხსენება მარქსიზმ-ლენინიზმის შეერაქვებებთან განვითარების ნიმუშია. მასში ახალ ასპექტია ფასმული და გადაწყვეტილი თეორიის აქტუალური საკითხები, ორი მსოფლიოდედელობის ბრძოლის პრობლემები. საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებული ახალი დასკვნებისა და დებულებების შესწავლა მთელი საბჭოთა ხალხისა, განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობის გადაუდებელი ამოცანაა. სკკ პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტოთ ახალი ეტაპი შეიქმნება კომუნიზმის მშენებლობის ნათელი გზაზე.

ორი გაზაფხული

ლენინი ჯავშნოსანზე

I

იმ გაზაფხულზე ჯერაც არ იყო
ტრიბუნა —
შემოსილი სერანგით
და ტრიბუნაზე არ იდგა ჭიქა,
არც მიკროფონი ჰქონდა ორატორს,
სად ჩურჩული ან კოღოს წრიპინი
ჭიქა-ქუხილად მოგეყურება.
ვეღარ მოასწრეს, ჯერ კიდევ, ვერა!
ვითარც წესი და ვითარც რიგია —
არჩეულიყო პრეზიდიუმი
და თავმჯდომარეს
ჰქონოდა ზარი,
ყოველისშემძლე და ხმაურჩამქრობი.
ვეღარ მოასწრეს, ჯერ კიდევ, ვერა!
რეზოლუციის პროექტის შექმნა,
რედაქტირება ხიშტების კალმით,
მერე „ავრორას“ მქუხარე ზალვით,
ამ დოკუმენტზე ბეჭდის დასმა.
და აი, ამ დროს მოვიდა იგი
და... ჯავშნოსანიც, —
რომლის კიბესაც
ნელა აუყვა,
როგორც მნათობი.
იყო რუსეთი ბრელმოუბარი
და დატანჯული ეკიდა კავზე.
დაყრდნობილიყო სამჭედლოებზე,
მარტის ტალახზე
და ძველ დაზგებზე.
იყო რუსეთი —
ტყვიამფრქვევების ცხელი ლენტებით
და ჯარისკაცთა თასმით შეკრული...
თავშეხვეული სისხლიან ბლონდით,
რუსეთი სიტყვას ელოდა მხსნელის,
ვით დასიცხული — შხაპუნა წვიმას.
გაფრინდსეს წლები — ათეულები,
მაგრამ, როდესაც მოვუხმობო ხსოვნას —
გაგვახსენდება ტრიბუნა იგი
და ყურს დაატკბობს ხმა საკვირველი,
ჯავშნოსანზე რომ ითქვა პირველად:
— გაუმარჯოს სოციალისტურ
რევოლუციას! —
მაშინ კი ხალხმა დაიგრიალა:
— ლენინი!
მერე „ინტერნაციონალი“
აქუხდა გზნებით,
ვითარც გრიგალა განახლებისა.

II

იმ გათენებულ ღამეთა შემდეგ,
კალამი როცა ეჭირა ხელში,
ხოლო კალამი ძლივსღა ასწრებდა
სახალხო ფიქრთა ელვის ჩანაშვნას,
(ო, ის აზრები გაცოცხლდნენ მერე.)
იმ დასმენათა,
ჩხრეკათა შემდეგ,
რაიც გარდახდა სატუსაღოში,
(დაცხრება წამით გულის ხსოვნაში
ციმბირისა თუ ტაიგის ხმები?)

იმ ნოსტალგიის დღეების შემდეგ,
რომელიც სევდად კაცს გადააქცევს —
ლონდონს მოშლამულ ნისლების ფონზე,
პარიზს ქუჩათა აურზაურში,
შვეიცარიის ტყეთა წიაღში
და მოცაცგე ალპების თოვლში, —
ყოველი წამი ებლიტებოდა,
რუსეთის ამბავს თუ ვერ იგებდა, —
ამიტომ კრაკოვს, საჩაიეში
მას პური მწარეც კი მოეჩვენა.
(ნუთუ ამგვარად ადრე განცდილი
მერეც ასევე დაგვიბრუნდება?)

ო, იმ ოქტომბრის ღამეთა შემდეგ,
იმ ძლევამოსილ დეკრეტთა შემდეგ,
თეთრგვარდიელთა მოსპობის შემდეგ,
იმ ტყვიის შემდეგ, რაიც ჭრილობად
ატყვია დღესაც რევოლუციას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(რამდენი დღე და ღამე გავიდა,)
როგორ იშრომა, —
რადგან მას ჰქონდა საქმე სახალხო,
ყოველდღიური და უცაბედი.

აი, ფანჯარას აპრილი ეკვრის,
ის კი ოცნებობს და...
თვალწინ უდგას:
როგორ ღაღანებს პურის ყანეები,
როგორ დაჰქრიან მატარებლები,
როგორ ბოლავენ ქარხნის მილები.
სამაისო რომ ქუხს სიმფონია;

ელექტროფიკაციის გეგმა ამტკიცებს:
— ჩვენ ვართ!
— ჩვენ ახალ სამყაროს შეგქმნით!

... ის ერთხანს იდგა სარკმელთან,
მერე
უცბად გადადო სტატიის წერა
და დაიხურა უბრალო კეპი, —
... მუშებთან ერთად,
გლეხებთან ერთად,
იმ დღეს შრომობდა შაბათობაზე!

თარგმნა **დილარ ივარდავამ.**

ქმობის სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას (1874 — 1960) შემოქმედება ფართოდაა ცნობილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

იუა კოღონიას (1904 — 1928) ლექსები და პოემები აფხაზური ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებად ითვლება.

ქართველი მკითხველი არაერთხელ შეხვედრია ეურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე თანამედროვე აფხაზური პოეზიის ნიჭიერი წარმომადგენლების ნიკოლოზ კვიწინაისა და კონსტანტინე ლომიას ლექსებს.

მკითხველს ვთავაზობთ ამ ავტორთა ლექსების ახალ თარგმანებს.

დიმიტრი გულია

ირემი

კლდეზე დაჭრილი შედგა ირემი,
მწარედ შეაბღავლა ბედსა და იღბალს;
წინ უფსკრულია — ორ ნაბიჯს მიღმა,
უკან მოსდევენ მონადირენი.

თუმც არ ეღოდა ხსნას არსაიდან, —
დაე უკვირდეს სიკვდილის შიკრიკს! —
ირემს მუხლებზე დაცემის ფიქრი
არ გაუვლია გულში წამითაც.

მაინც რა მძიმე გადასატანი
დღე გაუთენდა. ბოლავს ხეობა:
წინ უფსკრულია, უკან — ტყვეობა,
გამოსავალი აღარსად არის.

როცა ირწმუნეს: შეპყრობა მისი
იყო ადვილი, ის მოწყდა ადგილს —
გადაიჩეხა უფსკრულში ზათქით,
და შეიღება მდინარე სისხლით.

არ მოუხარია სიკვდილსაც ქედი.
რა უცხო იყო და მიმზიდველიც,
ვით მდინარეზე ზოლი წითელი,
ბოლო ნახტომი — სიმღერა გედის.

დღეს ვამბობ, რასაც ჩავწვდი და მივხვდი:
სჯობია-მეთქი ამ ქვეყნად ზოგის
უაზრო ყოფას და მონურ ბოგინს
თავისუფალი დანებდე სიკვდილს!..

სიმღერა

მიყვარხარ! სულშ.ი
მზედ ამოსულო,
შენთვის ვცოცხლობ და
შენთვის ვლოცულობ!

ასე შორიშორს ვიყოთ როდემდის?
ღამით ფანჯრებთან სანთლები დადგი
და მოვაშურებ დანიშნულ ადგილს,
ბედაურებით დაგეღოდები.

ჩუმად ვიდგები შენი სახლის წინ,
ჩემი ხატი და ტკბილო ზღაპარო;
წავიდეთ, თავი ტყეს შევაფაროთ,
იყავი ჩემი დიასახლისი...

მაგრამ თუ ტრფობის გამხადე, ღირსი
და გულში კიდეც ამაყობ ამით,
რა საჭიროა გაქცევა ღამით —
სჯობია თვითონ მეწვიო დღიანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲜᲔᲣᲚᲘ

თუმცა კვდებოდა დიდხანს და მძიმედ
(იგი გამჩენსაც არ დაეზოგა), —
ვერ ელეოდა, როგორც ეზო-კარს,
ყავარჯენივით დასაყრდენ იმედს.

თითქოს ბორგავდა მხრჩოლავ კოცონთან —
ხუჭავდა თვალებს და კვლავ ახელდა,
და თავს იყრიდა ძვირფას სასელთან,
რაც აღელვებდა და რაც მოსწონდა...

მაინც რა იყო, — მხოლოდ ცდუნება! —
ის საფიცარიც და მოსაწონიც.
უძირო უფსკრულს ჰგავდა საწოლი —
ძირს ეშვებოდა დაუსრულებლად.

როგორ მობეზრდა ვაი და ვიში,
მშობლების ცრემლი და მოთქმა, — მოთქმა!
ასე მეზრდება ადამის მოდგმას
სულ ჩრდილში ჯდომა — რაღაცის შიშით.

სოფელს, რომელსაც ეძინა ჯერაც,
მან გაუღიმა უცნაურ ნდობით,
როცა კედლიდან ჩამოხსნა თოფი
და ღია სარკმელს მიაპყრო მზერა.

იმ წუთას, სანამ თვლიდა სამამდე
სიმშვიდე ბრძნული და შესაშური,
ის იყო თავის ბედის მსაჯული,
მკაცრი მსაჯული და მოსამართლეც.

არავითარი — სხვა დროს თუ გვიან,
არავითარი ხვეწნა-მუდარა,
მან განაჩენი გამოუტანა
საკუთარ თავს და... იწივლა ტყვიამ.

სითბო წაერთო ბუნების ფერებს,
სადღაც მიყუჩდა შრიალიც ყანის...
გამოიგლოვეს — გამოხდა ხანი —
და დაივიწყეს — მერე და მერე.

დღეს მისი ხსოვნა არაფერს ითხოვს,
ჩუმია იგი და უანგარო.
მის გულში ლურსმნად იქცა სამყარო —
ამოიძრო და ეშველა თითქოს.

●

ბებერი კაკლის ჩეროში გაშლილ
ნაბადზე ვზივარ — პატარა ბავშვი;
ისე ვუყურებ, ნედლი ბალახი
თითქოს არ მჭონდეს დღემდე ნანახი...

ხელში მიჭირავს პირველი წიგნი,
მე უნდა ჩავწვდე, რა ხდება შიგნით.
და, აი, მამის ეზოში გაშლილ
ნაბადზე ვზივარ — ჯერ კიდევ ბავშვი.

●

ვიდრე თოჯინებივით
ხელში ათამაშებდი,
დროო, დაკაცებულან
ფეხშიშველა ბავშვები.

ვაი, მეც ვერ მეწევა
და მიყურებს დაღლილი
გუშინდელი ბავშვობა
ბალახული ძაღლივით.

ნარბენ-ნახეტიალევს
შუბლზე აზის კოპები...
დროო, გაჭიანურდი,
ხედავ, გემშვიდობები!

არ ამდგება ისედაც
ლტოლვა, წვა და ჭიდილი.
ოღონდ არ გამიფრინდე.
დროო, დამფრთხალ ჩიტივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი

სანამ ის გვათბობს,
თვალს ვადევნებთ და ვაკვირდებით,
ასე გგონია — წითლად ჰყვავის
ატმის კვირტები.

სანამ ვუზივართ კერიას და
სიამით ვთბებით,
თითქოს ჩვენს მხრებზე
განთიადის ტლაშუნებს ფრთები.

მაგრამ მას ძალუძს
არა მარტო გაათბოს კაცი, —
თუ წაეკიდა, სასახლესაც
გააქრობს თვალწინ.

თუ წაეკიდა... ჩვენც ვყოფილვართ
მოწმენი ხანძრის —
მიწა რამდენჯერ დაფარულა
ფერფლით და ნაცრით...

ახლა, როდესაც უხმოდ წვება
ღამის წყვდიადი,
მე მინდა, ცეცხლო, კვლავაც ენთო,
ვით განთიადი.

თქმულება მძინარე მდინარეზე

ბევრჯერ მსმენია, ახლაც მახსოვს: ვინაც მდინარეს
თუნდ ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც ნახავს მძინარეს,
აუხდებაო ყველა ნატვრა.
ორმოცი წელი
ისე გასულა, კვლავ მგონია: ის სადღაც მელის.

ვინ იცის... მეც თუ გამიღიმებს ოდესმე ბედი,
ვინატრებ — ქვეყნად რაღა მინდა ამაზე მეტი:
შვილებმა გული არ ატკინონ დედებს და მამებს,
რომლებსაც ბევრჯერ უთევიათ აკვნებთან ღამე.

●

იმ დილითაც ადრე
როგორც ყოველთვის,
აივანზე გამოვიდა პოეტი.
სივრცეს თვალი შეაჩვია ფრთხილად —
თენდებოდა ზამთრის თეთრი დილა.

ველ-მინდორი,
ვრცელი და უნაპირო,
თითქოს ჰგავდა დაუწერელ პაპირუსს:
არსად ჩანდა თოვლზე ერთი პწკარიც —
ნაფეხური იდუმალი ქარის...

იგი დუმდა, ვიდრე სტროფი პირველი
იღვიძებდა სულში, როგორც ფრინველი,
და ველ-მინდორს,
რომ ელავდა თეთრად,
დაპყურებდა ისე, როგორც ეტრატს.

სიხარული

ისიც ამოდის დილის მზესავით,
რომ გვათქმევინოს ადამიანებს:
ცაზე ღრუბლებმა გადაიარეს
და უნეტარეს დღეს მოვესწრით.

საღამოს ისიც ჩაქრება ნელა.
მაგრამ ჩვენ მიტომ არ ვზოგავთ ძალას,
რომ ამობრწყინდეს მზესავით ხვალაც
და აგვიხილოს თვალები ყველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისძვრა და აკვანი

შიშმა დაიპყრო ქალაქი ხელად —
წამოახტუნა მიწისძვრამ ყველა.

ჭერს მიაჩერდნენ შემკრთალი სახით —
თეატრში მძიმედ შეირხა ჭაღი.

მაღლა აიჭრა დამფრთხალი ფიქრი.
ძირს ჩამოვარდა თაროდან წიგნი.

ცოტა ხნით ყველა გახევდა, ვინც კი
იგრძნო არც ისე ძლიერი ბიძგი.

თუმცა ნამდვილად შეირყა მიწა,
იმ წუთას გული მშვიდად უცემდა
მხოლოდ იმ პირმშოს, რომელიც იწვა
აკვანში — დედა აკვანს ურწევდა.

მოქანდაკისადმი

უფალმა დიდხანს ნუმც დაგაბეროს,
ისევ სიმხნევეს გემატებდე, ოდეს
შენმა მარჯვენამ ქვებსა და ლოდებს
ახალგაზრდული სული შთაბერეს.

პოეტს, რომც იყოს ძალზე ბებერი —
ოთხმოცდაათის ან საუკუნის,

გემუდარები, წვა ჭაბუკური
შეუნარჩუნე, როგორც შეჰფერის.

რადგან მის სიტყვას, ძილშიც ნაფერებს,
უბრალო, მაგრამ საჭირო სიტყვას,
თუ მართლა იგი გულწრფელად ითქვა,
ჟამთა მსვლელობა ვერ დაბერებს.

ნიკოლოზ კვინინია

●

როცა ვრჩები მარტო —
უსაქმურად, დიდხანს,
უცნაურო დარდო,
რაღას მერჩი, მითხარ!

რატომ მეჩვენება,
რომ ამაოდ ვწერდი
და არ ეშველება
ამ გაყინულ წერტილს.

თითქოს მღვრიე ტალღამ
მიანარცხა კედელს, —
ყინულივით გალხვა,
რაც შეგქმენი დღემდე.

მაგრამ, აი, ზეცა
ისე ღრმაა ახლა,

სული ბაძავს მერცხალს,
რომ დაფრინავს მაღლა.

ფანჯრებს ვაღებ ფართოდ,
მერე ვაღებ კარებს
და — მშვიდობით დარდო! —
გამოვდივარ გარეთ,

რომ ამ მზიან დარში —
ხვალ კი არა — დღესვე
ამოვუდგე მხარში
ყველა მხვნელს და მთესველს.

მაშ სიკეთე ვთესოთ,
სანამ სული გვიდგას,
და, რაც გვინდა, ლექსო,
უყოყმანოდ ითქვას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწაულის მოლოდინში

ვარ სასწაულის მოლოდინში.
მე ველოდები
ხვალინდელ დილას
სიხარულით და იმედებით;
ორივე ხელი გაწვდილი მაქვს,
როგორც ტოტები,
რომლებზეც სხედან
პოღუღუნე თეთრი მტრედები.

ვარ მოლოდინში.
ჟამი მიდის თუ იხარჯება,
ისევ მამხნევებს
და სიცოცხლის ხალისით მავსებს.
მე ველოდები.
ასე ქალი ელის მარჩენალს,
ორი დღის წინათ
რომ გავიდა ბარკასით ზღვაზე.

გაცისკროვნდება, ასე მჯერა,
ჩემი ოცნება
და ძველი დარდი, როგორც ნისლი,
გაიფანტება,
და მთებს გადაღმა, მე შევნიშნავ,
რომ საოცრება
დაიბადება,
მზესთან ერთად დაიბადება.

დაიბადება სასწაული —
აღარსაიდან,
დაამშვენებენ ენძელები
იმის ნაკვალევს.
ავედევნები ერთგულ ჩრდილად,
წავა საითაც,
და ცივ ნიავსაც,
ცივ ნიავსაც არ გავაკარებ.

მე ველოდები და მგონია
ოდესმე, სადმე
შემეფეთება მზის ასული
და დამანახვებს
შეყვარებული კაცის თვალით —
მართალი ცამდე —
მინდვრის ყვავილებს,
მაყვლის ბუჩქებს,
ლორთქო ბალახებს.

თუმცა, ვინ იცის,
კარს ამაოდ ვუტოვებ ღიად
და საოცრების
უჩვეულო ეს მოლოდინი
ჭიანურდება უსასრულოდ
და ვხვდები გვიან —
ყოველი წუთი გულზე მაწევს
მძიმე ლოდივით.

მაგრამ მე მაინც ველოდები,
ვით ურჩი ბავშვი,
რომ არ მჯეროდეს
საოცრების და სასწაულის,
არ ავიღებდი ხელში კალამს
და, ალბათ, მაშინ
ეშხს დაკარგავდა
ყოველგვარი დღესასწაული.

თარგმნა **ხუბა გაგუამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

მდგმური

რომანი

...ერთ დღეს მაკა ჩემს ბუნაგში წამოიყვანე.

წამო, ჩემთან ავიდეთ, დედოფალ ნეფერტიტსაც გაჩვენებ და დედა მარიამსაც გაგაცნობ-მეთქი, ვუთხარი.

წავიდეთო, გაეხარდა მაკას. მერე თავი ვადაიქნია და სერიოზული კილოთი დაუმატა, არც კი ვიკი დედა მარიამი უფრო მაინტერესებს თუ ღედოფალი ნეფერტიტო.

როგორც ყოველთვის, ხელიხელჩაკიდებული მივაბიჯებდით.

საბლს რომ მივუახლოვდით, უეცრად უსიამოვნო გრძნობამ შემატოკა; თითქოს ორკესტრს ყალბი ნოტი გაეპარა და სულგანაბულ დარბაზში მანქანის ღრჭიალივით გაისმა დისონანსი. სულში რაღაც დაირღვა და ამ რღვევის ბიძგი წამსვე გადაეცა ხელსაც, ნაბიჯების რიტმსაც, ხმის კილოსაც.

იმავ წამს მიგხვდი, რომ ეს უხერხულობის გრძნობა იყო. აქ, ჩემი ბუნაგის სიახლოვეს, სადაც ნაცნობი თვალები ტრიალებდნენ, უცებ მეჩოთირა მაკასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული სიარული.

ერთხელ, როდესაც დედა მარიამმა მისაყვედურა, რას იტყვიან მეზობლები, ღამეს შინ რომ არ ათევო, მე მთელი არსებით აღვშფოთდი, მეზობლებს ვინ კითხავს, სად გავათევ ღამეს და სად არა-მეთქი.

რა უსაგნო ყოფილა თეორიული გულისწყრომა!

რა უმწეო და სასაცილო ჩანდა ახლა ჩემი მაშინდელი აღშფოთება!

ვინ კითხავდა მეზობლებს ხელიხელჩაკიდებული ვივლიდი თუ ხელიხელგადახვეული!

თურმე, დიაღაც რომ კითხავდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეკითხე და დიდი მოწიწებითაც ეკითხე. პატივცემულო მეზობლებო, შეიძლება მაკას ხელი ჩავკიდო და ისე ჩამოვიარო თქვენს სახლთან?

არაო, მეზობლებმა მითხრეს, არ შეიძლებაო. შენი გრძნობების გამომჭეურება ჩვენს ფაქიზ თვალს შეტრაცხეყოფას აყენებსო.

მაშინ მე ფრთხილად შეეუშვი ხელი მაკას და, ეკვი რომ არ გასჩენოდა, ეს ხელი დიდხანს და ერთობ სულელურად ვაფათურე მერე პიჯაკის გულჯიბეში.

მაკას არაფერი შეუმჩნევია და არც ეკვი აღელია.

სადარბაზოში ჩემი ნაცნობი ცოცხიანი ქალები დაგეხვდნენ და, კიბეს რომ შევუყვევთ, ცნობისმოყვარე მზერა გამოგვაყოლეს.

მე ვიგრძენი, როგორ ამერია ნაბიჯი ღა როგორ გადამკრა სახეზე ფერმა.

მაკას ცოცხიანი ქალები, მგონი, სულ არ შეუნიშნავს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა თავისი რბილი, იმედიანი ნაბიჯით და რაღაცას მიაბმობდა. რას ყვებოდა, არ გამიგონია, რადგან ყურადღება ცოცხინამა ქალებმა გამიფანტეს.

დეიდა მარიამი ის იყო, თავის ოთახში შედიოდა. კარი რომ გავაღე, მოიხედა...

მოიხედა და გაშეშდა. გაშეშდა რაღაც უცნაურ, არაბუნებრივ პოზაში. სახე მთლიანად მოტრიალებული ჰქონდა, ტანი — სანახევროდ, ფეხები კი ისევ ისე თავისი ოთახისკენ მიშვერილი. და იდგა ასე, მოგრეხილი, როგორც ბებერი ვაზი. იდგა გაშეშებული. სახეზე ძარღვიც არ უტოკავდა. მგონი, არც სუნთქავდა. თვალებში გაუგებარი შიში ეწერა, თითქოს მის წინ მშვენიერი ქალიშვილი კი არა, საზარელი ურჩხული იდგა, რომელიც საცა იყო, პირს გაღებდა და თვალებში ცეცხლს შეაფრქვევდა.

მართალი გითხრათ, შევშფოთდი. ერთხელ ხომ დამცოფა, ეკლა მაკლია, ღამე შინ არ გაათიოო. რა გარანტია მქონდა, რომ ახლაც არ აკივლდებოდა, ეკლა მაკლია, სახლში ქალები მომიყვანო.

— იცნობდეთ, დეიდა მარიამ, ეს მაკა.

ცხადია, ამით საქმეს არ ეშველებოდა, მაგრამ, ვიფიქრე, რაღაც სადინარი მაინც გაუჩნდება უხერხულობასმეთქი.

მაკამ ღიმილით გაუწოდა ხელი.

როცა მამაკაცი ხელს გართმევს, იღაყვი მოხრილი და განზე გაწეული აქვს. ქალი კი ბოლომდე გაშლილ მკლავს დამრეცად გამოგიწვდის ისე, რომ მკლავის ზედა ნაწილი სხეულს ეკვრის, და ასეთ დროს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მხრების სილამაზე.

არა. დეიდა მარიამს მაკას მხრებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. დეიდა მარიამმა წამით გაწოწდალ ხელს დახედა, მერე მზერა მაკას სახეზე გადაიტანა და მარჯვენა ხელი ოდნავ უკან გასწია. აშკარად ყოყმანობდა და მე ისევ შევშფოთდი. ჰაერში კვლავ დატრიალდა ისტერიკის სუნი. მაგრამ ბოლო მომენტში, შიში დაძლია თუ რა იყო, მაკას გამოწვდილ ხელს თავის ხელი შეაგება, ოდნავ შეეხო და სწრაფადვე გაუშვა. მერე ორივე ხელი საიმედოდ დამალა ზურგს უკან.

თვალებში ძველებური გაუგებარი შიში ედგა.

— თქვენზე ბევრი კარგი მსმენია.

მაკა, არ ვიცი, ვერ ამჩნევდა დეიდა მარიამის საქციელს, არ ვიცი, არ იმჩნევდა.

მაკას სიტყვებმა დეიდა მარიამი თითქოს ცოტა მოალბო. შიში თვალების ღრმა სოროებში შეძვრა და ახლა გაუბედავად იჭყიტებოდა შორეული სიბნელიდან.

— ამისგან?

— დიახ. წელიწადი იმას მეუბნებოდა, შვილივით ვუყვარვარო.

დეიდა მარიამმა ეჭვით გამომხედა. ახლა დაბნეული უფრო ჩანდა, ვიდრე შეშინებული. მერე ჯიქურ შეაჩერდა მაკას და უთხრა:

— მართალი უთქვამს.

— თქვენი გაცნობა აინტერესებდა და იმიტომ მოვიყვანე.

დეიდა მარიამის თვალებიდან უცებ ამოშრა შიში.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, — გოროზი თავაზიანობით უთხრა მაკას. — ახლა კი მაპატიეთ, მეჩქარება, ერთი ნაცნობი მყავს სანახავი.

ესა თქვა, მაკას თავი დაუკრა რაღაც ძალიან დახვეწილი, ამაყი და შეუფერებელი მოძრაობით და გავიდა.

მაკა მშვიდად იღიმებოდა, თითქოს დეიდა მარიამისგან სწორედ ასეთ საქციელს მოელოდა.

მაკას ღიმილმა მეც დამამშვიდა.

— კუდიანი ხომ გაჩვენე, წამო, ახლა დედოფალი ნეფერტიტი ვნახოთ.

ჯემალ ქარჩხადი
მდგმური

— მართლა არ ჰქონია კუდი.

— აქეთ წამოდი. კუდს რას შეამჩნევდი, თოთხმეტი კაბა აცვია.

ჩემი ოთახის კარი გავაღე და მაკა ხელით შევიპატიჟე.

— კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ბუნაგში.

მაკა შევიდა და მიიხედ-მოიხედა.

— შენი ოთახი ციხეს ჰგავს.

— მე უფრო სამარეს მაგონებს.

— ციხეს ჰგავს. სამარეს სარკმელი არა აქვს. — მაკა სარკმელს მიადგა, ფეხის წვერებზე შედგა, აყელყელავდა. — არაფერი გამოდის.

— სკამი მიიდგი. ისე, წვალებად არ ღირს. ნაგვის ვედროების მეტი მაინც არაფერი ჩანს.

მაკამ სკამი მიიდგა და ზედ ავიდა.

— მთები ჩანს! — აღმოჩენასავით შესძახა.

— მთები ძალიან შორსაა და ბუნდოვნად ჩანს.

— მერე რა!

— ჩამოდი, დედოფალი ნეფერტიტი ნახე.

მაკა ბრახუნით ჩამოხტა და მკითხა:

— ქვემოთ ცხოვრობს ვინმე?

მე გამეცინა.

— ეგ გადმოხტომამდე უნდა გეკითხა. ქვემოთ ცოცხიანი ქალები ცხოვრობენ.

— ეს რა ცოცხიანების სამყაროში მოვხვდი.

ამ სიტყვებით ხელები გულზე დაკრიფა და დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს მიაჩერდა. მერე ოდნავ უკან დაიხია, ისე რომ არც ხელები ჩამოუღია და არც თვალი მოუშორებია.

მე ველოდი, რას იტყოდა. ის კი არაფერს ამბობდა. იდგა და უყურებდა. ტუჩებზე ძლივშესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა.

მე მის მხარმარცხნივ ვიდექი, ოდნავ უკან, და მასთან ერთად ვუყურებდი. ბოლოს, რაკი ხმა არ ამოიღო, ვკითხე:

— არ გიკვირს?

— რა?

— როგორ თუ რა? გინახავს სადმე ასეთი სილამაზე?

— კი.

— კი? — ასეთ პასუხს არაფრით არ მოველოდი.

— ერთ ნაცნობთან მინახავს. ზუსტად ასეთი რეპროდუქცია ჰქონდა, ლამაზი, ამაყი და სევდიანი. ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ვიღაცას მიჰყიდა.

— რა ქნა?! — მე ერთბაშად მიეტრიალდი მაკასკენ და უცნაურ პოზაში გავშეშდი. და უცაბ დეიდა მარიამი გამახსენდა. ისიც ასე იდგა წელან სულელურად გახევებული.

— გაყიდა, — მშვიდად მიპასუხა მაკამ, — ვიღაცას მიჰყიდა. — ან მცირე პაუზის მერე დაუმატა. — იქნებ ესაა?

მინდოდა მეპასუხა, მაგრამ სიტყვები საღდაც, სხეულის სიღრმეში გაუჩინარდნენ და ვერ ამოვთარეე. მაშინ უხმოდ ავიჩეჩე მხრები.

— სანამ გაჰყიდდა, მთელი ორი წელიწადი ეკიდა კედელზე. ამიტომ, როცა ჩამოხსნა, ის ადგილი სუფთა და თეთრი დარჩა. მთელ ოთახს ფერი შეცვლილი ჰქონდა ჭუჭყისაგან, მარტო ერთი ადგილი იყო სუფთა. პატარა ოთხკუთხედი. ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, ყველას უკვირდა და ყველა კითხულობდა, რა არის ასეთი ეს ადგილი, ჭუჭყი რომ არ ეკარებაო. — მაკა ჩემს მაგიდას მიუჯდა და პირველსავე წიგნს, რომელიც ხელში მოყვა, ფურცლა დაუწყო. — ბოლოს ხელოსნები მოიყვანა და ოთახი შეათვრა. — წიგნი დახურა და სათაურს დახედა. — „ეგვიპტის ისტორია“. — მერე სათითაოდ აიღო დანარჩენი წიგნები. — „ეგვიპტე და შუამდინარეთი“, „ძველი ეგვიპტის ხელოვნება“, „როგორ იგებოდა პირამიდები“, „ნილოსისა და პირამიდების ქვეყანა“, „არქეოლოგიური გათხრები ეგვიპტეში“. — ბოლოს ისეთი კილოთი დაუმატა, თითქოს ახლაც წიგნის სათაურს კითხულობსო, — „ძველი ეგვიპტე ცოცხიანი ქალების სამყაროში“.

მე მოულოდნელად ვთქვი:

— ის ადგილი მაინც თეთრი დარჩებოდა.

მაკამ შემომხედა.

— რომელი ადგილი? აა! რანაირად? ოთახი მთლიანად შეათეთრეს.

— საღებავის ქვეშ, ალბათ, ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო.

მაკა მაგიდის უჯრას ჩაეჭიდა.

— დაკეტილია?

— არა. გვერდზე მიაწექი, მარჯვნივ, და ისე გამოსწიე.

მაკამ უჯრა გამოსწია.

— რა გაინტერესებს? ჩემი საიდუმლო მაგ უჯრაში არაა.

მაკამ უჯრაში ჩაიხედა და მკითხა:

— აბა სადაა?

მე გამეღიმა და გაყიდული სურათის უსიამოვნო ხილვა გაიფანტა.

— არსად.

მაკამ უჯრა დახურა, ხელები მაგიდაზე დაიწყო და შემომხედა. ერთხანს ასე დაჟინებით მიყურა.

— რატომ შენს მეგობრებს არ გამაცნობ?

მე შევკრთი და გაკვირვებით მივუგე:

— რომელ მეგობრებს?

— არა გაყავს მეგობრები?

— შენ მყავხარ.

— სხვა?

— სხვა არ მჭირდება.

— კი გჭირდება.

და უცებ ძალიან დასერიოზულდა, თითქოს დანაღვლიანდა კიდეც.

ეზერხული დუმილი ჩამოვარდა. მე ისევ დამიდგა თვალწინ პატარა სუფთა ადგილი ჭუჭყიან კედელზე. მერე ვეცადე ის კაცი წარმომედგინა, იმ ოთახის პატრონი, მაგრამ ვერ წარმოვიდგინე. მე ხომ ისიც არ ვიცოდი, კაცი იყო თუ ქალი.

ბოლოს მაკა წამოდგა.

— წამო, წავიდეთ.

— სად?

— რა ვიცი. სადმე.

— რა გეჩქარება...

— წავიდეთ.

გული მეტკინა, მაკას რომ უცებ გუნება გაუფუჭდა.

სანამ ოთახიდან გავიდოდით, მაკამ კიდევ ერთხელ შეხედა დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს და გაიღიმა.

საკვირველი სანახაობა იყო: მოლურუმლულ სახეზე მზის ათინათივით თამამობდა ღიმილი.

მაკამ იგრძნო ჩემი დაჟინებული მზერა.

— რას მომჩერებიხარ? — თავი არ მოუბრუნებია ჩემკენ, ისე მითხრა.

— მაინტერესებს, შენს ჩამომავლობას რომ ბოლომდე გავადევნოთ თვალი, მართლა ეგიპტელი გამოდგები თუ არა.

— ქართველი გამოვდგები, — მაკა ჩემკენ მოტრიალდა და რაღაც ჯიუტი და ამავე დროს სასაცილო გულდაჯერებით მითხრა, — ჩამომავლობითაც, გვარითაც, სისხლითაც და ხასიათითაც.

— კაცი უღონოა, თორემ ყველა შენი წინაპრის მკვდრეთით აღდგენა რომ შეიძლებოდეს, ჩავამწკრივებდით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით; ერთ მხარეს მამის ხაზს: მამა, პაპა, პაპის მამა, პაპის პაპა... მეორე მხარეს — დედის ხაზს: დედა, ბებია, ბებიის დედა, ბებიის ბებია... და ასე ბოლომდე. მაშინ ყველაფერი ნათელი შეიქმნებოდა.

— კი. ადამსა და ევას მივადგებოდით.

— მაშასადამე, რომელიღაც მონაკვეთი ჩვენი არსებობის გზაზე ერთად გამოვიარეთ. მაგრამ ეს უხსოვარ დროში მოხდა. მაშინ, ეროვნებები არ არსებობდა, — უცებ თვალწინ წარმომიდგა ჩვენი ყველა წინაპარი და გამეცინა: — რა ნაირ-ნაირ ტანსაცმელში იქნებიან გამოწყობილი!—იმავ წამს რაღაც ზომაგონდა და სიცილი გაქრა, — სწორედ ეს არის, მაკა, პარალელური ხაზები, რომლებიც არ არსებობენ, რადგან სადმე და როდესმე მაინც გადაიკვეთებიან. მე და შენი ხაზები დიდხანს მოძრაობდნენ პარალელურად, სანამ ბოლოს ჩვენს გზაჯვარედინთან ერთმანეთს არ შეხვდნენ. იქნება ჩვენი წი-

---

ჯემალ ქარჩხაძე
მ ღ ვ ბ ე ლ ი

ნაპრების არსებობას ერთადერთი შეუცნობელი მიზანი ჰქონდა: დაშორებული ხაზები ისევ შეეერთებინა. ზოგჯერ მგონია, ვითომ მე ჩემი მამა-პაპის ხაზის ბოლო წერტილი ვარ და მთელი წარსული მხოლოდ მზადება იყო ამ წერტილის დასასმელად.

მაკა ძალიან სერიოზულად მიყურებდა. როცა სერიოზული იყო, ყოველთვის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იბუტებაო. მერე უცებ გაიცინა.

— მაშინ რამე უნდა მოიმოქმედო. რამე უნდა ჩაიდინო.

— ერთი კაცი რას ჩაიდენს ისეთს, რომ წინააღმდეგ ამხელა ჯაჭვის არსებობა გაამართლოს!

აქ პაუზა გავაკეთე. ვიდექი დაფიქრებული და თვალგაშტერებით მივჩერებოდი სივრცეს. და ის იყო, ხელახლა უნდა დამეწყო ლაპარაკი, რომ უეცრად მაკა ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე მაკოცა.

იმ წამს ერთადერთი გრძნობა გამიჩნდა: რომ მაკას საქციელი იყო საოცრად ბუნებრივი, რომელიღაც ჩემთვის უცნობი ლოგიკიდან გამომავალი ერთადერთი დასკვნა.

— წავიდეთ, — წყნარად მითხრა მერე.

გავედით ჩემი ოთახიდან, გავცდით სამზარეულოს. გასასვლელ კარს რომ მივადექით, მაკა დედა მარიამის ოთახისაკენ მიტრიალდა და განსაცვიფრებელი სიზუსტით გაიმეორა ის დახვეწილი, ცოტა არისტოკრატული და ცოტა სასაცილო მოძრაობა, რომლითაც ამ რამდენიმე წუთის წინ დედა მარიამი გამოგვეთხოვა.

კაცმა არაფერი არ უნდა შეიძინოს, მაშინ არც არაფერს დაკარგავ...

კიბე მხიარული ბრაგბარუგით ჩავიარეთ. ამჯერად არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენს ხმაურს შეიძლება მეზობლები შეეწუხებინა, ან სადმე კიბის ბოლოში რომელიმე ცოცხალი ქალის ცნობისმოყვარე თვალები შემოგვფეთებოდა.

სადარბაზო გავიარეთ და ქუჩაში ეროვნული ბიბლიოთეკა ვედით.

შავი „ვოლგა" მოსახვევში შეეჭრა და თვალს მიეფარა.

მე ვიგრძენი, რომ არაბუნებრივი მოძრაობა გავაკეთე; მკვეთრად გავიწიე წინ, თითქოს ვაქცევას ვაპირებდი, მერე ასევე მკვეთრად შევდექი.

— რა იყო? — მკითხა მაკამ.

— არაფერი... — დანაღვლებულად მივუგე მე და შევეცადე უხერხულობა ღიმილით დამეშალა.—ნაცნობს მოვკარი თვალი იმ მანქანაში...

— რომელ მანქანაში?

— იქ რომ შეუხვია. შავ მანქანაში.

მაკამ მხრები აიჩეჩა.

— ახლა იქ მანქანამ შეუხვია? — მერე თავის უყურადღებობაზე გაეცინა. — არც კი დამინახავს. — და იმავ წამს ქილო შეცვალა. — აგერ, შენი კუდიანი დიასახლისი!

მოსახვევთან მართლაც გამოჩნდა დიდი მარიამი. ისეთი დაქიჩმაჩებული მოდიოდა, გეგონებოდათ, ეშინია, სამახარობლოს მიღება არავინ დამასწროსო. ჩვენ რომ დაგვინახა, ნაბიჯი შეანელა და გაგვიღიმა. წვეტიანი კბილები უშლიდა ხელს, თორემ ეს მიმიკა რაღაცით მართლა ჰგავდა ღიმილს.

— უკვე მიდიხართ? — გულდაწყვეტით შემოგვაგება და წინ გადაგვიდგა. — მე კიდევ როგორ მოვიჭქაროდი, იქნება მივესწრო-მეთქი. — დედა მარიამი მხოლოდ მაკას მიმართავდა, — ჩემთან შემოსული რომ დაგინახე, ასე მეგონა, რაღაც ამოძრავდა, სახლს რაღაც სიცოცხლის ნიშანი დაეტყო. ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა, — აქ დედა მარიამმა ხელი წამოიღო და, თითქოს რაღაც სახიფათო ექსპერიმენტს ატარებსო, გაუბედავად შეეხო მაკას მკლავს. წამით შეეხო და მაშინვე გაუშვა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, რაღაცას მიაყურადაო, მერე განაგრძო: — მეც ვიყავი ერთ დროს ახალგაზრდა. მართალია, დიდი ხნის წინ იყო ეს ამბავი, მაგრამ გახსენება ყველაფრის შეიძლება. — მერე მე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტრიალდა თითი დამიქნია, — კაი ვემოვნები კი გქონია, შე ქრისტეს ფეხის მჭამელო! და ისევ მაკას მიმართა: — აღარ გაგაჩერებთ. რაკი არ მოიცადეთ, წავალ და ვიქნები, როგორც ჭქამდე ვიყავი, მარტოხელა და გამოყრუებული. ისე, თუ კიდევ გამოვალი, იცოდე, მარტო ამას კი არ გაახარებ, — თითი გამოიშვირა ჩემკენ, — მეც გამახარებ. აბა კარგად იყავი, — ამ სიტყვებით ისე სწრაფად გაგვეცალა, ვერც მე მოვასწარი რამის თქმა და ვერც მაკამ.

ჩვენ გზა განვაგრძეთ. მე დროდადრო მაკას გავხედავდი და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ან ახლა გაიხსენებს დეიდა მარიამის მოულოდნელ გარდაქმნას, ან ახლა-მეთქი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ, თუ ამ საქციელს რაღაცნაირად არ შეაფასებდა, აღნიშნავდა მაინც. მხრებს მაინც აიჩეჩავდა! ხომ უკვირს ადამიანს ყველაფერი, რაც ალოგიკურია. ჩემს თავზე ადრეც არაერთხელ გამომიცდია დეიდა მარიამის გუნება-დგომებობის უცნაური ცვალებადობა. ამაზე ბევრიც მიფიქრია, მაგრამ, რაკი ვერაფითარი ახსნა ვერ ვუპოვე, ხელი ჩავიქნიე, ალბათ მე თვითონ ვაძლევ ჩემდაუნებურად საბაბს-მეთქი. ეს ახსნა იმთავითვე საეჭვო ჩანდა, ახლა ცხადი შეიქნა, რომ მცდარი ყოფილა: მაკას რაღა საბაბი უნდა მიეცა! დავუშვათ, ის პირველი შიში, მის თვალებში რომ ამოვიკითხე, ის ცივი ოფიციალობა და ბოლოს უკარება არისტოკრატის გორიზი ყესტი უბრალო ზარდილობიანი თარგმანი იყო იმ ფრაზისა, რომლის წარმოთქმისაგან ბოლო მომენტში მაინც შეიკავა თავი („ეგზა მაკლია, შინ ქალები მომიყვანო!"). ასეთი გაწწყობილება და ასეთი დამოკიდებულება მისი ყაიდის ადამიანისაგან ბუნებრივიცაა და საკსებით გასაგებიც. მაგრამ ეს მოულოდნელი მეტამორფოზა რაღა იყო, ეს დათბობული ღიმილი და ტკბილი სასინი? რა მოხდა ასეთი, რომ ესენი ერთბაშად შეაერთიან...?

მაგრამ ჩემი მოლოდინი ამაო გამოდგა. გაგვშორდა თუ არა დეიდა მარიამი, მაკას იქვე დაავიწყდა მისი არსებობა და მთელმა დღემ ისე გაიარა, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია.

არც გაკვირვებია, არც დაინტერესებულა.

ამ ამბავმა თავიდან ცოტა დამაეჭვა, მერე კი მაკას სიმსუბუქე და უშფოთველი ღიმილი მეც გადამედო და დეიდა მარიამი მეხსიერებიდან ამოვარდა.

დრო გაქრა. ხოლო დღე უძრავად იწვა ირგვლივ, როგორც სივრცე, და ჩვენ ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით მასში. და იგი ხარობდა ჩვენით, რადგან ჩვენ ვიყავით მისი ცივი მარტოობის დამარღვეველი დისონანსი.

ახლა, როცა გონების თვალწინ გამოფენასავითაა ჩამწკრივებული მაკას გვერდით გატარებული დღეები, ნათლად ჩანს, რომ ეს დღე ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო, რადგან იმ დღეს ჩვენ-ჩვენი ბავშვობის ეპიზოდები ვუამბეთ ერთმანეთს.

მე ამას ხაზს ეუსვამ, ბატონებო, და ვამბობ: თუ ოდესმე ფსიქოლოგებმა და ფიზიოლოგებმა, ან სხვა რომელიმე ჯერ კიდევ აღარსებული დარგის სპეციალისტებმა მტკიცე მეცნიერულ საძირკველზე დაყარდნეს სიყვარული — ეს უცნაური და გაუგებარი ფენომენი — და ფორმულების ყოვლისშემძლე კლანჭებში მოაქციეს, ღრმადა ვარ დარწმუნებული, ორ ფაქტს მიანიშნებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას: ერთი იქნება პირველი შეხვედრის ფსიქოლოგიური ანალიზი, მეორე კი ის მომენტი, როცა ეგრეთწოდებული შეყვარებულები ერთმანეთს თავთავიანთი ბავშვობის ეპიზოდებს უამბობენ. ბავშვობის ეპიზოდები ის ხაზია, რომელიც ორ წერტილს საბოლოოდ აერთებს. როცა ბავშვობის ამბებს ყვებით, ამით, ასე ვთქვათ, მთავრდება გაცნობის ცერემონიალი.

ხან მე ვყვებოდი, ხან მაკა. არეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვყვებოდით, დაულაგებლად, ისე, როგორც გაგვახსენდებოდა. ეპიზოდები ხან სასაცილო იყო, ხან სევდიანი, ხან მძიმე, ხან ამაღელვებელი.

მაკა ძალიან დაინტერესა ჩემმა სოფელმა და დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი.

— მთებია?

— მთებია. სამ მხარეს მთებია. იარუსებივით ჩაწყობილი. მთები, მერე უფრო მაღალი მთები, მერე კიდევ უფრო მაღალი მთები.

— მეოთხე მხარეს?

— მეოთხე მხარეს დაბლობია. გამოსავალი ხომ გინდა მთებიდან! მეოთხე მხარეს გზა არის და გადასახედი. ნახევარი საქართველო ჩანს.

— ტყე?

— ტყეც.

— რეცხილა არის?

— რეცხილაა უმთავრესად. რეცხილა, თელა და ცაცხვი. კიდევ ალღლყურძენა, კატაევნახა და წყავი.

— მოიცა, მოიცა! — მაკას გაეცინა. — მაგდენი აღარ ვიცი.

— რა არ იცი? ალღლყურძენა ველური ვაზია. კატაევნახაც რაღაც ამდაგვარი. წყავი კი... წყავი განსაკუთრებული მოვლენაა.

— ეგეც ველური ვაზია?

— წყავი? არა. ისე, მცენარეა... ხე. დიდი არ იზრდება, მაგრამ საოცარი იზრდება. გრძელი ტოტები აქვს, ხშირფოთლიანი, მაგარი და თოკივით მოქნილი. თუ ორი წყავი ერთმანეთის მახლობლად დგას, ტოტები ისე აქვთ ერთმანეთში გადახლართული, ვერ გაარჩევ, რომელი რომლისაა.

— ნაყოფი?

— მრგვალი მარცვლები აქვს, ყურძნის მარცვლებზე ცოტა პატარა. რომ დამწიფდება, სულ შავია. იმის ჭამას არაფერი სჯობს.

— მდინარე როგორია?

— ხომ გითხარი! ცივი და ჩქარი. შიგ ვეებერთელა ლოდებია. ლოდების ძირში კალმახებია.

— დაგიჭერია?

— კი. ხელით.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. ... მაკამ როგორღაც ბავშვივით, სასაცილოდ თქვა:

— მეც მინდა წყავი! — და დაუმატა. — რამდენ ხანს ცხოვრობდი სოფელში?

— მეექვსე კლასამდე. მეექვსე კლასში რომ ვიყავი, ქალაქში გადამიყვანეს. მას მერე ზაფხულობითღა ჩავდიოდი. — აქ რაღაც გამახსენდა და მცირე პაუზის შემდეგ დავუმატე: — ქალაქში რომ გადავედი, სწორედ იმ წელიწადს დაეწერე პირველი სამიჯნურო წერილი.

მაკა შეჩერდა და ჩემკენ მოტრიალდა. მერე უცებ დოინჯი შემოიყარა, თვალები მოჭუტა და გამომცდელად დამაცქერდა.

— ჰმ... და ასე უტიფრად ამხელ.

— დასამალავი რა არის! მართალია, ზედმეტად კი გადავტვირთე პროვინციული პათეტიკით და მომხატვრულო ჩუქურთმებით, მაგრამ სხვაფრივ რჩეული წერილი იყო. გარდა ამისა, არ დაგავიწყდეს, რომ პათეტიკა არც ისე ხელწამოსაკრავი საშუალებაა, როცა ახალგაზრდი ქალთან გაქვს საქმე.

— ჰოო?.. საინტერესოა. აღრესატი. ალბათ, აღფრთოვანებული დარჩა.

— კი, აღფრთოვანებული დარჩა. მართალია, ცდა არ დაუკლია, რომ სასასუხო წერილი თავშეკავებული ტონით დაეწერა, მაგრამ გამოუცდელ გოგოს სად შეუძლია საკუთარი თავის დამალვა. სტრიქონსა და სტრიქონს შორის ჩუმად, როგორც კარის ჭუჭრუტანიდან, იკუიტებოდა სიხარული. ეს წერილის ერთი წაკითხვისთანავე გამოვიცანი და მიგხვდი, რომ ამ ასპარეზზე პირველი დიდი გამარჯვება მოვიპოვე.

— და, რა თქმა უნდა, ოიოდ შეაყვარე თავი.

— შევაყვარე?

— ჰო. რა იყო? ვერ შეაყვარე?

— მე?

— არა, უშანგიმ.

— უშანგიმ. შენ რა იცი?

— რა რა ვიცი?

— უშანგი.

— რა უშანგი?

— უშანგიმ შეიყვარა თავი. მაგრამ შენ საიდან მიხვდი?

— რას მაბიაბურებ! მე ასევე შემეძლო „დიმიტრი“ მეთქვა.

— მაგრამ შენ უშანგი თქვი. ეს იყო ქვეცნობიერი ცოდნის უნებური გამოჟონვა.

— ნამდვილად ასე იყო. მაგრამ უშანგი მაინც რა შუაშია?

— აბა ვინ არის შუაში?

— შენ წერილი მისწერე და იმას უშანგი შეუყვარდა?

— ჰო.

— ღმერთო, ნუ გადამრევ ასე ახალგაზრდას! კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ შენ სამიჯნურო წერილი მისწერე და იმას უშანგი შეუყვარდა?

— სულ უბრალოდ. ის წერილი ხომ უშანგის თხოვნით დავწერე!

— მაკამ მიყურა, მიყურა და სიცილი წასკდა.

— შენ ჩემი სამიჯნური წერილი გეგონა? რა სისულელეა. მე წმინდა შემოქმედი ვიყავი. უშანგის წერა არ ეხერხებოდა. კიდევ უფრო ნაკლებად ეხერხებოდა ლაპარაკი. მე კი ამ საქმეში ჰონორარად ტყვიის ბურთი მივიღე. იმ დროის კვალობაზე კარგი ჰონორარი იყო. მაგრამ დავიმსახურე კიდეც.

— გაიჩარხა საქმე?

— კი. დიდი მიწერ-მოწერა გაიმართა.

— მერეც შენ წერდი წერილებს?

— რა თქმა უნდა. უშანგი რომ ჯარში გაიწვიეს, მაშინ კი გართულდა ცოტა საქმე. მაგრამ, როგორც იტყვიან, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

— რა გამოსავალი იპოვეთ?

— მარტივი. დავწერდი წერილს, გავუგზავნიდი უშანგის. უშანგი გადაწერდა და იმ გოგოს უგზავნიდა. პასუხს რომ მიიღებდა, მე მოგზავნიდა. მე ახალ წერილს დავწერდი და უშანგის ვუგზავნიდი. უშანგი გადაწერდა და იმ გოგოს უგზავნიდა. ნამდვილი კარუსელი გამოგვივიდა. არადა, ის გოგო ჩემი კარის მეზობელი იყო. 28 ნომერში მეცხოვრობდი, 30-ში — ის.

— მერე? რით დამთავრდა ყველაფერი?

— ქორწილით. სკოლა რომ დავამთავრე და თბილისში წამოვედი, უკვე სამი ბიჭი ჰყავდათ.

ჩვენ გავჩუმდით და ერთხანს ასე ვიარეთ, უხმოდ. მერე მაკამ ისევ სოფლის ამბების გამოკითხვა დამიწყო. თავის ამბებსაც მიყვებოდა.

სიარულით რომ დავიღალეთ, პატარა ბაღში შევედით და მერხზე ჩამოვსხედით. შადრევანთან ბავშვები თამაშობდნენ. ერთი პატარა ბიჭი, ასე, წლინახევარის ან ორი წლისა იქნებოდა, მოსვენებას არ აძლევდა დანარჩენებს. დანარჩენები შედარებით მოზრდილები იყვნენ. საქმე დანაწილებული ჰქონდათ და გულმოდგინედ მუშაობდნენ. ორი მათგანი პაწაწკინტელა ვედროებით სილას ეზიდებოდა, სამი კი ამ სილას ტკეპნიდა და რაღაც ფორმებს აძლევდა. ჩემი აზრით, ნამცხვრებს აკეთებდნენ. მაგრამ მათ მიზანს, ეტყობა, განხორციელება არ ეწერა, სანამ ყველაზე პატარა არ დაშოშმინდებოდა. ის კი არ ისვენებდა. ეშმაკური სახით იდგა და უყურებდა, როდის მიიღებდა სილა ასე თუ ისე საინტერესო ფორმას, მერე უცებ მივარდებოდა, პატარა ფეხებს დაუშენდა და ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი ხდებოდა. საკვირველი ის იყო, რომ პატარა ბიჭის საქციელი ბავშვებს არ სწყინდათ, თუმცა თვითონაც სამი-ოთხი წლისანი იყვნენ. სწყინდათ კი არადა, ისე გულიანად ახითხითდებოდნენ, პატარა რომ მათს ნაამაგარს მიწასთან გაასწორებდა, გეგონებოდათ, დიდად გახარებული არიანო. მერე ხელახლა იწყებდნენ დანგრეულის აშენებას.

ამ სანახაობით რომ ვიყავით გართული, უცებ მაკამ მითხრა:

ჯემალ ქარჩხაძე
მ ო ბ ა მ უ რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისეთი გრძნობა არ გქონდა, თითქოს ბუტაფორიულ ხეს რგავდი?

ამას რომ მეუბნებოდა, თან ღიმილით უყურებდა ბავშვების საქმიანობას. და მე უცად ვერ მივხვდი, რა მითხრა.

— როდის?

— როცა სხვის მაგივრად სამიჯნურო ბარათებს წერდი.

გაკვირვებით შეეხედე. წამით მომეჩვენა, თითქოს მის სიტყვებში ჩემთვის გაუგებარ სიმართლეს მოეკარი თვალი.

— მაგაზე არასოდეს მიფიქრია. მე შემოქმედი ვიყავი და ჩემი შემოქმედების მეტი არაფერი მაინტერესებდა.

გვიანი საღამო იყო, ერთმანეთს რომ ღაბშორდით. მაკა გზაჯვარედინთან გამომეთხოვა. ცოტა გზა რომ გაიარა, ერთხელ კიდევ მოტრიალდა, ხელი დამიქნია და წავიდა. მიდიოდა რბილი, მშვიდი, იმედიანი ნაბიჯით. მე ვიდექი და ვუყურებდი. სანამ პირველ ელნათურიან ბოძს მიაღწევდა, ჩრდილი უკან მოყვებოდა. როცა ბოძს გასცდა, ჩრდილმა გადაასწრო და წინ გაუძღვა. მომდევნო ბოძს რომ მიუახლოვდა, ისევ ისე ერთბაშად ჩამორჩა და უკან აედევნა. ბოლოს სახლს მიადგა, ჭიშკარი შეაღო და ეზოში გაუჩინარდა.

მე კიდევ დიდხანს ვიდექი მარტოდმარტო ღამის სიჩუმეში მკრთალად განათებულ გზაჯვარედინზე და ღიმილით გავიქეროდი ქუჩას. მერე მოვტრიალდი და ღიღინ-ღიღინით წავედი შინისკენ.

დეიდა მარიამი სამზარეულოში დამხვდა. მაგიდას მიჯდომოდა და კარტს შლიდა. ერთი რიგი უკვე მოთავებული ჰქონდა და მეორეს იწყებდა. მე უხმაუროდ გავიარე სამზარეულო და ის იყო, ოთახის კარი უნდა შემეღო სრულიად დარწმუნებულს, რომ ჩემი შემოსვლა არ გაუგია, უცებ თავაუწევლად მომაძახა:

— სად მიიძურწები, ბიჭო? მოდი აქ!

მოვტრიალდი და მაგიდას მივუახლოვდი.

— ძილი ხომ არ გაგიფრთხათ, დეიდა მარიამ?

— ახალგაზრდობა მომაგონდა, — მიპასუხა ისევ ისე თავაუწევლად. — მეორე რიგიც მოათავა. მერე ცერი და საჩვენებელი თითი პირში გამოავლო და დაუმატა. — გიმკითხავებ, თუ გინდა.

— რად მინდა!

— მომავალს შეიტყობ.

— შეტყობილ მომავალს რა ფასი აქვს!

— იქნება უსიამოვნება გელის... დროზე იღონებდი რამეს.

— მადლობელი ვარ, დეიდა მარიამ. რაც მოსახდენია, მირჩევნია, მოხდეს.

დეიდა მარიამმა კიდევ ერთხელ გამოიცვლო პირში ცერი და საჩვენებელი თითი.

— მოხდება კიდეც, — მითხრა მერე. სრულიად მექანიკურად მითხრა, აზრამიტანებლად, რადგან ამ დროს მთელი გულისყური ყვავის ვალეტისკენ ჰქონდა მიპყრობილი. როგორც ჩანს, არ მოელოდა ამ კარტის ამოსვლას. ის კი აღარ ვიცი, სასიამოვნოდ დაურჩა ეს მოულოდნელი სიურპრიზი თუ საწყენად. რაღაც გაუგებრად წაიბურტყუნა და თავი გადაიქნია. მერე, რაც ხელში დარჩა, ის კარტი გვერდზე გადააწყო და გაშლილი კარტის აკრეფას შეუდგა. მარჯვედ კრეფდა. ოსტატურად. აკრეფა რომ მოათავა, მაშინღა აწია თავი და შემომხედა.

— რანაირად მოატყუე ამისთანა გოგო? — აქ მცირე პაუზა გაკეთა, კარგად შემათვალიერა და დაუმატა. — არა. ვლახა არც შენ გეთქმის, მაგრამ ის... ის ნამეტანია... არ გინდა, აბა, გიმკითხავო, ხომ? კაი, წადი და დაიძინე.

— ღამე მშვიდობისა, დეიდა მარიამ.

— ღამე მშვიდობისა.

ჩემი ოთახის კარი რომ შევაღე, უცებ თავი მოაბრუნა და მომაძახა:

— კაი გოგოა მაგ გოგო, მაგრამ კაი მოფრთხილებაც უნდა.

ეს ფრაზა რაღაც უცხო, ბუნდოვანი კილოთი თქვა. რჩევას არ ჰგავდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, ღიმილი და ნიშნისმოგება შევამჩნიე-მეთქი. არადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცის ცივი, შემაშფოთებელი რწმენა აშკარად ახლდა. ჩემი აზრით, ასეთი კილო უნდა ჰქონოდეს ზღაპრის პერსონაჟს, რომელიც მზისკენ მიმავალ ჯაბუკს ეუბნება: „ამგელი ბეკერი მინახავს- და ჩამომგელი არავინაო.

ასე იყო თუ ისე, ფარაზა ითქვა და დეიდა მარიამი ისევ კარტს მიუბრუნდა. მეც კარი მივხურე, ლოგინზე გაუხდელად გავიშოტე და თვალები დავხუჭე.

მეხსიერებაში ისევ ამოცურდა დღეანდელი დღე და ნელი მარშით გაიარა გონებაში. ხოლო ტვინი, ჩვენი სიცოცხლის ფხიზელი მმართველი და დარაჯი, იდგა და გულმოდგინედ აკვირდებოდა ამ დღეს. აკვირდებოდა და ამოწმებდა, როგორც გენერალი ამოწმებს ჯარს აღლუმის წინ. გენერალი კმაყოფილი დარჩა, რადგან დარწმუნდა, რომ მე და მაკას ურთიერთობაში წაიშალა ყველა უცნობი წერტილი. პარალელური ხაზები საბოლოოდ შეერთდნენ და ხვალ ენის ბორძიკის გარეშე შემეძლო მაკას თანდასწრებით ისეთი რამ მეთქვა ხმამაღლა, რასაც, ჩვეულებრივ, საკუთარი თავის გარდა, არავის ვუმხელთ.

როდის ჩამეძინა, არ მახსოვს. ბოლო, რაც დამამახსოვრდა, იყო დედოფალ ნეფერტიტის სურათი, რომელსაც სარკმლიდან შემოჭრილი მთვარის შუქი სცემდა.

სიზმრად მაკა ვნახე.

კაცმა რომ თქვას, სხვა რა უნდა მენახა! მაკა იყო ყოველივეს დასაბამი და ამოსავალი წერტილი. ქვეყნიერების გული, ღმერთის არსებობის დასტური. სხვა ყველაფერი, სულიერიც და უსულოც, არსებობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მაკას არსებობა ეუწყებია ჩემთვის.

ოო. სიტყვა უილაჯოა. იქნება უშანგი იყო მართალი... რადგან არავის ძალუძს იმის თქმა, რასაც განიცდის.

მე რომ ახლა მტკიცება დავიწყო, არავის არაფერდეს ისე არავინ ჰყვარებია, როგორც მე მაკა მიყვარდა-მეთქი, კაცობრიობის სამიჯნურო ისტორიაში მსოფლიო რეკორდი მე დავამყარე-მეთქი, გამოუცდელები იქნებ მენდოდნენ და დამიჯეროთ, მაგრამ გამოცდილები გულში ჩაიცინებთ და გაიფიქრებთ: „ეჰ, შვილოსა, შენ რომ ჩემი სიყვარულის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდი“. მართალიც იქნებით. კაცის გულში ჩახედვა კაცს არ ძალუძს, სხვა საზომი კი არ არსებობს. ამიტომ ყველას თავისი სიყვარული და თავისი განცდა ჰგონია უპირველესი და უძლიერესი. ჰამლეტსაც ასე ეგონა, დანიის პრინცს; უშანგისაც ასე ეგონა. ჰამლეტმა თქვა, ორმოცი ათას ძმას, ერთად აღებულსო! მაგრამ ეს, უბრალოდ, მოხდენილი ფრაზა იყო. დაჯერებთ ვინ დაუჯერებდა! მოხდენილი ფრაზა თუ მომაგონდა რამე, მეც ვიტყვი, თუ არადა, უბრალოდ მოვყვები, რაც იყო და როგორც იყო.

იმას გეუბნებოდით, მაკა მესიზმრა-მეთქი.

ხელიხელჩაკიდებული მივდიოდით. ფერდობზე შეფენილი სიმინდის ყანა ჩავიარეთ. სადღაც მახლობლად ბილიკი იყო, მაგრამ ჩვენ ყანა-ყანა გადავედით და მდინარეს მივადექით. ეს ჩემი სოფლის მდინარე იყო. ჩქარი, ცივი. მაკას რომ ფეხი არ დასველებოდა, მდინარეში მოზრდილი ქვები ჩავაწყე. ამ ქვის ბილიკით გავედით გაღმა, სადაც ტყე იწყებოდა. აღმართს შევუდექით. ზუსტად არ მახსოვდა, რა ადგილას იყო წყაროს ხეები. ალღოს მივყვებოდი. მერე და მერე ყველაფერი გამახსენდა, გარემო ვიცანი და უფრო დაჯერებული მივდიოდი. მაკას ხელი ხელში მეჭირა. უკვე ახლო ვიყავით მიზანთან. პატარა ხევს გადავევლიდით და წყაროს ხეებსაც მივადგებოდით. უცებ მაკა შეჩერდა.

„აი, ეს არის“, — მითხრა და თავისუფალი ხელი მაღალი რცხილისაკენ გაიშვირა.

რცხილა განმარტოებით იდგა.

ჯემალ ქარჩხაძე
მ ო ზ ა ი კ ი

„ფოთლები არ უშრიალებს“, — ვთქვი მე და დაკვირვებით შევხედე რცხილას.

„ჰო, არ უშრიალებს“.

ახლო მივედით, კარგად დავათვალიერეთ. რცხილა ორმოში იდგა და ფესვების მაგივრად ბოლოში ერთმანეთზე ჯვარედინად გადაჯდომილი ფიცრები ჰქონდა. აი, ისეთი, ზედ რომ საახალწლო ნაძვის ხეებს ვდგამთ ხოლმე.

მე დიდხანს ჩავცქეროდი ორმოს, ვითომ ამ უცნაურ მოვლენას ვაკვირდებოდი, სინამდვილეში კი განზრახ ვაჭიანურებდი დროს, რომ სათქმელი მომეფიქრებინა.

„ხვალ უნდა მეთქვა“, — ძლივს გასაგონად ჩავიბუტბუტე ბოლოს.

„ხვალ?“ — მაკა ყურადღებით დამაცქერდა და უცებ დანაღვლიანდა. — „გვიან არ იქნება?“

არ ვიცი, ამ სიტყვების ბრალი იყო თუ იმის ბრალი, რომ მაკას სახეზე ნაღველი შევნიშნე, უცებ გული შემეკუმშა.

იმავე წამს მთელი შინაგანი ენერგია მოვიკრიბე, რათა ძილისთვის თავი დამეღწია. ეს ძნელი საქმე იყო და კარგადაც გავწვალდი. ძილი ისე მითრევდა, როგორც ჭაობი, მე კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ზეკით მივიწევდი. ბოლოს, როგორც იქნა, ამოვძვერი, თვალი გავახილე და, რა იქნება ხვალ გვიან-მეთქი, გაკვირვებულმა გავიფიქრე.

ჯერ კიდევ ბუნანში ვიყავი. და იმ ერთ წამში, სანამ ბუნანი გრძელდებოდა, კვლავ გაირბინა გონებაში ღღეანდელმა ღამემ. ორი ეპიზოდი ისე მეცა თვალში, თითქოს მსხვილი შრიფტით ყოფილიყო აწყობილი. ერთი, როცა მაკამ ჩემს არარსებულ მეგობრებზე ჩამომიგდო სიტყვა, და მეორე, ისეთი გრძნობა არ გქონდა, თითქოს ბუტაფორულ ხეს რგავდით, რომ მკითხა და მის ნათქვამში ჩემთვის გაუგებარ სიმართლეს მოვკარი თვალი. და ერთბაშად გამახსენდა, რომ მთელი დღის განმავლობაში ლოდივით მაწვა რაღაც შეუცნობელი დარდი. ახლა მივხედი, რა იყო ის დარდი: ვითომ უცნობ წერტილებს ეშლიდი ჩვენს ურთიერთობაში, სინამდვილეში კი, რაც მთავარი იყო, ჩანს ვმალავდი. ჩემი უცნაური გარდაქმნის ამბავს ვმალავდი, მანქანის ყიდვა რომ გადავწყვიტე და გროშების მოგროვება დავიწყე. პირველ რიგში სწორედ ეს უნდა მეთქვა. ეს იყო ყველაზე საეჭვო წერტილი. ვაპირებდი კიდეც ამის თქმას. მთელი დღის განმავლობაში ვაპირებდი, მაგრამ ვერ გავბედე. ახლა ისიც ვიცოდი, რატომ ვერ გავბედე. არა. იმიტომ არა, თითქოს მეშინოდა. მაკას თვალში ჩემი ღირსება არ შელახულიყო. ჩემი ღირსება არ მაფიქრებდა. მაკას ღირსება მაფიქრებდა. შეუცნობლად ვგრძნობდი, რომ ამ ამბის აღიარება რაღაც ჩრჩს მოცხებდა, როგორღაც გააუბრალოებდა, გააუხეშებდა, ისეთ შეურაცხყოფას მიაყენებდა, როგორიც უნდა იგრძნოს მუსიკოსმა, როდესაც შთაგონებით უკრავს რაღაც ღვთაებრივ მუსიკას, ყველა ნერვი მუსიკაზა აქვს ქცეული, და ამ დროს რომელიმე ტლუ მსმენელი ხმაურით მოიხოცავს ცხვირს...

ამასობაში საბოლოოდ გამოვფხიზლდი, ხვალ გვიან იქნება-მეთქი, ანგარიშმიუცემლად გავიფიქრე. ფიცხლად წამოვჯექი და საწოლიდან გადმოვხტი.

არა. მიუხედავად იმ სისულელეებისა, რაც აქამდე ჩაუდენია და, რასაც ამის შემდეგ ჩაიდენს, ადამიანი მაინც გონიერი არსებაა.

ფიცხაფუცხით არ ჩამიცვამს ტანთ ღამის სამ საათზე, გიჟივით არ გავვარდნილვარ ქუჩაში, კისრისტეხით არ დავშვებულვარ დაბლა, ორი ნახტომით არ გადამიჭრია გზაჯვარედინი, ელვის სისწრაფით არ შევვარდნილვარ მაკას ეზოში, აქლოშინებული არ დავდგერებივარ სახლის კარს, არ ამიტეხია ბრახაბრუხი, გულგახეთქილები არ წამომიყრია ლოგინიდან მაკა და მამამისი და დაღლილსა და გულამოვარდნილს ნაწყვეტ-ნაწყვეტ არ მითქვამს, ხვალ გვიან იქნება-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა. ამ აზრმა მხოლოდ წამით გამიელვა თავში.

დაღლილი კი ისე ვიყავი დაღლილი, თითქოს ყველაფერი ეს მართლა ჩამედინოს. გული საშინელი ძალით მიცემდა და სულს ძლივს ვითქვამდი.

მაგიდის ლამფა ავანთე.

დედოფალი ნეფერტიტი მშვიდად გადმომკქეროდა ზემოდან.

„შენ რა გიჭირს, — გავიფიქრე ჩემთვის და თვალი გავუსწორე. — ოცდათოთხმეტი სიკუნის წინ რომ მოგმკვდარიყავი, მეც კი ვიქნებოდი ახლა შენსავით მშვიდი“.

სარკმელს მივადექი, ფეხის წვერებზე ავიწიე, სუფთა ჰაერი შევისუნთქე.

ცოტა ხნის შემდეგ დაღლილობამ თითქოს გამიარა, მაგრამ სუნთქვა ჯერ კიდევ მიჭირდა. ერთი პირობა დავაპირე, გარეთ გავალ, სუფთა ჰაერზე გავიკვლი-მეთქი, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუვაგადე: დეიდა მარიამს რომ გაეგო ჩემი გასვლა, ვინ იცის, რა კუდი გამოებმებოდა ამ ამბავს და რა უსიამოვნება დატრიალდებოდა.

უცებ გულში ეჭვმა გამკრა: იქნება წეღან რომ თავში სისულელემ გამიელვა, მხოლოდ იმიტომ არ ჩავიდინე, დეიდა მარიამს არ გაღვიძებოდა?

ისევ აეფორიაქდი, ისევ მომეძალა დაღლილობა. რა დაბრკოლებაა ასეთი ეს დეიდა მარიამი, რატომ ვგრძნობ თავს მის ტყვედ?

მადლობა ღმერთს, მალე აზრი მოვიკრიბე და ლოგიკურად გავაანალიზე ყველაფერი (რამხელა წინდახედულება გამოიჩინა ღმერთმა, ადამიანებს რომ ლოგიკა უბოძა!). ლოგიკურმა ანალიზმა შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა: მარტალია, ვერიდებოდი დეიდა მარიამის გაღვიძებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეიდა მარიამი მთავარია. დეიდა მარიამი, უბრალოდ, პირველი დაბრკოლებაა, პირველი რგოლია და ამიტომ პირველად ის მაგონდება. ამ რგოლს რომ გავცდენოდი და მაკას სახლს მივდგომოდი, იქ ხომ უარესად მომერიდებოდა! რა ძალა, რა სიგიჟე მაიძულებდა, ღამის სამ საათზე ხალხი ზეზეწამომეყარა! სწორედ ამან შემაჩერა წეღან და არა დეიდა მარიამმა.

ლოგიკამ შვება მომგვარა. ცოტა შეცვლა კიდეც. ამიტომ ისევ ლოგინს მივაშურე. ოღონდ მაგიდის ლამფა არ ჩამიქრია. ვიცოდი, მალე არ დამეძინებოდა. წიგნს გადავწედი და კითხვა დავიწყე...

რომ გავიღვიძე, დილის ცხრა საათი იყო.

მაგიდის ლამფა ისევ ენთო. წიგნი კი საწოლის გვერდით ეგდო გადაშლილი და პირქვედამხობილი.

საღამოს მე და მაკა რომელიღაც ფართო, სწორ ქუჩას მივუყვებოდით. მიგაბიჯებდით ხელიხელჩაკიდებული და არც ერთს არ გვაინტერესებდა, სად მივდიოდით. მაკა რაღაც განსაკუთრებულ ხასიათზე იყო; სულ კრიტიკის ქარცეცხლში გამატარა. ჯერ ამიხირდა, მუდამ შეშმუხნილი რატომ ხარო. მე გამეღიმა და თავი დავიცავი, ეს თანდაყოლილი სიბრძნის ბრალია-მეთქი. მერე იმაზე ამიტყდა, მალე გაქაჩლდებიო. თან საფეთქელთან თმა გადამიწია და კარგად დამაკვირდა, რომ ენახა, რა სტადიამდე იყო მისული ეს გარდაუვალი კატასტროფა.

— უუ! სამ წელიწადში სულ ერთიანად გაქაჩლდები!

— შენ თუ არ გინდა, მითხარი და არ გავქაჩლდები.

— ჰმ! ისე მპირდები, გეგონება, სულ ჩემს ჭკუაზე ივლი.

— რატომაც არ ვივლი!

— სიარული არ იცი და, როგორ ივლი?

გაკვირვებისაგან შევჩერდი. და უცებ ვიცი სიარული გამახსენდა: რბილი, იმედიანი ნაბიჯები.

— რას ქვია, სიარული არ ვიცი!

— არ იცი. ისე დადიხარ, თითქოს სულ იმის შიშში იყო, ფეხი არაფერს წამოკრა.

ზაქარია ქარჩხაძე
გდგმური

— ნუ მოიგონებ რაღაცას!

— არაფერს არ ვიგონებ.

— გამიშვი ხელი. ახლავე გიჩვენებ, როგორ დავდივარ.

— აჰა!

მე წინ წავედი. ვცდილობდი, რაც შეიძლება მყარად მევლო. მონდომებამ, რასაკვირველია, საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღო. თუ სიარულის დროს მართლა მაკლდა სიმტკიცე, ახლა ამას ხელოვნურობაც ზედ დაერთო. ამიტომ ექსპერიმენტს სწრაფად მივანებე თავი.

მაკა იცინოდა.

— ასე საგანგებოდ მსახიობის მეტი წესიერად ვერავინ გაივლის.

— მე მსახიობი ვარ?

— არა.

— აბა, მაშ, მიყურე.

მაკა წავიდა. მიაბიჯებდა რბილად, მშვიდად, მოხდენილად. რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, მერე შეჩერდა. მოტრიალდა და დამელოდა. როდესაც წამოვეწია, ხელი ისევ ხელში ჩამიკიდა.

— ახლა რას იტყვი?

მე უსიტყვო კაპიტულაციაზე მოვეწერე ხელი:

— რა მეთქმის. საოცარი კია... არასოდეს შემამჩნევია...

— მე შევამჩნიე. სხვა დროს, როცა შენს სიბრძნეს ახსენებ, ჩემიც ზედ მიაყოლე. შენი სიარულის მიხედვით, ისეთ რამეებს გამოვიცნობ ხოლმე, სიარულთან რომ არაფერი კავშირი არა აქვს.

— მაგალითად რას?

— მაგალითად ნაცნობის მოახლოებას.

— რაას?

— როცა ნაბიჯს აურევ და სიარულის ტემპს შეიცვლი, ეს იმის ნიშანია, რომ სადღაც ნაცნობს მოკარი თვალი. მერე, ნაცნობი რომ გიახლოვდება, წინ გავარდები, თითქმის მთელი ნაბიჯით გამისწრებ. ბოლოს, როდესაც ნაცნობი ჩაიგლის, ისევ ძველ რიტმს დაუბრუნდები.

— მართლა ასე იდიოტურად ვიქცევი?

— იდიოტურად-მეთქი არ მითქვამს, მაგრამ ასე კი იქცევი.

— ნუთუ ამდენად განსხვავებული სიარული გვაქვს?..

— კი.

— სიარულში ადამიანის ხასიათი ჩანდანდება. მაშ, ხასიათიც მკვეთრად განსხვავებული გვქონია.

— მერე ეს ცუდია თუ კარგი?

— ეპოქის სტილიდან ამოვარდნა ცუდია თუ კარგი? ოდნავ წახნაგოვანი და ოდნავ არარეალისტური ყელი ცუდია თუ კარგი? ალბათ შეუცნობლად როგორ, ცუდსა და კარგს შორის რომ ზუდამ ჩინური კედელი გინდა აღმართო.

— მერე ეს ცუდია თუ კარგი?

მე გამეცინა.

— სინამდვილეში ცუდი და კარგი თითქმის განუყოფელია. ცუდი შეიცავს კარგს და კარგი შეიცავს ცუდს. ქვეყნად ყველაფერი ცუდ-კარგია.

— ასეთ რამეებზე არასოდეს დავფიქრებულვარ. სადა მაქვს მაგდენი ჭკუა! ისე, ვინმეს რომ ეკითხა, ვეტყოდი, ცუდი ცუდია და კარგი კარგიმეთქი.

— აბა რა არის!

— შენ ხომ ამბობ, ცუდი კარგია და...

— შეიცავს-მეთქი. ცუდი ცუდია, მაგრამ კარგი შეიცავს ცუდს.

— აა! თუ ასეა, გაცალცალკევებაც უნდა შეიძლებოდეს და მაშინ კარგი კარგი იქნება.

— გაცალცალკევება მხოლოდ თეორიულად შეიძლება. წარმოსახვაში. სიმბოლურად ასეთი გაცალცალკევების მაგალითია ანგელოზი და ეშმაკი. მაგრამ აქ სხვა პრობლემები ჩნდება...

— ძალიან საინტერესო იქნებოდა შენი მუსიკალური დახასიათება.

— რაა?

— კი, კი. საინტერესო იქნებოდა.

მაკა შეჩერდა. მეც შევჩერდი.

— მძიმე მუსიკა. შეუვალი. მკაცრი და ოდნავ ამაღლებული. ცოტა მუქი. ცოტა ბუნდოვანი, ცოტა ერთფეროვანი. ნელი. მელოდიის მოლოდინი ჩანს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ თვითონ მელოდია არა ჩანს. და როცა ყური შეეგუება და ახალს აღარაფერს ელის, უცაბ გაისმის დისონანსი: სმასუბუქე. ტემპი, სინათლე. დისონანსი ცდილობს, იქცეს მდგომარეობის ბატონ-პატრონად, მაგრამ თანდათან ინთქმება სიმძიმის დუნე ნიაღვარში და იკარგება, სანამ ხელახლა არ დაუდგება მარჯვე შემთხვევა და ხელახლა არ დაიწყებს თავს ტყვეობას... მართლა ასეთი საშინელი ბრძენი ხარ?

— არ ვიცი, რამდენად საშინელი გეჩვენება ჩემი სიბრძნე.

— არც მე ვიცი.

— მუსიკალური დახასიათება საინტერესო უნდა გამოვიდეს. როცა დაწერ, აუცილებლად მომასმენინე. შეიძლება მარტო საინტერესო კი არა, სწორიც იყოს... — და აქ ერთბაშად, გაბერილ ბუშტს რომ ქინძისთავს უჩენენ, ისე ამოვუშვი, — რატომაა ის ხე ბუტაფორიული?

მაკამ გაკვირვებით შემომხედა.

— რომელი ხე?

— მე რომ დავრგე... როცა უშანგის მაგვარად სამიჯნურო ბარათებს ეწერდი.

მაკა ყურადღებით დამაკვერდა. თვალებიც კი მოჭუტა. ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსენა.

— აა!.. რა ვიცი, ასე მომეჩვენა.

— მოგეჩვენა და, რატომ მოგეჩვენა, არ იცი?

მაკამ ისეთი სახე მიიღო, მოსწავლეს რომ ძალიან ძნელ კითხვას მისცემენ განვლილი მასალიდან, და ცალი მხარი ნელა, გაუბედავად აიჩეჩა.

— არ შეიძლება, არ ვიცოდე? — და ეშმაკურად შემომხედა.

მე ძმიმედ გავიქნიე თავი. არა-მეთქი.

მაკამ ამოიოხრა.

— კარგი. რაკი ქვეყანაზე აუხსნელი არაფერი შეიძლება დარჩეს... — აქ დაფიქრდა და უფრო სერიოზული კილოთი განაგრძო. — გინახავს ორი ისეთი კაცი, ერთმანეთის სრული ასლები რომ იყვნენ?

— სად უნდა შენახა!

— რატომ?

— როგორ თუ რატომ! ასეთი ადამიანები არ არსებობენ.

— ორი ისეთი გრძნობა თუ არსებობს, ერთმანეთის სრული ასლები რომ იყოს?

— არც გრძნობა.

ბუნდოვნად მენიშნა რაღაც.

— უშანგის იმ სიტყვებით არ უყვარდა ის ბოგო, რა სიტყვებიც შენ მისწერე. ამიტომ იმ გოგოსაც უშანგი კი არ შეუყვარდა, ის ბიჭი შეუყვარდა, რომელსაც შენი წერილებით დახატული გრძნობა ექნებოდა. შენ უშანგი შეაპარე. სხვის ტანსაცმელში გადაცმული. მაგრამ სხვისი ტანსაცმელი სანამ უნდა სცმოდა. ცოლი სულ სხვანაირ სიყვარულს მოელოდა, უშანგის სულ სხვანაირად უყვარდა.

— რა ხანია ცოლ-ქმარი არიან და, რამდენადაც ვიცი, მშვიდობიანად ცხოვრობენ. ეს როგორღა ავხსნათ?

— ოოჰ! როგორც გინდა, ისე ახსენი. მე მეტს ვეღარაფერს ავხსნი. რა მოხდება, სულ ცოტა რამე მაინც დავტოვოთ აუხსნელი.

მე გამეცინა.

— კარგი, დავტოვოთ.

და გავიფიქრე:

„რატომაც არა! დარჩეს ზოგი რამ აუხსნელი. უთქმელიც დარჩეს ზოგი რამ, რაც შედარებით უბრალოა და უმნიშვნელო. მაგრამ არსებითი კი უნდა თქვას. ფულის ამბავი უნდა თქვას. თორემ მეც ბუტაფორული ხე ვიქნები. ნიღაბს ვაჩვენებ და სახეს დავშალავ. მაკამ უნდა იცოდეს, რომ ის კაცი, რომელიც ფერად-ფერადი სიტყვებით სიყვარულს ეფიცება და შიგადაშიგ მაღალ მატერიებზე ლაპარაკობს, ცოტა ხნის წინ გაბოროტებული სახით აგროვებდა ფულს, გამდიდრება ეწადა, მანქანის ყიდვას აპირებდა, რაკი მერე უმანქანო ხალხისთვის ზემოდან დაიწყო ცქერა. მაკამ უნდა იცოდეს,

რომ ამ კაცს ერთხელ დედოფალ ნეფერტიტის სურათიდან მტვერის გადმოწმენდა დაავიწყება, მეორედ კი, თავის ჭკუაზე რომ იყო და საღად აზროვნებდა, დიდხანს იფიქრა იმაზე, იქნებ მართლა გამეყიდა ეს სურათი, თუ, რასაკვირველია, შეესაფერის ფასს შემომაძლევენო. ამაზე დიდხანს იფიქრა, იმაზე კი წამითაც არ დაფიქრებულა, რომ „შეესაფერისი ფასი“ სრულიად შეუფერებელი და უადგილო გამოთქმა იყო. მაკამ უნდა გაიგოს ყოველივე ეს და ამის შემდეგ თქვას თავისი სიტყვა. მერე რა, რომ იმ ფულს ახლა ისეთივე გააფთრებით ვფანტავ, როგორი გააფთრებითაც ადრე ვაგროვებდი. რომელმა სულელმა თქვა, მონანიება კაცს დანაშაულისაგან თავისუფლებსო! დანაშაულის ერთადერთი პასუხი **არის** სასჯელი და მხოლოდ სასჯელი. ამინ!... დანაშაული? ხომ არ ვაზვიადებ! ბოლოსდაბოლოს ასეთიც რა მოხდა?.. მოხდა! არაფერსაც არ ვაზვიადებ! სურათი რომ მართლა გამეყიდა, **ეს უკვე** ბევრს აღარაფერს შეცვლიდა, მთავარი ცოდვა მაშინ ჩავიდინე, როცა ამის **შესაძლებლობა** დავუშვი... აზროვნება **არ** არის **უპირატესობა.** კარგად **ახსოვს** ლოგიკური ჯაჭვით მე შემიძლია რაღაც სიღრმემდე მივაღწიო, მაგრამ ამ სიპრძნესა და, როგორც ზოგჯერ უნებური **კომიზმით** **უწოდებენ,** „ინტელექტუალურ შემართებას“ ერთი მოსმით ამბათლუბის მაკას ინტუიცია და ქვეცნობიერი სინათლე. ალბათ, ამიტომაც დადის ასე რბილად და იმედიანად... დადის? სრული **სიმართლეა!** როცა შიშითა და სიფრთხილით დაადიგენ, სწორედ მაშინ წამოეედება რამეს. ამით ყველაფერი ითქვა! ბავშვები ყინულზე? ში'ი როდისია ჩნდება? დიდები ფრთხილად დადიან, რადგან ხელში ლოგიკის ჯაჭვი უჭირავთ. ჯაჭვის პირველი **რგოლი** ფეხის დასხლტომა და წაქცევაა, ბოლო **რგოლი** — აქედან ლოგიკურად გამომდინარე კიბო. შიში. დაცემის შიში! საკუთარი თავის არნდობა. არნდობა ეშვი, ეშვი უკვე დაცემაა. გარდაუვალი დაცემა. ახლა ვეტყვი მაკას ყველაფერს. სხვასახუპით და მოკლედ კი არა, არიქა, მალე მოვათავო-მეთქი. არც ნაძალადევი ღიმილით და ვითომ ხუმრობით. არა. სერიოზულად. ისე, როგორც იყო., ნელა მოვუყვები ყველაფერს, დალაგებულად, თავიდან ბოლომდე. ვეცდები, მაშინდელი განცდებიც გავიხსენო. ახლავე დავიწყებ. ოღონდ როგორ დავიწყო? იცი-მეთქი, მაკა, ვეტყვი, ამ ცოტა ხნის წინ დიდი ამბით ვაგროვებდი ფულს, მანქანა უნდა მეყიდა... არა. ასე არ ვარგა. სერიოზულობა აკლია. მაკა, ვეტყვი, ერთი ცოდვა მაქვს ჩადენილი და უნდა გაგიმხილო... არც ასე. ცოდვა რა... კი, ცოდვაა, როგორ არა, მაგრამ ხმამაღლა რომ იტყვი, ცოტა გაზვიადებული ჩანს... აბა, როგორ დავიწყო?.. მაკა, ხმა ცოტა ყრუ მექნება, მაგრამ ამას ვერსად გავექცევი. მაკა, ერთი რაღაც უნდა გითხრა და კარგად დამიგდე ყური. ასეთი დასაწყისი ცოტა შეაშინებს... მერე რა. შეაშინოს. უკეთესიცაა, მზად იქნება. ჰო. კარგად დამიგდე ყური. მე მგონია, ჩვენს ურთიერთობაში ისეთი დრო დადგა, როცა ერთმანეთისაგან არაფერი არ უნდა გვქონდეს დამალული. რასაც ახლა გეტყვი, ამის თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც უნდა გითხრა. მერე შენ განსაჯე... და მოვუყვები. წვრილად. დალაგებით. მაკა ყურადღებით მომისმენს. არც ერთხელ არ შემაწყვეტინებს. როცა დავამთავრებ, სიჩუმე ჩამოვარდება. მაკას სერიოზული და დაფიქრებული სახე ექნება. ბოლოს წუნარად იტყვის: კარგია, რომ მითხარი. და მის მშვიდ, რბილ ხმაში ოდნავი დისონანსი გამოკრთება. მერე?.. მერე, რა ვიცი... ესე იგი, როგორ ვიწყებ? მაკა, ერთი რაღაც უნდა გითხრა და კარგად დამიგდე ყური. ძნელი კია, გაზეპირებული ფრაზით დაწყება. წუღან, დაზეპირებულად და მყარად გავლა რომ დავაპირე, ნაბიჯი უარესად ამეჩინა. არა. მაინც უნდა დავიწყო... რას იტყვის მაკა?

უნდა დავიწყო. უნდა ვთქვა. როგორმე...“

— რა დაგემართა? — მაკამ მძლავრად შეანჯღრია ჩემი ხელი და ფიქრებიდან გამოვერკვევ.

— რა იყო?

მაკამ სინანულით გადაიქნია თავი.

— ისე, საინტერესო კი იყო, რომ მეცალა, სანამ ივლიდი ასე ყრუ-მუნჯივით?

მე დაბნეულად გავიღიმე.

— ფიქრებში გავართე და...

მაკამ ლამაზი შუბლი შეიკმუხნა (ამ დროს ცოტა სასაცილო სახე ჰქონდა) და თავდაჯერებული მორალისტის კილოთი წამიკითხა:

— ფიქრებში გართული კავალერი კარგი კავალერი არ არის. გადაიყარეგ ფიქრები, კარგად გამოფხიზლდი და შეხედე, სად მოვსულვართ!

სასაფლაოს მაღალი ჭიშკრის წინ ვიდექით.

მე გაკვირვებით მიმოვიხედე. მაგრამ ეს უფრო მექანიკური რეაქცია იყო, რადგან არავითარი საფუძველი არ მქონდა, გარემოს რეალურობაში ეჭვი შემეტანა.

— მართლა სად მოვსულვართ! — წამოვიძახე და ამ სიტყვებს ჩემდაუნებურად რაღაც უცხო სიცილი ახლვა, როგორც ფეხსაცმელს ახლვება ხოლმე სველი ბალახი. სიცილი გაჩნდა და გაქრა, ისე რომ ამ ორ მოვლენას შორის არც დრო ყოფილა და არც მანძილი. ხოლო მე უკვე ხუმრობის კილოთი განვაგრძე. — პირდაპირ საიქიოს კარიბჭეს მივდგომივართ!

— კარგი, რა! — შემაჩერა მაკამ. — არა თქვა!

— რა არა ვთქვა, მაკა? მე მინდა, უბრალოდ, ხოტბა შევასხა ქეეცნობიერ ძალას, რომელიც შეუცდომლად მართავს ადამიანს და ერთადერთი სწორი გზით მიპყავს. ჩვენთვის ჯერ ადრეა, ახალგაზრდები ვართ, ისე კი, კაცი რომ თავისი ფეხით მოდიოდეს აქ, დიდად დაავალებდა ჭირისუფლებს. შენ არ გიყვარს სასაფლაო?

— გაჩუმდი რა! სულ ტანში მბურძგლავს!

— ცრუმორწმუნე ხარ, მაკა. სასაფლაოზე ხშირ-ხშირად უნდა იარო და სიკვდილის შიშს დაკარგავ.

— მართლა ამბობ?

— აბა რა! შეჩვევაა ყველაფერი. წამო, შევიდეთ.

მაკამ უკან დაიხია.

— მეშინია.

მე გამეცინა.

— რისი გეშინია?

მაკამ შემომხედა. ერთხანს მიყურა, მერე მხრები აიჩეჩა და გაკვირვებით თქვა:

— არ ვიცი...

— ხომ ხედავ, არ იცი, უმიზეზო და უსაფუძვლო შიში ჭინკასავით გვიხის სულში...

— ჭინკა?.. — მაკა შეკრთა.

— ჭინკა კი არა შიში. სინამდვილეში სასაფლაოზე უფრო მშვიდობიანი ადგილი მეორე არ მოიძებნება დედამიწაზე. მიცვალებულები წყნარი ხალხია...

— ნუ ახსენებ...

— ყოველ შემთხვევაში, ცოცხლებთან შედარებაც კი არ შეიძლება. წამო, წამო, წავიდეთ.

— შენზეც მოქმედებს. სხვა დროს ასე არ ლაპარაკობ.

— თუ არ ვლაპარაკობ, ვფიქრობ. სხვა დროს ამ თემაზე არც გვქონია ლაპარაკი.

ხელი ხელში მოვკიდე და ჭიშკრისკენ წავიყვანე. მაკა ნებას დამყვა, მაგრამ ზედ ზღურბლთან მაინც შეჩერდა.

— მერე შეიძლება?

— რა?

— შესვლა.

— ჯერ არ დაკეტავენ.

— მაგას არ გეკითხები... უხერხული ხომ არაა-მეთქი. აი, ჩვენ ცოცხლები ვართ.. თავი მოგვაქვს ჩვენი სიცოცხლით და...

გამეცინა.

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

— ნუ გეშინია, არ შეეხარბებაო. მიცვალებულებმა კარგად იციან სიცოცხლის ფასი. დიდი-დიდი, თავიანთი წარსული მოაგონდეთ, მოგონება კი სასიამოვნოა. მოგონება მით უფრო სასიამოვნოა, რაც უფრო უსიამოვნო იყო წარსული.

— მართალი თქვი წეღან?

— წეღან რა ვთქვი?

— სხვა დროსაც ასე ფიქრობ?

— ხანდახან.

ჩვენ ჭიშკარს გავცდით და მიცვალებულთა სამფლობელოში შევედით.

ბილიკი საფლავის ქვებს შორის მიდიოდა. გულის კოვზთან რაღაც უცნაურად მიღიტინებდა.

— ესეც სასაფლაო, — ვუთხარი მაკას, — გინდა, მე შენი მეგზური ვიქნები. ვითომ შენ უცხოელი ტურისტი ხარ, — მაკა გატრუნული მომყვებოდა და მე განვაგრძე. — მაშ, ასე. ჩემო ძვირფასო ქალბატონო უცხოელო, თქვენ ახლა იმყოფებით ჩვენი ჯაღრა დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სასაფლაოზე. მართალია, ბინდის გამო ხილვადობა გაუარესებულია, მაგრამ, ენდეთ ჩემს სიტყვას, ირგვლივ ენით აუწერელი სილამაზეა. ბინდი ხელს არ უშლის ამ სილამაზეს, მხოლოდ იდუმალებას ანიჭებს. იდუმალება კი ჰარმონიულად ერწყმის თვით სასაფლაოს არსს და რელიგიურობის განცლებულ გრძნობას აღვივებს. აქ, მიწის ამ პატარა მონაკვეთზე, რომელიც გარე სამყაროსგან ღობითა და სიკვდილითაა გამიჯნული, შავი და თეთრი მარმარილოს უკიდურესი კონტრასტი სიმბოლურად უსვამს ხაზს სიცოცხლისა და სიკვდილის შეუერიგებლობას. მარმარილოს ნატიფი ელვარება, ყვავილების ზღვა და ფერადი კენჭებით მოფენილი ბილიკები განუმეორებელ მომხიბლაობას ანიჭებს აქაურობას. ყოველგვარი ანგარებისაგან თავისუფალი პატივისცემა მხოლოდ მიცვალებულთა წილხვედრია. ამიტომაც მოვისწრაფით აქეთკენ უწყვეტ ნაკადად. ამიტომაცაა ეს ერთი გოჯა მიწა გაცილებით უფრო მჭიდროდ დასახლებული, ვიდრე მსოფლიოს ყველაზე დიდი ინდუსტრიული ცენტრები. ვის არ ნახავთ აქ! აქ არის ისიც, ვინც ჯერ კიდევ დედის მუცელში მოკვდა, და ისიც, ვინც შვილიშვილების სიკვდილს მოესწრო. ისინი აქ წვანან მშვიდად და უდრტვინველად ულამაზეს ყვავილთა სურნელში ჩაფლულნი, უშფოთველნი და ყოველგვარი ზრახვისაგან დაცლილნი. ეს სასაფლაო კარგად ასახავს ქართველი კაცის ეროვნული ხასიათის ერთ თავისებურებას: წამხედურობასა და მეჯობნიობას. დღის სულზე მობრძანდით, ქალბატონო უცხოელო, და ნახეთ რა სიმდიდრეა აქ. ჭირისუფალი ჰყიდის უკანასკნელ პერანგს და იწვევს უკეთესთა შორის უკეთეს მოქანდაკეს, რათა მისი მიცვალებულის ქანდაკება მეზობელი მიცვალებულის ქანდაკებაზე უკეთესი იყოს. ჭირისუფალი ჰყიდის უკანასკნელ პერანგს და ყიდულობს მაღალხარისხოვან მარმარილოს, რათა მისი მიცვალებულის სახლი მეზობელი მიცვალებულის სახლზე უკეთესი იყოს. ჭირისუფალი ჰყიდის უკანასკნელ პერანგს და ყიდულობს უკეთესთა შორის უკეთეს პოეტს, რათა მისი მიცვალებულის ეპიტაფია მეზობელი მიცვალებულის ეპიტაფიაზე უფრო პათეტიკური და გულისამაჩუყებელი იყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ არც მეზობელი მიცვალებულის ჭირისუფალი რჩება ვალში და ისიც ჰყიდის უკანასკნელ პერანგს... და შენდება სასაფლაო, ულამაზესი და უმტკიცესი ნაგებობა დედამიწაზე. ეს სასაფლაო ყველა გამოცდას გაუძლებს და მრავალი წლის მერე, შორეული პლანეტიდან ჩამოსული გონიერი არსებანი უამრავ ჰიპოთეზას შექმნიან იმის თაობაზე, თუ რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს უცნაური ციხე-ქალაქი.

მე მძიმედ ვსუნთქავდი.

მაკამ მშვიდად თქვა:

— ბუნდოვანი ლაიტმოტივი. ოღონდ ბუნდოვანი არა, როგორც გაუგებარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ როგორც შემადგენელი ნაწილი...

— რისი? — გამიკვირდა, რადგან ვერაფერი ვერაფერთან ვერ დავაკავშირე.

— შენი მუსიკალური დახასიათების. შენ სასაფლაოზე არ უნდა იარო. წავიდეთ აქედან.

— სასაფლაოზე დედამიწის მიზიდულობის ძალა ერთიორად იზრდება.

— ალბათ, ბოროტებაც. — თითქოს თავისთვის ჩაიბუზღუნა მაკამ.

მე შეკვრთი.

— ჩემს მუსიკალურ დახასიათებაში?

— დიახ! — გაგულისებით მითხრა, მაგრამ თვალი კი ამარიდა.

— ნუთუ ბოროტებაც?.. — ვიგრძენი, როგორ დაკარგა ჩემმა ხმამ დამაჯერებლობაცა და სიმსუბუქეც.

მაკამ უეცრად ხელი მაჯაში წამავლო და სახეზე შევატყე, რომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიჭერდა.

— მეშინია! გაიგე, მეშინია! — და ჩემი ხელი შეანჯღრია.

მე მაკას სახეს ვუყურებდი და აღტაცებული ვფიქრობდი, რამხელა ბედნიერება იქნება, კაცს რომ შეგეძლოს ყოველთვის ბუნებრივი იყო-მეთქი.

— ტყუილია, მაკა. შენ არ გეშინია.

— მეშინია! — ჯიუტად გაიმეორა მაკამ და ფეხიც კი დამიბაკუნა.

— გეჩვენება. მე რომ მეშინია, ეს გასაგებია. და ბუნებრივიც, მაგრამ...

— შენ გეშინია?! — მაკამ ორივე ხელი წამავლო მკლავში და სწრაფად მიიხედ-მოიხედა.

— არა, — გამეცინა მე. — სასაფლაოსი და მიცვალებულების არ მეშინია. მუსიკალური დახასიათების მეშინია.

— ოო!

— შენ კი, ასეთ ბუნებრივსა და ასეთ კარგს, რისი უნდა გეშინოდეს! სასაფლაოს შიში მოჩვენებათი შიშია. ეჩვევი და აღარ შეგეშინდება. აი, მაგალითად, ახლა რომ გამბედაობა მოიკრიბო და საფლავის ქვაზე ჩამოჯდე...

— აა! — იყიალა მაკამ. — გაჩუმდი! — და რაკი საფლავის ქვასთან მართლა ძალიან ახლო იდგა, სწრაფად დაიხია უკან, მაგრამ ბილიკი ვიწრო იყო და ახლა მეორე საფლავის ქვასთან აღმოჩნდა. იმასაც მოშორდა, ბილიკის შუაში შეჩერდა და მხრით მკლავზე მომეყრდნო.

მე ვიცინოდი.

— ნუტა გამაგებინა, რა გიხარია?!

— მაკა, — ვუთხარი და მხარზე ხელი მოვხვევე. მაკა კიდევ უფრო მომეკრო. — რაც წელან ვთქვი, ყველაფერი ჭორი იყო. აუმღერეველი ყოფაც, სასაფლაოს სილამაზეც, ყველაფერი... აუმღერეველი ყოფა დაჭაობებული წყალია, დახავსებული კიბე, დაობებული პური, უძრაკი მოლეკულები, მინუს 273 გრადუსი. უმაღლესი სილამაზე კი სიცოცხლეა: ხმაური, დუღილი, ქაოსი... ხოლო სიცოცხლე განუყოფლად ბატონობს ქვეყნიერებაზე, რადგან მაკა ასე ყურისწამღებად ჭყიავს და გაფარფოფებული თვალებით შემომცქერის. ნახე, ნიავმა რომ დაუბერა, ყვავილები როგორ ამოძრავდნენ. — მე დავიხარე და მოქანავე ვარდს ხელი გადავუსვი. — ყვავილები სასაფლაოზე — ეს არის სიცოცხლის სიჯიუტე. სიცოცხლე სასაფლაოსაც თავისად ისაკუთრებს, სიკვდილს არაფერს უთმობს. შენ ნუ გეშინია, მაკა.

— აი, დისონანსიც. საკვირველია, როგორ იცვლი ასე უცებ გუნებას?

— თავისით მეცვლება. ახლა რას იტყვი? მაინც ტყვიდეთ?

— წავიდეთ, აბა რა!

— კარგი, წავიდეთ. ოღონდ იცი, რა? აქვე ახლო ჩემი ყოფილი დიასახლისია დასაფლავებული...

— ნინელი?

— ნინელი. იმის საფლავზე მივიდეთ ერთი წუთით და მაშინვე გავბრუნდეთ, კარგი?

— წამო.

მაკას ხელი ხელში ჩავეიდე და გზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავუდექით. რომელიღაც გრანდიოზულ საფლავს შემოვუარეთ. მარცხნივ გავუხვიეთ. ფერდობს ჩავეცეთ. ნინელის საფლავი ფერდობის ძირში იყო. ქვემოთ ჩავიხედე და უცებ მოწყვეტით შევჩერდი.

— რა იყო? — მკითხა მაკამ.

— ნინელის სტუმრები ჰყავს... ნუთუ ეს ვარდენია?..

— ვინ?

— ქმარი. მაგრამ მეორე ვინღაა?

მე ძალიან დამაინტერესა ნინელის სტუმრებმა და ნაბიჯს მოვუჩქარე. მაკა თითქმის სირბილით მომყვებოდა. საკმაოდ რომ მივუახლოვდეთ, დავრწმუნდი, რომ ერთი მათგანი მართლა ვარდენ მექვაბიშვილი იყო.

— ქმარია? — მკითხა მაკამ.

— ქმარია. მაგრამ ის ვინღა ახლავს?

ვარდენი და უცნობი ქალი ჩვენკენ ზურგშექცევით იდგნენ. თავი ოდნავ ჩაექინდრათ, როგორც ჭირისუფლებს შეჰფერით, და ნინელის საფლავს დასცქეროდნენ. მერე, სულ ახლო რომ მივედით, ყვავილებიც გავარჩიე. წითელი ვარდები იყო. უწესრიგოთ ეყარა საფლავის ბორცვზე.

მე და მაკა შევჩერდით. მე ვარდენის ზურგსუკან ვიდექი, მაკა — იმ ქალის ზურგსუკან. ერთხანს ვიდექი, იქნებ თავისით მოიხედონ-მეთქი; რაკი არ მოიხედეს, ხმადაბლა შევეხმიანე:

— ვარდენ!

პირველად რატომღაც ქალი შემობრუნდა. "შიშნარევი გაკვირვებით შემოგვხედა და თვალები დახარა. სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო, ტანსრული, პირმრგვალი, ლოყებდატკრუტული. ისეთი იერი ჰქონდა, ნახევარი ან დიდი-დიდი ერთი წლის ჩამოსული უნდა ყოფილიყო მთის რომელიმე მიყრუებული სოფლიდან. დარწმუნებული ვარ, წვივებიც ლოყებივით ექნებოდა დატკრუცული ბუხრის წინ ჯდომისაგან.

ყველაფერი ეს თვალისდახამხამებაში შევნიშნე. რადგან ვარდენიც იმავე წამს მოტრიალდა.

— ოჰ! — სიხარულით აღმოხდა ვარდენს დანახვაზე და მომეჩვენა, თითქოს ამ სიხარულში ბეწვივით შეეყვა რაღაც სირცხვილიანი კილო.

— გამარჯობა, ვარდენ! — ხელი გავუწოდე მე. — როგორა ხარ?

— რა ვქნა... — ჩამომართვა ვარდენმა გაწვდილი ხელი. — ვარ ასე, გვარიანად... — აქ მცირე პაუზა გააკეთა. — მოვედით აგერ და..., — თავის მოძრაობით ყვავილებზე მანიშნა, — მოვუტანეთ...

— კარგია, — მექანიკურად მოვუწონე საქციელი და უცებ უხერხულობა ვიგრძენი იმის გამო, რომ მე თვითონ ხელცარიელი მივედი. — ჰო. მე და მაკა შემთხვევით მოვხვედით აქ და ვიფიქრე, ბარემ ნინელის საფლავზეც შევიველი-მეთქი.

— ეეჰ!.. — ამოიოხრა ვარდენმა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მე უცნობ ქალს გავხედე. ვერაფრით ვერ გამერკვია, რა როლს ასრულებდა აქ.

ვარდენმა, ეტყობა, ჩემი მზერა შენიშნა. უცებ აწრიალდა, უცნაური და უხერხული მოძრაობები გააკეთა, ხელები შარვალზე გაისვა, თითქოს ოფლს იწმენდსო. ბოლოს ნაძალადევი სიმხნევით მითხრა:

— გაიცანი. ეს ჩემი ოჯახობაა.

მოულოდნელ და გაუგებარ სიტუაციებს მთლად უჩვევი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რამდენიმე წამი მაინც დამჭირდა, სანამ გაოგნება გამივლიდა და თავს მოვერეოდი. მერე კი ხელი გავუწოდე ქალს და ვუთხარი:

— ღმერთმა გაბედნიეროთ.

ქალმა თვალები ასწია, ერთი მორცხვად და მწუხარედ შემომხედა და მაშინვე ისევ დახარა. აღაღაქებული ლოყები კიდევ უფრო აუღაღაქდა. ფეხსაცმელის ჭვინტით მიწას დაუწყო ჩიჩქნა. ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია. ეტყობოდა, რამდენადაც კი ჭკუა გაუწვდებოდა. შეგნებული ჰქონდა თავისი მდგომარეობის ორჭოფულობა აქ, მისი ქმრის ცოლის საფლავზე.

შემეშინდა, ბღავილი არ მორთოს-

მეთქი, და გამოსავლის ძებნაში მაკა მოვიშველიე:

— გაიკანი, მაკა. ეს ვარდენ მექვაბიშვილია, ჩემი ძველი ბინის პატრონი. ეს კიდევ მისი ოჯახობა, — ეტყობა, ვითარებას ჯერ კიდევ ვერ შეეურიგდი, ამიტომ ჩემდაუნებურად „ოჯახობა“ ხაზგასმითა და ირონიით ნათქვამი გამომივიდა.

მაგრამ რაკი საქმეში მაკა ჩავრიე, შიში აღარაფრისა მქონდა. მაკამ ჭირისუფლებს ხელი ჩამოართვა და მისმა ღიმილმა ერთბაშად გაანათა ყველაფერი. ვარდენ მექვაბიშვილის ახალმა ცოლმა შვება იგრძნო, ქვედა ტუჩი კბილების ტყვეობიდან გაათავისუფლა და მიამიტური, გულისამაჩუყებელი და საოცრად ადამიანური რამ ჩაიდინა: მაკასკენ მიიწია, სულ ახლოს მივიდა და გვერდით ამოუდგა.

ვარდენ მექვაბიშვილმა თავით მაკაზე მანიშნა:

— შენი ოჯახობაა?

მე ღიმილი შევიკავე და მივუგე:

— არა. ეს ის ქალია, გახსოვს, კედელზე რომ სურათი მეკიდა?

— მართლა? — ვარდენს გაუკვირდა. ჯერ მე შემომხედა დაეჭვებით, მერე — მაკას. ბოლოს ყოყმანით თქვა: — კი გავს, ხომ იცი! — ეს რომ თქვა, ისევ მაკას შეხედა, თითქოს კიდევ ერთხელ უნდა თავისი სიტყვების შემოწმებაო, და მითხრა: — წავალთ აწი ჩვენ.

გამოგვეთხოვენ და წავიდნენ.

მე თვალი გავაყოლე და რატომღაც ახლოდა მივხედი, რომ ქალი ფეხმძიმედ იყო. რა ვიცი, იქნებ ადრევე შევამჩნიე და, უბრალოდ, აზრი ვერ მივატანე.

უცებ ვარდენი მოტრიალდა. მოტრიალდა და შეჩერდა. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩვენკენ. ისევ შეჩერდა. ბოლოს მაინც გაბედა და წამოვიდა. უცნაური გამოხედვა ჰქონდა, გულის მესაიდუმლემ რომ რაღაც ცუდი ამბავი უნდა გაუწყოს, ისეთი. მკლავში მომკიდა ხელი და ჩურჩულით მკითხა:

— ის სურათი ხომ არ გაგიყიდია?

წამით ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ამ კაცის ვალი მემართა. იმ მძაფრმა დღეებმა ელვის სისწრაფით გაიარა გონებაში და, როცა პასუხი გავეცი, ისეთი დაჯერებული კილო არ ტქმნდა, როგორითაც ჩვეულებრივ ველაპარაკებოდი.

— რას ჰქვია, გამიყიდია!

— ნუ გაყიდი!

ვარდენი წავიდა. ცოცხალი ცოლი მოშორებით ელოდებოდა.

სანამ თვალს მიეფარებოდნენ, ვუყურებდი. წინ ვარდენი მიდიოდა, ცოლი საპატიო დისტანციის დაცვით მიჰყვებოდა უკან.

ნინელის საფლავთან მე და მაკა დავრჩით.

დუმილი გაგვიგრძელდა.

ბოლოს ეს დუმილი მე დავარღვიე:

— საოცარია არა?

— არც ისე.

— რაა?

— არც ისე-მეთქი.

გაკვირვებით შეკვეხედე მაკას.

— რატომ?

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა მაკამ. — გააჩნია როგორ შეხედავ.

— როგორც არ უნდა შეხედო. სად გაგონილა, ორი სხვადასხვა პოლუსი ერთმანეთის გვერდით მოთავსდეს! — მე იქვე ძველი საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი და იმ მხარეს გავხედე, საითაც ვარდენი და მისი „ოჯახობა“ წავიდნენ. — ვის უნახავს ვაზი ერთდროულად დასეტყვილიც იყოს და დახუნძლულიც? სახლი დანგრეული და აშენებული. ვენახი აოხრებული და აყვავებული. ცოლი მოიყვანო ცოლის საფლავზე. საკუთარი ქმრის ცოლს ყვავილები მოუტანო. საკვირველი ცინიზმი და ასევე საკვირველი მიამიტობა. თითქოს ბორობებასა და სიკეთეს ერთ წერტილში მოეყაროთ თავი...

— იქნებ სწორედ ეს არის ჰარმონია?

ერთბაშად ვერც კი მივხვდი, რა უფრო გამიკვირდა: ეს სიტყვები თუ მაკას ხმის საეჭვო სიახლოვე. შეეკრთი და მოვიხედე. ვხედავ, მაკა არხეინად ზის ჩემს გვერდით საფლავის ქვაზე.

წამოვდექი და დოინჯი შემოვიყარე.

— აბა ის რა იყო, წეღან რომ კივილი მორთე?

— ის წეღან იყო... შენ თვითონ არ მითხარი, ხელად შეეჩვევიო!

მაკა, მაკა! რა საოცარი ხილვა იყავი ჩემს ცხოვრებაში!

მე ისევ ჩამოვჯექი საფლავის ქვაზე.

ვისხედით და ვდუმდით.

ამჯერად დუმილი მაკამ დაარღვია:

— რაზე მობრუნდა?

— ვინ? ვარდენი? ერთი კონფიდენციალური შეკითხვა ჰქონდა.

— შენი „ოჯახობა“ ვარ თუ არა, ის აინტერესებდა?

— არა, ეგ საკითხი ადრევე გაარკვია. ამჯერად უფრო ღრმა და შორეული პრობლემა მოიკითხა.

— ღრმა და შორეული?

— დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტი ხომ არ გაგიყიდიაო.

მაკა მკვეთრი მოძრაობით შემოტრიალდა და წამით დეიდა მარიამი გამახსენდა, მაგრამ დეიდა მარიამის ხილვა მყისვე გაქრა, რადგან მაკამ მოულოდნელობის გამო ვერ მოზომა და მუხლი მუხლზე გამკრა.

— ვითომ რატომ უნდა გაგეყიდაო?

— შემეფაჭრა ერთხელ. ნამეტან ძვირს თუ არ დაიფასებ, ვიყიდიო.

— რად უნდოდა?

— რა ვიცი. კაცს რას გაუგებ! რადიომიმღები რომ რადიომიმღებია, იმასაც კი იმდენი დეტალი აქვს, თავგზა აგებნევა. ადამიანს ნერვებს ჯერ ისე რა დაათვლის და ახლა წარმოიდგინე, რამდენი კომბინაცია შეიძლება შეიქმნეს ამ ნერვების ურთიერთობით. და ყოველი კომბინაცია განსხვავებული ეპითეტია. ყველაზე მარტივი კაციც კი უსასრულოდ რთული მოვლენაა. ხანდახან გგონია, ადამიანს შენი ხუთი თითივით იცნობ და უცებ ისეთ ინს დაგიტრიალებს, თმა ყალეზე დაგიდგება...

— ასეთი რა საბაბი მიეცი, რომ ვაჭრობა დაგიწყო?

— მონოლოგი წარმოვთქვი. ვინ არისო, მკითხა, კედელზე რომ დაინახა, და მე მონოლოგი წარმოვთქვი; გრძელი, პათეტიკური და აუხსნელი. მემართება ზოგჯერ ასეთი რამ.

— ვიცი. ერთი წეღან დაგემართა, აქ რომ შემოვედით, — მაკამ თავისებურად, ცერად გამომხედა. — ერთიც ამას წინათ, ჩვენს გზაჯვარედინზე... მაგ დროს შენც აუხსნელი და უცნაური ხარ.

— მე საერთოდ არა ვარ. როცა მონოლოგს ეამბობ, ჩემი ორეული ლაპარაკობს, რომელიც იდუმალი სადგომიდან გამოდის მცირე ხნით. და მე მისი ლაპარაკი არ მესმის. მე გამოთიშული ვარ.

— ის შენი ორეული ვინღაა?

— მე.

— შენ გამოთიშული ხარ.

— იქნებ სული და სხეული მართლა დამოუკიდებლად არსებობენ ერთ გარსში, — მე მაკას ღიმილით გავუსწორე თვალი. — შენ საოცარი მოვლენა ხარ, მაკა.

მაკამ ხელი ხელში მომკიდა.

— გაჩუმდი. — მითხრა და ხელი ისევ გამიშვა. — ცოდვაა ნინელი.

შეეკრთი და გავჩუმდი. ხოლო მაკამ თქვა:

— შეამჩნიე? ის ქალი ფეხმძიმედ იყო. — მაკას ხმაში რაღაცნაირი სევდა და იდუმალება გაისმა.

— შევამჩნიე.

— ზოგჯერ სიკეთეც სიავეა. ცოდვაა ნინელი.

ისევ გავჩუმდი. მერე ისევ მაკამ თქვა:

— როგორი ქალი იყო?

— ჯანიანი. მხნე. შესახედავად, ამას ჯვარი სწერია და, რაღაცით ძალიან გვანან ერთმანეთს. მე მგონია, სოფლური იერით. საოცრად ცნობისმოყვარე და ხმაურიანი იყო. წყნარად რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკობდა, მთელ უბანს ესმოდა. თავსაც ხმაურით იმართლებდა: ფუჩუნი ქურდების საქმეა, დასამალავს და საჩუმათოს არც არაფერს ვაკეთებ და არც არაფერს ვამბობო. საავადმყოფოში რომ იწვა, ერთხელ სანახავად მოვედი. ვარდენი სასთუმალთან უჯდა, ჩუმი და გაბუსუნებული. ნუგეშისცემა არ ეხერხებოდა საბარალოს, გართობა და შექცევა არ ეხერხებოდა. იჯდა ყურებჩამოყრილი და საცოდავად აცეცებდა თვალებს. მაშინ იყო, რომ უთხრა: „აწი რა გეშველება, ვარდენა. შე საწყალო, ვის გაკეთებულ ლობიოში ამოუსმენ ხუთიოვ თოთს?“ მეტი აღარც უთქვამს რამე. ნახევარ საათში სულიც დალია. არადა, ასეთი ქალის სიკვდილი ცოტა წარმოუდგენელი ჩანდა.

მაკა წამოდგა.

— წავიდეთ.

— წავიდეთ.

მაკას ხელი ხელში მოვკიდე და წავედით. აქეთ ბილიკი აღარ იყო და რთული მანევრებით მივიწევდით წინ საფლავებს შორის.

— რა იყო მისი სიცოცხლე? — დაფიქრებით იკითხა მაკამ.

— სიცოცხლე იყო.

— სიცოცხლე კი იყო, მაგრამ აზრი? ან რატომ გაჩნდა, ან რატომ გაქრა?

— როგორღაც არ შემიმჩნევია, რომ ადრეც ყოფილიყავი ასეთი პრობლემებით გატაცებული.

— შენ ხომ დიდი ხანი არაა, რაც მიცნობ. რატომ უნდა კვდებოდნენ ასე ახალგაზრდები? და ასე უაზროდ?

— ზოგ რამეს ჩვენ ვტოვებთ აუხსნელს, ზოგი რამ თავისით რჩება აუხსნელი... ალბათ იმიტომ, რომ ღმერთის ყოვლისშემძლეობა ეჭირია.

— ერთხელ და სამუდამოდ შეიგნე: როცა ჩემთან ლაპარაკობ, ილაპარაკე მარტივად და გასაგებად.

—მარტივად ვლაპარაკობ. ღმერთის პრობლემა საეკლესიანო პრობლემაა, მაგრამ თუ მაინცდამაინც საბუთებზე მიდგება საქმე, მისი არსებობის მთავარი დამადასტურებელი ნიშანი ისაა, რომ იგი ყოველისშემძლე არაა. სხვანაირადაც მე ვერ ამიხსნია, რატომ უნდა კვდებოდეს ცნობისმოყვარე ადამიანი თავისი ცნობისმოყვარეობის გაფურჩქვნის ჟამს.

— ცინიზმიც... ვინ მოთვლის, რამდენ კომბინაციას შექმნის შენი ისედაც უამრავი ნერვი! ყველას რა ამოხსნის! — არსი უნდა ამოიხსნას. დეტალები არაა გადამწყვეტი.

ეცვა თავში გამიელვა აზრმა, რომ არსი საგულდაგულოდაა გადამალული. იმავ წამს ეს აზრი გაქრა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ეს გაქრობა ძალიან ჰგავდა გაგდებას...

მაკას, ჩვენებისამებრ, გზაჯვარედინთან გამოვეთხოვე, თვალით გავაცილე ჭიშკარამდე, მერე მოვბრუნდი და ჩემს გზას გავუყევი.

აქედან ჩემს სახლამდე სულ ორასი მეტრი იყო. და ამ ორასი მეტრის მანძილზე ორასჯერ შევიცვალე აზრი. აზრი კი ისევ იმ საგანს დასტრიალებდა, მტკივნეულსა და აქამდე მოუგვარებელ ალსარებას. გადაწყვეტილება თითქოს მტკიცე და ურყევი იყო. ყოველ შემთხვევაში, დილით ასე ჩანდა, მაგრამ მერე სიმტკიცე მოდუნდა, ურყევობა დაიფშვნა და მაკას ვერ ვუთხარი მთავარი სათქმელი. ახლა მივაბიჯებდი მთვარისა და ელნათურების შუქით მკრთალად განთებულ ქუჩაში. გვერდით ერთგული ძაღლივით მომდევდა საკუთარი ჩრდილი, ხოლო ტბიწში უთავბოლოდ დათარეშობდნენ ფიქრები. ასეთ დროს მტყუანისა და მართალის გარჩევა ძნელია. ერთ წუთს რომ წუხნდიალ „ხვალ გვიან იქნება“ მახსენდებოდა და ჩემს გულს ეასკდებოდი, რატომ ყველაფერი არ გავუმხილე-მეთქი, მერე წუთს თავს ვიმშვიდებდი: იქნებ სწორად მოვიქეცი? იქნებ ჯობდეს. არაფერი ვუთხრა? მერე რაღაც საშუალო გზას ვეძებდი. თქმით კი უნდა ვუთხრა-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ დღეს შესაფერისი მომენტი არ

ჯუმალ ქარჩხაძე
მ დ ბ ა მ უ რ ი

შემესწრო და რა მექნა? მთავარია, ვუთხრა და, დღეს იმხება თუ ხვალ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

სადარბაზოში რომ შევედი, თავში ისევ ისეთი დომხალი მქონდა. ხან ერთი აზრი მეგონა სწორი, ხან მეორე, ხან მესამე.

კიბე ავიარე, კარს მივადექი, ჯიბეში ხელი ჩავიყავი გასაღებისთვის...

მოულოდნელად გულში რაღაც უცნო გრძნობამ გამკრა და მყისვე გაქრა. სულ ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად გამომედო და ისევ გაქრა. კაცს რომ საკუთარი ხელით გაშენებული ბოსტანი გაქვს, სადაც ათასჯერ შესულხარ, სადაც ყველფერი ძირისძირობამდე ნაცნობია, მაგრამ ათასმეერთეჯერ რომ შეხვედი, მოულოდნელად რაღაც უცნობი სუნი გეცა. განსაკუთრებული და საკვირველი აქ არაფერია, სუნი ალბათ მეზობელი ბოსტნიდან წამოვიდა და შენს ბოსტანზე გადაიარა. იმად არა ღირს, ყურადღება მიაქციო.

მაშინ არც მე მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ ის წამიერი განცდა, ეტყობა, არ გამქრალა და მოგვიანებით ისევ ამოტივტივდა მეხსიერებაში...

კარი გავაღე და ზღურბლზე შევდექი...

პლასტილინი

რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ.

სიურპრიზი ოცდაცხრა-ოცდათი წლისა იქნებოდა. ტანადი იყო, ჩამოსხმული, ხორცსავსე. პირველად მსუქანიც კი მომეჩვენა, მაგრამ მერე და მერე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. რაც მე სიმსუქნე მეგონა, სინამდვილეში სიმკვირეე ყოფილა. წინ წამოვარდნილი ყურიმალები ჰქონდა, ლოყებზე — პატარა ფოსოები. შავი თვალები, ნუშის ფორმის. გრძელი წამწამები და ქუთუთოებზე მომწვანო-მოცისფრო საღებავი. წარბები აზიდული, ცხვირი სწორი, ნესტოები ცოტა დაბერილი. ტუჩები წითელი და სავსე. ნიკაპი მრგვალი, შუაში გაყოფილი და სულ ოდნავ წინ წამოწეული. სასის ნაკეთი მუქი და სუფთა. თმა ჩალისფერ მხრებზე დაფენილი. ტანთ ეცვა მქედროდ შემოკრული ლურჯი შარვალი, მუხლისთავებამდე ვიწრო, ქვეშოთ, კოკებთან, განიერი. ღია ყვითელი ალალი გრძელი სასლოებითა და დიდი, ჭვეტიანი საყელოთი. ალალთზე — შავი, მსხვილად ნაქსოვი ქაკეტი, უმკლავებო, მოგრძო, წინ თავისივე ძაფით შეკრული. გარეგანგარდმო ფართო ყვითელი ხოლები ბადასდევდა.

გაშტერებული ვუყურებდი. წამით ისიც კი ვიფიქრე, ბინა ხომ არ შემეშალა-მეთქი.

არც ის ჩქარობდა. იდგა ქანდაკებასავით, ძალიან გაბრთული, ხელები ჯვარედინად დაეკრიფა მკერდზე და უცერემონიოდ მაკვირდებოდა.

ბოლოს, როდესაც გოკეების პირველმა ტალღამ გადაიარა და აზროვნებას უნარი დამიბრუნდა, დუმილი დავარღვიე.

— თუ თქვენ დედა მარიამი ხართ და ბუნებაში ასეთი მეტამორფოზა შეესაძლებელია...

დამსვდურს გაეღიმა და ლოყებზე უფრო მკაფიოდ დაჩნდა ფოსოები.

— დედა მარიამმა საკმაოდ ზუსტად ამიწერა თქვენი გარეგნობა, — მითხრა ქალმა, ისე რომ არც თვალი მოუშორებია და არც პოზა შეუცვლია, — მაგრამ ხასიათზე რომ მიდგა საქმე, მაშინ კი შეფარხდა და რაღაც გაუგებარი და დაუჯერებელი ეკიბ-მოკიბა. რომანტიკოსიო, რაც მართალია, მართალია, არ უთქამს.

ტვინში, როგორც ანტირომანტიკული ჩვენება, სასიგნალო ნათურასავით ანთო და ჩაქრა შავეპიანი უცნობისა და მანქანისათვის ნავრავები ფულს მოგონება. და სახტად დარჩენილმა გულწრფელი გაკვირვებით კკითხე:

— რომანტიკოსი?...

— ჩაი თუ გაქეთ?

ეს ისეთი უეცარი გადასვლა იყო, რომ კიდევ უფრო დავიბენი და მეკ! ნიკერად გავიმეორე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაი?

— აქამდე რომ არ დავიძინე და თქვენს მოსვლას დველოდე, ამის მიზეზი ჩაი უფროა, ვიდრე ცნობისმოყვარეობა. წყალი რახანია ქურაზე დგას და დუღს. მაგრამ ჩაი ვერ ვიპოვე.

— ჩაი როგორ არა გვაქვს! — რაღაცნაირი სულელური სახარულით წამოვიძახე და დავფაცურდი. — განჯინაშია!

— მოიცათ, — შშვიდად შემაჩერა ქალმა, — სანამ ჩაის ძებნას შევუდგებოდეთ, ბარემ ზოგიერთი აუცილებელი ფორმალობა მოვიითავოთ, — მე ისე ვიდექი, როგორც უმიზეზოდ დამორცხვებული ლენჩი, და, მგონი, პირიც დაღებული მქონდა. ქალი კი ღიმილით მიყურებდა და ეს ღიმილი რაღაც არსებითით განსხვავდებოდა წეღანდელი ღიმილისაგან. — მე ირინე მქვია. თუ როდესმე საჭიროდ მიიჩნიოთ, შეგიძლიათ ირა დამიძახოთ. — ამ სიტყვებით ხელი გამომიწოდა.

ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს ვიდექით და მე ცოტა დაგვიანებით მოვიფიქრე, მივსულიყავი და ხელი ჩამომერთმია.

ამგვარად ჩვენს ურთიერთობაში უკვე იკვეთებოდა როლები. ინიციატივას ნელნელა ეუფლებოდა ეს ქალი.

— დავალებული მაქვს გაცნობოთ შემდეგი: — მითხრა ქალმა, — დეიდა მარიამს სიყრმის მეგობარი გარდაეცვალა და მოულოდნელად მოუხდა ქალაქიდან გამგზავრება...

დეიდა მარიამის სიყრმის მეგობარი!

— მოულოდნელად?.. ისიც მოულოდნელად გარდაიცვალა? სიყრმის მეგობარი.

— დეპეშაში მართლა ასე ეწერა, მოულოდნელად გარდაიცვალაო.

— უდროოდო არ ეწერა?

— არა. უდროოდო არ ეწერა. ეტყობა იუმორის გრძნობა არ ეყოთ. წასვლის წინ დეიდა მარიამმა გამომიძახა და მითხოვა, ერთი-ორი დღით აქ დავრჩე, სანამ ის თავის სიყრმის მეგობარს დაიტირებს. და ეს ორ დღეს, გინდათ თუ არა, ჩემი მდგმური უნდა იყოთ.

— თქვენ, ალბათ, დეიდა მარიამის დისშვილი ან...

— არა. შორეული ნათესავი. მაგრამ ერთადერთი ნათესავი. ერთადერთი მემკვიდრე ამ ცხე-კოშკისა და, საერთოდ, მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონების მომავალი ბატონ-პატრონი. ასე რომ, თუ დროზე მიბაძა თავისი სიყრმის მეგობრის გონივრულ მაგალითს, შესაძლებელია უფრო ხანგრძლივად გახდეთ ჩემი მდგმური. რას იტყვით ასეთ პერსპექტივაზე?

ეტყობა, აქ ქათინაურს მოელოდა, ამიტომ ქათინაური არ ვუთხარი.

— რა მეთქმის. ნათქვამია, ვინც დეიდა მარიამს გაუძლებს, ის ყველაფერს გაუძლებსო.

ქალს გაეცინა და სიცილისაგან თვალები მოეჭუტა.

— ძალიან კარგი. მაშ, შეუუდგეთ ჩაის ძებნას, სანამ თავზე დაგვაიენდებოდეს.

მაინც დამასწრო! სწორედ ახლა ვაპირებდი მეთქვა, ჩაის მოგიძებნიმეთქი და მერე ისე შეკასულიყავი სამზარეულოში, მის პასუხს აღ დავლოდებოდი. მე ამ ნაბიჯს განვიხილავდი, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებას. მაგრამ დამასწრო. ხელით შემიპატიჟა სამზარეულოში და თვითონვე გამიძღვა წინ.

რაღა დამრჩენოდა! უკან გავყევი. მივყვებოდი და ვუყურებდი.

მაღალი თქმოები ჰქონდა და კოხტა, მრგვალი გავა.

სამზარეულოში შესვლისთანავე ჩაის დავუწყე ძებნა. წესიერად არც მე ვიცოდი, სად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მახსოვდა, რომ დეიდა მარიამი განჯინის რომელიღაც მარცხენა უჯრიდან ამოიღებდა ხოლმე.

როგორც იქნა, ვიპოვე.

— მაინც ვინ არის ეს სიყრმის მეგობარი, ან სად მოხდა ეგ ამბავი?

ქალმა ჩაი გამომართვა.

— ამბავი ქუთაისში მოხდა. რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრს დაატყდა თავს ეს საშინელი უბედურება. რაც შეეხება სიყრმის მეგობარს, მისი ვინაობის შესახებ ოფიციალური ვერსიები არაფერს იტყობინებიან. — პატარა ფაიფურის ჩაიდანს მდუღარე გამოავლო და შიგ ჩაი ჩაყარა. — თუმცა კარგად ინფორმირებულ წრეებში ვარაუდობენ, რომ — პატარა ჩემოდანში წყალი ჩასხა და დიდ ჩაიდანზე შემოდგა, — ეს იყო მათუსალას უფროსი და.

მე გამეცინა. მერე კვთხე:

— ჩაი დიდხანს ეძიეთ?

— არა. დიდხანს ძებნა არ შემიძლია. მოთმინება არ მყოფნის. ერთ-ორ ადგილას შევეხედე და მივანებე თავი. მთელი იმედები თქვენზე დავამყარე.

— ვფიქრობ, არ გაგიცრუეთ იმედი.

— ცოტა დაიგვიანეთ.

მე მხრები ავიჩეჩე.

— მიზეზი მქონდა.

— მესმის. ახალგაზრდა კაცს დაგვიანების მიზეზს რა გამოუელეს. — ორორი ცალი ფინჯანი და ლამბაქი გამოიღო, მაგიდაზე დააწყო. მერე უცებ შეჩერდა და შემომხედა. — იქნებ თქვენ არ გინდათ ჩაი?

— რომც არ მინდოდეს, თავაზიანობას სად გავექცევი!

გაიღიმა.

— დედა მარიამს მართლა ვერ გამოუცვნია თქვენი ხასიათი.

შაქარი გამოიღო განჯინიდან და ჩაი დასასხა.

— დედა მარიამს ალბათ იმის შეეშინდა, მდგმურმა არ გამძარცვოსო.

— რახან პოსტი უპატრონოდ არ მიატოვა? შეიძლება მართლა ასეა. მაგრამ თქვენი ბრალია. უნდა მოგვნდინრებინათ დედა მარიამის გული, ნდობა და სიყვარული უნდა მოგვპოვებინათ. მაშინ იქნებ მემკვიდრეობაც კი წაგერომნიათ ჩემთვის. — აქ მცირე პაუზა გაკეთა. დაფიქრებული სახით შემომხედა და თვალები მოკუტა. — თქვენ მართალი ხართ. დედა მარიამს ეშინოდა. თუ გაძარცვის არა, სხვა რა. მის. ეტყობა, ძალიან ეშინოდა. ფერ-ფერ ასეთ სახფთთო ნაბიჯს არ გადადგამდა.

— ასეთი რა ჩაიდინა?

— მეტს რაღას ჩადენდა! ახალგაზრდა ქალისა და ახალგაზრდა ვაჟის მარტო დატოვება ორი დღით, — ჩაი მოწრუპა და ფინჯანი ისევ ლამბაქზე დადგა, — არც ისე უწყინარი თამაშია.

მამაკაცები ცოტა პირუტყვები ვართ. არშიყობა რატომღაც ჩვენი პრივილეგია გვგონია და ქალების ინიციატივა ყველაზე მეტად ამ სფეროში გვაღიზიანებს.

ამიტომ, პასუხს რომ ვეუბნებოდი, თან იმას ვცდილობდი, თავი არ გამეცა და არ მეგრძნობინებია, რომ ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა შელახული იყო.

— დეიდა მარიამმა იცის, რომ მე წყნარი და მორიდებული კაცი ვარ.

— ეგ მართალია. მაგრამ სადღაც წამიკითხავს, იქნებ არსადაც არ წამიკითხავს და მე თვითონ მიესულვარ საკუთარი დაკვირვებით ასეთ დასკვნამდე: რაც უფრო მორიდებულია ადამიანი, მით უფრო... — აქ ცოტა შეყოვნდა შესაფერისი სიტყვის ძებნაში. ეტყობოდა „უტიფარი“ და „თავხედი“ არ უნდოდა ეხმარა. — მით უფრო ანტიმორიდებული ხდება, როცა მორცხვობას დაძლევს.

— მე კარგი აღზრდა მაქვს მიღებული, — ვიცრუე მე. — და არც თავდაჭერა მაკლია.

— აქ ორივე მხარეა გასათვალისწინებელი. თქვენ კი ზედმეტი თავგამოდებით იცავთ თავს და ამით, იმის ნაცვლად, რომ ქათინაური მითხრათ, როგორც კარგად აღზრდილ კაცს შეჰფერის, მეუბნებით... — აქ ისევ შეყოვნდა და მე ღიმილით შევაშველე:

— ანტიქათინაურს.

— ანტიქათინაურს, — გაეღიმა იმასაც.

— ქათინაურებს დავიგროვებ და ბოლოს ერთად მოგართმევთ.

— ლექსებს არ წერთ?

მოულოდნელობისაგან შეეკრთი და

ისე მკვეთრად შეეტრიალდი მისკენ მთელი სხეულით, მაგიდა შეეჯანჯარე და კინაღამ ფინჯნები ავაპირქვავე.

— რამ გაფიქრებინათ?

— ჩაი გაგიცივდებათ.

ამ შემთხვევაში ცხელმა ჩაიმ ცივი წყლის მაგივრობა გასწია. ფინჯანი უხმოდ მივიტანე პირთან და წრუპვა დავიწყე.

ხოლო იმან ჩაის სმა მოათავა, ლამბაქი ცერა თითით გვერდზე მისწია. ოდნავ უკან დაიხია, ფეხი ფეხზე შემოიდო, სკამის საზურგეს გადაწვა და ხელები ჯვარედინად დაიკრიფა მკერდზე.

შერე თქვა:

— ჩანთა მქონდა სადღაც...

რაკი წყალს კარგი აღზრდა დავიკვეხე, უნდა გამემართლებინა კიდევ ნათქვამი. სწრაფად მივიხედ-მოვიხედე, ხელად აღმოვაჩინე ჩანთა (სკამზე დდო სამზარეულოს კართან), წამოვხტი და მიეურბენინე. შემდეგ ჩეზს ადგილას დავბრუნდი და ჩაისთან ჭიდილი განვაგრძე.

— გმადლობთ, — მითხრა მან.

ჩანთა გახსნა და სიგარეტის კოლოფი და ასანთი ამოიღო.

მე ხელად შევაფასე ვითარება და სიგარეტის კოლოფის გვერდით თვალის დახამხამებაში გაჩნდა საფერფლე.

— გმადლობთ, — კიდევ მითხრა მან და დაუმატა, — თქვენ არ ეწევით?

— ვეწეოდი და თავი დავანებე.

— რამდენჯერ?

ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა.

— რამდენჯერ?

— რამდენჯერ დაანებეთ თავი?

— ერთხელ.

— მტკიცე ნებისყოფა გქონიათ, — ასანთი გაკრა და ანთებული ასანთით ხელი შეჩერდა. — მე რომ მოეწიო, ხომ არ იმოქმედებს?

— არა, — გავიღიმე მე. — მე მტკიცე ნებისყოფა მაქვს.

— მაგის დამტკიცება კიდევ მოგიწევთ, — სიგარეტს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და ბოლი ბოლქვებად გამოუშვა. — თუ ატყობთ, რომ კაცობრიობამ ისევ მატრიარქატისკენ იბრუნა პირი. დამა კავალერისგან ითხოვს მოწევის ნებას. საერთოდ, რა აზრისა ხართ იმის თაობაზე, რომ ამ ბოლო ხანებში უფრო და უფრო მეტი ქალი ეწევა? ქართველი კაცები ნამდვილი აზიელები ხართ. ალბათ, თქვენც უმრავლესობის აზრს იზიარებთ და ფიქრობთ, რომ პაპიროსი „ქალის საქმე არ არის“.

— არა. მაგ საკითხში ევროპის დონეზე ვაზროვნებ. ქალს ისეთივე უფლება აქვს მოიშუაქოს ფილტვები და გაიჩინოს ყელის კიბო, როგორც მამაკაცს. — მას გაეცინა, მე განვაგრძე, — მატრიარქატი დადგება თუ არა, არ ვიცი: ამბობენ, ისტორია არ მეორდებაო. მაგრამ ქალი რომ თანდათან ყველა სფეროში აღწევს დამოუკიდებლობას, ეს ფაქტია. დღესდღეობით მამაკაცების პრივილეგია — უცებ გამახსენდა, როგორ შეუცვნი და როგორ გადამკრა წყლან ფერმა, ახალგაზრდა ქალისა და ახალგაზრდა კაცის ორი დღით მარტო დარჩენა რომ ახსენა, — კრივი და ჭიდაობაღაა.

— ცოლის ღალატი?

სრული სიმართლე იყო.

— ცოლის ღალატიც.

— ეგ არის მთავარი პრივილეგია, თორემ ჭიდაობა ადვილია. აი, როცა მაგ მთავარ პრივილეგიასაც მოგუსპობთ ჩვენს ქმრებს, მაშინ დაკრავს ქართველი ქალების სრული ემანსიპაციის ყაში.

მე ჩავიცინე.

— ვერაფერი პერსპექტივაა.

— დროს თავისი მოაქვს. „ოტელო“ კომედიად იქცევა.

სიგარეტი საფერფლეზე ჩააქრო, წამოდგა და ჟურნალის ალაგებას შეუდგა.

მე კიდევ ერთხელ წამოვხტი.

— მე გავრეცხავ.

მან ღიმილით შემომხედა.

— როგორ გეკადრებათ. არც მავდენად ემანსიპირებული ვარ.

და ჟურნალის დარეცხვა დაიწყო.

ჯეკალ ჟარჩიკაძე
მ ჯ ბ ბ ბ ურ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავჯექი და ვუყურებდი.

გარეგნობაც ნატიფი და ელეგანტური ჰქონდა, მიხრა-მოხრაც. შარვალიც საოცრად უხდებოდა.

ჭურჭელი კარგად, გულმოდგინედ დარეცხა, კარგად, გულმოდგინედ გაამშრალა და თაეის ადგილას შეინახა. ჩაი და შაქარიც თავთავიანთ ადგილას შეაწყო. ფერფლი ნაგვის ურნაში ჩაყარა, მუშამბა ჩვრით გადაწმინდა და ხელები დაიბანა.

ჩვენ, მამაკაცებს, მგონი, მართლა გვეშინია მატრიარქატის. ყოველ შემოხვევაში, ამ ქალის ჩაცმულობამ, დახვეწილმა და თავდაჯერებულმა მანერებმა, ზვიადმა არისტოკრატულობამ და ერთგვარმა ქედმაღლობამ (მერე და მერე მიეხვდი, რომ ეს „ქედმაღლობა“ ჩემი ფანტაზია უფრო იყო, ვიდრე მისი თვისება) თავიდან რაღაც უცნაური, შიშისმაგვარი გრძნობა გამიჩინა. ახლა კი, აქაურობა რომ ასე ლამაზად მიალაგა, ეს შიშისმაგვარი გრძნობა თბილმა, სიმპათიისმაგვარმა გრძნობამ შეცვალა. იმას რა სჯობს, ქალი რომ ქალის საქმეს აკეთებს! მაგრამ ქალი რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აკეთებს ქალის საქმეს, ეს უკვე მხოლოდ ძალიან კარგი კი არაა, თითქოს რაღაც რწმენასაც გმატებს.

— აქ უკვე შეიძლება საღამო დამთავრებულად გამოვაცხადოთ, — თქვა მან, — ეს იქნება ჩვენი სალონი, სადაც ერთმანეთს შეეხვდებით, სადაც გაიმართება ყოველგვარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თათბირები, სხდომები და სხვა ოფიციალური ურთიერთობანი. იქით ჩემი აპარტამენტია, — ხელი სამზარეულოს კარისკენ გაიშვირა, — აქეთ თქვენი რეზიდენცია, — მეორე ხელი ჩემი „რეზიდენციისკენ“ გაიშვირა. წამით ასე შეჩერდა, მერე ხელები ჩამოუშვა და მითხრა, — თუმცა მე რომ თქვენს ადგილას ვიყო და თქვენ ჩემს ადგილას, ალბათ გეტყოდით: „ნომ არ ინებებთ, ირინე, ჩემი რეზიდენციის დათვალიერებას?“

მე ღიმილით ვუთხარი:

— ნომ არ ინებებთ, ირინე, ჩემი რეზიდენციის დათვალიერებას?

ირინემ საათს დახედა:

— პირველის ნახევარია უკვე. ხვალ იყოს.

— როგორც გნებავთ.

— მართლა გვიანია. მე ამ დროს შუა ძილში ვარ ხოლმე. მშვიდობის ღამეს ვისურვებთ.

— ღამე მშვიდობისა.

კართან მოტრიალდა.

— თქვენ სად სადილობთ?

— როდის?

— საერთოდ.

— სასადილოში. ძირითადად დიეტურში.

— ხვალ ჩემი სტუმარი ხართ. სადილი სალონში გაიმართება. ნომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო?

— არაფერი... დიდი მადლობა.

— უნდა დაგიმტკიცოთ, რომ არც ისე ცუდი დისახლისი ვარ, როგორც გგონიათ. ღამე მშვიდობისა.

ირინე გავიდა და მე ჩემს ოთახში შევედი.

ტანთ გავიხადე და დავწექი.

არ მეძინებოდა.

ერთხანს ვიტრიალე. მერე, რაკი ვერ იქნა და ვერ დავიძინე, მაგიდის ლამპა ავანთე, როგორც ასეთ დროს ვიცოდი ხოლმე, და წიგნი ავიღე.

ვერც კითხვას დავუდე გული. ერთი და ივივე ამბავი რამდენჯერმე წავიკითხე. თავში კი არაფერი შემიფიდა. მაშინ წიგნი ისევ დავხურე და სკამზე დავდე, გულაღმა დავწექი. ხელები თავქვეშ ამოვიწყე და ტუჩში თვალ დავიწყე.

ორასამდე დავთვალე.

ძილი არ მოვიდა. სამაგიეროდ ფიქრები მოვიდნენ.

სამზარეულოს იქით სასტუმრო ოთახია. სასტუმრო ოთახს იქით — საწოლი ოთახი. იქ ჩემს ახალ დისახლისს სძინავს.

სძინავს?

დისახლისის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი სახელი კია ირინე.

იყო რაღაც გამომწვევი ამ ქალის საქციელში.

„ახალგაზრდა ქალისა და ახალგაზრდა ვაჟის ორი დღით მარტო...“

ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა.

ჩვენნ, მამაკაცების, სულელური თავმოყვარეობა.

არა. იმ ფრაზის გარეშეც იყო რაღაც გამომწვევი ამ ქალის საქციელში.

საქციელში... გარეგნობაში...

იდგა ქანდაკებასავით, ხელები მკერდზე დაეკრიფა და თვალმოეშორებლივ მიყურებდა.

ჭურჭელი კარგად გარეცხა. მაგიდაც კარგად გადმოასუფთავა.

თითქოს შეუფერებელი იყო.

რომ ეკითხათ, დარწმუნებით ვიტყოდი, ამ ქალს, ალბათ, თავის დღეში ქურა არ აუნთია-მეთქი.

რაღაც ჰქონდა ისეთი გარეგნობის გარდა.

ქანდაკებასავით...

შეიძლება არც იმდენად ლამაზია, რამდენადაც ეშხიანი...

მზერა ცოტა მოურიდებელი. იქნება მზერა იყო გამომწვევი?

ნუშის ფორმა კარგი ფორმაა. გამოეტყველება ელვასავით.

სილამაზე ღმერთმა იცის, რა არის...

პირის ჭრილი მოზრდილი აქვს. ტუჩები — სავსე.

არა. კუთხეებიდანვე არ იწყება სისავსე. პირიქით. კუთხეებთან ჭრილი ოდნავ ჩანს, ძლივს შესამჩნევი ბზარი. მერე იწყება სისქე, ერთბაშად, ცხვირიც ზემოდან შედარებით თხელია და მარტო ნესტოებია დაბერილი.

ქანდაკებასავით იდგა. იდგა და მიყურებდა.

მერე წინ გამიძღვა და მაღალი თეძოები ჰქონდა. მრგვალი, კოხტა გავა.

ალბათ ფეხებიც სწორი და ჩამოქნილი აქვს.

შარვალი ეფარავდა.

და უცებ თვალებდახუჭულმა დავინახე, რომ ის ქალი, ირინე, იქ, დეიდა მარიამის საწოლ ოთახში ტანთ იხდიდა.

ქაკუტი გაიხადა და სკამის საზურკეზე გადადო. მერე შარვალი გაიხადა. ფეხები სწორი და ჩამოქნილი ჰქონდა. მერე ხალათი გაიხადა. მკვრივი სხეული. მერე ყველაფერი გაიხადა. სარკესთან მივიდა. დიდი სარკე იყო, მაღალი. მივიდა და ღიმილით უყურა თავის სილამაზეს. გაიზმორა. ხელები მაღლა შეჰყარა და ძუძუებიც აიყოლა. მაღალი თეძოები ჰქონდა. თმა მხრებზე ეფინა და მხრების ფონს წარმოადგენდა.

რაღაცამ მიბიძგა და სანამ ბიძგის მიზეზი აზრად ჩამოყალიბდებოდა, წამოვიწიე, საწოლში წამოვჯექი და დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს გავხედე.

პორტრეტი ბინდში იყო გახვეული.

მაშინ მაგიდის ლამფა მივატრიალე და მივანთე.

ნეფერტიტის სევდა სიმაღლის ამპარტავანი სევდა იყო. ლამაზი, მკაფიო და უსასრულო.

და უცებ ტკივილივით დამკრა აზრმა, რომ მთელი საღამოს განმავლობაში მაკა არ მომგონებია.

აზრის ტკივილი სწრაფადვე ჩაქრა და ერთბაშად სრული სიმშვიდე დამეუფლა. სიმშვიდემ ტალღასავით დამიარა მთელ სხეულში, მუხტები განმუხტა, დაძაბულობა დააცხრო, სიმკვრივე გაალღო და ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს წონა დაკარგე, გავიფანტე და ჰაერივით შემოვეკარი დედამიწას.

ისევ დავწექი. ისევ დაეხუჭე თვალები.

მაკას ახლა ტკბილად სძინავს.

ყვავილნარში ჩაფლულ პატარა სახლში სძინავს ოქროსთმიან ქალიშვილს. მკლავები ზემოდან უწყვია საბანზე. სძინავს და ძილში იღიმება.

იმიტომ რომ შეუძლებელია მაკას სასაფლაო დაესიზმროს.

ნათურა კვლავ ჩემკენ მოვატრიალე და ხელახლა ავიღე წიგნი.

დიდხანს ვკითხულობდი.

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის-როდის მომერია რული.

წიგნი დავხურე, ლამფა ჩავაქრე და დავიძინე.

ღრმა და უსიზმრო ძილით მეძინა.

დილით, პირის დასაბანად რომ უნდა გავსულიყავი, ზედ კართან მოვტრიალდი. გამახსენდა, რომ სახლში უცხო ქალი იყო. ხალათი ჩავიცვი, სარკეში ჩავიხედე, აბურძგნული თმა ცოტა გავისწორე და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვალე კარი.

ირინე სამზარეულოში დამხვდა. მარცლა სწორი და ლამაზი ფეხები ჰქონია. რაკი შარვალი არ ეცვა, პირველად ეს შევნიშნე. შარვლის მაგივრად ახლა ქვედა კაბა ეცვა, ვიწრო და მოკლე. ზემოთ — კაბაში ჩატანებული ვრძელსახელოებიანი ხალათი, ვარდისფერი და ყვითელი ფოთლებით მოხატული. ზედ ღილი გახსნილი ჰქონდა.

ქურაზე ჩაიღინთ წყალი დუღდა. ირინე ტაბურეტზე იჯდა და ყავას ფქვავდა. მე მივესალმე.

— დილა მშვიდობისა.

ირინემ ხელი აწია და ისე მიპასუხა სალამზე. მერე მითხრა:

— გვარიანი ძილისგუდა ბრძანებულხართ, ჩემო მდგმურო. როგორ გეძინათ?

— გმადლობთ, კარგად. თქვენ?

— მე სიზმარი ვნახე.

— ღმერთმა კეთილად აგიხდინოთ. რა ნახეთ?

— თქვენ გნახეთ და დიდი შანსია, რომ დღეს სურდო შეშეყაროს.

ამას რომ მეუბნებოდა, თან ღიმილით მიყურებდა. ეტყობა ჩემი რეაქცია აინტერესებდა და წინასწარ ტკბებოდა.

მე იმედი არ გავუცრუე. ფერმა გადამკრა, თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერაფერს მივხვდი. ჩემთვის წყვიტუტბუტე, პირს დავიბან-მეთქი და სამზარეულოს მარჯვენა კარს მივაშურე. სანამ გავიდოდი, ირინემ მკითხა:

— ყავას დალევთ თუ ჩაის?

— ჩაი მირჩევნია, თუ არ შეწუხდებით.

— რა შეწუხებაა. ორივე ერთად მაქვს.

მე გავედი და პირს რომ ვიბანდი, ერთხელ კიდევ გამახსენდა, რომ ხალათის ზედა ღილი გახსნილი ჰქონდა.

მერე იყო სუფთათ სამზარეულოში.

თითქმის უძრავი სურათი.

ირინე ყავას სვამდა, მე — ჩაის.

ირინე მაგიდიდან ოდნავ მოშორებით იჯდა, სკამის ზურგს მიწოლილი. ფეხი ფეხზე ჰქონდა შემოდებული, მარცხენა ხელში ლამბაქი ეჭირა, მარჯვენაში ფინჯანი. ფინჯანი მოცილდებოდა ლამბაქს, ავიდოდა მაღლა, ტუჩებს შეეხებოდა, აქ მცირე ხნით შეყოვნდებოდა და ისევ ლამბაქზე ეშვებოდა. მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა, თვალები ოდნავ მოჭუტული ჰქონდა და სახეზე ნეტარება ეწერა. ეტყობა, ყავა მისი საყვარელი სასმელი იყო.

ფინჯანი ადიოდა მაღლა და ეშვებოდა ძირს.

მე ჩაის ვწრუპავდი და მთელი შინაგანი ენერგია იქითკენ მქონდა მიმართული, რომ ირინეს შიშველი ბარძაყებისათვის თვალი ამერიდებინა.

ირინე კი ფეხიფეხშემოდებული იჯდა.

ბარძაყები თეთრი იყო და სახის მუქ ფერს როგორღაც არ შეეხამებოდა.

ფინჯანი ადიოდა და ჩამოდიოდა. ნელა, აუჩქარებლად.

თვალი გამირბოდა და უხერხულობის შემაწუხებელი გრძნობა უცნაურად იყო ჩახლართული ხილვის სიტკბოში. უხერხულობის გარდა შიშიც მქონდა, ვაითუ ჩემი უტიფარი მზერა შენიშნოს-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ კი არ შეკრთებოდა და შიშველ ბარძაყებს კი არ დაიფარავდა, როგორც, ალბათ სხვა იზამდა მის ადგილას, არამედ გაიცინებდა და მასხრად ამიგდებდა.

შუბლზე ოფლმა დამასხა.

მინდოდა საუბარი გამება, რომ ამით იძულებული შევქნილიყავი სახეში მეცქირა, მაგრამ სათქმელი ვერაფერი მომეფიქრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ფინჯანი უკანასკნელად შეეხო ტუჩებს და უკანასკნელად დაეშვა ლამბაქზე.

— მე მგონია, უფრო ჯიუტი ხართ, ვიდრე მორცხვი.

დასკვნა სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი იყო, მაგრამ, ხმა რომ ამოიღო, მაინც ძალიან გამიხარდა. შიშველ ბარძაყებს სწრაფად მოვწყვიტე თვალი და სახეში შევხედე.

— ისევ წამს ფეხი ჩამოიღო და წამოდგა.

— როგორ ფიქრობთ, — მითხრა მერე და ხელები ჯვარედინად დაიკრიფა მკერდზე, — რამდენი ხანი სჭირდება ადამიანის გაცნობას?

— ეგ დროით არ იზომება, — ახლა მუხლისთავებიღა უჩანდა მოკლე კაბის ქვეშ. — მარილით იზომება.

— მარილმა მოწყურება იცის, — კოლოფიდან ერთი ცალი სიგარეტი ამოიღო, — ჩვენ მარილი არ გვიჭამია.

— ჩაის შაქარი უნდა. ყაკაცაც.

— ამიტომ ერთმანეთს სრულებით არ ვიცნობთ? — სიგარეტი აანთო, მოეჩაჩა და ბოლი ბოლოქვეშად გამოუშვა.

— ცოტათი ვიცნობთ. რამდენადაც შაქარი იძლევა ამის საშუალებას.

ირინემ გაიღიმა.

— მორჩით? — ჩაის ლამბაქზე მიმითითა.

— კი, გმადლობთ.

— ცოტათი... — ხმადაბალა თქვა და ჭურჭლის ალაგება დაიწყო. — ჩემი აზრით თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ეს ცოტაა თუ ბევრი?

— თუკი არ ცდებით, ბევრია.

— თქვენ რამდენად გამიცანით? — აქ მცირე პაუზა გააკეთა და დაუმატა, — უმარილოდ.

— როგორც იტყვიან, ზოგიერთი წინასწარი დასკვნა გავაკეთე.

ირინემ სწრაფად მოიჩოჩა სკამი მაგიდასთან, დაჯდა, ორივე იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, ნიკაპი და ლოყები ხელისგულებშუა მოიქცია და ღიმილით ... მოლოდინით მომაჩერდა. სახეზე რაღაც ბავშვური, რაღაც მიამიტური გამომეტყველება გაუჩნდა და უცებ ... განცდა მომაგონდა, წუხელ რომ დამეუფლა. როცა ჭურჭელი კარგად დარეცხა და სამზარეულო კარგად მიალაგა.

— გისმენთ, — ხმაშიც ბავშვური მოუთმენლობა დაეტყო.

მე გამეღიმა.

— მაინცდამაინც დიდ იმედებს ნუ დაამყარებთ ჩემს დაკვირვებულობაზე. თუმცა, რაც შევამჩნიე, იმას დაუფარავად გეტყვით. პირველი: დამოუკიდებელი ადამიანი ხართ, გაქვთ ძლიერი მაგნიტური ველი და საკუთარი თავის რწმენა. მეორე: ძალიან გიხდებათ წარვალი. მესამე: ჭკვიანი ხართ. მეოთხე: ათასჯერ უფრო ჭკვიანი რომ იყოთ, პირველ რიგში მაინც ქალი ხართ. მეხუთე: თანაც ისეთი ქალი, რომ შეუძლებელია კაცმა გვერდით ჩაგიაროთ და თვალი არ გაგაყოლოთ. — აქ ცოტა ხანს გაჩუმდი, მერე ღიმილით შეეხედე და დავუმატე. — მე მგონია საკმარისია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მარილი ჯერ გემოთიც არ გაგვისინჯავს.

— გმადლობთ, — ძალიან სერიოზული კილოთი და თითქმის ჩურჩულით მითხრა და ისე შემომხედა, წამით ეჭვი შემეპარა ჩემს პირველ პუნქტში, სადაც საკუთარი თავის რწმენაზე მქონდა ლაპარაკი. მის თვალებში ისეთი გამომეტყველება გაჩნდა, პატარა ბავშვს რომ ტყეში გზა დაებნევა.

სწრაფად წამოდგა და სუფრის ალაგება განაგრძო.

ჭურჭელი აკრიფა.

რეცხვას შეუდგა.

— მოგეხმარებით რამეში.

— არაფერში არ მომეხმარებით. — არ მოუხედავს. ისე მიპასუხა. — ემანსიპაცია უსარგებლო ლაზდანდარობაა. თქვენ თქვენი მამაკაცური ვალი გაწევთ.

ჩემი მამაკაცური ვალი.

ფრაზა ორაზროვნად ქნერდა და ჩე-

ნი თავმოყვარეობა წუხანდელივით შეეშმუშნა უსიამოვნოდ.

ვიწრო ქუდი ჯაბა მჭიდროდ ჰქონდა შემოკრული და სხეულის ფორმა და ხაზები მკაფიოდ ემჩნეოდა.

მერე მზერა თმაზე შეეჩერე, თმა მხრებზე სცემდა და უცაბ წელანდელი გამომეტყველება მომაგონდა. პატარა ბავშვს რომ ტყეში გზა აებნევა.

მამაკაცური ვალი...

იქნებ ჩემმა სიმდაბლემ მიანიჭა ფრაზას ორაზროვნება? მე ხომ მთელი დილა ბარძაყებს მივჩერებოდი.

სამყაროს დასაბამიდან მამაკაცი ქმნის ყოველივეს. ავსაც და კარგსაც, შხამსაც და მალამოსაც, სიკვდილსაც და სიცოცხლესაც. ქალი კი ბიბეა. ხან ბიბგია, ხან შთაგონება, ხან საყრდენი.

მამაკაცს კი ვალი აწევს.

რა ვალი?

ვისი ვალი?

კაცუნა მარტო საკუთარი თავისთვის არსებობს.

კაცი?

ოდითგან რომ ყველა მამაკაცს გაეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო, დედამიწა აქამდე ან სამოთხედ იქცეოდა, ან ნამსხვრევებად.

კაცი...

ვისი ვალია, რა შენი საქმეა! შენ გაკეთე და პატრონი გამოუჩნდება.

ის რაღას იზამს, ის პატრონი? ისიც გაკეთებს?

ვისთვის?

რატომ?

„ვისთვის?“ და „რატომ“? მზაკვრული კითხვებია, ეშმაკის მიერ შემოპარებული. არც დავით აღმაშენებელი ფიქრობდა ჩემზე და არც ცოტნე დადიანი. ისინი უბრალოდ აკეთებდნენ. მერე მოვედი მე და დავეპატრონე.

ყველაფერს, ყველა თამასუქს. განაღდებულსაც და გასანაღდებელსაც.

სწორედ ეს არის თავიდათავი. ვინც განაღდებულს იღებს, მან გასანაღდებელიც უნდა აიღოს. და ჩვეული სიცოცხლე „ვისთვის?“ და „რატომ?“ არ იძახოს.

უცაბ გონებაში ამოცურდა ეს ფრაზა: „მაშინ რაღაც უნდა მოიმოქმედოს“.

ვინ მითხრა ეს ფრაზა? როდის მითხრა? რატომ მითხრა?

რა უნდა მოვიმოქმედო?

— ბოლოსდაბოლოს, მიაქცევს თუ არა კავალერი დამას ყურადღებას?

ირინე იდგა, ხელები ჯვარედინად დაეკრიფა მკერდზე და ღიმილით მიყურებდა.

სამზარეულო დაკრიალებული იყო. შეკვეცი.

— მაპატიეთ... ფიქრებში გავერთე...

— ასე შუბლშეკმეხნული რაზე ფიქრობდით?

— რა ვიცი... ისე. თითქმის არაფერზე.

— სამსახურში როდის მიდიხართ?

— ათზე.

— მაშ, ერთად წავიდეთ, — ირინემ საათს დახედა. — უკვე დროც ყოფილა, გავალ, მოვემზადები.

— მეც ახლავე ჩავიცვამ.

— ფიქრებში არ გაერთოთ, თორემ დავიგვიანებთ. — გაიღიმა ირინემ.

ტანთ ჩავიცვი და ისევ სამზარეულოში გამოვედი. ვითომ ირინეს უნდა დაველოდებოდი, მაგრამ ლოდინი კი არა დაჯდომაც ვერ მოვასწარი. იმაკ წუთს შემოაღო კარი.

— მზადა ხართ?

— კი.

— მაშ, წავიდეთ.

გუშინდელი შარვალი ეცვა. გუშინდელი ქაკეტი და ქაკეტს ქვეშ დღევანდელი ხალათი. მარცხენა მხარზე გრძელთასმებიანი ყვითელი ჩანთა ეკიდა. ასეთმა ქალმა შეიძლება პიკის საათებში ავარია მოახდინოს.

ქუჩაში რომ გავედით, ხელი მკლავში გამომდო.

— არც კი მჯერა, რომ ერთმანეთი პირველად წუხელ ვნახეთ, — ამ სტუკვებით ჩემი მკლავი უფრო ახლო მიიზიდა. მკლავი მკერდს მოეფო, მე ოდნავ გამაკრეოლა და შუბლზე, თმის ძირებთან ოფლმა გამოყო‌ნა, — თუმცა დრო ხომ ისეთივე რელატიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხებაა, ოროროც ყველაფერი სხვა, — მკლავი მოცილდა მკერდს და ისევ მიედო, — სახოზადოებაში ათვლის ერთა სისტემით იზომება, ლოდინისას ათვლის სხვა სისტემით, ორნი რომ მარტო რჩებით, კიდევ სხვა სისტემით.

მე ტერმინებმა გამაკვირვა და პროფესია ვკითხე. ზუსტად არ მახსოვს კითხვა, რადგან, როცა ვეკითხებოდი, თან უნებურად იმ შუალედებს ვანგარიშობდი, რომლის განმავლობაშიაც ჩემი მკლავი მის მკერდს ეხებოდა და შორდებოდა. ის კი მახსოვს, რომ რაღაც ყრუ, მოგუდული ხმა მქონდა.

წესიერად ვერც პასუხი მოვისმინე. მთარგმნელად მუშაობდა თურმე სადღაც, რომელიღაც ინსტიტუტში.

— ქვეყნის ლიტერატურა ზოსდით უცხოეთიდან. — მითხრა და მკლავი ამჯერად უფრო ღიდხანს იყო მიპჯენილ. მკერდზე. — ნეტა განახათ, რა მოუთმენლად ელოდებიან თარგმანს და. როცა მიიღებენ, რა ხარბად დაეცარებიან.

— რომელი ენიდან თარგმნით? — თავისუფალი ხელი ფრთხილად ავწიე და შუბლზე ოფლი მოვიწმინდე.

— ინგლისურიდან... ეჰ, მოსაწყენი სამუშაოა. ხალხიც მოსაწყენია. — მკლავი მკერდს მოედო და ოდნავ გაეხახუნა. — უმრავლესობა ხანშიშესულია და საშინლად საქმიანი. ერთი ორი ახალგაზრდაცაა. — მკლავი ისევ გაეხახუნა მკერდს, — მაგრამ რად გინდა? სათვალეები უკეთიათ და თავში ფორმულების კორიანტელი უდგათ.

მერე რაღაცას მიყვებოდა უცხოელი მეცნიერების შესახებ, რომლებიც თურმე დროდადრო ჩამოდიან.

მაგრამ აღარ ვუსმენდი.

გზაჯვარედინზე გავედეთ.

მე მარჯვნივ გავხედე ქუჩას.

მაკა ახლა ლექციაზე ზის.

იქნება არც უსმენს ლექციას და თავის ფიქრებშია ჩაფლული.

გზაჯვარედინს გავცდით და მთავარი ქუჩისაკენ ჩავუყვეთ გზას.

ქვემოდან მომავალი მამაკაცები დაუფარავი და უტიფარი სიხარბით უყურებდნენ ირინეს და მერე, რომ გავცდებოდით, კისრები ეღრიცებოდათ.

ქალები ტუჩებს იბზუებდნენ.

ამასობაში მთავარ ქუჩაზე ჩავედით.

— თქვენ საით? — მკითხა ირინემ.

— აქეთ. — მარჯვნივ გავიშვირე ხელი.

— მაშ, მე წავედი... იცოდეთ, არ დაიგვიანოთ, დღეს საღილად მარილი გვექნება. — ამ სიტყვებით გამიღიმა, ორივე თვალი მომიშუტა ძველი მეგობარივით და ხელის აწევით გამომეთხოვა.

მეც პასუხად ხელი ავწიე.

მერე მთელი ენერგიის მოკრეფა დამჭირდა იმისათვის, რომ თვალი არ გამეყოლებინა.

ნაშუალღეღეს ისევ იმ ადგილას ვიღექი და მაკას ველოდი.

პირველი ავტობუსი გაჩერდა და ორი გოგონა და ერთი ვაჟი ჩამოვიდა. გოგონები ხმამაღლა იცინოდნენ და დაოსებულები ერთმანეთს ეკიდებოდნენ. ვაჟი შეცბუნებული ჩანდა და ქურდულად იყურებოდა აქეთ-იქით. გამვლელები ღიმილით ადევნებდნენ თვალს.

მაკა მეორე ავტობუსს მოყვა.

ჯერ ვიღაც ბავშვიანი ქალი ჩამოვიდა. ქალი შეუხედავი იყო, ბავშვი — ბუთხუნა და ლამაზი. ხელიხელჩაკიდებულები ჩამოვიდნენ და ასევე ხელიხელჩაკიდებულები გაუყვნენ ქუჩას.

მერე მოხუცი კაცი გამოჩნდა. ძლივს მოფრატუნობდა. ხელში ჯოხი ეჭირა. კიბეს რომ მოადგა, მის მხარზემოთ მაკას გაბრწყინებული სახეც გამოჩნდა. მაკამ დამიხახა, შემომცინა და ხელი დამიქნია.

ჩემს ირგვლივ ერთბაშად ყველაფერი გაქრა მაკას ღიმილის გარდა. მე ამ ღიმილში ისე ჩავიძირე, როგორც ოკეანეში და წამით ვიგრძენი, რომ ღრმითი სადღაც ძალიან ახლო იყო. მაგრამ უცებ მაკას სახეზე ღიმილი წაშალა. მაკამ თვალები მოუტა და გაკვირვე-

ზეციალ ტაბრიზაძე
მ ზ ბ მ ო ნ ი

ბითა და ცოტა შეშფოთებით დამაკვირდა.

ამასობაში მოხუცი, როგორც იქნა, ჩამოფრატუნდა და ჯიხის ბაკუნით მოშორდა ავტობუსის კიბეს.

მაკა მკვირცხლად ჩამოხტა და სირბილით მოიკრა ჩემთან.

— რა დაგემართა?

მისი სერიოზული სახე, გაფარფატებული თვალები და შეშფოთებული ხმა ცოტა სასაცილო ჩანდა.

მე გამეღიმა.

— არაფერი. რა იყო?

— ავად ხომ არა ხარ?

— რა მიგავს ავადმყოფს?

— მოიტა ხელი, — ჩანთა იღლიაში ამოიჩარა და ჩემი ხელი ხელებში მოიქცია. — სიცხე არა გაქვს... გაფითრებული რატომ ხარ?

— გაფითრებული ვარ?

— აბა რა ხარ! — ჩანთა გულზე მიიხუტა, გახსნა, ერთხანს აფათურა შიგ ხელი და ბოლოს პატარა, მრგვალი სარკე ამოიღო. აქ მცირე ხანს შეყოყმანდა, მერე თავისებურად ცერად შემომხედა და, თუმცა ღმერთი-რჯული არაკითარი საბაბი არ მომიცია, მითხრა — რა გიკვირს, სარკე ყველა გოგოს უდევს ჩანთაში... აბა, ჩაიხედე, თუ გაფითრებული არა ხარ!

სარკე გამოვართვი, ჩავიხედე და უკანვე დავუბრუნე.

— არაფერი გაფითრებული არა ვარ. ტყუილად შემოყარე ქვეყანა.

— გაფითრებული ხარ. და არავინ არ შემიყრია. — სარკე ისევ ჩანთაში ჩადო და გულმოდგინედ დამაკვირდა. მერე ხელი ჩამკიდა და გზას გავუდექით. — არ გიხდე რა, ავად!

— რას ამბობ, მაკა! ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ავად!

მაკა კრიტიკულად დამაცქერდა.

— ბავშვობაში რომ რაქიტი გქონდა?!

მე გამეცინა.

— ამან რა ხანია გამიარა.

— მე ვიფიქრე, გუშინ ხომ არ გაცივდა-მეთქი, სასაფლაოზე. ახლა, ცოტა მოგიყვიდა ფერი.

— დაანებე თავი ჩემს ფერს. თვალი არ ეცეს. შენ ეს მითხარი, ცოტნე დადიანი რომ ნონინს კარზე მიდიოდა... გახსოვს ეს ამბავი?

— კი.

— ვითომ ასეთი მაგარი კაცი იყო? შეიტყო თუ არა ამბანაგების დატყვევება, ერთი არ შეყოყმანებულა, დაკარა ფეხი და პირდაპირ ნონინთან გამოცხადდა.

— რა იცი, არ შეყოყმანებულა? ვინ იცდა მის გულში? იქნება ბარე ორჯერ გზიდანაც მოატრიალა ცხენი, სად მიდივარ, რომ მივდიოვარო! რაში გაგაჩსენდა ეგ ამბავი?

— ისე... ხოლო ადგილზე რომ მივიდა და უკან დასახვევი გზა ალარ ჰქონდა, ვინ იცის, გულმა რა ბაგაბეგი დაუწყო. იქნებ სასოწარკვეთილმა იფიქრა კიდეც: ეს რა ჩავიდინე! აქ რა მინდოდა, რა მეგმირებოდა ბაგაბეგი და მეკეკცებოდა! ვყოფილიყავი ჩემთვის, კარგი მეცხვა და კარგი მეჭამა, მენადიმა, მენადირა და დრო მეტარებინა. ღრმად მოხუცებული მშვიდად მოვკვდებოდი და კაცი ვერ გაიგებდა, თუ ერთ დროს საგმირო საქმის ჩადენა შემეძლო და არ ჩავიდინეო.

— ასე დაწვრილებით გაიფიქრებდა?

— რატომაც არა!

— რა ვიცი... — მაკამ ეჭვით აიჩეჩა მხრები და თვალებით შემრიგებლურად გამიღიმა: — მომავალ შაბათს ნინელისთან ხარ დაპატიჟებული.

— მე?

— ორივე.

— რა ხდება ნინელისთან მომავალ შაბათს?

— დაბადების დღე აქვს.

— აა! დაბადების დღე.. მე კიდეე ხმალში ვეპირებდი გამოწვევას.

— რაღას ერჩი?

— აღარაფერს. გინდაც ვერჩოდე, მომავალ შაბათამდე თუ მოვასწრებ, თორემ მერე უკვე შეუძლებელი იქნება. როცა ოჯახში ხარ ნამყოფი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პური გაგიტეხია... — უნდა მეთქვა, მარილი გიჭამია-მეთქი, მაგრამ მარილის ხსენებაზე სიტყვა პირში შემაშრა და ისე გავრუმდი. სირბილის დროს რაღაც საკვირველს რომ შეხედავ და ერთბაშად შედგები.

— ხომ წამოხვალ? — მკითხა მაკამ და შემომხედა. — ისევ დაკარგე ფერი.

— კარგი ერთი.

უკვე გზაჯვარედინს მივადექით.

— კარგი ერთი კი არა, ასეა! მიხვალ თუ არა შინ, სიცხე გაიზომე. თერმომეტრი ხომ ექნება შენს კუდიან დიასახლისს?.. გინდა წამოგყვები?

აქ კი მგონი მართლა დაკარგე ფერი.

— აუცილებლად გავიზომავ სიცხეს. ცივ ტილოს დავიდებ, ოფლს მოვიდენ, ქვეყნის წამლებს დავლევ, კარგად გამოვიძინებ, გამოვჩუშდები...

მაკას წარბები მაღლა აეზიდა და სკეპტიკურად მიყურებდა. მე რომ წავიბორძიკე და გავრუმდი, კიდევ ერთხანს იდგა ასე. მერე უცებ სახე ღიმილით გაუბრწყინდა. ყველაფერი უღიმოდა, თვალები, ტუჩები, ლოყები...

— აბა შენ იცი! — მითხრა, ხელი დამიქნია და წავიდა.

... მეთქვა, წამოდი-მეთქი. მეთქვა, ჩემი კუდიანი დიასახლისი შინ არ არის, სიყრმის მეგობრის დასატირებლად გაემგზავრა და თავის მაგივრად ერთი ახალგაზრდა ქალი დამიტოვა-მეთქი. ახლეტილი ქალია, კალმით ნახატი, შეხედავ და თვალს ვერ მოწყვეტ-მეთქი.

რა კარგია, შენ რომ მყავხარ-მეთქი.

რაკი შენ წამოხვალ, ყველაფერი თავის კალაპოტში მოექცევა-მეთქი...

რამდენჯერ მქონია შემთხვევა, როდესაც საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი გადამდგა და მოელი ჩემი ცხოვრება სხვა გზით წავიდოდა!

ერთადერთი ნაბიჯი. ან ერთადერთი სიტყვა. პატარა, უბრალო სიტყვა, სულ ორი მარცვალი.

„წამო“.

და ახლა, ალბათ, აქ არ ვიქნებოდი. მაშინ სხვანაირად ვიარსებებდი სხვა „მე“ ვიქნებოდი. და სამყაროც სხვა სამყარო იქნებოდა.

„წამო“.

„წამო, წამო, წამო... წამო...“

როგორ ირღვევა სიტყვა, როგორ იშლება და იფანტება, კარიტს რომ დაუწყებ. ატომების უთავბოლო გროვად იქცევა და აღარც კი გესმის, რას ნიშნავს, ან ნიშნავს თუ არა, საერთოდ, რამეს.

ერთი პაწაწკინტელა სიტყვა.

ერთი უბრალო ნაბიჯი.

რამდენ სიტყვას ამბობ კაცი სიცოცხლეში, ან რამდენ ნაბიჯს დგამ?

მერე ამაზე ბევრჯერ მიფიქრია გაკვირვებითა და შეძრწუნებით.

ნუთუ მართლა ამხელა არჩევანი მქონდა და ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული? ნუთუ მართლა სხვაებივითაა ჩვენს წინ გაშლილი ნაირნაირი გზები და მიმართულებები და, საითაც მოგვეპრიანება, იქით წავალთ?

ვინც აქეთ წავიდეს...

მაგრამ უთავლავი გზიდან ნამდვილი მარტო ერთია.

და სწორედ იმ ერთს აწერია, ვინც აქეთ წავიდეს, ვეღარ დაბრუნდესო.

მეტისმეტად მძიმე გამოცდა ხომ არ არის ისეთი უსუსური არსებისათვის, როგორიც ადამიანია? ვისაც არჩევანის წინაშე აყენებ, არჩევის ძალაც უნდა მისცე.

იქნებ არჩევანი ტყუილია? იქნებ ჯაჭვი დაბადებისთანავე იკვრება და ყოველ რგოლს აუცილებლობის გზით მიყვავართ მომდევნო რგოლამდე? დანარჩენი გზები კი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ეჭვებმა დაგვლერწნას და უფრო მწარედ განვიცადოთ ჩვენი არსებობა?

იქნებ მე მხოლოდ მეჩვენება, თითქოს შემეძლო მეთქვა, წამო-მეთქი. იქნებ ჩემი ნერვები, ჩემი ძარღვები, ჩემი ატომები ისეა განლაგებული, რომ ამ ვითარებაში ვერ ქმნიან შესაბამის კომბინაციას, ვერ აღძრავენ ისეთ იმ-

ზეგავლ ქარჩხაძე
გ დ გ მ ო რ ი

პულსს, რომელიც სიტყვა „წამოდ“ გამოვლინდებოდა? ქნნებ ტყეილად ვიმტკრევ თავს, იქნებ ისეთ რგოლს ეეპოტინები, რომელიც სხვის ჯაჭვს ეკუთვნის?

ნაბიჯის სიმტკიცე გაკლიაო, მაკამ მიოხრა ერთხელ.

მაკა სხვიაა...

ფიქრები ერთბაშად უკან-უკან წავიდნენ და სადღაც ცნობიერების მიღმა მიიმალნენ.

მე ისევ გზაჯვარედინზე ვიდექი.

მაკა აღარ ჩანდა.

ფიქრები ახლა სხვა ხვრელებიდან გამოძვრნენ.

მერე რა, რომ აღარ ჩანს. შემიძლია მივიდე, დავეუძახო, წამო-მეთქი ვუთხრა და წამოვიყვანო.

ირინე ცოტა შეცბება. მე მის, შეცბუნებას კმაყოფილებით ჩავიწერ ქბტიეში და მხნე ღიმილით ვეტყვი, ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი გაწვიეთ. თუ არ შემოშწყრებით-მეთქი. რას ბრძანებთო, ირინე იტყვის, საბოდიშო რა არისო! მაკას ღიმილით შეიპატიჟებს ვრცელ სამზარეულოში. ეს ჩვენი სალონიაო, აუხსნის, შეხვედრის ადგილი, სადაც ყოველგვარი მეზობლური კონფლიქტები ირჩევაო.

გულში რას გაიფიქრებს, რა ჩემი საქმეა! ბევრიც რომ ეცადოს, ჩემს მზერას ვერ დაიჭერს.

მაკა, მისი სილამაზით გულწრფელად აღფრთოვანებული, თავისი გაბრწყინებული სიცილით შესცინებს ადამ ქათინაურს ეტყვის.

ვალში არც ირინე დარჩება.

მერე ირინე სუფრის გაწყობას შეუდგება და მის გამომწვევ გარეგნობაში, დახვეწილ მიმოხრასა და ზვიად მაღრეებში, რომლებიც გნეხსხავდა და გძახავდა, უცნო, შენთვის გაუგებარი ჰარმონიის წყალობით, ჩბილად, ლაღად და ბუნებრივად გაჩნდება სტუმართმოყვარე, გულკეთილი და მახლობელი დისახლისი. ირგვლივ სიმყუდროვის სუნი დატრიალდება და ისეთი სასიამოვნო გრძნობა დაგეუფლება, ზამთარში რომ ბუხარს ააგზგიზებ და ეკუთვნიდ ნიერებას.

ირინე ლამაზად გაშლის სუფრას, სამეენი შემოვუსხდებით და ვისაუბრებთ რამე განყენებულ თემაზე.

ცოტა ხნის შემდეგ მარილის საღეკვრძელოს დავლევ. ირინესათვის გასაგები იქნება. მაკას ავუხსნი და ისიც გაიცინებს. მისი სიცილი სხივებად მოეფინება სუფრას და ჩვენს „სალონს“ ისე გაანათებს, როგორც პატარა მზე.

ეს კია, რომ სურათი, ცოტა არ იყოს, მოკლებული იქნება ბუნებრიობას, ურთიერთობის ძაფები დაჭიმული იქნება. თავაზიანობა — ხაზგასმული, ღიმილი საეტეოდ დიემსგავსება ნილაბს, ნათქვამ სიტყვას ბოლოში მრავალწერტილი დესვება და უთქმელი სიტყვა ენის წვერზე იქნება ჩამოკიდებული.

მაგრამ ამას ვინ ჩივის. თავდაჭერილობა, აღზრდა და კულტურა არც ერთს არ მოგვცემს იმის უფლებას (მაკა ყველაზე ბუნებრივი იქნება), საზღვარს გადავაბიჯოთ. ცოტაოდენ დაძაბულობასა და არაბუნებრიობას კი ითლად გაუძლებს კაცი.

სამგვეროდ, ყველა და ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგება.

როლები საბოლოოდ დადგინდება და ფუნქციები საბოლოოდ გაირკვევა.

ირინე იქნება დისასხლისი და მხოლოდ დისასხლისი.

მაკა იქნება სხივი, დილადრიან რომ ფანჯრიდან შემოიჭრება, გაღვიძებისთანავე რომ შეამჩნევ და უმიზეზოდ გაგეცინება.

ხოლო მე ვიქნები...

საკვირველია, კაცი რომ თავის თავზე დარწმუნებით ამბობს მეო. თითქოს ამაზე ცხადი და ნათელი ქვეყნად არაფერი იყოს.

ჩემს თავზე ვამბობ „მე“, დანარჩენებზე ვამბობ „სხვები“, თითქოს მათ შორის რაღაც გაუვალი უფსკრული იყოს. სინამდვილეში „მეც“ ისეთივე სხვაა, როგორც „სხვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის ახსნა ძნელია, მაგრამ ეს ისეთივე მწვავე გრძნობაა, როგორც ტკივილი, როგორც სირცხვილი, როგორც მარტობა.

მე მამაჩემი ვარ, პაპაჩემი ვარ, პაპის მამა და პაპის პაპა ვარ. მე ადამი ვარ და ღმერთმა შემქმნა, ოღონდ ამ ღვთაებრივი საქციელის მიზანი არ გამიგია. ალბათ, ვერ გავიგებდი და იმიტომ. გაუკეტრობა რომ დამტანჯავდა და ეჭვები შემეპარნენ, ამაზე არ უფიქრია.

მე ისევ გზაჯვარედინზე ვიდექი.

ასლაც შემეძლო, მივსულიყავი, დამეძახა, წამეყვანა.

და არ მივედი. არ დავუძახე. არ წაეყვანე.

გონიერებამ, ამ მოუშორებელმა ჭირმა, რომელიც უკითხავად ერევა ყველაფერში და გასაძანს არ გვაძლევს, ყურში ჩამჩურჩულა (ცილი, მგონი, ცოტა დამცისავი ჰქონდა) ახლა რომ მიხვიდე, დაუძახო, წაიყვანო, შენს საქციელს საეჭვო სული აუვია. რატომმეთქი. ამიტომ რომ, თავის დროზე არ უთხარიო. როცა ვითარებამ თავისთავად და ბუნებრივად მოითხოვა თქმა, მაშინ გაჩუმება ამჯობინე და, ახლა რომ უთხრა, უკვე იმ გაჩუმების ახსნაც დაგჭირდება. ხოლო ის გაჩუმება რომ აუხსნა, ისიც უნდა უთხრა, რის თქმასაც არ აპირებ. უნდა უთხრა: ავად არა ვარ. მაკა, სიცხე არა მაქვს. ეს დანაშაულებით ვიცი. მაგრამ იმ ქალის მეშინია. იმ ქალთან მარტო დარჩენის მეშინია. მე ხომ შენსავით მთლიანი და მყარი არა ვარ. მაკა ქვედა ტუჩს კბილებში მოიქცევს, თავს ოდნავ ჩაქინდრავს, თვალებში სხივების მაგვარად ნაფული ჩაუდგება და შენ გული შეეკუმშება.

მე გული შემეკუმშა. მერე კიდევ ერთხელ გავხედე მაკას ქუჩას, მეტრიალი და ფეხთარევით გაეუდექი გზას შინისაკენ...

მაგიდას შუაგულში ვარდები იდგა. ბროლის მაღალ ვაზაში ჩაწყობილი წითელი ვარდები.

სამზარეულოს ბზინვა გაუდიოდა. მაგიდაზე მუშამბის ნაცვლად თეთრი, ქათქათა სუფრა იყო გადაფარებული და ზედ ძვირფასი ჭურჭელი ეწყო. არც თეფშები მენახა აქამდე დიდი მარიამთან ასეთი, არც დანა-ჩანგალი, არც ჭიქები. ალბათ, რომელიმე სხვა ოთახში ჰქონდა გადამალული. სუფრაზე დოქით ღვინო იდგა და პატარა ბოთლით კონიაკი. ჭიქებიც შესაბამისად ორგვარი იყო. დიდები და პატარები. თეფშები სამგვარი. ერთმანეთზე დაწყობილი. სამკუთხად დაკეცილი ახალთახალი ხელსახოცები. პური იყო მაგიდაზე, ლამაზად დაჭრილი სალათა. მწვანილი და ყველი. გაზქურის სამი კამფორი ენთო. სამივე ბოლომდე ჩაწეული. ორზე თავდახურული ტაფა იდგა. მესამეზე — ქვაბი.

მე სუფრაზე დავიხარე და ვარდები დავყნოსე.

— გიყვართ ვარდები?

ირინე კარის ზღურბლზე იდგა და ღიმილით მიყურებდა.

ნაზი ყვითელი ფერის ქვედა კაბა ეცვა, წელთან ვიწრო, ქვემოთ, მუხლისთავებთან ცოტა განიერი. წინ ჯიბის ჭრილები ჰქონდა და ზედ ღილები ეკერა. ზემოდან თოვლივით თეთრი მოკლესახელოებიანი ჯემპრი, ღრმად ამოჭრილი გულისპირით და გარდიგარდმო გადაყოლებული კაბისფერი ზოლებით. თმა მხრებზე ეფინა. იდგა თავისებურად გამართული, მხრები გადაეშალა და მკერდი ისეთი ჰქონდა, როგორც მოდერნისტების სურათებზე მინახავს: მკვეთრი, კონტრასტული ხაზები. ძეძვების ბორკვებები ყოველგვარი გადასვლის გარეშე, ერთბაშად იწყებოდა. იდგა ასე, მოქნილი და სრულყოფილი, როგორც მხატვრის შედევრი, და ღიმილით მიყურებდა. მერე, პაუზამ რომ თავისთავი ამოწურა და ყველი გაუვიდა, მითხრა:

— წითელი ვარდები ჩემი სასუსტეა.

ზ ა ზ ი ს ლ ა ბ ა ნ ი ძ ე
მ ო ნ ა ბ ა ნ ი

თუ როდისმე მოგინდეთ, რომ ძალიან გამახაროთ, წითელი ვარდები მომიტანეთ.

— რომ მცოდნოდა, დღესვე მოგიტანდით.

და გავიფიქრე: „როგორ მოუტანდი, ნეტა ვიცოდე! მაკას არ დახვდებოდი გაჩერებასთან? თუ დახვდებოდი და ეტყოდი, იცი მაკა, ეს ვარდები ირინესთვის მომაქვსო?

— რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვათ სამსახურში?

მე გაკვირვებით შევხედე.

— არა. რატომ მეკითხებით?

— ისე... რაღაც უხასიათოდ მეჩვენეთ.

— არა, — რაც შემძლო მხნედ ვუთხარი. — სულაც არა ვარ უხასიათოდ.

— ძალიან კარგი. მაშ, შევდგეთ საქმეს. სადილი ცხლად მიდგას გაზზე.

მე ხელები დავიბანე და სუფრას მივუჯექი.

ერთ ტაფაზე თხლად დაჭრილი შემწვარი ბადრიჯანი ამოჩნდა, მეორეზე — თხლად დაჭრილი შემწვარი ხორცი. და როცა ირინემ ერთიც და მეორეც სუფრაზე მოიტანა, ისეთი სუნი დატრიალდა, კაცს ამქვეყნად ყველაფერს დავიწყებდა.

მე თვალები დავხუმე და ვთქვი:

— ადამიანის დანიშნულებაც, ალბათ, რელატიური ცნებაა.

— არ ვიცი. რაში გაგახსენდათ?

— ამ ბადრიჯანსა და ამ ხორცს ისეთი სუნი ასდის, რომ ჩემთვის ახლა დღესავით ნათელია: ადამიანის ერთადერთი დანიშნულება ჭამა ყოფილა.

ირინემ გულიანად გაიცინა. სიცილი რომ მოათავა, მითხრა:

— წყენი დაგისახთ?

ამ გამაბრუებელი სურნელის გამოისობით უცნაური სიმსუბუქე და სილაღე დამეუფლა მართალია, სადღაც სულის სიღრმეში რაღაც მიღიტნებდა და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს სილაღე და სიმსუბუქე ცოტა წრეგადასული და შეუფერებელი იყო, მაგრამ ამას ჩემი შეჩერება უკვე ადრე შეეძლო.

— დამისხით. დიასახლისის [illegible]ნება ბოლომდე უნდა შემოწმდეს. თან იმის იმედიც მაქვს, იქნებ წვნიანმა მანც შეარყიოს ჩემი გურმანული ფილოსოფია.

წვნიანმა ჩემი გურმანული ფილოსოფია უფრო განამტკიცა.

— ისე სად დაოსტატდით, ირინე? — გულწრფელი გაკვირვებით კითხე, წვენი რომ გავსინჯე.

— ბებიაჩემის პრძნულ რჩევას მივდიე.

— რაო ბებიათქვენმა?

— ბებიაჩემმა „სამი სილამაზის თეორია“ შექმნა. ქალს სამი სილამაზე ამშვენებსო, მითხრა. პირველია დიასახლისობა, მეორე — ხასიათი, მესამე — გარეგნობა.

— ხასიათი ჯერ კიდეც არ ვიცი როგორი გაქვთ, პირველი და მესამე პუნქტი კი ჭეშმარიტად უნაკლოდ აგითვისებიათ.

— გმადლობთ. — გაიღიმა ირინემ და თავი ოდნავ დამიკრა.

— მადლობისთვის არ მითქვამს.

— იმისთვისაც გმადლობთ, რომ მადლობისთვის არ გითქვამთ.

წვნიანი მოვათავეთ. ირინემ მათლაფები მომიკრო მაგიდაზე გადაეწყო, ონკანის გვერდით.

ახლა ბადრიჯანს შევუტიეთ.

ირინემ დოქი აიღო.

— ალბათ, ღვინოს ამჯობინებთ?

— განსაკუთრებული მოტრფიალე არც ერთის არა ვარ. ისე კი, რომელსაც თქვენ დალევთ, მეც იმას დავლევ.

— ო, ეს უკვე მსხვერპლია! — დოქი დადგა და ბოთლი აიღო. — მე ცოტა კონიაკი მირჩევნია. — პატარა ჭიქები ავსო. — მაშ, ეგეგმარჯოს!

— გაგიმარჯოს.

ირინემ ჭიქა შემოგვიხუნა და კონიაკი ბოლომდე დალია.

მეც დავლევ.

— სულ დამავიწყდა! — წამოიძახა უცებ და სწრაფად წამოდგა.

— რა დავიწყდათ?

ირინემ განჯინის კარი გამოაღო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაცუცქდა. მე სუფრას მოვავლე თვალი. თითქოს არაფერი აკლდა.

ირინე მაშინვე მოტრიალდა. ორივე ხელში მოზრდილი ფაიფურის ქოთანი ეჭირა. მოიტანა ეს ქოთანი და მაგიდაზე, ვარდების წინ დადგა.

— რა არის? — გაკვირვებით ვკითხე და სკამიდან წამოვწიე, რომ ქოთანში ჩამეხედა.

— მარილი! — საზიზღ ხმით გამოაცხადა ირინემ, მერე ქოთანს კრიტიკული თვალით დააცქერდა და დაუმატა. — ერთი ფუთი არ იქნება, მაგრამ არც ბევრი დააკლდება.

— უნდა შეეჭამოთ?

— აჰ, არა! — თავი გაიქნია ირინემ. — დაგვხოცავს. ისე იყოს, სიმბოლოდ. და სადღეგრძელო დავლიოთ.

ჭიქები ისევ ავსო.

— მარილს გაუმარჯოს.

თავში რაღაცამ გამიელვა. თითქოს რაღაც უნდა გამხსენებოდა და არ გამახსენდა.

ჭიქა ავიღე და მივუუახლენე.

— გაუმარჯოს.

ამჯერად ირინემ ცოტა მოსვა.

მე ჭიქა დავცალე და ვკითხე:

— დაამთავრეთ ქეიფი?

ირინემ ხელები გაასავსაკა.

— დავთვრები!

ცოტა უკვე მოკიდებოდა.

— დეიდა მარიამი მართლა ორი დღით წავიდა?

— მოგენატრა?

— არა. იყოს იქ და იტიროს თავისი მეგობარი.

— აბა რამ გაგახსენა?

— ვიფიქრე, უურო დიდი ხნით ხომ არ წავიდა-მეთქი. თქვენი გარდერობის მიპედვით თუ ვიმსჯელებთ, ორი დღით კი არა, თითქოს სამუდამოდ გადმოხვედით.

— სამუდამოდ აქ არასოდეს არ გადმოვალ. არ მიყვარს ეს სახლი. როცა მემკვიდრეობას მივიღებ, ამ ბინას გავყიდი.

— მერე მდგმურს რა პასუხს აძლევდეთ?

— მდგმურს ჩემთან წავიყვან. უკეთეს ოთახს მივუჩენ.

— გაიჩნია, რა ფასად მიუჩენთ. მდგმურს თავისი დებიტი და კრედიტი სულ თითებზე აქვს დაბალანსებული.

— საბრალო მდგმური! დეიდა მარიამი რამდენს გახდევინებთ?

— თითქმის არაფერს. დეიდა მარიამი გულჩვილი ქალია.

— თითქმის არაფერს? მე მაგ ფრაზას იმ საეკვო „თითქმისსაც“ ჩამოვაცილებ. თუმცა გულჩვილობით დეიდა მარიამთან, ცხადია, ვერ მივალ.

— რატომ?

— რა რატომ?

— რატომ ჩამოაცილებთ?

— იმიტომ რომ არ მიყვარს, როცა ფული ურთიერთობაში ერევა. ფული თავისთვის უნდა იყოს.

— პირდაპირ საოცნებო დიასახლისი ხართ. მოდი, საოცნებო დიასახლისის სადღეგრძელოს დავლევ.

ჭიქა ავივსე და ავიღე.

— მაშ, გაუმარჯოს საოცნებო დიასახლისს!

— თავის მდგმურთან ერთად.

სადღი მოვთავეთ.

ირინემ სკამი უკან გასწია. ზუსტად ამდილანდელ პოზაში დაჯდა და სიგარეტი გაამოლა.

— თქვენი შთაბეჭდილება სადილის შესახებ?

მე ვცდილობდი სახეში მეცქირა და ამიტომ უკიდურესად დაძაბული ვიყავი.

— რა მითხარით?

— თქვენი შთაბეჭდილება სადილის შესახებ.

— აა! — და შევეცადე ისეთივე კომიკურ-ოფიციალური კილოთი მეპასუხა, როგორც თვითონ მკითხა. — სადილმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— მამაკაცები პირველ სილამაზეს

ღირსეულად ვერ აფასებთ. ყველას მესამეზე გიჭირავთ თვალი. ბებიაჩემმა მშვენივრად იცოდა თვისი საქმე. მესამე სილამაზე მალე კარგავს იმ ეფექტს, რაც თავიდან ჰქონდა. ოჯახური კონფლიქტი ძირითადად პირველი ორი სილამაზის გამო ხდება.

თვალები ქვემოთ გამირბოდნენ.

მე ზემოთ ვეწვოდი.

— საკვირველია, როგორ დაანებე პაპიროსს თავი.

ვატყობდი, რომ თანდათან ვაგებდი ბრძოლას საკუთარი თვალების წინააღმდეგ.

— მე ბევრს არ ვეწევი, მაგრამ, ჭამის შემდეგ რომ არ მოვწიო, ალბათ გავგიჟდები.

სიცა იყო თვალები სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ.

რაღაც საქმე უნდა გამეჩინა სასწრაფოდ.

— იმის გულისთვის, რომ რამდენიმე წლით მეტი ვიცოცხლო, ასეთი სიამოვნებაზე უარს ვერ ვიტყვი.

— მართალია. აბა მომეცით ერთი ცალი.

— აჰ, რას ამბობ! მე აგიტაციას კი არ გიწევ!

— ერთ ცალს მოვწევ და ისევ დავანებებ თავს.

— არა. არ მოგაწევინებ. მერე მე უნდა დამბრალდეს.

— ჰმ! საოცნებო დიასახლისს ერთი ღერი სიგარეტი ვერ გაუმეტებია ასეთი კარგი მდგმურისათვის.

— ეჰა! ათი ღერი აიღე! — სიგარეტის კოლოფი ჩანთიდან ამოიღო და მაგიდაზე დაადგა.

— ასე არა სჯობს!

სიგარეტი ავანთე.

პირველი ნაფაზი რომ დავარტყი, მძლავრმა გამაბრუებელმა ტალღამ თავით ფეხებამდე დამბარა და ისე მომადუნა, სხეულს ვეღარ ვგრძნობდი. თვალებიც კი დავხუჭე.

— როგორია?

ირინე ღიმილით მიყურებდა.

ისეთი საამო იყო მოთვინიერება, ხმა ვერ ამოვიღე. მარტო გავიღიმე პასუხად და ისევ თვალები დავხუჭე.

მერე პირველმა ტალღამ გადაიარა. თუმცა ცოტა მაინც ვიყავი გაბრუებული.

თვალები დავიმორჩილე.

ირინემ სიგარეტი საფერფლეში ჩაქრო.

— ახლა სიამოვნებით დავათვალიერებდი შენს. რეზიდენციას.

„შენს“ რომ მითხრა, გამიკვირდა. ვერაფრით ვერ გავიხსენე, აქამდეც შენობით ელაპარაკობდით, თუ პირველად ახლა მომმართა ასე.

ქოთნით მარილს შევავლე თვალი და წამოვდექი.

— მობრძანდი. — ხელით მივიპატიჟე და მეც ჩავაქრე სიგარეტი.

კარი გავაღე და წინ გავუშვი.

— მე მდგმური მეგონე, შენ თურმე პატრამარი ყოფილხარ, — თავი გადაქნია ირინემ და ოთახი მოათვალიერა. — გაქცევა რომ მოინდომო, — თითი სარკმლისკენ გაიშვირა. — გამოვა რამე?

— არა, ძალიან მაღალია.

— ოჰ, ეს დესპოტი დეიდა მარიამი! — სარკმლიდან გახედა სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. — ჩანს აქედან რამე?

— მთები ჩანს.

— ძალიან ცუდი. მთები პატრამარს დაკარგულ თავისუფლებას აგონებს და გულს უკლავს.

სარკმელს მოშორდა, მაგიდისკენ გადადგა ნაბიჯი, მერე ერთბაშად მოტრიალდა და დედოფალ ნეფერტიტის სურათს მიადგა.

— ნეფერტიტი. ყველგან ნეფერტიტი. ნამდვილი ნეფერტიტომანიაა. ისე, ეს კარგი რეპროდუქციაა. ფერები შენარჩუნებულია. რაკურსიც სწორადაა დაჭერილი... მაგრამ მე მაინც კია მირჩევნია. უფრო მიწიერი ქალია. ვინ იცის, იქნებ უფრო ლამაზიც.

— სხვათაშორის რაღაცით გაკვხარკიას.

— მე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო.

უნდა მეთქვა, ჰო, შენ-მეთქი, მაგრამ ბოლო წამს რატომღაც წავიბორძიკე და მარტო „ჰო“ ვთქვი.

— ალბათ მიწიერებით, — მიპასუხა ირინემ. ამ დროს ჩემკენ ზურგშექცევით იდგა და სუფრათს უყურებდა. ეს რომ მითხრა, სწრაფად მოტრიალდა, თითი მაღლა ასწია და ღიმილით დაუმატა. — მაგრამ არა ბიწიერებით!

გამეცინა.

დედოფალი ნეფერტიტი მაღალი და სვედიანი იყო.

— წარსული ბუნდოვანია და ამიტომ რომანტიკული გვგონია, — ირინე ჩემს საწოლზე ჩამოჯდა. ბარძაყებზე კაბა გადაეწია. — ხომ არ გამიწყრები, საწოლზე რომ ჩამოვჯექი?

ბარძაყები ელვარე და ქრუანტელისმომგვრელი იყო.

— მიბოძებია მოქმედების სრული თავისუფლება!

— მართლა? — ირინემ ეშმაკური ღიმილით გამომხედა. — მერე არ გეშინია, რომ ბოროტად ვისარგებლო მაგ სრული თავისუფლებით? — მე მუცელში სიმხურვალე ვიგრძენი. ირინემ გაიცინა და ხელი ჩაიქნია.— მგონი, დავთვერი. დაჯექი, რა ფეხზე დგეხარ! აი, აქ დაჯექი. — ხელი დაკრა საწოლს თავის გვერდით.

მე მითითებულ ადგილას დავჯექი.

— რაკი ღრუბლებზე არ ვცხოვრობთ, ამიტომ, ქალი რაც უფრო მიწიერია, ისა სჯობს. შენ არ დათვერი?

— ცოტათი. — ხმა ყრუ მქონდა, მოგუდული.

— შენს სუფრათს როდისმე სადმე რაღაცის ნიმუშად ჩამოკიდებენ. შესაფერის წარწერასაც გიუკეთებენ მე აწმყოში ვცხოვრობ და ამიტომ მხოლოდ აწმყო არსებობს.

არც კი გამიგია როგორ აიწია ხელი და როგორ მოვხვიე მხარზე.

ვინ დამიმტკიცებს, რომ ამ უბრალო ქესტმა სამყაროს სიღრმეებში რაღაც დამანგრეველი გამოძახილი არ ჰპოვა და წონასწორობათა ცენტრების გადაადგილება არ გამოიწვია.

ირინემ თავი გვერდზე გადახარა და ჩემს ხელს ლოყით მიეკრო.

ხელი ცოტათი მიკანკალებდა.

— ის დროა, რომელსაც წარსულსა და მომავალზე ფიქრში ვკარგავთ, წყალში გადაყრილი დროა. მეძინება. წადი, სიგარეტი მომიტანე.

ერთი ცალი ჩემთვისაც წამოვიღე.

ისევ გვერდით მივუჯექი, ანთებული სიგარეტი მარცხენა ხელში დავიჭირე, მარჯვენა წეღანდელივით მხარზე მოვხვიე.

ვიჯექით და ვაბოლებდით.

მისი ბარძაყი ჩემსას ეხებოდა და მე მექანიკურად ვაბოლებდი, ისე რომ გემოს ვერც ვატანდი.

— აწი ვედარ გადაეჩვევი, — მითხრა ირინემ, — ვინც ერთხელ სცადა თავის მოკვლა და ვერ მოიკლა, ის მეორედ აღარ ცდის.

მხარში ხელი მოვუჭირე და ჩემკენ მოვიზიდე.

თავი თავზე მივადე.

— მალე ეს ორი დღეც წარსულად იქცევა და თვალს მიეფარება... შემოხვევით ვიღაცას გადაეყრება და მერე მთელი სიცოცხლე საკუთარ თავს უმტკიცებ, ეს შეხვედრა გარდაუვალი იყო. სინამდვილეში გარდაუვალი არაფერი არაა. მეძინება. — ირინე წამოდგა და ჩემი ხელი, რომელიც მხარზე ედო, ნელნელა ჩამოცურდა ქვეკით. ზურგს ჩამოუყვა და საწოლზე დაეშვა. — წამო, თუ გინდა, ახლა ჩემს აპარტამენტს დავათვალიერებინებ.

— წავიდეთ. — მეც წამოვდექი.

ირინემ შემომხედა, თავით ფეხამდე შემომთვალიერა და გაიღიმა.

— დიდი ვერაფერი მსმელი ვარ, — მითხრა მერე და ხელი მკლავში გამომდო.

სანამ გავიდოდით, დედოფალ ნეფერტიტის სურათთან შემაჩერა.

ერთხანს მდუმარედ უყურა. ბოლოს უთხრა:

— არამიწიერება პოზაა. სიმაღლის განცდა პოზაა. კოსმიური სევდა პოზაა. ნიტა მაჩვენა, როგორ შეინარჩუნებდი ლოგიწში მაგ ამპარტავნულ სინატიფეს და ჰაეროვნებას. — ეს რომ თქვა, მკლავით მომწია და მითხრა. —წამო, რაინდო.

სამზარეულოში რომ გავედით, ისევ შეჩერდა და მაგიდას მოაცლო თვალი.

—მოდი, ბარემ ჭურჭელს ავალაგებ.

ჭურჭელმა ერთბაშად გაუცნობიერებელი ზიზღი გამოიწვია და ავი თვალით გადავხედე.

— მაშინ მეც მოგეხმარები, რომ დროზე ავალაგოთ.

— სად გვეჩქარება...

მომეჩვენა, თითქოს ირინეს ხმაში დამცინავი კილო შემოიპარა.

პასუხი არ გამიცია, საქმეს კი მაინც შევუდექი.

რაც დასარეცხი იყო, ირინემ აკრიფა. რაც განჯინაში იყო შესანახი, მე ავკრიფე. მერე მე სუფრა გადავბერტყე, ირინემ სამზარეულო დადგა. მერე მე სუფრა შევინახე და მაგიდას მუშამბა გადავფარე, ირინე ონკანთან დაიხარა და ჭურჭლის რეცხვა დაიწყო.

მე თეფშებს ვუყურებდი და დროდადრო ვთვლიდი, კიდევ რამდენი დარჩა დასარეცხი. ასე მეგონა, ძალიან ნელა რეცხავს-მეთქი. თან იმაზე მომდიოდა გული, რომ ორი კაცი ერთ ჭამაზე ამდენ თეფშს ხმარობს.

ბოლოს დარეცხვა მოათავა და გამშრალებას შეუდგა.

მე სიგარეტი გავაბოლე.

ირინემ შემომხედა და გაიცინა.

— ერთბაშად გინდა აინაზღაურო, რაც გაკცდინე?

— აკინაზღაურებ კიდეც.

— თუ ასეთი ტემპით განაგრძე, მეტსაც იზამ.

როგორც იქნა, ჭურჭელი დაამშრალა, განჯინაში შეაწყო და ხელები გადაიბანა.

— მორჩი?

— კი.

— მადლობა ღმერთს.

— რა იყო, ცეცხლი გვიკიდია?

ირინეს ხმაში ისევ მომესმა დამცინავი კილო.

— აპარტამენტი მაინტერესებს.

— წავიდეთ.

სამზარეულოდან გავედით.

— ეს სასტუმრო ოთახია, — მეუბნებოდა ირინე. — ეს რაღაც გაურკვეველი დანიშნულების ოთახია.

მე მექანიკურად მივდევდი გვერდით. ბოლოს იმ ოთახში შევედით, აივანზე რომ გადიოდა.

— ესეც საძინებელი ოთახი. სადაც ახლა შენი დროებითი დიასახლისი დაიძინებს.

— ასე გეძინება?

— კონიაკმა მომთენთა. გთხოვთ დაბრძანდეთ.

თვითონ საწოლზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

— შენ ხომ ჩემს საწოლზე დაჯექი. მე სამაგიეროდ შენს საწოლზე დავჯდები.

ირინემ გაიღიმა.

— მოდი.

გვერდით მივუჯექი.

— როგორ მოგეწონა ჩემი აპარტამენტი?

— ძალიან მომეწონა. — ხმა ისევ დაკკარგე. — საოცნებო დიასახლისი. — ამოვღერღე და ხელი წელზე მოვხვიე.

ირინემ გაიცინა და ჩემი ხელი უფრო მაგრად მიიკრა.

მე გადავიხარე და კისერში ვაკოცე. მერე მეორე ხელი თმაში შევუყავი.

— რა კარგია... — წყნარად თქვა ირინემ და თავი მკერდზე მომადო. მე თმაში ვაკოცე, ორივე ხელი კისერზე შემოვხვიე და კიდევ რამდენჯერმე ვაკოცე.

— რა ტკბილი მოფერება გცოდნია... — მითხრა და თვითონაც მომხვია ხელი.

საფეთქელზე ვაკოცე და ტუჩებით პის ტუჩებს დავუწყე ძებნა.

— ნუ! — მითხრა ირინემ. მერე ერთ-

ბაშად გამეცალა. — კარგი, მომეშვი, მეძინება.

ვერ გავიგე, მართლა მიშორებდა თავიდან, თუ ჭირეულობის პროცესი მოსწონდა.

ავდექი და ოთახში გავიარ-გამოვიარე. მერე ისევ მივუახლოვდი. სულ ახლო მივედი, ისე რომ მუხლები თითქმის მუხლებზე მივაბჯინე.

ირინემ თავი აწია და ღიმილით ამომხედა.

ერთხანს ასე ვიყავით. ის იჯდა და ღიმილით მიყურებდა. მე რეტდასხმული ვიდექი და ლენჩიკივით დავცქეროდი.

ბოლოს მითხრა:

— შეტრიალდი, უნდა გავიხადო.

— არ შევტრიალდები, ისე გაიხადე.

— სადღაც სხეულის ღრმა ფენებში რაღაც ბუნდოვანი გრძნობა გამიჩნდა, რომელიც საკუთარი თავის სიძულვილს ჰგავდა.

— შეტრიალდი.

— არ შევტრიალდები. — სკამი ავიღე, ახლო მივიტანე საწოლთან, ზედ დავჯექი და ფეხი ფეხზე შემოვიდე. —აი, ასე ვიჯდები და გიყურებ.

— იქნება გგონია, ვერ გავიხდი?

— გაიხადე.

— გავიხდი.

— გაიხადე. — წელან რომ გრძნობა გაჩნდა, იმან სხეულის ზედა ფენებში გადმოინაცვლა.

ირინე ოდნავ წინ გადმოიხარა და სწრაფად წაიძრო ჯემპრი.

— აჰა, რაინდო!

— კაბა? — თან თვალებით გულისპირს დავაკვდი.

— ჰმ... კიდევ არ შეტრიალდები?

— არ შევტრიალდები. — ვუთხარი მე და ბრიყვული ღიმილით მივაშტერდი.

საკუთარი თავის სიძულვილი ზევით და ზევით მოიწევდა.

— რა გაეწყობა!.. — ირინემ კაბა გაიხადა, ქოშები წაიძრო, ოდნავ წამოიწია, რომ ქვეშ საბანი გამოეთავისუფლებია, და ლოგინში ჩაწვა.

მე კი კიდევ დიდხანს ვხედავდი მკერივ, აფეთქებულ სხეულს, რომელსაც პერანგი შემოტმასნოდა. ნახევრად შიშველ მკერდს, თეთრსა და მაღალს. ბარძაყებს, ძალიან მოკლე პერანგის ქვეშ რომ თითქმის მთლიანად ჩანდა.

ირინეს კი ახლა მკერდიღა უჩანდა საბანს ზემოთ.

გაიზმორა და თვალები დახუჭა.

— გძინავს უკვე? — ვკითხე და წამოვდექი.

— ჯერ არა, მაგრამ საცაა ჩამეძინება.

მე ახლო მივედი და საწოლზე ჩამოვუჯექი.

ირინემ ოდნავ გაახილა თვალები და გამიღიმა.

— გინდა ნანას გიმღერებ და ისე დაიძინე. — ვიცოდი, რომ იდიოტი ვიყავი, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემეძლო.

— იცი სიმღერა?

— არა. — ხელი ლოყაზე დავადე და მერე კისერქვეშ შევუცურე.

ირინემ თავი ჩემი ხელისკენ გადახარა და მკლავზე მაკოცა.

მოხერხებული პოზის ძებნაში ძრს ჩამოვცურდი, საწოლის წინ ცალ მუხლზე დავიჩოქე, ტუჩებით ყელს მივწედი და კოცნა დავუწყე.

სადღაც, ოთახის რომელიღაც კუნჭულში ეკიდა ბუნდოვანი აზრი, რომ ჩემი პოზა სულელური და სასაცილო იყო.

— გეყოფა. წადი ახლა! — დაიჩურჩულა ირინემ.

— ირა... — ამოვილუღლუე მე, — ირა...

ირინემ ორივე ხელი მომხვია. მაგრად მიმიკრა და გამიშვა. მერე არა მიბნედილი ჩურჩულით, არამედ მშვიდად, მკაფიოდ და მტკიცედ მითხრა:

—გეყოფა, მეძინება.

ჩემი ხელები მოიშორა და მკერდზე საბანი დაიფარა.

მე დავრჩი ასე ცალ მუხლზე დაჩოქილი, ხელები საწოლის კიდისთვის მჭი-

---

ჯემალ ქარჩხაძე
ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ნდა ჩაქიდებული და არ ვიცოდი, მართლა მიშორებდა თავიდან, თუ ჭირვეულობის პროცესი სიამოვნებდა.

საკუთარი თვის სიძულვილმა ყველა ფენა გამოარღვია და ყელს მოეჭირნა.

— წადი, — გამიღიმა ირინემ. — შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ. წადი.

— წავალ! — ვეცადე გაბუტული სახე მიმეღო და გაბუტული კილოთი მეთქვა.

— ნახვამდის.

მე წამოვდექი.

— მაგდებ ხომ?

— დაჯექი მანდ! — თვალით სკამზე მიმითითა.

მე დავჯექი და ისევ წელანდელი ვითომ გაბუტული კილოთი ეუთხარი:

— აჰა, დავჯექი.

— იჯექი. და, რომ დავიძინებ, მერე წადი.

ვიჯექი და ბოლმა მახრჩობდა. საკუთარი თვის სიძულვილი თანდათან მთელ ჩემს არსებას ეუფლებოდა და ნელ-ნელა დევნიდა ყველა სხვა გრძნობას.

ირინე თვალებდახუჭული იწვა.

რამდენჯერმე დავაპირე, მივალ და კიდევ ერთხელ ვცდი ბედს, ბოლოსდაბოლოს, გამიჯავრდება და გამოგდებს, სხვა რა იქნება-მოხდება. მაგრამ ვერ გავბედე.

ამასობაში მართლა დაიძინა.

მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა.

ძილში შეიშმუშნა და საბანი გადაიწია. მკერდი ისევ გამოუჩნდა.

მკერდი თანაბრად ადიოდა და ჩამოდიოდა.

მე წამოვდექი, ფრთხილად მივედი, ერთხანს შევჩერდი, მერე დავიხარე და ტუჩები ოდნავ მივადე ტუჩებზე. ირინემ ერთი დაიკრუტუტუნა და გვერდზე გადაბრუნდა.

მე ვიდექი და დავქცეროდი.

ვიდექი, დავქცეროდი და ვყოყმანობდი.

ბოლოს შემოვტრიალდი და გამოვედი.

კარი ფრთხილად გამოვიხურე.

ნაბიჯი არეული მქონდა, ფიქრები — აბურდული, ძარღვები — აშლილი.

თავში კორიანტელი მეცა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები, ცალკეული სიტყვები, სიტყვის ნამსხვრევები ქაოტურად როდნენ წარმოუდგენელი სისწრაფით. დაკარგული ბავშვებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით და ერთმანეთში ირეოდნენ.

ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა.

ყველაფერი ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან: ძარღვები, უჯრედები, აზრები.

მერე, სამზარეულოში რომ შევედი და სკამზე ჩამოვჯექი, მთელი ეს ქაოსი უთავბოლოდ ღახავდა ერთ ადგილას, როგორც სახლის ნანგრევები მიწისძვრის შემდეგ.

სწრაფად წამოვდექი. ბოლთის ცემა დავიწყე.

წამით ვერ ჩერდებოდი ერთ ადგილას.

სხეულში რაღაც ძალა ბობოქრობდა, გაურკვევლად მიბიძგებდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

ბარღვები ზრიალებდნენ, როგორც კედლიდან ჩამოვარდნილი გიტარის სიმები.

მერე ადუღებულ ტვინში უეცრად ამოტივტივდა ერთი სიტყვა: „ემანსიპაცია“.

სიტყვა უადგილო, უაზრო, უმისამართო.

ცოტა ხნის შემდეგ გაქრა და ისევ ამოტივტივდა.

„ემანსიპაცია“.

გაშმაგებული დავდიოდი წინ და უკან და შეჩერება არ შემიძლო.

„ემანსიპაცია“.

როგორც შუშის უბრალო ნატეხი სახლის ნანგრევებში; სხვა ნატეხებისაგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ ისე დევს, რომ დაცემულ სხივს ირეკლავს და ამიტომ წამდაუწუმ თვალში გეჩხირება.

თითქმის სირბილით მიმოვდიოდი და ველოდი, როდის დაწყნარდებოდა ძარღვები.

რამდენჯერმე მივაღწიე ჩემი ოთახის კარს და გაღება დავაპირე. მაგრამ ყოველთვის უკან ვბრუნდებოდი. მიზეზი არ ვიცოდი. მიზეზის ძებნას არც ჭქონდა აზრი, სულ ერთია, ვერ ვიპოვიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას კი ვგრძნობდი, რომ დამსხვრეული აზრების ქაოტურ სრბოლაში რაღაც შიში იყო. გაუგებარი შიში მაკავებდა და ჩემს ოთახში შესვლას ვერ ვბედავდი.

ბოლოს მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი შევნიშნე. ალბათ, აქამდეც ვუყურებდი, უბრალოდ ახლა მივხვდი, რომ ეს სიგარეტის კოლოფი იყო.

ვეცი და აკანკალებული ხელით ერთი ცალი ამოვაძრე.

ავანთე, გავაბოლე.

სიგარეტმა ძაღლივები გააბრუა და მოადუნა.

ერთი რომ მოვწიე, მეორე ავანთე.

ახლა დაჯდომაც შემეძლო და დავჯექი.

აზროვნების უნარი ნელ-ნელა დამიბრუნდა და, მესამე ცალი სიგარეტი რომ ავანთე, ფიქრიც დავიწყე.

ჩემი საქციელი ფრიად სულელური და საეჭვო მეჩვენა.

იმიტომ რომ სრულიად გაუგებარი იყო ირინეს საქციელი.

საქმე ისევ და ისევ „მამაკაცურ თავმოყვარეობას“ ეხებოდა.

იქნებ სულაც არ უნდოდა ჩემი თავიდან მოშორება? იქნებ მართლა ართობდა ან ატკბობდა საკუთარი ჭირვეულობა? და ვერ მოზომა. რადგან არ ეგონა, თუ მამაკაცი ასეთ დროს ესოდენ მორჩილი და დამჯერი გამოდგებოდა?

არადა, ხელად დაიძინა.

გამახსენდა, როგორ ვიდექი საწოლის წინ დაჩოქილი, როგორ ვლუღლუღებდი „ირა, ირა“ -მეთქი და როგორ მეზიზღებოდა საკუთარი თავი.

როცა საჭიროდ დაინახავ, შეგიძლია ირა დამიძახო.

მეხსიერებას უჩუმრად შემოუნახავს ეს ნათქვამი, გალიაში ჩაუმწყვდეია. ალბა რომ დაკრა, კარი გაუღო და გამოუშვა.

ირა...

ჰმ! საწოლის წინ დაჩოქილი. დანისლული თვალები, აკანკალებული ხელები, მაველრტებელი იდიოტის სახე.

რა ბრიყვი ვიყავი, რა საცოდავი!

თუ უფრო სასაცილო ვიყავი, ვიდრე საცოდავი?

ირინეს რომ ცივი წყალი არ გადაესხა და პრაშჩალგამოვლებული არ გამოვესტუმრებინე? მაშინაც ვიქნებოდი საცოდავი და სასაცილო? თუ მაშინ „გამარჯვებული“ ვიქნებოდი?

ადამიანი შემადგენელ ნაწილებად უნდა დაშალო და გულდასმით შეისწავლო.

მამალი აიფხორება და როგორღაც გვერდულად წავა დედლისაკენ, თითქოს ცეკვავსო. დედალი, ვითომ შორს დაიჭერს მამლის არშიყობას, ყასიდაღ გაიქცევა. იქნებ სულაც არ გარბის ყასიდად. იქნებ ეს დადგენილი თამაშია, ერთგვარი „მოსამზადებული სამეშაო“. რომელმაც ვნება უნდა გაღვივოს? დედალი გარბის, მამალი გაფხორილი მისდევს და ბოლოს კუთხეში მიიმწყვდევს. დედალი რომ დაინახავს, გასაქცევი ალარსაითაა, თვითონვე ჩაცუცქდება და მოემზადება.

ირინეს რომ კუდამოჭუებული არ გამოვესტუმრებინე, ახლა გამარჯვებული მამალი ვიქნებოდი, ფრთებს შევიბერტყავდი და საკენკის საძებნელად გავეშურებოდი.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, სადმე, რომელიმე ქუჩის კუთხეში, ნაცნობ კაცებთან მასლაათით რომ ვიქნებოდი გართული, უეცებ ჩამოიელდა ირინე. ჩამოიელდა ამაყი, წელში გამართული, ჩამოიელდა ჩამოსხმული, მკვრივი და ენერგიტელის მომგვერი. მაღალი თეძოებით, კოხტა, მრგვალი გავით. ჩამოიელდა, როგორც მხატვრის შედევრი. კაცებს ერთბაშად გადაავწყდებოდა რაზე იყო ლაპარაკი, ხარბად გააყოლებდნენ თვალს და თავს გადაიქნევდნენ: ბიჭო, რა ქალია! მე კი, გამარჯვებული მამალი, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მოვავლებდი თვალს მათს აღტაცებულ სახეებს და ოდნავ იდუმალი ხმით ვიტყოდი: ეგ რა არის, თქვენ გახდილი უნდა ნახოთ!

ზაზვალ ქარჩხაძე
მ დ ბ მ ე რ ი

წამოვდექი და ისევ ბოლთის ცემა დავიწყე.

სამზარეულოში სიგარეტის ბოლი იდგა.

სიმშვიდე ჯერ კიდევ შორს იყო.

მართალია, ქაოსი ცოტა მოწესრიგდა, მაგრამ ტკინის ქიმებზე მუხტების თანაფარდობა ისევ დარღვეული იყო და აზრები მანქანებივით ეჯახებოდნენ ერთმანეთს.

როცა საჭიროდ დაინახავთ, შეგიძლიათ ირა დამიძახოთ.

სამზარეულოს კარი გამოვაღე. მინდოდა ირინეს ოთახს მივდგომოდი და ჭუჭრუტანიდან შემეხედა, ან ისე მიმეყურადებინა, რათა გამეგო, ისევ ეძინა თუ არა. მაგრამ ვერ გავბედე. ერთიც ვნახოთ და არ სძინებოდა! რას იტყოდა კარის ჭუჭრუტანას მიკრული რომ შეევნიშნე?!

სამზარეულოს კარი ისევ მივხურე.

მერე ერთი ორჯერ კიდევ გამოვაღე და კიდევ მივხურე.

ახალგაზრდა ქალისა და ახალგაზრდა ვაჟის ორი დღით მარტო დარჩენა არც ისე უწყინარი თამაშია.

არადა, სამზარეულოში პატიმარივით ეგრძნობდი თავს.

რაღაც უნდა მეღონა.

ბოლოს ვიფიქრე, ქუჩაში გავალ, ცოტას გავივლი-მეთქი და უცებ ის ღამე გამახსენდა, დეიდა მარიამის გაღვიძებისა რომ შემეშინდა.

სამზარეულოდან ფრთხილად გავედი. გასასვლელ კარს რომ მივადექი, შევჩერდი. ისევ ყოყმანი დავიწყე. რატომღაც უხერხული მეჩვენა, ირინეს რომ ჩემს დაბრუნებამდე გაღვიძებოდა და შინ არ დაეხვედროდი. უკანვე მოვტრიალდი. ისევ სამზარეულოში დავბრუნდი.

გაქცევა რომ მოინდომო, გამოვა რამე?

ერთხანს უაზროდ დავდიოდი მაგიდის გარშემო. მერე დავჯექი და არ ვიცოდი რა მექნა.

ისევ სიგარეტი ავიღე. ავანთე, ბოლოს ბოლო.

ავდექი; ბოლთის ცემა დავიწყე.

დავჯექი; კედელს მივაშტერდი.

ავდექი; გავიარ-გამოვიარე. განჯინას მივადექი. კონიაკის ბოთლი და ჭიქა გამოვიღე. არ დამისხამს, უკანვე შევინახე.

დავჯექი; ვაბოლებდი. სიგარეტის კოლოფს დავაკვლე ხელი. ეჭვით შეეხედე, შეეარხიე და ჩავიხედე. ოთხი ღერი კიდევ დარჩენილიყო.

ვაითუ მეტი არა აქვს, სულ რომ გაეუთავო, რას იტყვის-მეთქი, ვიფიქრე

ბოლი ნისლივით იდგა სამზარეულოში.

სარკმელის გამოღება დავაპირე. ჰაერი რომ ცოტა გამეწმინდა, მაგრამ დამეზარა და თავი მივანებე.

მერე სულ ვიჯექი. იდაყვი მაგიდაზე მქონდა დაყრდნობილი, ნიკაპი — ხელისგულზე. მეორე ხელში სიგარეტი მეჭირა და არ ვიცი, ვფიქრობდი თუ არა.

დიდხანს ვიჯექი ასე თუ ცოტა ხანს. ბოლოს ირინეს ხმამ გამომაფხიზლა.

— შენ აქა ხარ?

თავი ავიღე. ირინე მოჩვენებასავით ჩანდა სქელ ბოლში.

— არა. აქ არა ვარ.

— მე შენი სხეული მაქვს მხედველობაში. — სარკმელი გამოაღო. — ეს რა გიქნია; თავის მოკვლა გადაწყვიტე, თუ რა არის?

ბოლი ცოტა გაიფანტა და ირინე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა.

მე ვიჯექი და ვუყურებდი. ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირად ყველაფერი სულ ერთი იყო ახლა ჩემთვის.

— არ მეგონა აქ თუ დამხვდებოდი,— როგორც ჩანს, ჩემმა დაეინებულმა მზერამ რაღაც აფიქრებინა. — ამიტომ, როგორც ავდექი, ისე გამოვედი.

საშინაო ხალათი ეცვა. სახე ნამძინარევი ჰქონდა, თმა — ცოტათი აბურძგნილი.

— ასეც კარგი ხარ. — ისეთი კილოთი ეუთხარი, როგორითაც უნდა უთხრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაცმა, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია.

— შესაძლებელია, მაგრამ „ისე“ ხომ უკეთესი ვარ! სიგარეტი სულ არ დამიტოვე?

— კი. ოთხი ღერი კიდევაა.

ირინემ კოლოფი აიღო. ჩაიხედა. მეორე მე შემომხედა.

— აბა, სად არის?

მართლა არ იყო. მაგრამ არც გამკვირვებია, არც შევშფოთებულვარ.

— არ ყოფილა. წავალ, ვიყიდი.

— მოიცა. ჩანთაში მექნება.

გავიდა და ჩანთა შემოიტანა. ჩანთიდან გაუხსნელი კოლოფი ამოიღო. გახსნა. ერთი ღერი ამოაძრო და კოლოფი ჩემს წინ დაადგა.

— აჰა, არ შეგიშლი ხელს, რახან მაინცდამაინც ეს გზა აირჩიე თავის მოსაკლავად.

სიგარეტს დაეწვედი. გავაბოლე.

— შენთან როდის წამიყვან?

— სად?

— სახლში. სულ რომ შენი მდგმური ვიყო. — სიგარეტს ვეწეოდი და ვუყურებდი, როგორ გადიოდა ბოლი სარკლიდან.

— მაგას დამსახურება უნდა.

— რა დამსახურება? მინიმუმ უნდა ჩავაბარო?

ირინემ შემომხედა და გაიღიმა.

— მინიმუმი უკვე ჩაბარე. ახლა მაქსიმუმი გაქვს ჩასაბარებელი.

ავილაწე. თუმცა ყველაფერი სულერთი არ ყოფილა. ჩემი წელანდელი საქციელი სირცხვილის გრძნობად ჩაგუბებულიყო სხეულში, თანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრალი მთლიანად მე მიმიძღოდა, ირინე არაფერ შუაში არ ყოფილა.

იმავ წუთს, თითქოს ამ აზრის დადასტურება სწადიაო, მითხრა:

— როგორ დავთვერი! არ შეიძლება ჩემთვის კონიაკი; მერე რას ვაკეთებ, აღარ ვიცი.

— რომელი საათია?

— ცხრა ხდება. მიდიხარ სადმე?

— არა. სად უნდა წავიდე...

— ჩაი დავლიოთ?

— დავლიოთ.

ქურა აანთო და ზედ ჩაიდნით წყალი შემოდგა.

— კიდევ კარგი, შენ ჭკვიანი ბიჭი გამოდექი.

ვერ მიეხვედი, როგორი კილოთი მითხრა.

— გიყვარს ჭკვიანი ბიჭები?

— როცა კონიაკს დალევ?

— როცა კონიაკს არ დალევ.

ზურგიდან მომადგა, მკლავები სახეზე მომხვია, ნიკაპი თავზე დამადო, ბეჭებზე ძუძუები მეხებოდა, მაგრამ ტანში ქრუანტელს არ დაუვლია.

— გულმოსული ხარ ჩემზე?

მე არ გავნძრეულვარ.

— არა; რამ გაფიქრებინა?

ხელი გამიშვა და სუფრის გაშლას შეუდგა.

მერე ჩაის ვსვამდით და უმნიშვნელო თემებზე ვლაპარაკობდით. უფრო სწორედ, ის ლაპარაკობდა, მე კი შიგა და შიგ, მხოლოდ აუცილებლობის გამო თუ ჩავურთავდი ერთ-ორ სიტყვას.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა სამზარეულო კარგად დაეწკრიალა და დასაძინებლად წავიდა.

მე ჩემს ოთახში შევედი, შუქი არ ამინთია, ისე გავიხადე და დაეწექი. საბანი თავზე გადავიხურე.

ვიცოდი, დიდხანს არ დამეძინებოდა, და მართლაც არ დამეძინა დიდხანს, მაგრამ თავი მაინც არ ამომიყვია. სულ ასე ვიყავი, საბანწახურული.

ღილით, პირის დასაბანად რომ გავედი, სამზარეულოში დეიდა მარიამი დამხვდა.

„უკვე გავიდა ორი დღე?“ — გავიფიქრე და ამ ფიქრს, თითქოს მისი შემადგენელი ნაწილი და ბუნებრივი გაგრძელება ყოფილიყოს, უპაუზოდ და უდისტანციოდ აყვა მეორე ფიქრი. „ნუთუ ჯერ მხოლოდ ორი დღე გავიდა?

ჯემალ ქარჩხაძე
მ დ გ მ ე რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ იცის, რა არის დრო. ვინც ამ გაუგებარ მოვლენაზე ისე ლაპარაკობს როგორც თავის კარის მეზობელზე, ის არც თავის კარის მეზობელს იცნობს. დრო გონებისათვის მიუწვდომელია. არც ამოცნობა შეიძლება მისი და არც გაზომვა.

დროსთან ერთადერთი ურთიერთობა მისი შეგრძნებაა.

და მე, მოულოდნელობისაგან ერთ ადგილას გახევებულმა, უცნაურად და არაბუნებრივად შევიგრძენი იგი. მისი ორივე პოლუსი, უსასრულობაც და მყისიერებაც, ერთდროულად შემოვიდა ჩემს არსებაში და ერთ, განუყოფელ ცნებად ჩამოყალიბდა.

მერე ერთ გარსში მოქცეულმა ურთიერთგამომრიცხველმა ფიქრებმა ასევე ერთ გარსში მოქცეული ურთიერთგამომრიცხველი ეჭვები აღძრა: „იქნებ დიდა მარიამი არსადაც არ გამეზავრებულა, უბრალოდ ერთი წუთით მეზობელთან გადაირბინა“ და „იქნებ ეს უსოვარ დროში მოხდა, დიდა მარიამი რომ სიყრმის მეგობრის დასატირებლად წავიდა.“

— რას მომჩერებიხარ? გამარჯობათქო, მითხარი.

— გამარჯობათ. — ისე მექანიკურად დავემორჩილე, როგორც მანქანა, რომელსაც გამოცდილი ოსტატი შესაბამის ღილაკზე დააჭერს თითს.

— გაგიმარჯოს.

— უკვე ჩამოხვედით?

— როგორც ხედავ. — დედა მარიამმა ნეტარებით გაუღიმა თაკის ფიქრებს. — რა ქელეხი იყო! სიმღერის მეტი არაფერი აკლდა. რა თევზი, რა ფლავი, რა ლობიო! ო-ჰ-ო-ჰო-ჰო! ქელეხის ლობიოს ხომ საერთოდ ლობიო ვერ შეედრება, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო. ახლაც პირში მაქვს მისი გემო.

— ირინე სადაა?

— წავიდა.

— სად წავიდა?

— სახლში. სად უნდა წასულიყო! ჩაი გინდა?

განცვიფრებით შევხედე დედა მარიამს. წამით სრულიად არაბუნებრივად მეჩვენა ის, რომ ირინე სახლში წავიდა. ასე უბრალოდ. ადგა და წავიდა. მაგრამ მეორე წამს მივხედი, რომ არაფერი არაბუნებრივი აქ არ იყო.

— კი, დაელევ, ახლავე დავიბან პირს.

ის, რასაც ელაპარაკობდი, ჯონების გარეთ იყო. ჯონება თავისთვის ფარეხალებდა, რაღაცას ებრძოდა, რაღაცაში გარკვევას ცდილობდა.

მერე, პირს რომ ვიბანდი, ბუნდოვანი ეჭვი გამიჩნდა, ბუნდოვანი და უმისამართო. ვატყობდი, ეჭვი იყო. სხვას ვერაფერს ვატყობდი.

ონკანი დავკეტე და სიჩუმეს მივუგდე ყური ისე, ტყუილად, უმიზეზოდ. ყოველ შემთხვევაში, მე არ მესმოდა ჩემი საქციელი.

პირი რომ დავიბანე, მაგიდას მივუჯექი სამზარეულოში და დედა მარიამს მივაჩერდი. სანამ ის სუფრას შლიდა, მე ასე უცნაური დაკონებით ვუყურებდი და თვალს არ ვაშორებდი.

ბოლოს სუფრის გაშლა მოათავა და ჩაის სმას შეეუდექით.

მე ისევ ვუყურებდი. მერე გავიფიქრე, ირინეს რომ ტელეფონის ნომერი დაეტოვებინა, ან რამე დაებარებინა, თავისით მეტყოდა-მეთქი.

ერთი პირობა დავაპირე მისამართი მეკითხა, მაგრამ დავავიფიქრე. არ მინდოდა, ეჭვი აეღო.

— რას შვრები!

რას ვშვრებოდი და ძეხვის ნაჭერი მეჭირა ხელში და ზედ კარაქს ვუსმევდი.

როგორც იქნა, საუზმე ბოლომდე ჩავთავეთ, მადლობა გადავუხადე დედა მარიამს და ჩემს ოთახში შევედი.

უნდა ჩამეცვა და სამსახურში წავსულიყავი.

„ასე სჯობს, — გავიფიქრე ეჭვიანობა. — უკეთესია, მისამართი რომ არ ვიცი. რაკი არ ვნახავ, ეს ორი კოშმარული საღამოც უფრო ილაღ გაქრება და ამოვარდება მეხსიერებიდან. მაშინ მაკასაც შევხვ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ წაკასწარი საკუთარ თავს. მე არაფერი ვიცოდი და თურმე რა ხანია გადაწყვეტილი მქონია, არც დღეს და არც ხვალ მაკას არ შევხვედრდიდი. გონებას თურმე უჩემოდ გაუანალიზებია ყველაფერი, კარგად აუწონ-დაწონია და იმ დასკვნამდე მისულა, რომ საერო იყო ორი დღე შემეცალა, რათა გუშინდელი მტკივნეული და, როგორც ახლა მეჩვენებოდა, თითქმის ფანტასტიკური თავგადასავალის შთაბეჭდილება ცოტა განელებულიყო და მაკას ჩემს სახეზე, ჩემს საქციელში, ჩემს ლაპარაკში საეჭვო არაფერი შეემჩნია.

გუნება მომეშალა და სულში კი არა, სადღაც სხეულში უცნაური ზიზღი დამებადა; კაცს რომ მთლიანად გასაღილებენ და მერე ღიმილით გეტყვიან, ასე გემრიელად რომ შეექცეოდი, კატის ჩახოხბილი იყოო.

ოთახიდან გამოსულს დეიდა მარიამი ისევ სამზარეულოში დამხვდა. მის დანახვაზე მექანიკურად გამიღეცა ფიქრმა: „არც მისამართი დატოვა, არც ტელეფონის ნომერი დატოვა, არც არაფერი დაიბარა?“

ქუჩაში, სანამ გაჩერებას მივაღწევდი და ავტობუსში ავიდოდი, მთელი გზა ირინეზე, მაკაზე და გუშინდელ თავგადასავალზე ვფიქრობდი და ყოველნაირად ვცდილობდი თავის მოტყუებას.

ბიოლოგიური კანონი ისეთივე ყოველისმომცველია, როგორც ფიზიკური. და როგორც ბიზიდულობას ვერ დაძლევ, ისე ვერ დაძლევ ენებათაღელვას.

ორი დღე მარტო დარჩი ასეთ ქალთან... მკვრივი სხეული, ჩამოსხმული. ენებიანი თვალები. გამომწვევი და გამაბრუებელი... კი პირველად მე მოვხვიე ხელი. მერე რა? ბარძაყი მედებდა, სუნთქვა მესმოდა. ჩქარი, ცხელი სუნთქვა. მართლა მატრიარქატი ხომ არ არის! გამომწვევი საქციელი, გამომწვევი ლაპარაკი. კაცი ცვლდანი უნდა იყო, რომ... ბოლოს ხომ მე ღაენიე უკან. დიახაც, მე დავიხე! მისი „მეძინესა“ და „წადი“ უბრალო პირველულობა იყო! დედალი რომ ყასიდან გაფრინდის მამალს. მაგრამ მე თავი ისე დავიჭირე, ეითომ ვერ მიეხვდი, თუ ეს უბრალო პირველულობა იყო, და, როგორც კი მიზეზი ეიმოვე, უკან დავეხე.

ამასობაში გაჩერებას მივაღწიე და ავტობუსში ავედი. ერთბაშად ვიგრძენი, რომ ძალიან სწრაფად მიველი: ტანზე ოფლი მქონდა და ძმიმედ ვსუნთქავდი.

თავის მოტყუება, ცხადია, წყლის ნაყვაა. სიმართლე შეგიძლია გვემო, ხაროში ჩაადგო და ზემოდან მიწა გადააყარო. ან არადა, ლაკი წაუსვა, ვერცხლის წყალში ამოავლო, ლამაზ, ქათქათა ტყუილში გაახვიო. მაგრამ მოკვლით ვერ მოკლავ. სუნთქვას ვერ შეუკრავ. სიმართლის სუნთქვა მაინც გესმის. ცდილობ. ყური არ ათხოვო და მაინც გესმის. როგორც საათის წიკწიკი სამარისებურ სიჩუმეში.

ეს ყველაფერი ვიცოდი, როცა თავს ვიტყუებდი. ვიცოდი, წყალს ვხაავდი. და მაინც განვაგრძობდი წყლის ნაყვას. ასეთია კაცის ბუნება.

მაკას დაბრუნების ჟამს უკვე ჩვენს ასახვევთან ვიყავი. მაგრამ ავტობუსის გაჩერებასთან არ დავლოდებივარ, ინსტიტუტს ვავეევი და ფარლეულის მაღაზიაში შევედი.

ყურპატრუნა გამყიდველი კიდევ უფრო გაქაჩლებული და ცოტა გამხდარიც მეჩვენა. დახლთან იდგა და სოფლური შესახედაობის ქალსა და კაცს, რომლებიც, ეტყობა, ცოლი და ქმარი უნდა ყოფილიყო, თავგამოდებით უქებდა მოყვითალო ფერის ბუკლეს პიჯაკს. მე რომ შევედი, ცალი თვალით გამომხედა და ამის შემდეგ ცდილობდა მხედველობის არედან არ დავეკარგე. ქმარი, გრუზთმიანი, სახეგარუჯული მაბაკაცი, ისეთი ნაძალადევი გულმოდგინებით ათვალიერებდა პიჯაკს და ისე სულელურად ეხებოდა დროდადრო

ცალი თითით, რომ ეტყობა ტანსაცმლის ბეგრი არაფერი გაეგებოდა. ყურპარტყუნა გამყიდველი კი ენად იყო გაჯრეფილი და ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა. ბოლოს ცოლმა უთხრა ქმარს, გაისინჯეო. ამ უკანასკნელმაც, თითქოს განკარგულებას ელოდაო, სწრაფად გაიხადა თავისი ბამბის ქურთუკი და ის პიჯაკი ჩაიცვა.

ავტობუსი გაჩერდა.

პიჯაკი ბეჭებში აშკარად ვიწრო ჰქონდა.

მაკა გამოჩნდა.

ყურპარტყუნა გამყიდველმა უთხრა, პირდაპირ შენს ტანზეა შეკერილიო.

მაკა ჩამოვიდა.

მე, ყოველი შემთხვევისათვის, კაცს ამოვეფარე და ისე დავუწყე თვალთვალი.

ცოლი ირგვლივ უვლიდა ქმარს, როგორც საახალწლო ნაძვის ხეს, და პიჯაკს გულმოდგინედ აკვირდებოდა.

მაკა შეჩერდა და მიმოიხედა. გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა.

კაცი თითს უსვამდა პიჯაკს და ამაოდ ცდილობდა, რამე მონაწილეობა მიეღო შეფასებაში.

ყურპარტყუნა შეუსვენებლივ ლაპარაკობდა და ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა.

მაკას ჯიმპრი ეცვა და ყელი თითქმის მთლიანად დაფარული ჰქონდა.

ქალმა თქვა, არა უშავს რა, ავიღოთო.

მაკამ კიდევ ერთხელ მიმოიხედა, მერე შეტრიალდა და აღმართს აუყვა.

მე მაღაზიიდან გამოვედი და ჩუმად ავედევნე უკან.

მოშორებით მიეყვებოდი და გამვლელებს ვეფარებოდი.

მაკამ გზაჯვარედინს მიაღწია, შეჩერდა და მოიხედა.

ჩემს წინ ერთი ძალიან სრული ქალი მიდიოდა, ხელში კარტოფილით სავსე ბადე ეჭირა და ხვნეშოდა.

მე სწრაფად ამოვეფარე იმ ქალს.

მაკამ ახლა ჩემს გზას გახედა. მერე კიდევ ერთხელ მოიხედა და თავისი სახლისკენ შეუხვია.

სვედა შემომაწვა და სხეულში ისეთი სიცარიელე ვიგრძენი, თითქოს გულ-ღვიძლი ამომართვესო.

გზაჯვარედინთან რომ მივედი, კუთხეში შევჩერდი და ცოტა შევიცადე.

მერე გზაჯვარედინზე გავედი.

მაკა აღარ ჩანდა.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც მოვიპარე და ახლა იღლიაში ამოჩრილი ჩუმად მიმქონდა სახლში.

მეცნიერებას არა სჯერა, თითქოს ღმერთს თიხისაგან გამოეძერწოს ადამი და მერე სული შთაებეროს.

იქნებ ეს ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა მეცნიერება არ ცდება.

იმიტომ, რომ შეუძლებელია ყველანი თიხისაგან ვიყოთ გამოძერწილი. თიხა საამისოდ მეტისმეტად ბუნებრივი მასალაა.

კაცი, რომელიც ფართლეულის მაღაზიაში მალავს თავის სირცხვილს და მერე უჩუმრად აედევნება უკან მაკას, უფრო პლასტილინისაგან უნდა იყოს გამოძერწილი.

ხოლო თვითონ მაკა...

მეორე დღესაც მაღაზიაში ჩავუსაფრდი და მერე გამოვლელებს ამოფარებული გავყევი უკან.

აღმართის ერთი მესამედი გავიარე.

მაკამ უკვე შუა აღმართს მიატანა.

უეცრად თავში ელვასავით იფეთქა ზარმა და მე მიეხვდი...

ეს არც ეჭვი იყო, არც ვარაუდი.

ეს მიხვედრა იყო. ცხადი, ნათელი, გარდაუვალი. თითქოს ერთხელ უკვე მენახოს და ახლა უბრალოდ ვიდეოჩანაწერს ვუყურებდი.

მე მიეხვდი, რომ გზაჯვარედინს რომ მიაღწევდა, მაკა არ შეჩერდებოდა. არ მიიხედ-მოიხედავდა, ერთს არ შეყოყმანდებოდა. აი, ასეთი, რბილი, იმედიანი, თანაბარი ნაბიჯით, როგორც ახლა მიდიოდა, გაუხვევდა მარჯვნივ და პირდაპირ ჩემი ბუნაგისაკენ გა'წევდა.

უბრალოდ, ბუნებრივად.

მხოლოდ მაკას შეეძლო ასე მოქცეულიყო.

სხეულში რაღაც მძლავრმა ტალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამ დამიარა. ნაბიჯს ავუჩქარე. წამოვეწიე.

— მაკა!

მაკა ფიცხლად შემოტრიალდა.

როგორ გაეხარდა ჩემი დანახვა!

ნაბიჯი სწრაფად გადმოდგა. ორივე ხელი ტკლავში ჩამავლო. ისეთი მოძრაობა ჰქონდა, თითქოს უნდა მომხვეოდა და ბოლო წამს შეიკავა თავი. გაბრწყინვებული თვალები შემომანათა. აწკარად დავინახე, როგორ თრთოდა და როგორ ცეკვავდა ბაგეებზე ღიმილი. რაღაც იყო ამ ღიმილში საოცრად ბავშვური, საოცრად ნათელი და ხელუხლებელი.

აპრილის დილა მინახავს ასეთი მთაში. ღრმა ძილიდან ერთბაშად რომ გამოიღვიძებ და ლუჯრ ცას დაინახავ. მოწმენდილს, კამკამასა და ღრმას. მზე ჯერ არ ამოწვერილა, მაგრამ აღმოსავლეთით, ჰორიზონტთან უკვე ფეთქავენ და იცინინან პირველი სხივები. და სადღაც სამყაროს სიღრმიდან მომავალი ჰარმონია უხლავი ძალით ავსებს შენს სხეულს. შენ მთელი არსებით გრძნობ, რომ ამ ჰარმონიის განუყოფელი ნაწილი ხარ და უეცრად უმიზეზო ღიმილით, ნათელი და შეუბღალავი, პირველყოფილი ღიმილით გაუღიმებ ზეცას.

— სად დაიკარგე? — მაკამ ხელები მკლავში მომიჭირა. — ახლა სწორედ შენთან მოვდიოდი. ვიფიქრე. მართლა ავად თუ გახდა-მეთქი. — აქ ცოტა ხანს შეჩერდა და რაღაცნაირი ბავშვურ-მიამიტური კილოთი დაუმატა. — ავად იყავი?

— არა.

— ამა სად დაიკარგე?

„ფართლეულის მაღაზიაში ვიყავი, მაკა, და იქიდან გითვალთვალებდი. არც დღეს დაგენახვებოდ, ჩემს ბუნაგში წასვლა რომ არ დაგეპირებინა“.

— გუშინ საქმეს შევრჩი სამსახურში. ვაუთვალისწინებელი სამუშაო დამიგროვდა.

ჩვენ, ვინც პლატონინისგანა ვართ გამოძერწილი, ყოველ ნაბიჯზე ფეხით ვთელავთ ჩვენსავე სილამაზეს.

იყო დრო, როცა ჩემი სიმდაბლე უნდა გამემხილა მაკასთვის, რომ ურთიერთობა ნათელი და უბორძიკო ყოფილიყო. მე კი გამხელის მაგივრად ძველს ახალიც ზედ დავამატე და ახლა ნიღაბს ვხორცნიდი.

რამდენჯერ მინატრია, ნეტა ადამიანები ერთმანეთის სულს ხედავდნენ და შეუძლებელი იყოს რამეს დამალვა-მეთქი.

მართლა კარგი იქნებოდა.

ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეოდა ყველაფერი.

ან საბოლოოდ დაიღუპებოდა ადამიანი, ან საბოლოოდ გადარჩებოდა.

სანამ შეიძლება ბნელში ფათური? სანამ შეიძლება დანის პირზე სიარული?

მაგრამ გამოსავალს ვერ ვხედავდი. ძალიან ღრმად ჩავეფალი და ახლა აღარ ვიცოდი, როდემდე მომიხდებოდა ჭაობში ტოპვა.

—გუშინ მთელი საღამო შენზე ვფიქრობდი, — გაბტუული კილოთი წაიბუტბუტა მაკამ.

ცოტა სასაცილო იყო. მე მიბრაზდებოდა იმაზე, რომ თავი ვერ შეიკავა და ისეთი რამ თქვა, რისი თქმაც ცხვენოდა.

მაგრამ მე არ გამცინებია. ჩემი სიცრუე თოკივით მჭონდა ყელში წაჭერილი და სიცილის გუნებაზე სულ არ ვიყავი.

მაკა ქვაფენილს დასცქეროდა.

— სემინარი მოუმზადებელი დამრჩა და დღეს ორიანი მივიღე, — ეს რომ თქვა, ნელ-ნელა აწია თავი და სახეში შემომხედა. — მორბოდი?

— ჩქარა მოვდიოდი.

— გუშინ ცოტა ხანს დაგელოდე გაჩერებასთან. დღეს გული მომივიდა და აღარ დაგელოდე. — აქ გაბტუულ მზერაში საოცრად ნათელი შემრიგებლური სხივი გამოჩნდა, თითქოს იმის შეე-

შინდა, ეს „გული მომივიდა“ ძალიან სერიოზულად არ მიმეღო.

სიტყვა მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა საგნის შესახებ. არსი კი მისთვის მიუწვდომელია. ეგრეთწოდებული „ზუსტი“ ეპითეტებისა და შედარებების მთები რომ დავაყენოთ. ამით იმ კაცს დავემკვანებით, რომელიც ფეხით მდიოდა უსასრულობის საძებნელად და დროის მოგების მიზნით ცხენზე შეჯდა. არა. შეუძლებელია სიტყვებით გადმოიცეს ის უცხო განცდა, რომელიც მაკას შემოხედვამ გამოიწვია და რომელმაც ყველა ძარღვი აუზრიალა. კიდევ უფრო შეუძლებელია ის ტკივილი გადმოიცეს სიტყვებით, რომელიც ზოგჯერ ტყვიასავით გამივლის სხეულში მაკას გახსენებაზე. ხანდახან ასე მგონია, სიტყვა სულაც არ არის დამპალის საქმე. არც სიტყვა. არც აზროვნება, არც მეცნიერება, არც ხელოვნება. თითქოს ყოველივე ეს ჩვენი ბუნებიდან არ გამომდინარეობს, თითქოს ოდესღაც სადღაც ვიღაცას დავეკვირდით და ახლა უაზროდ და მექანიკურად ვბაძავთ, როგორც თუთიყუშები და მაიმუნები. როგორც ველურები, რომლებმაც, ელექტროშუქი რომ ნახეს, თიხისგან ნათურები გამოძერწეს, თავიანთ ქოხებში ჭერზე მიამაგრეს, მერე დასხდნენ და გულუბრყვილოდ დაუწყეს ლოდინი, აბა როდის აინთებაო. ხოლო ის „ვიღაცა“, ვისაც ვბაძავთ, ღიმილით გვიყურებს და იმაზე კი არ ეღიმება, რომ ჩვენი გარეკა უაზროა, არამედ იმ სერიოზულობაზე, გულმოდგინეობაზე და თავდაჯერებულობაზე, რომლითაც ამ უაზრო საქმიანობას ვეუბედებით. მაგრამ მე მამშვიდებს ადამიანის უმწეობა, საკუთარი თავის, საკუთარი სისუსტის და, თუ გნებავთ, საკუთარი სიმდაბლის გამართლებას ვპოულობ მასში. რამდენჯერ შევხვედებულვარ უსაქმოდ ტელევიზორების სახელოსნოში. აქ ტელევიზორებს უკანა კედელი მოხსნილი აქვთ. ვდგევარ ხოლმე, ვუყურებ ამ ურიცხვ ნათურებს, ნაირნაირ დეტალებს, რომლებიც ათასი მავთულითაა ერთმანეთზე მიკოწწეწეული. ვუყურებ, მაგრამ ფანტაზიის შინაგანი აგებულება და ვფიქრობ იმაზე, თუ რა მიამიტურად, რა პრიმიტიულად და ამავე დროს რა ბავშვური თავდაჯერებით ცდილობს ადამიანი საკუთარი თავის გამეორებას. და ასეთ წუთებში არაფრით არ მგონია თავი სხვაზე უარესი.

მაპატიეთ. ფიქრებმა გამიტაცა და რამდენ რამეს მივედ-მოვედ! სინამდვილეში კი სულ სხვა მიზანი მქონდა. ჩემი ტკბილი ვითომ ის ინიერი და მფეთქავი ძარღვი მინდოდა მეგრძნობინებინა თქვენთვის, მაკას გულმოსულ კილოს რომ შემოყვა და, გულმოსული არა ვარო. მითხრა. ის სათელი და მოღიმარე სხვი მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის, მაკას გაბუტულ გამოხედვას რომ შემოყვა და გაბუტული არა ვარო, მითხრა.

„როგორვყვარებივარ!როგორვყვარებივარ!როგორვყვარებივარ...“

ერთმანეთს რომ დავშორდით გზაჯვარედინთან და ჩემს გზას გავუყევი. სამაროს ხმაური უცნაურად განივთდა ამ ორ სიტყვაში და როგორც უსასრულო მატარებელი ამ ორ სიტყვად შემოდიოდა ჩემს არსებაში.

„როგორვყვარებივარროგორვყვარებივარროგორვყვარებივარ...“

მერე უეცრად ეს ორი სიტყვა მოწყვეტით შეჩერდა, გვერდზე მიდგა და გზა დაუთმო სხვა სიტყვებს, რომლებიც უცხო სამყაროდან მოკრიდნენ. და ტვინში მძლავრი, შემარყეველი წიძგივით შემოიჭრა:

„საწყალი გოგო“!

და სანამ ტვინი ამ სიტყვების აზრს ჩასწვდებოდა, მთელმა ჩემმა არსებამ გაუცნობიერებელი შეძრწუნებით იგრძნო მკრეხელობა. საშინელი სიტყვები ეკალივით გამოიძრო ტვინიდან და შორს მოისროლა. თავდაცვის ინსტინქტი ზღუდედ აღიმართა ჩემს ირგვლივ. საშინელი სიტყვები გარს მივლიდნენ და ხვრელს ეძებდნენ. მე კი ამას ვცდილობდი სხვა ფიქრს ჩავეფიდებო-

დი და ამით დამეხსნა თავი მათი აბეზარი შემოტევისაგან. როგორც იქნა. ისევ მივაგენი შეშინებულსა და სადღაც კუთხეში მიყუჟულ სიტყვებს — „როგორ ვყვარებივარ“, ხელი ჩავავლე და აღარ გავუშვი. მაშინ ის საშინელი სიტყვები საბოლოოდ ჩამომცილდნენ, თუმცა ერთ ტკივილი კი დამიტოვეს, როგორც ამოძრობილი ეკალი გვიტოვებს ერთ ტკივილს ფეხის გულში.

„როგორ ვყვარებივარ როგორ ვყვარებივარ როგორ ვყვარებივარ“.

როდესაც ეს თითქმის გაუცნობიერებელი, მაგრამ საოცრად მომქანცველი ბრძოლა მოვთავე, ერთბაშად საცსებით საღი, სავსებით გონებისმიერი და ლოგიკური კითხვა დამებადა.

„რამ შეაყვარა მაკას ჩემი თავი?“

მიუხედავად მთელი თავისი ბუნებრიობისა, ეს კითხვა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თითქოს კედელს დავეჯახე, მოწყვეტით შეეჩერდი და გაუგებარი გაკვირვებით მიმოვიხედე.

რამ შეაყვარა მაკას ჩემი თავი, რამ?

მაკა ეზის ასული იყო. სამყაროს შემაკავშირებელი ძაფი. ჰარმონიის საყრდენი.

მაკა. თხელი და სწორი მხრები. ყელი თლილი და ოდნავ არარეალისტური. ბრიალა თვალები, საოცარი გამოხედვა.

და ღიმილი. ღიმილი, ღიმილი. ღიმილი. სიკეთესავით თბილი. სილამაზესავით მოუხელთებელი.

მე ერთი უფერული კაცი ვარ. უხეში, უნიათო, ლატაკი.

გარეგნულად ისეთს არაფერს წარმოვადგენ, რომ ჩემს დანახვაზე ქალები ოხრავდნენ და გული მისდიოდეთ. მართალია, არის კომიკური შემთხვევები. რიცა ჩემი თავი სიმპათიური მგონია. მაგრამ ამის გამო ნუ დამძრახავთ. რა ვუყოთ! ჩემზე უარესებსაც მოსდით ასეთი რამ. ყოველთვის ვერ შეინარჩუნებ ზომიერების გრძნობას. სამაგიეროდ უმრავლეს შემთხვევაში მიუკრძოებელი მსაჯულის თვალით ვუყურებ ჩემს თავს. ზუსტად მეზიზღება კიდეც. ვაკვირდები სარკეში და მეზიზღება. ვიტი. გამომეტყველება წყალწყალა ეჭიქებ მაქვს. სახის წყობა უხეში, დაუნდობელი. განსაკუთრებით ტუჩები და ყურის ბიბილოები მაღიზიანებს. თითქოსდა, მაინცდამაინც გამაღიზიანებელი აქ არაფერი უნდა იყოს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს საგვარეულოში ყველას ასეთი ტუჩები და ბიბილოები გვაქვს. ხოლო რაკი ჩემს საგვარეულოს ბალიან კარგად ვიცნობ, იმის საფუძველიც მაქვს, რომ ამ მსგავსებამ გამაღიზიანებელი და გულისმომკვლელი ფიქრები ამიშალოს. ცოდვა გამხელილი სჯობსო, ტუჩებსა და ყურის ბიბილოებზე არაერთხელ დავფიქრებულვარ და ვერასოდეს ვერ გავიქეცი იმ აზრს, რომ ეს გარეგნული მსგავსება გარდაუვალი ერთიანობის საბუთია. და რომ მე უმტკიცესი ჯაჭვითა ვარ გადაბმული ჩემს საგვარეულოსთან და მისი არსებობის ფარგლებს ვერას ვზით ვერ გავცდები. როგორც შადრევანი ვერ მოწყდება წყალს. რაოდენ დიდ სიმაღლეზეც არ უნდა ავარდეს, ბოლოს მაინც ხელცარიელი უნდა დაეშვას ქვეშოთ, რადგან იგი წყლის განუყოფელი ნაწილია და დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია.

ერთი სიტყვით, ჩემი გარეგნობა მაკას ვერ მოხიბლავდა. ხოლო თუ ადამიანი გარეგანის და შინაგანის ერთიანობაა და სხვა არაფერი ურევია, მაშინ ვერც ეს ერთიანობა მოხიბლავდა.

„მაშ, რამ შეაყვარ მაკას ჩემი თავი?“ და უცებ გავიფიქრე:

„ირინეს“?

რა ირინეს? ირინეს არც ვუყვარვარ. უბარალოდ, უფრო მეტი კონიაკი დალია, ვიდრე მოერეოდა, და ჩემს მეტი ახლომახლო არავინ ჰყავდა.

სანამ „უფრო მეტ კონიაკს დალევდა, ვიდრე მოერეოდა“, მანამ როგორღა იქცეოდა? არ იძლეოდა საბაბს? არ იყო გამომწვევი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო! მაშ, ასე უკვალოდ რაღად გაქრა? რატომ არაფერი დაიბარა?

არა. ირინეს საკითხი გაურკვეველი იყო.

მაგრამ სიყვარულზე მაინც არ შეიძლებოდა ლაპარაკი. ეს სიყვარულს არ ჰგავდა.

ჰმ!..

სიყვარულს არ ჰგავდა-მეთქი, ისე თამამად და რიხით ვაცხადებ, თითქოს საკუთარი ხუთი თითივით ვიცი, სიყვარული რა არის.

სინამდვილეში, ალბათ, ამის თქმა მინდოდა, რომ ირინე არ ჰგავდა მაკას. ირინეს შემოხედვა არ ჰგავდა მაკას შემოხედვას. ირინეს ღიმილი არ ჰგავდა მაკას ღიმილს. ირინეს მიზიდულობა არ ჰგავდა მაკას მიზიდულობას. ხოლო რომელი იყო მათგან სიყვარული, ან იყო თუ არა რომელიმე მათგანი სიყვარული, ამის დადგენა შეუძლებელია.

უცებ ირგვლივ ბურუსი ჩამოწვა. ცა მოიქუფრა, შავი ღრუბლები გადაიკრა და ქალაქი ბურუსში ჩაიძირა. ჯერ კიდევ დღის სული იყო, ექვს საათზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ ისე ჩამობნელდა, რომ ქუჩის პირას სახლები ჩრდილებივით მოჩანდნენ, მანქანები ანთებული ფარებით მიმდიოდნენ და გაბმულად, ყურთასმენის წაღებად კიოდნენ.

მე ვიდექი ტროტუარზე და სადღაც სხვა სივრცეში, სადაც ბურუსი არ იყო, დავინახე ირინე და მაკა. ერთად იდგნენ, გვერდგვერდ. მე ვიცოდი, რომ ერთი მაკა იყო, მეორე — ირინე, თან მიკვირდა, საიდან ვიცი-მეთქი, რადგან არც მაკა ჰგავდა მაკას და არც ირინე ჰგავდა ირინეს. მე ვუყურებდი და ვატყობდი, რომ ახლა ორივენი გაიფანტებოდნენ და იმ უცნობ სივრცეს შეერეოდნენ, რომელშიც იდგნენ, და სანამ იმ უცნობ სივრცეს შეერეოდნენ, რომელშიც იდგნენ, მანამ რაღაც უცხო სხეულად განივთდებოდნენ, და სანამ რაღაც უცხო სხეულად განივთდებოდნენ, მანამ დავინახე რომ უცხო სხეულად განივთდნენ, და მაკა იყო აყვავებული გაზაფხული და ირინე იყო დახუნძლული შემოდგომა...

და სანამ ხილვა გაქრებოდა, მანამ სახეზე სისველე ვიგრძენი და ხილვა ამის გამო გაქრა...

ხელი წინ გავიწოდე, ბურუსში.

ხელზეც ვიგრძენი სისველე.

მანქანამ რომ ჩამოიარა, ანთებული ფარის შუქს გავაყოლე თვალი.

ცრიდა.

ბურუსი იდგა და ცრიდა.

წვრილად, წვრილად, როგორც მთაში იცის ხოლმე.

რატომღაც მტევნებით დამძიმებული ვაზი გამახსენდა და სულში საიდანღაც უცხო სიხარული შემოიჭრა.

თავი უკან გადავიგდე და პაწაწკინტელა წვეთებს სახე შევუშვირე.

ჩემს ბავშვობაში მრავლად მახსოვს ასეთი დღე და ასეთი ამინდი.

როცა სოფელი ნისლში იყო გახვეული და ჟინჟღლავდა.

წეღანდელმა უცხო სიხარულმა ისევ დაბიარა სხეულში და მივხვდი, რომ ეს არსებობის სიხარული იყო. პირველყოფილი და გაუცნობიერებელი.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ბოლომდე შეგნებული, თუ რა მკვიდრი კავშირითა ვართ დაკავშირებული ამინდთან, რა გარდაუვალი დამოკიდებულებითა ვართ დამოკიდებული ბუნებაზე.

უცხო სიხარულმა ენერგიით ამავსო. ფეხქვეშ სიმყარე ვიგრძენი. ძალა მომემატა. ჩემდაუნებურად წელში გავიმართე.

ირგვლივ ბურუსი იწვა და წვიმა წვრილად ცრიდა. მე აუჩქარებლად მივდიოდი და არაფერზე არ ვფიქრობდი. ეს იყო მხოლოდ, რომ საკუთარი ნაბიჯების სიმტკიცე გავკვირვებოდ მსუბუქ ბიძგებად შემოდიოდა სხეულში.

იმ საღამოს მე და მაკა გვიანობამდე დავხეტიალობდით ქალაქის ქუჩებში. მაკამ მითხრა, წვიმაში სიარული მიყვარსო. წვიმა კი ისე წვრილად ცრიდა, თითო წვეთი რომ ათას ნაწილად დაშალო.

ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაკას მხარი დროდადრო მკლავზე მეხებოდა.

რა ვილაპარაკეთ, სრულებით არ მახსოვს. არც ერთი სიტყვა. მარტო ის მახსოვს, მხარი რომ მეხებოდა მკლავზე და კიდევ ის, ცერად რომ გამომხედავდა ხანდახან.

იმ ღამეს ირინე მესიმზრა. დეიდა მარიამის საწოლზე იყო ჩამომჯდარი. მე მის პირდაპირ ვიჯექი სკამზე. ფეხი ფეზზე მქონდა შემოდებული და მოლოდინის თვალით ვუყურებდი. ირინე ოდნავ წაიხარა, ჯემპრი სწრაფად გადაიძრო და შემომხედა. „აჰა! — მითხრა— გავიხადე“. მე ნერწყვი გადავყლაპე. ირინემ ბეჭები გაბერთა, მაღალი მკერდი უფრო გამოებერცა და ძუძუს თავები პერანგს მოაწვნენ. მე თვალები გმინფართოვდა და კიდევ გადავყლაპე ნერწყვი. ამ დროს ზურგსუკან ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი. შეეკრთი. შიშისა და სირცხვილის გრძნობამ მთელ სხეულში დამიარა და გულმუცელი ამიწვა. ნუთუ დეიდა მარიამი წაგვადგა თავს, შეძრწუნებულმა გავიფიქრე. მოვეკუნტე და გავიტრუნე. მერე, როგორც იქნა, გავბედე და ნელ-ნელა მივაბრუნე თავი. იქ არავინ იდგა. ამან კიდევ უფრო გამაკვირვა და კიდევ უფრო შემაშფოთა. სწრაფად წამოვდექი, მიმოვიხედე. არავინ ჩანდა. ისე დაკიბენი, რომ მაგიდის ქვეშ დავუფუძებენ. ბოლოს, საწოლქვეშაც რომ უნდა შემეხედა, უცებ გამახსენდა, რომ აღარც ირინე იყო ოთახში. პანიკურმა შიშმა მომიცვა. კარი გავაღე და ოთახიდან გამოვვარდი... ირინე სამზარეულოში დამხვდა. მე რომ შეკედი, სწორედ იმ დროს ფაიფურის ქოთანი გაზქურიდან ორივე ხელით აიღო და მაგიდაზე დადგა. „ნახე, რა დამემართა!“

— მითხრა და ხელი ქოთნისაკენ გაიშვირა. წელს ზემოთ პერანგისამარა იყო. „რა მოხდა?“ ვკითხე მე. „წვენის მაგვრად მარიამ შემომდგამს გაზზე. შეხედე. რა მოსვლია!“ მე ქოთანში ჩავიხედე. მარიამ მუქ ყავისფერ მასად გადაქცეულიყო. „დამწვარ შაქარს უფრო ჰგავს, ვიდრე დამწვარ მარილს“. „ასე იცის, რომ დაიწვება“. „წამო, ნანას გიმღერებ.“ — ვუთხარი მე და საკუთარი თავი შემეზიზღა იმის გამო, რომ ეს ვუთხარი, და იმის გამო, რომ ასეთი ჩავარდნილი და მოგუდული ხმა მქონდა. „იცი სიმღერა?“ „რატომაც არ ვიცი, იიივ, ნანაა, ვაარდო, ნანაააა.“ ხმა ჩახრინწული მქონდა, სმენა — უყალბესი. სიმღერა-სიმღერით მიეუახლოვდი, თავი დავუკარი და საცეკვაოდ გამოვიწვიე. ისიც გამოძყვა და ასე „იავნანას“ ყალბი აკომპანემენტით დავიწყეთ ვალსის ცეკვა.

ღამის ოთხი საათი იყო, რომ გამეღვიძა. მერე აღარც დამძინებია. შამფურივით ვტრიალებდი ლოგინში, სანამ გათენდა და ადგომის დრო მოვიდა.

დეიდა მარიამი იმ დილითაც გამიმასპინძლდა საუზმით.

ლორი დამიბერა, ერბო-კვერცხი შემიწვა, ჩაი ამიდუღა.

— ასე რატომ მივლით, დეიდა მარიამ?

— შეგეჩვიე, მიხარია, მარტო რომ არა ვარ.

— ირინემაც დამპატიჟა საუზმეზე. სადილზეც. რა დიასახლისი ყოფილა! ისეთი კერძები გააკეთა, თითები ჩავიკვნიტე.

— ირინეს რა უჭირს, ახალგაზრდაა,

— უადგილოდ მიპასუხა დეიდა მარიამმა.

— მით უმეტეს. უფრო ნაკლები გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

— ახალგაზრდებს გამოცდილება რაში სჭირდებათ. გამოცდილება მოხუცს უნდა, იმიტომ რომ ახალგაზრდა აღარ არის.

— მარტო ახალგაზრდობა რას კმარა! ახალგაზრდობას სილამაზე უნდა უმაგრებდეს ზურგს... თუმცა, კაცმა რომ თქვას, ირინეს არც სილამაზე აკლია.

ვგრძნობდი, რომ ირინეზე ლაპარაკი სირცხვილნარევ სიამოვნებას მგვრიდა.

ჯემალ ქარჩხაძე
მ ო ბ ა მ ბ ი ო

სასწრაფოდ რამე გადამჭრელი ზომები უნდა მიმეღო, თორემ შეიძლებოდა ისე ღრმად შემეტოპა, უკან ვეღარ გამოვსულიყავი.

მაშინ გუშინდელი ცრიაგი დღე გავიხსენე. ნისლი, ქინქაფა. სიგრილე. ამ გახსენებამ უცხო სიხარულის მიძინებული ჩრდილი გაალვიძა და ზეზე წამოვდექი.

— მორჩი? — შემომხედა დეიდა მარიამმა.

— კი. ძალიან გემრიელი იყო. დიდი მადლობა.

— რისი მადლობა, შვილო!

ხელახლა რომ გამოვედი სამზარეულოში, ამჯერად უკვე ჩაცმული და წასასვლელად გამზადებული, დეიდა მარიამმა მკითხა (ჭურჭელს რეცხავდა, ჩემკენ არც მოუხედავს):

— მანქანით იყო ირინე?

— რა მანქანით?

— თავისი მანქანით.

— ირინეს მანქანა აქვს?

— უმანქანოდ ყოფილა.

დეიდა მარიამი ჭურჭლის რეცხვას განაგრძობდა და ეტყობოდა, სრულებით არ აინტერესებდა ის, რასაც ლაპარაკობდა.

მე მის კეფას მივაჩერდი და წამით შევყოყმანდი.

— არაფერი დაუბარებია წასვლის წინ?

იმავ წამს გამახსენდა, რომ ეს გუშინ ვკითხე.

— რა უნდა დაებარებია? — დეიდა მარიამი ნელა მოტრიალდა და შემომხედა.

— რა ვიცი, ისე.

— არა, — უკანვე შეტრიალდა და ჭურჭლის რეცხვა განაგრძო.

მე ერთხანს კიდევ ვუყურე, მაგრამ მოსმართი მაინც არ ვკითხე. ვიცოდი, რამდენიმე დღეს თუ გავქლებდი, გადავრჩებოდი.

საღამოს მე და მაკა კინოში ვიყავით. ფილმი რომ დამთავრდა და გარეთ გამოვედით, ჯიბიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოვაცოცე, ზურგსუკან დავმალე და მაკას ქურდულად გავხედე.

— ერთი აღსარება უნდა გითხრა.

მაკამ შემომხედა, მიყურა, მიყურა და თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები აუკიაფდა.

— რაღაც ძალიან დაგიგროვდა აღსარებები. — მკლავში ხელი გამომდო და წავედით. მცირე პაუზის შემდეგ თავისებურად გამომხედა. — გისმენ.

მე ზურგსუკან დამალული სიგარეტი გამოვაჩინე, დავანახვე და დამნაშავე ბოწაფის სახე მივიღე.

— ისევ დავიწყე.

— რა დაიწყე? — მაკას თვალებში ჩემთვის გაუგებარი გაკვირვება გამოკრთა.

— მოწევა. ნებისყოფა არ მეყო.

მაკა შერცხდა და მთელი ტანით მოტრიალდა ჩემკენ. თვალებში ისევ წეღანდელი გაკვირვება ედგა.

— რაღაც ამბავია შენს თავს.

ცოტა დავიბენი.

— რა ამბავი უნდა იყოს! მეგონა, გადავეჩვევი-მეთქი და ვერ გადავეჩვიე. არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი. მარკ ტვენმა თქვა...

— გუშინ საღამოს არ იყო, თავი რომ მოიკალი სიგარეტის წევით და მთელი ქალაქი ნამწვებით აავსე? ახლა თავიდან მეუბნები აღსარებას?

ჯერ სახტად დავრჩი. მერე გამომცდელად შევხედე, ხომ არაფერს ეშმაკობს-მეთქი.

არა. არ ეშმაკობდა.

მე კი პატარა სიტყვაც მოვამზადე თავის გასამართლებლად.

ეტყობა, სულელური სახე მქონდა. მაკას თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა. მერე ეს ღიმილი ტუჩებსა და მთელ სახეს გადაედო.

— რას მიყურებ? ასანთი არა გაქვს?

— ასანთი კი მაქვს... მაგრამ.. — მაკა ღიმილით მიყურებდა. მე სიგარეტი ავანთე, გავაბოლე და უცებ გამეცინა. — გუშინდელი დღე სულ არ მახსოვს. არც ის მახსოვს, სად ვიარეთ. არც ის მახსოვს, რა ვილაპარაკეთ. არც ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, თუ ვეწეოდი .— აქ ისევ გამეცინა. — პატარა თავის გასამართლებელი სიტყვაც კი მოვამზადე, სანამ კინოში ვისხედით.

მაკასაც გაეცინა.

— მარკ ტვენმა თქვა, პაპიროსის თავის დანებებას რა უნდა, ათასჯერ მაინც დამინებებია თავიო.

— იცი?

— ვიცი? გუშინ არ მითხარი?! ეტყობა, ისევ ის სიტყვა მოამზადე.

ამასობაში ავტობუსში ავედით. ავტობუსი სავსე იყო ხალხით. ამიტომ წყნარად ვიდექით, არ ვლაპარაკობდით. მარტო ვიღიმებოდით, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხედებოდა.

ჩვენს გაჩერებაზე რომ ჩამოვედით და აღმართს შევუყევით, მკითხა:

— მართლა არაფერი გახსოვს?

— არაფერი, სრულიად არაფერი.

— არც რობობტების თეორია?

— რა რობობტების თეორია?

— საკვირველია...

— არც ისე. მედიცინის ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა დროის მთელი მონაკვეთი ამოვარდება გონებიდან და მეხსიერებაში ვაკუუმი იქმნება.

— საკვირველია... — მაკა ჩაფიქრებული იყო და ჩემი შენიშვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია. — მთელი საღამო სიგარეტს ეწეოდი და რაღაც არაბუნებრივი გააფთრებით ამტკიცებდი, ადამიანი ღმერთმა შექმნაო.

— მაგას ბიბლია ამტკიცებს.

— ჰო, ბიბლია ამტკიცებს. შენ კვერს უკრავდი. კვერს კი არ უკრავდი, ყვიროდი, — ეს რომ თქვა, თავისებური ღიმილით გამობედდა, შიგ რომ ეშმაკობაც ერია და ლმობიერებაც.

მე უცებ, არ ვიცი რა ასოციაციის მეშვეობით, მკაფიოდ და მტკივნეულად გამახსენდა, ამასწინათ რომ ირინეს ყრუ და ჩავარდნილი ხმით ვუთხარი, ნანას გიმღერებ-მეთქი.

ამ გახსენებაზე ოფლმა დამასხა.

— რომ არ გახსოვს, კარგია, მაგრამ, ხომ შეიძლება სხვა დროს ხელახლა თქვა, როგორც თავის გასამართლებელი სიტყვის თქმას აპირებდა.

ჩვენ უკვე ეზაჯვარედინზე ვიყავით.

— ასე როგორ დაგამახსოვრდა? — ვეკადე მხნე კილოთი მეკითხა.

— ხშირ-ხშირად მიმეორებდი, — მაკამ გაიღიმა და, რაკი გაწშორების დრო იყო, დაუმატა — ხვალ შაბათია.

— ვიცი.

— ექვს საათზე ვართ დაპატიჟებული.

— ექვსის ნახევარზე აქ შევხვდეთ ერთმანეთს.

— კარგი. ამა წავედი. — უცებ მთელი ტანით შემოტრიალდა ჩემკენ, ხელი მკლავში მოკიდა, თვალებში შემომხედა, მერე სადღაც ჩემს მხარს ზემოთ მიიჩერდა სივრცეს. — რაც გუშინ თქვი, ტყუილი იყო, — ნელა ლაპარაკობდა, მშვიდად, თითქოს სიტყვებს ეძებდა და თან ცოტა ეეჭვებოდა კიდეც. — ტყუილი იყო... თუ ვინიცობისაა მართლა დაამტკიცო, თუ ვინიცობისაა საამისო ყველა საბუთი მოიძიო, აიღე ეგ საბუთები და ცეცხლში ჩაყარე... რად გინდა ასეთი მეცნიერება... იმედი არა სჯობს მეცნიერებას?.

შაბათი დღე თქვენით დაიწყო. დილით წყლის ჩხრიალმა გამაღვიძა. მეგონა დეიდა მარიამს ონკანი აქვს-მეთქი ღია სამზარეულოში. გავიხედე ფანჯარაში, კოკისპირულად წვიმდა. სანამ სამსახურში წავიდოდი, დიდხანს ვიდექი სადარბაზოს კართან, იქნებ ცოტა გადაიკაროს-მეთქი. გადაიკარა კი არა, უფრო და უფრო უმატებდა. კიდევ კარგი, ვიღაც ქრისტიანმა მადლი მოისხა და მანქანა გამიჩერა.

ნაშუადღევს გადაიღო. მაგრამ ცა ისევ მოქუფრული იყო. ერთი პირობა კი გამოიყენეს მზემ ცალი თვალით ღრუბელსა და ღრუბელს შორის, მაგრამ მაშინვე ისევ მიიმალა. ეტყობა, აბ მოეწონა ქვეყნიერების სახე.

წამოვედი სამსახურიდან, ბაზარში

ჯემალ ჭარჩავაძე
ვდგგმური

გამოვიარე და მიხაკები ვიყიდე. დიდ-დიდი მიხაკები, წითელი, ცეცხლივით ბდღვრიალა. შეგიხვიო თუ ისე წაიღებო, გამყიდველმა მკითხა. შუახნის კაცი იყო, შავგვრემანი, ულვაშა. თავზე კახური ქუდი ეხურა და შენობით მელაპარაკებოდა. შემიხვიეთ-მეთქი, ვუთხარი. შემიხვია გაზეთში და მშვიდობაში მოიხმარეო, ლოცვა გამომაყოლა.

ექვსის ნახევარზე ჩვენს გზაჯვარედინზე ვიდექი. საცა იყო ცა ისევ მოიხსნდა პირს და ღვართქაფი წამოვიდოდა.

მე მაკას სახლისკენ ვიცქირებოდი. მაკა კი ქვემოდან ამოვიდა და მხარზე დამადო ხელი.

— მოვედი.

მე შეკართი და შემოტტრიალდი.

— მე მეგონა, სახლიდან მოხვიდოდი.

— ეს რა არის?

— მიხაკები. — თავი გადავუხსენი და დავანახვე. — აი!

— ვაი, რა კარგი მიხაკებია! როგორ გაეხარდება ნინელს!

— უყვარს მიხაკები?

— მიხაკები ვის არ უყვარს!.. იცი, მე ამაღამ ნინელისთან უნდა დავრჩე.

— რატომ?

— უნდა მივეხმარო. ახლაც იქიდან მოკდივარ. მთელი დღე იქ ვიყავი.

— ლექციები?

— გავიპარე. მომზადებაში ვეხმარებოდი. ღამე ალაგებაში და დარეცხვაში უნდა მივეხმარო. ახლა შენი გულისთვის წამოვედი.

— იცი?

— რა?

— მიხმარება. მომზადებაში, ალაგებაში და დარეცხვაში.

— ვითომ რატომ არ ვიცი! გასინჯე და ნახე თუ არ ვიცი. ბადრიჯნის საცივია ჩემი გაკეთებული და მხალეული. წამო. ვიჩქაროთ, თორემ სადაცაა წვიმა დაუშვებს. ვაი, რა კარგი მიხაკები გიყიდია!

ნინელის ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა.

სუფრა ვრცელ, წთელ ოთახში გაეშალათ. მაღალ ჭერზე დიდი ჭაღი ეკიდა და ჩახჩახებდა. ჭაღების ბევრ ფერი გამეგება, მაგრამ შესახედაობა დიდებული ჰქონდა და, მე მგონია, საკმაოდ ძვირიც ეღირებოდა. ეს გაჩახჩახებული ჭაღი, ღია ცისფრად შეღებილი კედლებიდან ახლოებილი შუქით, ქაღალთა სუფრა, საუცხოო სერვიზი, მაღალ ბროლის ვაზებში ჩაწყობილი წითელ ვარდები და მიხაკები ზეიმისა და მუდრობის ერთიან განწყობილებას ქმნიდა: ასეთი განწყობილება, ალბათ, საკუთარ ოჯახში ეუფლება კაცს ახალი წლის ღამეს.

ამ ოთახის გარდა იყო კიდევ სამი, შედარებით პატარა ოთახი, მორთული ძვირფასი, მდიდრული ავეჯით. მაგრამ ავეჯი ისეთი გემოვნებით იყო შერჩეული და განაწილებული, ისე ჰარმონიულად იყო შეხამებული ოთახების ფერებთან და განათებასთან, რომ თვალში გეცემოდათ არა სიმდიდრე და ფასი, არამედ მშვიდი სილამაზე და გემოვნების ფაქიზი უბრალოება.

და, რაც მთავარია, მთელს ბინაში, ყველა ოთახში, ყველა ნივთში იგრძნობოდა საოცარი სიკეთე, რომელიც ერთი ხელის მოსმით აჭარწყლებდა სტუმრისათვის ესოდენ დამახასიათებელ უცხოობასა და შებოჭილობას. თითქოს აქ ყველაფერი გიღიმოდა და საპასუხო ღიმილს მოითხოვდა.

მომნუსხველი ღიმილი და განმაიარაღებელი გულკეთილობა თავიდანვე ვიგრძენი, როცა მაკამ ზარი დარეკა და კარი ნინელის დედამ გაგვიღო. ეს იყო შუა ხანს მიტანებული, ჭაღარაშერთული ნინელი, ზონზოროსა და ღაბაბა. სახეზე მშვიდი, დაჯერებული სიკეთე ეწერა, თვალები უცინოდა. იმავ წუთს შიგნიდან ნინელის ხმა მოისმა: „ვინ არის, დედა?“ და როცა დედამისმა გასძახა, მაკაო, სრულიად წარმოუდგენელი სისწრაფით გამოვარდა. ეტყობა, სამზარეულოში იყო და ხორცს ან მწვანილს ჭრიდა. იმიტომ რომ დანის დატოვება დავიწყებოდა და ასე დანით ხელში მორბოდა. დანის დანახვაზე მე შეშინებუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი სახე მივიღე და ორივე ხელი აეწიე. ნინელის დედასა და მაკას სიცილი წასკდათ, თვითონ ნინელი კი წამით დაიბნა, მერე, როცა შეამჩნია, დანა ეჭირა ხელში, თვითონაც გაეცინა და სავსებით ბუნებრივად, ყოველგვარი დამაბულობის გარეშე შენობით დავუწყეთ ერთმანეთს ლაპარაკი.

ნინელიმ ბინა დამათვალიერებინა. ყველა ოთახი მომატარა, ყველაფერი მაჩვენა: თავისი და გამაცნო, მასზე ოთხი თუ ხუთი წლით უფროსი ნინელი.

ერთი სიტყვით, აქაურობა ნამდვილი ნინელების სამფლობელო იყო. მარტო ასაკით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, სხვა მხრივ ყველანი ნინელები იყვნენ: ზონზროხები, ღაბაბიანები და უცნაურობამდე კეთილები. განსაკუთრებით — დედა ნინელი. ამ ქალს ისეთი სახე ჰქონდა, მის დანახვაზე ლამის ფიზიკურ სითბოს ვგრძნობდი. მე მუკვე დიდი ხანია თბილისში ვცხოვრობდი, მთელი ამ დროის განმავლობაში კარდაკარ დავეხეტებოდი და საკუთარი სახლის გრძნობა დაკარგული მქონდა. და ამ უსაზღვრო და თითქმის გაუგებარი სიკეთის წყალობით, აქ, უცხო ბინაში, უცხო ხალხში და უცხო გარემოში საკუთარი სახლის დაკარგულმა გრძნობამ ხელახლა მიპოვა და ყრუ სევდასთან ერთად გადავიწყებული სითბო და სიხარული განმაცდევინა.

სანამ ბინას მთვალიერებინებდა, ნინელის ენა არ გაუჩერებია. მეც სიამოვნებით ვუსმენდი და შიგადაშიგ ერთ-ორ სიტყვას ვურთავდი. ისიც იცინოდა. მეც ვიცინოდი. და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რას მიყვებოდა, ან მე რას ვამბობდი.

სტუმრები უმთავრესად ნინელის თანაკურსელები იყვნენ, მოუსვენარი და ხმაურიანი სტუდენტები. ისინი ჩაკას გამოჩენას მხიარული ყიჟინითა და ზრიალით შეხვდნენ და მერე მუშტრის თვალით დამიწყეს თვალთვალი. მე მათ ძველი ნაცნობებივით გამოველაპარაკე, უბრალოდ და შეფასურულად, როგორც გავიხუმრე, თვითონაც ხუმრობით მიპასუხეს და მალე მართლა გამიშინაურდნენ. განსაკუთრებით ერთი შავი, გაწრიპული გოგო, რომელმაც კლასიკურ მუსიკაზე გამიმა საუბარი და მერე მეგზურისა და მესაიდუმლის მოვალეობა იკისრა; თავის ამხანაგებს მიხასიათებდა და სასიამოვნო იუმორსაც ამეკვეზებდა. კურსის ამხანაგებში ერთი მაღალი, მსუქანი ბიჭი ერია, სახელად დათო ერქვა, მაგრამ ყველანი ბასგიტარას ეძახდნენ; ეს ბიჭი თურმე ნინელის „ეთამაშებოდა“ და „თვალს უპაჭუნებდა“. ეთამაშება და თვალს უპაჭუნებსო, იმ გაწრიპულმა გოგომ მითხრა, სინამდვილეში კი მთელი თამაში და თვალის პაჭუნი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბასგიტარას ძალიან მორცხად ეჭირა თავი. ამას ისიც ემატებოდა, რომ ყველა მასზე ოხუნჯობდა. ხომ ასეა საერთოდ: როცა ამხანაგები შეიკრიბებიან, ერთ ვინმეს ამოიჩემებენ და მერე ყველა ხუმრობა და გასართობი მის გარშემო იყრის თავს. ამჯერად ბასგიტარა ჰყავდათ მიზანში ამოღებული. ისიც ყოველგვარ ოხუნჯობაზე გულკეთილად იღიმებოდა, ხოლო რაცა ოხუნჯობა ორაზროვანი იყო და რომელიღაც უჩინარი ძაფით ნინელის უკავშირდებოდა, წითლდებოდა კიდეც. მე მის დანახვაზე მაშინვე ის გავიფიქრე, თუ ამ „თამაშმა“ და „თვალის პაჭუნმა“ თავისი ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა, ამ ოჯახის სამ უსაზღვრო სიკეთეს მეოთხეც შეემატება-მეთქი.

სტუდენტების გარდა, რამდენიმე მეზობელი და ნათესავიც იყო. ერთი მათგანი, ნინელის ბიძაშვილი, ჩაფსკვნილი, სქელკისერა, ასე ოცდაშვიდიოდაროა წლის კაცი, სახელად ვახტანგი, რომელიც ეტყობა მხოლოდ საზიზმო დღეებში იკეთებდა ჰალსტუხს, მერე, სუფრას რომ შემოვუსხედით, თამადად დაგვიდგა.

მაგრამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება ორმა კაცმა მიიპყრო. სიმარტლე რომ ითქვას, საამისო საბაბს

არც ერთი იძლეოდა და არც მეორე, ამიტომ წარმოდგენა არა მაქვს, რატომ დავინტერესდი ასე. დაახლოებით ჩემი ხნისანი იქნებოდნენ, და ეტყობოდა, არც ერთმანეთს იცნობდნენ და არც დანარჩენ სტუმრებს.

ერთი მათგანი ჩემი სიმაღლისა იყო, გამხდარი, ქერა, სათვალიანი. თმა შუაში ჰქონდა გაყოფილი და ლამაზად დავარცხნილი. რუხი ფერის კოსტუმი და თეთრი ხალათი ეცვა, წითელზოლებიანი ფართო ჰალსტუხი ეკეთა. სახე დახვეწილი და სერიოზული ჰქონდა. ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გასცქეროდა. მე რომ შემოვედი, მოიხედა, წამით დამაკვირდა, თითქოს რაღაცას დაინტერესა, მერე ისევ ქუჩას მიაპყრო თვალი.

მეორე — ოთახის ბოლოში სავარძელში იჯდა და ამიტომ გვიან მივხვდი, რომ ჩემზე ცოტა მაღალი იყო. მასიური, მოგრძო სახე ჰქონდა, თმა მოსელ და წინ ჩამოშლილი. ეტყობოდა, მისი მოვლით მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს. საერთოდ, მთელ გარეგნობაში. ჩაცმულობაში და საქციელშიც კი, რაღაც დაუდევრობა და უყურ დღებობა იგრძნობოდა. იჯდა სავარძელში ფეხფეხზშემოდებული და ჟურნალს კითხულობდა. გვერდით საფეფრფლე ედო. სიგარეტს აბოლებდა და ყოველ ნაფაზზე ბოლს რგოლებად უშვებდა. ირგვლივ კაცისშვილს არ აქცევდა ყურადღებას.

როგორც გითხარით, არ ვიცი, რატომ და რითი მიიქცია ამ ორმა კაცმა ჩემი ყურადღება, მაგრამ ფაქტია, რომ მიიქცია და ჩემს გაწრიპულ მესაიდუმლეს ეკითხე, ვინ არრან-მეთქი. მან გაჩხინკული მხრები აიჩეჩა, მერე მითხრა, გავიგებო და გამეცალა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვიდა, გვერდზე გამიხმო, ბიხარეო, მითხრა და ყურში ჩამჩურჩულა, ვერ გავიგეო. მე გამეცინა და ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მეტად აღარ მიცდია.

მაკამ და ნინელიმ, რა დაინახეს, აქ მარტოობას არ ვიგრძნობდი და არ მოვიწყენდი, დამტოვეს და სამზარეულოში გავიდნენ, სადაც ჯერ კიდევ ცეცხლი საქმე იყო გასაკეთებელი.

მოწყენით მართლა არ მომიწყენია. ჩემს მეგზურსა და მის ამხანაგებს ვესაუბრებოდი, ორიოდე ზოგადი ხასიათის ფრაზა ნათესავებთან და მეზობლებთანაც ვთქვი; ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მერე მაკასა და ნინელის სამზარეულოში მივაკითხე, ნახელავი შევუმოწმე, ქათამს შინაურულად წავაცალე ფრთა, ტყემალში ამოვავლე და შევჭამე, რითაც ნინელი და დედამისი დიდად ვასიამოვნე, იქ ცოტა ხანს დავყავი და ისევ სტუმრებთან დავბრუნდი.

მაკას ამხანაგებმა უკვე მოათავეს ჩემი „შემოწმება“ და ეტყობა, უკმაყოფილო არ დარჩენილან. ყოველ შემთხვევაში, გაწრიპულმა მესაიდუმლემ მაშინვე მაუწყა, ჩვენებს ძალიან მოეწონეთო.

სტუმრები კიდევ მოდიოდნენ.

ბოლოს სუფრაც გაიშალა და ნინელის დამ, მობრძანდითო, მიგვიპატიჟა.

ის ორი კაცი, თავიდან რომ დამაინტერესა, როგორც ჩანს, ამასობაში მეხსიერებიდან ამომვარდნოდა, რადგან ახლაღა შევნიშნე, რომ უკვე მოესწროთ ერთმანეთის გაცნობა (თუკი აქამდე მართლა არ იცნობდნენ ერთმანეთს); შემოსასვლელ კართან პატარა მაგიდას უსხდნენ და საუბრობდნენ. სათვალიანი წყნარად იჯდა და სერიოზული გამოხედვა ჰქონდა, მეორე კი ენერგიული ყესტებით რაღაცას უმტკიცებდა.

ყველანი სუფრას შემოვუსხედით. მხარმარჯვნივ მაკა მეჯდა, მაკას გვერდით ის გაწრიპული გოგო იჯდა. მხარმარცხნივ ორი თავისუფალი სკამი იდგა, შემდეგ კი, სუფრის ბოლოში, მე რომ დამაინტერესა, ისინი დასხდნენ. ვახტანგი, ნინელის ბიძაშვილი, რომელსაც ჰალსტუხი ტანჯავდა და ამიტომ დრო და დრო ისე წაიგრძელებდა კისერს და მიატრიალ-მოატრიალებდა, თითქოს ყელში ლუკმა გაეჩხირაო, სუ-

ფრის თავში დაჯდა და გამოაცხადა, ამ ოჯახში თანამდებობით მეკუთვნის თამადობა და ამიტომ ზედმეტ პრანჭვა-გრეხვას და ტყუილ თვის გამოდებას არ მოვყვებიო. აქეთ-იქით თავისნაირი ჯრიკივით ბიჭები მოისვა, ალბათ, მეზობლების და ნათესავების გუნდიდან. მერე ხელი სუფრის ბოლოსაკენ გაიშვირა და იმ ორი საინტერესო პიროვნებიდან ერთ-ერთს, შავგვრემანს, ულაფთვალოს, გასძახა, თუ შეიძლება თქვენი სახელი მითხარითო. იმანაც უთხრა. აბელ დვალი, თქვენი ყურმოჭრილი ყმაო. „ყურმოჭრილმა ყმამ“ თამადა წამით დააბნია, მაგრამ დაბნეულობამ მაშინვე გაუარა. უნდა მცეთ პატივი და მოადგილეობა გამიწოროთო, იქვე ნინელის დამ თამბურუნნდა და რაღაც ანიშნა. სათვალიანმა სათვალეები შეანთა ახლადარჩეულ თამადის მოადგილეს და ღიმილით მიუოლოცა „დაწინაურება“. ნინელის დამ თამადას ორი ყანწი მიუტანა. თამადამ ერთი მოადგილეს გამოუგზავნა და ნინელის სადღერგძელო დალია. თბილი, კარგი სიტყვები უთხრა, ოღონდ კილო ჭკნნდა ცოტა მაღალფარდოვანი.

რამდენიმე სადღერგძელო რომ დალია, თამადამ ჰალსტუხი მოიხსნა, მომკალა კაცი ამ სახრჩობელამო, თქვა და ჯიბეში ჩაიკმუჭნა. მოადგილემ ხელისგული ჭიქას დაიფარა და ჰკითხა, ყველამ მოიხსნას, ბატონო თამადა, ჰალსტუხი, თუ ზოგს ვიპატიოთო. თამადამ გაიცინა, ტირანები ხომ არა ვართ, ვისაც როგორ ესიამოვნებაო. მერე სუფრას მიუბრუნდა, კაცო, ნახევარი კონსერვატორია აქ არის და ასე ჩუმად რატომ ვქეიფობთო, მეზობლები მასხრად აგვიგდებენო. აგერ რიალი და აგერ თქვენ, ვუთხრათ იუბილარს ერთი ტკბილი სიმღერაო. თითქოს ამას ელოდა, სტუდენტებიდან ვიღაცამ წამოიძახა. მაკო, და იმავ წამს, ყველანი აზრიალდნენ: „მაკა! მაკა! მაკა!“ მაკა წამოდგა და როიალს მიუჯდა. მე გაწრიპულ გოგოს ვკითხე, რატომ მაინცდამაინც მაკა-მეთქი. ახლა სიურპრიზი იქნებაო, მიპასუხა. მუსიკა მალე დაწერაო.

ამხანაგებს ნინელისთვის მოემზადებინათ სიურპრიზი. საგანგებო სიმღერა. ტექსტი თვითონ ამ გაწრიპულ გოგოს შეეთხზა.

კარგად იმღერეს. გემოვნებით და კომიკური სერიოზულობით.

სიმღერას საზოგადოება მჭუხარე ტაშით შეხვდა. მერე ისევ სადღეგრძელოები გაგრძელდა.

ცოტა ხანიც რომ გავიდა, ვიღაცამ თქვა, დავიღალეთ ჯდომით, შევისვენოთ ცოტა, მუხლები გავმართოთო. როგორც გესიამოვნებათო, თამადამ, და სუფრა აიშალა.

მაკა ისევ როიალს მიუჯდა.

ვისაც ცეკვა უნდოდა, ცეკვა დაიწყო. სტუდენტები უკლებლივ ყველანი ცეკვავდნენ.

აბელ დვალმა და სათვალიანმა საფერფლე წაიღეს და შემოსასვლელ კართან ისევ იმ პატარა მაგიდას მიუსხდნენ.

მე გაწრიპულმა გოგომ ძალით მაცეკვა ერთი ცეკვა, ბოლოს დაინახა, რომ ამ საქმეში მაინცდამაინც არ ვბრწყინავდი, და თავი მიმანება.

აბელ დვალი და სათვალიანი საუბრობდნენ და თან ცეკვას ადევნებდნენ თვალს.

მე სიგარეტი ავანთე და მათს მაგიდას მივუახლოვდი.

— დაჯექით, — მითხრა აბელ დვალმა, თავისი სკამიდან მთელი ტანით გადაიწია, მეორე სკამს მიწვდა და ახლო მომიჩოჩა. მერე თავის თანამოსაუბრეს მიუბრუნდა. — წმ-კმ მე არ მაინტერესებს. ვიცი, რომ, რაც უფრო ვუახლოვდებით სხივის სიჩქარეს, მით უფრო რთული და ხანგძლივი ხდება ყოველი წმ და ჩვენს სანაქებო აზროვნებასაც უფრო ხშირად და ხშირად უსხლტება ფეხი. მე პრინციპი მაინტერესებს, ხერხდმლის აზრი. მათემატიკის

ჯემალ ქარჩხაძე
მ ო ბ ა მ უ რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე. რაკი არსებობს მექანიკური ათვლის სისტემა, უნდა არსებობდეს ბიოლოგიური ათვლის სისტემაც.

სათვალინამა სათვალე შემომანათა.

— დაბრძანდით. — მერე აბელ დვალს შეანათა სათვალე, — ლოგიკა არ არის სანდო.

— შევცვალოთ რამეთი?

სათვალინამა გაიღიმა.

— შეცვლით ვერ შეცვლ-თ. მაგრამ ვერც თვალდასუფული დაეყრდნობი. ლოგიკურად მამა ყოველთვის უფროსია შვილზე. დროის პარადოქსმა ამ დაპყვნას ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ. ჩვენ კი, ეს რომ შევიტყეთ, სახტად დავრჩით.

—ეს სირთულეა და არა კრახი. მოტივს უნდა გადახედვა.

სათვალინამა ჩაიცინა.

—ორ მხრივ, ასევე ლოგიკურია, რომ მამა შვილზე ადრე კვდებოდეს. მაგრამ ამ პუნქტში შეჩვეული ვართ ალოგიკურობას და არ გვიკვირს. სინამდვილეში ინსტინქტები და ჩვევებია ჩვენი ამოსავალი წერტილი და არა ლოგიკა. მამა რომ თათდან-ბაბადან მუდამ მართალა შვილზე ადრე კვდებოდეს, ერთი აინშტაინი იმის დასამტკიცებლად დაგგჭირდებოდა, რომ ეს გარდაუვალი კანონი არ არის.

— ეგრე იყოს. მაგრამ მექანიკური ათვლის სისტემა ბიოლოგიასაც ხომ განსაზღვრავს?

— ყველაფერს განსაზღვრავს.

— საკმარისია. მაშ, თქვენ, კოტე ენუქიძე, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი, სიმპათიური ინტელიგენტი, ჩამოყალიბებული და სერიოზული მოქალაქე... სინამდვილეში არ არსებობთ. უბრალოდ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხართ.

— არა მგონია.

— ნუ გგონიათ.

— თქვენ რატომღა გგონიათ?

— ერთ რომელიღაც სისტემაში მე შეშლილი ვარ და ამჟამად კლინიკაში ვიმყოფები სამკურნალოდ. არ არსებობს არავითარი დაბადების დღე, არავითარი სუფრა და ყანწები, არავითარ თამადა, რომელმაც დღეს პირველად გაიკეთა ჰალსტუხი და მერე ისევ მოიხსნა. ეს ყველაფერი ჩემს წარმოსახვაში ხდება. სინამდვილეში კი აქ სადღაც ექიმია, რომელიც იმპულსებს იწერს და წინასწარ დიაგნოზში რიგი ცელილებები შეაქვს. გვერდით საკანში ნაპოლეონია. იგი ტრადიციის გაკვალულ გზას მიჰყვება და ამიტომაა ნაპოლეონი. მე ნაპოლეონობა არ ვინდომე. სხვა ნიადაგზე შევიშალე. მე მსახიობი ვარ. რეჟისორმა მენაბდამ იწამა ჩემი ნიჭი. პროვინციის ჯურღმულიდან დედაქალაქის ნატიფ სინათლეში ჩამომიყვანა და ჰამლეტის როლი დამაკისრა. ამ დღეებში პრემიერა იქნება. მე ჰამლეტი უნდა ვითამაშო. მე ჰამლეტი ვარ. ჩემი ექიმი კი მხრებს იჩეჩავს და ამბობს, ეს უპრეცედენტო შემთხვევააო.

— იმ ფაქტს რაღა ვუყოთ, რომ ამ დღეებში მართალი იქნება პრემიერა და მართლა ითამაშებთ ჰამლეტს?

— რას ნიშნავს „მართლა"?

— ფიშაა ვნახე.

—მერე რა! თქვენ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხართ და მე გაიძულეთ გენახათ აფიშა, რომელიც არ არსებობს.

— მე ხომ ვიცი, რომ თქვენი ფანტაზიის ნაყოფი არა ვარ.

— თქვენ რა იცით, რა ჩემი საქმეა! ან სად დავიხსომო ყველაფერი, რაც იცის და რაც არ იცის ჩემი ფანტაზიის ნაყოფმა.

სათვალინამა თავის ფიქრებს გაუცინა.

— ათვლის სისტემა რაოდენობრივად და თვისობრივად უსასრულოა. მოდით. ისეთი სისტემა ავირჩიოთ, სადაც მე და თქვენ ერთმანეთის ფანტაზიის ნაყოფი ვიქნებით.

აბელ დვალსაც გაეცინა.

— ჰო! ჰო! აი, ეს კარგია! თითქმის შეუძლებელია.

— მოვლენების „შეუძლებლად" და „შესაძლებლად" დაყოფა ძალადობაა. — ვთქვი მე და სიგარეტი თითის დაკაკუნებით დავფერფლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ დვალი ყურადღებით დამაცქერდა.

— თქვენ ერთი ყანწი გამოტოვეთ.

— ორი.

— ორი?

— ორი.

— ეტყობა, ებერდები. შეიძლება ვეღარც კი ვითამაშო ჰამლეტი.

— ითვლით ხოლმე?

— არ ვითვლი. ვამჩნევ.

— რაღ გინდათ?

— რა ვიცი. ალბათ, ლოთი ვარ. როცა გაუვალ პროვინციაში ვცხოვრობდი... თუ ამით ლოთის რეპუტაციას ჩრდილი არ მიადგება, გამოგიტყდებით, რომ ის ხანა ყოველთვის ტკბილად მაგონდება... ერთი სიტყვით, როცა პროვინციაში ვცხოვრობდი, პირველი დებიშორის სახელი მქონდა დავარდნილი.

— გაქვთ რაღაც შემორჩენილი ძველი დიდებიდან.

— ძალიან ცოტა. და ისიც თანდათან ქრება. ეტყობა, დავიღალე. შეცდომა მოუვიდა რეჟისორ მენაბდეს. როცა ჰამლეტის სათამაშოდ დედაქალაქში წამომიყვანა.

— რეჟისორ მენაბდეს არ წამოუყვანხართ.

— როგორ არა! რეჟისორმა მენაბდემ წამომიყვანა.

კოტე ენუქიძემ, თითქოს რაღაც იგრძნო, მოლოდინის თვალით შემომხედა.

— ავტორმა წამოგიყვანათ.

— შექსპირმა?

— არა, თქვენმა ავტორმა. მე ათელის სხვა სისტემა მირჩევნია.

—კარგია, ეს სისტემები რომ ასეა დახვავებული. რომელსაც გინდა. იმას აიღებ. მე ვამტკიცებ, რომ დაბნევა ყველაფრის შეიძლება და დალაგება — არაფრის. რადგან დალაგება დაბნევის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

— თქვენ გეჩვენებათ, ვითომ დაბნევა შეგიძლიათ და დალაგება არა. თქვენ, საერთოდ, გეჩვენებათ, ვითომ არჩევანი გაქვთ. ასე ეჩვენება კინოფილმის გმირსაც, რომელიც გზისგასაყართან დგას და ფიქრობს, აქეთ წავიდე, თუ იქით წავიდეო. ჩვენ, მაყურებლებმა, კარგად ვიცით, რომ ტყუილად იმტვრევს თავს. სინამდვილეში ყველაფერი დიდიხანია გადაღებული და ფიქსირებული.

— ჩვენ ფიქსირებული ვართ? — მკითხა კოტე ენუქიძემ.

— ჩვენ პერსონაჟები ვართ. ჩვენ პერსონაჟები ვართ რომელიღაც ნაწარმოებიდან. ყველაფერი ავტორზეა დამოკიდებული. ჩვენი ხასიათიც, ჩვენი გარეგნობაც; ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა... ავტორია ჩვენი უფალი. ჩვენ ვიბადებით ამა და ამ გვერდზე, გვეძლევა ასეთი და ასეთი გარეგნობა და ესა და ეს სახელი (ზოგი უსახელოდ რჩება). და აზრი არა აქვს იმაზე ფიქრს, თუ რას მოვიმოქმედებდი, რადგან ვერაფერს მოვიმოქმედებდი, გარდა იმისა, რასაც ავტორი მოგვამოქმედებინებს. მაშინაც კი, როცა ამ გარდაუვალ უმწეობას შევიცნობთ და ამბოხებას დავაპირებთ, ეს ამბოხებაც ავტორის ნება-სურვილით მოხდება. შესაძლებელია, სადღაც შუა ნაწარმოებში რომელიმე ჩვენგანი არ მოეწონოს და უბრალოდ ხაზი გადაგვისვას. ან სქოლიოში ჩაგვიტანოს. ზოგი სქოლიოში ვართ, ზოგი — სათაურში. ვინც სათაურშია, ის მსხვილი შრიფტითაა გამოყოფილი. ყველაფერი ავტორის ნებაა, ყველა სადავე მას უპყრია ხელთ. ერთადერთი იმედი კორექტურული შეცდომაა.

— რამხელა ენერგიას გვართმევს ფუჭი ფანტაზია! — თქვა კოტე ენუქიძემ და გაიღიმა.

— მაშასადამე, „ფუჭი ფანტაზიაც“ საქმეს აკეთებს, — უპასუხა აბელ დვალმა.

— არა. უბრალოდ, ლოგიკა ფორმალური მეცნიერებაა და რეალურ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

თავი რომ კედელს ურტყათ, ქვეყნის ენერგიას დახარჯავთ, მაგრამ არა მგონია ამით ან კედელს შეემატოს რამე, ან თავს. ფუჭი ფანტაზია წყალში გადაყრილი ენერგიაა.

— თქვენ ტირანი ხართ.

— რა იქნება ყველა რომ ფუჭ ფანტაზიას აყვეს და მეტი არაფერი აკეთოს? ხომ დაიღუპება კაცობრიობა?

— ყველა რატომ უნდა აყვეს? — ვიკითხე მე.

— აბა ჩვენ რა უპირატესობა გვაქვს?

— ასე ყოველგვარი ცალმხრივობა დაღუპველია. ყველანი რომ პრეზიდენტები ვიყოთ და მეტი არაფერი ვაკეთოთ, ან ყველანი რომ ბეითლები ვიყოთ და მეტი არაფერი ვაკეთოთ, მაშინ არ დაიღუპება კაცობრიობა?

აბელ დვალმა თავი დამიქნია და კვერი დამიკრა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა. ვიღაც უსაშველოდ დაგვინებული სტუმარი მოვიდა.

— ყველა ვერ ვიქნებით პრეზიდენტი, — სათვალე გაისწორა კოტე ენუქიძემ. — სკამები არ გვეყოფა. ბეითლები კი საქმეს აკეთებენ.

— ფანტაზიორები და მეოცნებეები უფრო მეტს აკეთებენ, — ჩაერია აბელ დვალი. — ფანტაზია იდეებს ბადებს. მთავარი კი სწორედ იდეაა. მე არ გამიკვირდება, რომ ამ კაცობრიობამ თითი ჩემკენ გამოიშვიროს. — რომელმაც წეღან ორი ყანწი გამოტოვა, ერთ მშვენიერ დღეს კარტივით გაგვიშალოს წინ საბუთები და დაგვიმტკიცოს, ადამიანი რობოტიაო.

— მაგის დამტკიცება შეუძლებელია! — სიცხარე შეეპარა ხმაში კოტე ენუქიძეს.

— რატომ?

შემოსასვლელში ნინელი ვიღაცას მიეგება.

— იმიტომ რომ ქვა, თუ ის მართლა ქვაა, ვერ დაამტკიცებს ქვა ვარო. მზე, თუ ის მართლა მზეა, ვერ დაამტკიცებს მზე ვარო. ადამიანი, თუ ის რობოტია, ვერ დაამტკიცებს რობოტი ვარო. სუბიექტმა რომ საკუთარი თავი დაამტკიცოს, ობიექტად უნდა აქციოს, გამოეყოს და გარედან შეისწავლოს. მაგრამ რობოტი თუ საკუთარ თავს გამოეყო და გარედან დაკვირდა, ის უკვე რობოტი აღარაა. ერთი სიტყვით, თუ ადამიანი რობოტია, ვერ დაამტკიცებს რობოტი ვარო, ხოლო თუ დაამტკიცა, ეს იმის საბუთი იქნება რომ რობოტი არაა... აა... — კოტე ენუქიძემ უცნაურად გაიგრძელა ეს „ა“ და რაღაცას მიაჩერდა.

მოვიხედე.

კარის ზღურბლზე ირინე იდგა.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიული იმედი

1

ულაჟვარდესი ზეცის თავანის
მიმოეფინა სხივებით მთვარის
მშობლიურ კორდებს ვერცხლის სამოსი...
და ტყის ფოთლებში ამღერდა ქარის
სიმებით ჰიმნი ამ საღამოსი.

2

ყანებს საყურე ეკიდა ცვარის,
ვაზებზე ცრემლის გუგუში ცალი
და იმღეროდა გონის დაკარგვით
ბალახზე მდგომი კაცის და ქალის
გული სიყვარულს, ენით რა კარგით.

ცით მიდიოდა ფერი ცისფერი,
ქედებით ლურჯი ტყეების ჰერი
და იცინოდა ბაგე ამურის,
და შრიალებდა ფოთლის ჩანჩქერი,
რა საყვარელი, რა საამური.

3

ველზე სიმღერა ეფინა სოფლის,
სიმღერა იგი გარჯის და ოფლის
მიმოდიოდა მწიფე ყანაში,
მარადიული იმედით ყოფნის
და სიცოცხლესთან ბავშურ თამაშით.

შვენოდა მოლი არეს ხავერდის, —
დღეის გაძლება იყო ხვალემდის, —
და კვლავ ხვალემდის, — მუდამ ამგვარი,
მუდამ ალავერდს და ალავერდით —
იყო მერმისთან ჩემი მთა-ბარი.

4

ჰოი, რა დროა ახლა შენების,
მზეთა სიალის, ქართა ტენების
და შეჩერების — არსად, აროდის.
შვენების, მერე რარიგ შვენების,
შუქი ნათდება, შუქი ამოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანებით მიჰქრის ნიავი ნელი,
ოქროზე ოქროს გადამონელი.
სახლებს შეზმუის ნახირი ძროხის, —
ბრუნდება კაცი და საქონელი
და ტყე შემოდის სოფელში თოხის...

5

ჩვეულებრივად ოდნავ ზანტად და ოდნავ ცივად,
როგორც ახორში დაგიყრია ცხენისთვის თივა,
როგორც ოდესმე გითესია მარცვალი ქერის, —
დაწერე ლექსი, ჩვეულებრივ საუბრის ენით:
გარეშე ბლეფის,
ყალბი რიხის
და ყალბი ვერცხლის,
მაგრამ არა და კიდევ არა — გარეშე ცეცხლის.

განძი ძვირფასი: შენ წინ გიდევს სინდისი მუშის,
სინდისი გლეხის...
და თუ გიდევს იგივე გულში, —
დაწერე ლექსი ჩვეულებრივ საუბრის ენით, —
შესაფერისად დამამშვენი ეპოქის ჩვენის.

6

შუქი ამოდის ქედებზე ქართლის
და შუქი იგი, მარადი ნათლის —
მშობლიურ მიწას მიმოექსოვა, —
უძვირფასესის იქნება მართლა
საქართველოში დღეების თოვა!..

ველზე სიმღერა მიმოდის სოფლის,
სიმღერა იგი გარჯის და ოფლის, —
ისევ ბრუნდება მწიფე ყანაში,
მარადული იმედით ყოფნის
და სიცოცხლესთან მარად თამაშით.

ჰოი, რა დროა ახლა შენების
მაღლა დინების, წინსვლის, ჭენების
და შეჩერების, — არსად, აროდის;
შვენების, მერე რარიგ შვენების —
შუქი ნათდება, შუქი ამოდის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძმო საფლავი

საძმო საფლავი... საძმო საფლავი —
გაშლა ზიარი საბნის — მაზარის;
საძმო საფლავი, საძმო საფლავი —
შეკუმშვა დარდის — უზარმაზარის.
საძმო საფლავი — დედის უბეში
თავმოყრა შვილთა — არ დასამალთა.
საძმო საფლავი — თითქის ნუგეში,
რომ სადღაც ობლად არ დასამარდა.

საძმო საფლავი —
ყველა დედას რომ
ჰგონია, იქ წევს მისი ვაჟკაცი,

საძმო საფლავი — მაინც ესა სჯობს;
ეგეგულებოდეს შვილი ლაშქარში.

საძმო საფლავი — ომით დაღლილი
ძმები ერთურთთან ჩაკონებული,
გამარჯვებულთა ვაშას ძახილი
იქაც, ქვესკნელშიც ჩაგონებული.

საძმო საფლავი — სახელდახელოდ
ნაჩიჩქნ-ნათხარი მიწის კვილი,
მიწა — საგმირო და სასახელო,
მარადიული ცეცხლის ღიმილი!..

მითხარი მხოლოდ

ძილში, ღვიძილში, შინ თუ გარეთ — ყველგან, სად არა, —
სადაც მომისწრებს, იქ გამთანგავს ლექსი პატარა.

მაშინ, ო, მაშინ სახეს იცვლის ირგვლივ ყოველი,
მაშინ, შვილებმაც ვეღარ მიცნონ დედა-მშობელი.

გადის სახლიდან ჩემი ვაჟი ძველი პერანგით,
მოდის მეუღლე — მეგობარი, — როგორც ვერაგი.

მჩჩება სალამი უპასუხოდ ვიღაც ნაცნობის,
სალამი ღვთისა და ღიმილი კაი-კაცობის.

მაშინ, ო, მაშინ არ არსებობს ჩემთვის არაგინ!
მიცურავს მზისკენ მხოლოდ თეთრი ღრუბლის კარავი.

ნუ დამიძახებ, ნუ დამიწყებ ძებნას ამაოდ,
მიწაზე არ ვარ! — ლაქვარდებში ვარ და ვნანაობ.

სულის კენწეროს შეფრენია ლექსის გრიგალი,
იქ არი მისი სამკაული, მხოლოდ იქ არი.

სიტყვის მახვილზე ამიგია გული ალალი,
რადგანაც სხვა ხსნა პოეტისთვის, სხვა გზა არ არი.

ჯილდო არ მინდა ამ ტანჯვისთვის არავითარი,
მითხარი მხოლოდ, ერთი თბილი სიტყვა მითხარი.

მითხარი — ტანჯვის რომ შეეძლო კიდევ ატანა,
მითხარი მანამ, სანამ მომკლავს ლექსი პატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხვარე

მწყემსი რომ მწყემსავს ფარასა,
გოლიათსა ჰგავს, მა რასა?
ნეტავი მაგის მხარ-ბეჭი
სად შევა, რომელ კარავსა?
ბატკანს რო ეგრე იხუტებს,
შვილს რაღას უზამს, რაღასა?

●

ო, გაგიჟება შეიძლება —
მე ისე მიყვარს! —
ისე, ისე, რომ...
ვცდილობ
ნაკლი აღმოვუჩინო, —
ო, როგორ მინდა,
მოვიგონო
სულ სხვა რამ სიტყვა,
რაიც არვისგან არ სმენია
მამულს უჩემოდ.

დადგება დრო და
მოშრიალე ხეების ტევრში
ჩამოჰყრის ფოთოლს,
დადუმდება ჩემი ჭაღარი
და მე აღვჩნდები
გამჭვირვალე,
ოქროსფერ ლექსში,
ვითა ფუტკარი —
თავისივე
თაფლში ჩამკვდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ახმეტელის მონოლოგი

ახმეტელო, ახ ნეტავი
მომცა შენი ქოჩორი...
ხ ა ლ ხ უ რ ი

ჩემი კაცობის ნიშანსვეტი
იყო სინდისი,
მიტომაც ბევრჯერ ბოროტება
მდევდა
მშვილდ-ისრით...
ჯერ დურუჯივით, დურუჯივით
არვინ მიწამა,
აღმა და დაღმა მატრიალა
დროის ფიწალმა.
მერე კი, როცა ავდიდდი და
ზავთი დავიდე,
მეც მივემატე თავდადებულ
ქართველ რაინდებს.
მეც მივემატე, მაგრამ ბოლოს
მიმუხთლა ბედმა,
დაუნდობელი ორთავ ტერფით
ზედ გულზე შემდგა...
შემდგა და მყისვე
ზვიადაურს მივბაძე მეცა:
— ძაღლ იყოს! —
კვლავაც
აიტაცა ქართულმა ზეცამ...
ბედის მორჩილი მონობაში
კვდება ყოველთვის, —
და დავიწყებაც ეუფლება
უდაბნოეთის...
მე არვის მონა არ ვყოფილვარ,
ისე გავთავდი,
არარაობა განზე დარჩა
ჩემგან დამფრთხალი...
ჩემი „ლამარა", „ინ ტირანოს",
„რღვევა", „თეონულდი",
ზედაშესავით მხოლოდ თქვენთვის
იყო შეთქმული...
სასაფლაოზე ნუ დამეძებთ,
იქ ვერ მიპოვნით,
ეპიტაფიის არ შეგხვდებათ
ერთი სტრიქონიც.
მე
რასაც ვამბობ, ციდან ვამბობ
ქუხილის ენით,
აპრილის წვიმად გამეფანტოს
წუხილი თქვენი...
მე საქართველოს უკვდავებას
დავეწიარე, —
და მინდა ახლა
თქვენც გიმზერდეთ
ბაგემზიანებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ფიქარაძე

მარადისობა

ექიმ კოტე ჭყოიძეს

ტლანქი ელფური ირეკლებოდა ირგვლივ, მოსაბეზრებელი... თუკი ღრმად ჩაუკვირდებოდი, თითქმის პირქუშიც და მკაცრიც, თან ყოველივე: დრო-ჟამის მონაცვლეობა, ადამიანთა ურთიერთობა, ამინდის ჭირვეულობა, გარემო თუ სხვა უამრავი და უამრავი ცხოვრებისეული წვრილმანი ზედმეტად მოზომილი, ნაძალადევად უცილობელი და ისეთ თვალშისაცემად ლოდიკური გახლდათ, როგორც მიწის სისველე წვიმის შემდეგ, ან თავდადებარი ადამართს შემდგომ, ანდა ხავდილი სიცოცხლის მერე და სწორედ ეგ მკაცრი სიცხადე მიგანიშნებდა, რომ ირგვლივ სულ სხვა სამყაროს დაედო სამკვიდრებელ-სახუფეველი. ყოველმხრივ განსხვავებულსა და საპირისპიროს იმ ჩვეულისას, რომელიც გარეთ, ამ ყრუ, დაბზუელ კედელთა მიღმა დარჩენილიყო და მეხსიერებას წარმოუდგენლად შორი წარსულიდან, ან უფრო ზუსტად, დამადებამდე ზმანებათაგან ჩალექვოდა თუ დაანავლებოდა და თუმცა გარდასული ხშირად ახსენებდა ხოლმე თავს, მაინც გაწცალკევებით იდგა, ისე დაშორიშორისებოდა განელილი და აწინდელი ერთიმეორეს, მოგონება ერუანტელისმომგვრელი გამდღარიყო, მთავარი კი ის გახლდათ, რომ ბიბმა უკვე ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაც საერთოდ არ უნდა სცოდნოდა, მხუსხავი იყო შაშველი სმირითე და, ვინ იცის, ეგების მაგ ზედმეტი ცოდნისადაგამო ხდებოდა, ყოველივე მეტისმეტად, მკაცრად და პირქუშად რომ გამოიყურებოდა და მტკივნეულად დადავდა ბიბის აქაურ ცხოვრებას, ალბათ დღეებიც ამიტომ დიოდა სხვაგვარად — მიიწლასწბებოდა მდორედ, თითქოს უსმაუროდ და უჩინარად, მაგრამ მაინც ისეთის მონდომებითა და სისწრაფით, რომ ზედმეტად ადასტურებდა დრო-ჟამის უძლეველობასა და სიცოცხლის წარმავლობას, თანაც სარკმლიდან რომ ილანდეროდა, ის პეიზაჟიც ამძაფრებდა ყოველივეს — ხრიოკი ეზოყორეთი გარშემორტყმულ-გარშემოფლებული, სამად სანი ალვის ხე, განძარცულ-გაპარტახებული, მცირე ნაწილი მოპირდაპირე სახლის სახურავისა, ხოლო მარჯვენა კედლიდან ბუნდოვნად ამოზზარალი ჭიქის ტრატიარი და გამფლეულ-გამომფლეულთა მკრთალი ილუეტები. თუმცა პეიზაჟი ადრეც ეგეთივე იყო, ხეებს ჯერ კიდევ რომ შერჩენოდა ფურცელი, ეგ მაშინ, ბიბი პირველად როცა მოიკვანეს აქა, მაგრამ ყველელი, გადამკენარ-გარდაცვლილი ფოთოლი სეედას უფრო მეტ გახაკანს აძლეედა...

და მერე კი, დიდი თოვლი მოვიდა უცაბ, ისე მოუულოდნელად, რომ ყოველივეს სითბო და სილბო შესცინა, გაანაგიდ-გადაასხვაფერა გარემოცა და საგნებიც და ბიბი, ფილით სარკმელს რომ გადასცქერიოდა, სულიან-ხორციანად მოჯადოვდა — ეზო ალარ გამოიყურებოდა ხრიოკად, ის ალვის ხეებიც თეთრად შებურვილ-შემოსილიყო, ტროტუარიც ბუნდოვნად ალარ ამზერად სარკეში, ალაც გამფლეულთა სილუეტები იყო მკრთალი და მოპირდაპირე. სახლის სახურავიც იმდაგვარად ქაოქათებდა თეთრად, რომ ბიბს სხეულში ერუანტელი უვლიდა და ეგონა, ხელთ კვლავ აეკვალებულ-ონ ალუბლის რტო ეპყრა, როგორც მაშინ, ერთხელ, იქა, სოფლად, იმ კაშკაშა გაზაფხულის დღეს, მეზობლის გლეხმა რომ უთხრა: ნუ ტეტ, ბაბა, ეუნაე, ცოდვაა მაიო... და ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ იყო ცოდო ალუბლის რტო, აპირებდა კიდეც, ეკითხა ვინმესთვის, მაგრამ ვერ გიბედდა რატომღაც და, აი, მესაძე თუ მეოთხე დედ გამოხდა და გარდაიცვალა ეგ კალები და ვიდრე დასახულევებდნენ, ბიბს მთელ კვირას ჩაესმოდა ყურში:

„ნუ ტეტ, ბაბა, ეუნაე, ცოდვაა მაი“..

ახლაც თითქოს კვლავ ის აეკვალებულ-აფეთქებული ალუბლის რტო ეპყრა ხელთ, ანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ზღვაზე იყო ისევე და ტალღათა სპარულ ისმენდა და სჩვრეტდა, როგორც მაშინ, წვიმისინა ზაფხეკი რომ დაიქმინა, ეს წელიწადს და დროდადრო გამოდარება სანაგანი რამ გამხდარიყო, თითქოს კვლავ ჭკ იყო ზღვაზე, სადაც ერთ დღეს შემოხვეევით მოკაკა ყური ვიღაც ვაეის ნთქვამს:

„ალარ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე, ელიკო"...

ეგ ფრაზა ბიეს მაშინვე გადააეიწყდა და მხოლოდ ახლალა გიახსენა, ამ თხუთმეტიოდე დღის წინათ, როგორადაც უცაბედად ამოტეტვიდა გონებაში და დეიას უთხრა:

„ალარ შემიძია უშენოდ სიცოცხლე, დეია"...

დიდხანს გადასცქეროდა ქალაქთა, თავბრუდამბეეე სითეერეს, რომელსაც ყოველიდე შეეცვალა იერგელ და, ახლა, როცა კვლავ თოვდა და თოვდა ზეავრიელად და წაშლილიყო ზღვარი ცასა და მიწას შორის, ბიეი მიხედა, თუკი შემდეგაც გაგრძელდებოდა ეგრე, თოვლიც მოსახეზრებელი გახდებოდა, ყველაფერს ჩეეეული, ერთფეროვანი კალაპოტი დაებრუნდებოდა. უკვე გამოცდილებით იცოდა, რომ ძალზე ხშირადა ცვლიდა ერთი უკიდურესობა მეორეს და მართლაც ასე მოხდა, მალე თოვლი მოეანა და კვლავ ძველებური ცხოვრება დასაგაერდა — მოსახეზრებელი და ეელში ამოსული, უფრო მეტიც, სითეერე ახლა ეარაბარა ახსენებდა საშინელ სენს, რომელსაც ამაზრზენი სახელი ეერქვა და ეგეც უნეოდა, მაგ ავადმყოფობას უცილობლად რომ მოხდეგდა სიკვდილი. დეიამაც იცოდა ესა, სხვა ბავშვებს კი ამდენი არ გაეგებოდათ ჯერ.

●

— უნა, — დაუძახა ბიემა, შვიდიოდე წლისა თუ იქნებოდა. — უნა, ხედავ? იქ, ეზოში, ვიღაცას გაუვლია, ნაკვალევი მოჩანს...

ბავშვები სარკმელს გადასცქეროდნენ. შვილნი იყვნენ ისინი. არა იცოდნენ რა იმ მწარე სინამდვილისა, სენისა, რომელიც ძვალ-რბილს გასჭღლეშოდა და დღითიდღე მძლავრდებოდა და ფიტავდა ჯერ გაუხარჯავ სიცოცხლეს, თუმცა სიმპოსოლეს ვერ ჩასწვდებოდნენ. მაგრამ თვალნათლივ გრძნობდენ განსხვავებას წარსულსა და აწმყოს შორის, ხედავდნენ სხვა სიცოცხლე დაბინაერებულიყო, აქ, საავადმყოფოს კედლებში, ბავშვური ალღო თითქოს ბუნდოვნად სჭვრეტდა მოსალოდნელსა და გარდუვალს — ყოველივეს წამლეეს, ამტკიცებდა იყო, თვალებში სასოწარკვეთა რომ ჩაგდებოდათ, ბავშვობა სხვაგან, სადღაც დარჩენილიყო და თუმცა ასაკსა და ცნობისმოყვარეობას მაინც თავისი გაჰქონდა დროდადრო, მაგრამ ეეეს, რომელიც ერთხელ ჩასახულიყო და მერე გაზრდილიყო, გაფუებულიყო, მორჩა, აწი ვეღარაფერი მოაშთობდა — ყველას უნდომლად შესცქეროდნენ ისინი — ექიმებსაც, ერთმეორესაც და შვილებესაც...

და, აი, სარკმელს მიღმა იმზირებოდნენ ეგ დაეეეებული, უნდო თვალები — მესამე დღე იყო იმ დიდოოელთან შემდეგ, აღარა თოვდა მაშინ, მაგრამ ფაჩაკარა კვლავ თვალისმომჭრელი სითეთრე ამოსცქერდა.

„უნა, იქ, ეზოში, ვიღაცას გაუვლია, ნაკვალევი მოჩანს"...

ბავშვის ნატერფალი იყო — მკრთალი, ძალზე მსუბუქი და უმწეო, ბედურის ნაფეხურთა მსგავსი...

ბოდა, მთვარეზე ორი კაცი დაალაჯებდა... ეგეც ძალიან დიდი ხნის წინანდელი ამბავი გახლდათ, ხსოვნაში თრთოლვადგამჭვალი წარსულისა და გარეთ, ამ ყრუ, დახშულ კედლთა იქით, არასოდეს გახსენებია, მხოლოდ ერთხელ ისიცა ტელევიზორით, ეს იყო და ესა.

მერე და მერე, როცა კი იმ საშინელ სენზე ფიქრობდა, ზშირად ისსენებდა ორ პირველ ადამიანს, მთვარეზე რომ დაალაჯებენენ და უკან კვალსა სტოვებდნენ..

მიალაჯებდა ორი კაცი, მიდიოდნენ წელშიგადაზნექილნი, სიზმრისეულად არამიწიური იყო ნაბიჯები მაგ ორი პირველი კაცისა, რომლებიც მთვარეზე დაბაჯებდნენ, უსასრულობას მოუყვებოდნენ თითო და ზლიდნენ ზღვარი დროისას და სივრცისას, სიკვდილისას და სიცოცხლისას... ბიეის სიზმრებისა გახდადან ეგ ნაბიჯები; ზუსტად მაგრე დაბიჯებდა ბიეი სიზმრებში, მიცურავდა თითქოს და წონას არა გრძნობდა, სხვებიც ასევე დადიოდნენ ხოლმე ბიეის ზმანებებში...

აქ, სხვა უცხო გარემოსა და სამყაროში, ბიეი ზშირად ნახულობდა ხოლმე სიზმრებს — წარსულის რომელიმე ამბავი მეორდებოდა ძალში, ზოგიერთი იმდაგვარი, ერთიანად რომ მისცემოდა მიეწყებას, ცოცხლდებოდა ძველისძველი, ოდესღაც არსებული, თანაც ისეთის სიმაგაზნითა და სიცხადით, რომ მეორე დღეს სუდა უფრო ძმაურდებოდა. ბიეი ლერძნე ვარჯიშობდა ხოლმე სიზმარში ძალზე ზშირად — ძველებურად ტრიალებდა, მსუბუქად და ლაღად, კუნთებიც დასკდომამდე უმკრეოდებოდა თითქო, და, რაც მთავარია, თავბრუ აღარ ეხვეოდა...

და, აი, ახლა, ბავშვები სარკმელთან რომ იდგნენ და თოვლში გაფეთეთ ნაკვალევს გადასცქეროდნენ, ბიეი კვლავ იმ ორ პირველ ადამიანს ისსენებდა, რომლებიც მთვარეზე დაალაჯებდნენ მაშინ.

საავადმყოფოს ეზოში კი ნაკვალევი სარკმელს ქვემოთ იწყებოდა და ლიბემდე აღწევ-

---

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲠᲘᲪᲮᲕᲐᲫᲔ
ᲛᲐᲠᲐᲯᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და ერთ-ერთ გადათეთრებულ ალვის ხესთან; შუა ეზოშიდე წყვილი ნაფეხური მიემართებოდა, იქიდან, სამოიდე მეტრის მანძილზე, მხოლოდ ერთი მოჩანდა, ეტყობოდა ისა, ვისაც ეკუთვნოდა ნატერფალი ასკინელაზე გადასულიყო, ნაკვალევი აქ უფრო ღრმაც იყო და ისეთი უმწეოდ არა ჩანდა, რადგან სიმძიმე ტანისა თოფში მოსიარულეს ცალ ფეხზე გადეტანნა, მაგრამ მალე გადაქანცულიყო, ხუთიოდე ობოლი ნაკვალევის მერე კვლავ ტყუპი მიემართებოდა და ისევ ისეთივე, ბელურის ნაფეხურთა მსგავსი... მსუბუქი, მკრთალად არეკლილი კვალი ალვის ხეს უფლიდა გარს და კვლავ აქეთ მოედინებოდა, სარკმლისაკენ...

შვიდი წყვილი დაეტეკეტულ-სასოწარკვეთილი თვალი შესცქეროდა ბიჭს.

ბავშვები პასუხს ელოდნენ.

— მართალია, — თქვა უჩამ. — თოვლში ვიღაცას გაუვლია...

ამჯერადაც უნდოდ უმზერდნენ ბავშვები ღა უჩას, ბოლო ხანებში საათობით რომ შეეძლო ფიქრი ყოველივეზე, რაც კი ოდესმე განეცადა თუ ხსოვნას ჩაჩრენოდა, — ეგ აქ შეიქნენი ბავშვებმა გაბლდამ, — ფიქრი დღისით და ღამითაც, როდესაც ძილი გაუტყდებოდა ხოლმე. უფრო ხშირად კი ეძინა თითქოს, თანაც უამრავი რამ უტარილებდა გონებაში, ამ ზეიმეტმა, ასაკთან შეუფერებელმა ფიქრმა და განხეჭამ, შეუმცდარი ალღო და სხვათა ფიქრების ამოცნობის უნარი რომ შესძინა, ახლაც აგრძნობინა — ჩემი ნაფეხური მგონიათო და მიხვდა, ბავშვებს შერით აღაცქებდათ იმ ამბის გაგება, თოვლში გაკლებული ნაკვალევი მათზე უფროსი ბიჭისა თუ იუნებოდა და რაც შეეძლო დამაჯერებლად წარმოსთქვა:

— ვინ ჩაიპარებოდა ნეტავი ეზოში? მგონი, ნაფეხური რომელიმე თქვენთაგანისა უნდა იყოს...

ისევ ბოლმად ენთო მზერა ბავშვებისა.

— მაინც რომელმა შესძელითო თოვლში ჩაპარვა? — იკითხა უჩამ.

თუმცა ბავშვები კვლავაც ემვინ შესცქეროდნენ ბიჭს, მაგრამ მიხვდნენ მერე, უჩასი არ იყო ის ნაკვალევი და ჩაფიქრებულებმა შეათვალეიერეს ერთმეორე.

უჩამ მათ გამოხედვაზე იგრძნო — ამჯერად ერთმანეთზე ეტყობოდნენ ბავშვები.

დიდხანს იდგნენ მაგრე მხისამოსულებლად, ხან ერთმანეთს გადახედავდნენ და ხანაც გადათეთრებულ საავადმყოფოს ეზოს.

შეუმცდარად იცოდა უჩამ, რასაც ფიქრობდნენ ისინი მაშინ და მართლაც ცოტა ხნის მერე შვიდივეს სიხარულმა გაუნათა თვალები და სახეზე იოლადშესამჩნევი ნაამაყეც კი დაეტყოთ, ალარც ერთმეორეს შესცქეროდნენ და ალარც საავადმყოფოს გადათეთრებულ ეზოს გადამზერენენ, ალბათ ყოველი მათთაგანი ფიქრობდა — სხვებს მგონიათ, ეზოში ჩავიდა, ეკავლევიოთ...

მერე კი სარკმელთან სამი ბავშვი დარჩა მხოლოდ, სხვები პალატებისაკენ გიემართნენ და ანდრო ეკითხა რომ ჩამოიარა, უჩას მოეხმა, როგორ დაუძახა ერთ-ერთმა ბავშვმა:

— ანდრო ეკითხ, ანდრო ეკითხ, ერთი წუთით ვერ მოხვალო აქა?

— ახლავე... — გაიხმა ეკითხის ხმა.

— იცით, რა? — წამოიწყო ისევ იმან. — აი, იქ, ეზოში, ხედავთ?

ანდრო ეკითხმა სარკმლიდან გადიხედა, დაკვირვებით შეათვალიერა გარეთო — კაცსშვილი არ ჭაბუნებდა და ბავშვმა ისევ განაგრძო:

— ეზოში ნაკვალევია, ანდრო ეკითხ, პატარა ნაფეხური, ვიღაც ბავშვს გაუვლია იქა...

ანდრო ეკითხმა კვლავ ეზოს მოავლო თვალი, შენიშნა მსუბუქი ნაკვალევი თოვლზე და უჩამ იგრძნო, ეკითხს გული რომ შეეკუმშა უცაბ, ეს უეცარ შეკრთომაზე შეამჩნია და იმასაც მიხვდა, გაუკვირდა თავის შეკავება.

— ო, თქვე ინავრებო, თქვენა, — ჩაესმა უჩას ეკითხის ხმა, — რომელიმე თქვენთაგანი ჩაიპარებოდა იქა, ან შენ... ან შენ... ანდა შენა... გამოტყდით, რომელი იყავით...

მერე ალარ ჩამოუბარენია.

ეზოში კვლავ ეგ ძველი თოვლი იდო, იმდღეგანდელი, რომელმაც ბიჭს წამით გაახსენა და მოანატრა ზღვა და აყვავილებული ალუბლის ტატო; მალე კი ყინვანაი ამინდები დაიჭირა და ბიჭის წინაგრძნობა აცხადდა — ეზო კვლავაც უწინდებურად ამოზზერილა სარკმელს, მოსაბეზრებლად და ეულად, ხოლო ის ნაკვალევი, მსუბუქი, ბელურის ნაფეხურთა მსგავსი, კიდევ დიდხანს დარჩა იქ, საავადმყოფოს ეზოში, მოყინულ თოვლზე.

●

— რა ლამაზია, არა? — თქვა დეიამ. — დაიცა, ლამაზი კი არა...

ჩაფიქრდა და ეზოს მოავლო მზერა, უცაბ დაუბრუნდა თვალები, კარგა ხანს უკვირდა თოვლის ფართო ფენტელებს, მსუბუქად რომ მოფარფატებდა მიწისაკენ და გარეშის, რომელსაც უფრო და უფრო ემატებოდა სითეთრე, თვალმოუცილებლად გადაესქეროდა სარკმელს — მოჭადიფულივით, ფუმდა და ის დანისლული თვალთა გუგები ნელ-ნელა, თანდათან უფართოვდებოდა, უფართოვდებოდა და ნათლით ევსებოდა, თითქოს ენამებოდა კიდეც და მინდრის ყვავილს ემსგავსებოდა, მერე ის ნათელი სითბო თვალთა გუგებიდან ირგვლივ ყველაფერს ედებოდა და ეფინებოდა და უჩას, ბუნების მოულოდნელი ცვალებადობა — თოვლი და უეცარი გარდაქმნა-გარდასახვა ყოველივესი, ტანში ქრუანტელისმომგვრელ ყინვად და სიცივედ რომ გასჭდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა, ახლა, როცა დეიას თვალთა გუგებიდან გადმოდგრილ იმ ნათელ სიობის გრძნობად და უმზერდა, ეჩვენებოდა, თითქოს მზეს ეფინებოდა ყინულიანან დამზრალ-გათოშილი სხეულით, ანდა ლამაზ ბანგებს ისმენდა მუსიკასას, რომელიც ძალზე შორიდან აღწევდა სუსტად და ბუნდოვნად...

ყოველთვის ასე ჩვეოდა ხოლმე დეიას, თუკი რაიმეთი მოიხიბლებოდა, მაშინვე გადმოღვრებოდა სითბო და ნათელი თვალთა გუგებიდან; ეს მაშინაც ეგრე ემართებოდა, როდესაც ლამაზ სიტყვებს ეძებდა ხოლმე აზრის უკეთ გამოსახატავად და ბიემა გაცნობის პირველი დღიდანვე ამოიცნო ეგ საოცარი თვისება დეიასი.

პირველად რომ მოიყვანეს გოგო აქ, ბიემა იმ დღეს მხოლოდ ერთხელ მოპკრა თვალი, პალატაში რომ შეჰყავდათ მაშინ, მეორე დღეს კი, საღამოს, ახალ შებინდებულზე, ბიეი სარკმელთან იდგა და როგორც ყოველთვის, უფიქრობის ეამს, ახლაც იმ ამოჩემებულ განძარცულ ალვის ხეებსა და მკრთალად ამოშუქნილ ტროტუარს გადასცქერდა, გოგო რომ მიუახლოვდა და ჰკითხა:

„დიდი ხანია, რაც აქა წეეხარ, საავადმყოფოში“?

ბიემა, თუმცა ვინმესთან საუბრის გუნებაზე არა ყოფილა, მაინც მიუგო — ოცი დღე იქნებიო...

„უჰ — რატომღაც შეიცხადა გოგომ, — ღმერთო ჩემო, ვაიმე, რა საშინელებაა, ოცი დღე?“

და ეგ სიტყვები ისეთი კაბკაბი და ჯალი ხმით იყო წარმოთქმული, რომ ბიეს უცებ მოეჩვენა, თითქოს საავადმყოფოს მოსაბეზრებელ გარემოსა და ტანჯულ ერთფეროვნებას, რომელსაც წამლების სუნით დამძიმებულ-გაჯერებული ჰაერი უფრო აუტანელს და პირქუშს ხდიდა, ნაალრევი გაზაფხულის, ლორაკონ ბალახისა თუ ნაწვიმარი მინდვრის გამაბრუებლად ხაამი სურნელი შეერია...

გოგო სარკმლის რაფას ორივე ხელით დაყრდნობოდა ის საღამოს, ტანი მარცხნივ, ბიეისაკენ გადაედრიკა და ეგრე შესცქერდა, გამხდარი იყო, ფერმიხდილიცა და გაუნაბუღლიც, ზარი, ქერა თმა მხრებზე ეფინა, შუბლზეც ჩამოშლოდა და სახეს თითქმის ერთიანად უფარავდა და თმებს შორის ნიკაპი, აწითლებული ბაგეები და ლურჯად აციმციმებული თვალები მოუჩანდა. — სარკმლის მინაში ირეკლებოდა ყოველივე ესა და ბიეი თვალმოუშორებლად უმზერდა.

„რა გქვია“? — ჰკითხა მერე გოგომ.

„უჩა“.

„უჩა, უჩა“... — რამდენჯერმე გაიმეორა გოგომ ისეთივე აწკრიალებული კაბკაბა ხმით და ბიემა სწორედ მაშინ შენიშნა პირველად, როგორ გაუფართოვდა თვალები გოგოს და იმის თვალთა გუგებიდან გადმოღვრილ ნათელსაც და სითბოსაც იმ დღეს ეიეფიცება პირველად.

— ლამაზი კი არა, — კვლავ განაგრძო გოგომ, — თოვლის ფანტელთა ქეიფიტით რაცა იჯერი ვული, აი, მაშინ იყო ეგა, მოუფიდნენელ-ფა რომ მოვიდა თოვლი, — დიდებულია, წარმტაცია, ეს, ეს სიკაშკაშე... იცი რა? იმ დღეს რომ მთიანი, ალარ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე, დეიაო... მე უცებვე მინდოდა გამეცა პასუხი შენთვის, იგივე მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვა სიტყვებით, უფრო ლამაზად, მთელ ღამეს ვიფიქრე, თვალზე რული არ გამკარებია, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გამოვჭიეი ეაკეთესად, ხან ალარ ძალმიძს-მეთქი, მსურდა მეთქვა, ხან მიჭირს-მეთქი, ხან რა და ხანაც კიდევ, რა, მაგრამ მაინც იმან აჯობა, შენმა ნათქვამმა და მეორე დღეს მეც ზუსტად ეგრევე მოგმართე, შენივე გამონათქვამით: ალარ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე, უჩა-მეთქი...

— მე ზღვაზე გავიგონე ეგ სიტყვები, — უთხრა უჩამ. — შენც რომ ისვენებდი თურმე იქა, იმ წელიწადს, ზვიმინთი ამინდები რომ დაიჭიმა, ერთმა კაცმა უთხრა მაშინ ვიღაც ქალს ასე, მერე გადამავიწყდა კიდეც დღ შენ რომ გაგიცანი, მაშინლა გამახსენდა.

— ახლაც არ ვიცი, — წამოიწყო კვლავ დეიამ. — რა სიტყვებით გამოვიქვა, როგორია ეს თოვლი, ალმაცი ქაოქაოა, თან თბილია, ფაფუკეაც, არა, სხვა გაცილებით უფრო ლამაზი სიტყვებიც შეიძლება გამონახო ადამიანმა, მაგრამ...

დეიას სიტყვები უყვარდა, აზრის ლამაზად, ზოგჯერ კი რაც შეიძლებოდა უფრო ბუნდოვნად გამოხატვა, ეშინოდა კიდეც სიტყვებისა, ყოველ მათგანს, განსაკუთრებით კი ისეთებს, რომელიც გამორჩეული მოსწონდა, იმდაგვარის კრძალვითა და რიდით წარმოსთქვამდა, თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან ხელახლა მოვლენილი ჭეკეანის და უძვირფასეს რამ რიტუალს ასრულებდა, ვიღრე რაიმეს იტყოდა, ჩაფიქრდებოდა ხოლმე ყოველთვის, თვალები დაეხუჭებოდა, მიწას წყდებოდა თითქოს და სავაკრის სხვა, მხოლოდ და მხოლოდ მისეული, სპეტაკი სივრციდან გადმოსჭვრეტდა; ასეთ დროს ერთიანად ჰაეროვანი ხდებოდა, ჰაეროვანი და გამჭვირვალე, მერე კი, როცა სახურველ სიტყვას მონახავდა და იტყოდა, სახეზე წამოეფინებოდა და სიწითლე ფრაქსკა ამსგავსებდა... სიტყვების სიუვარული, შიში და კრძალვა თანდაყოლილი თვისება გახლდათ მისი.

„მეშინია კიდეც ზოგჯერ ლამაზი სიტყვის წარმოთქმისა და, იცი რა? უჩა, თითქმის ყოველ სიტყვას ფერიცა აქვს თავისი, მხოლოდ

მისული. რაიმე არსებული კი არა, არა, საერთოდ რომ არ არსებობს ბუნებაში. ისეთი, აი, მაგალითად, — „წარმტაცი“, რა ფერია იცი ეგ სიტყვა? არარსებული ძალზე ჯადოფერი, ყველაზე სნეა დანარჩენ ფერზე ლამაზი, ულამაზესი, მე ეზედავ, რა ფერიცაა, მომხიბლავი... სურნელია აქვს სიტყვებს და ვერავის კი ვერ გავაგებინე ეს ამბავი, ადრე, ბავშობაში, დამცინოდნენ კიდეც ამ მერე, როცა წამოვიზარდე, კაცობრიობასთვის ადარ მითქვამს, შენ კი, ვიცი, არ დამცინებ, უჩა, და ამიტომაც გიმბილ ეგ კიდევ იცი რა? ვარდს თუკი ვახსენებ, სურნელსაც ვგრძნობ ხოლმე ვარდისას, ხოლო საბარიანია ეთქვა — ყინულიი-მეთქი, პაპანაქების ზაფხულია რომ იყოს, ამაბეზეგებს, ზოგჯერ კი სიზმრადაც მეზმანება სიტყვები. სიზმარში გაცილებით ლამაზი ფერისანი არიან, მეშინია კიდეც მათი უცნო ფერისა და სურნელისა და მერე, მერე დილით, როგორც კი თვალს გავახელ, ზოგიერთ მათგანს ვეღარ ალვიდენ ხოლმე მეხსიერებაში და მთელ დღეს იმისი ფიქრი მტანჯავს, რომელი სიტყვა მეზმანა-მეთქი, მაგრამ ამაოდ, ვეღარ ვიხსენებ“...

აი, ასეთი იყო ფიცი და ბიკმა ეგ მხოლოდ მაშინ გაიგო, ერთხელ რომ გაუშხლია გოგოს — ტანმოვარჯიშე მინდოდა გამოსულიყავიო...

„კარგია, უჩა, — ეუბნებოდა მწვრთნელი, ახალგაზრდა კაცი, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ. — თუკი გულს დაუდებ და უფრო მეტს იკარჯავ, შენი ხმალი და ჩემი კისერი, ნამდვილი ტანმოვარჯიშე დადგება შენგან“.

გახარებული ბრუნდებოდა ხოლმე ბიკი შინ და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ხელახლა ეწვეოდა დარბაზს.

„კარგია“... — ყოველი ვარჯიშის მერე ერთსა და იმავეს იმეორებდა მწვრთნელი.

ერთხელ კი, ხუთი თუ ექვსი თვის წინათ მოხდა ეგ ამბავი, ღერძზე რომ უნდა შემბტარიყო, თავბრუსხვევა იგრძნო ბიკმა, თვალთ დაუნბენდა ჯერ, მერე კი, ვიღაც გოლიათმა ირტყა თითქოს ხელში, კარგა ხანს აბზრიალდა და უცებ მოსხლეტით დაუშვა ძირს... ყველაფერი ტრიალებდა ირგვლივ: ღერძიც, მწვრთნელიც და სხვა ბავშვებიც.

ეგეც ძალიან შორეული წარსული იყო, თითქმის მივიწყებას მიცემული, თითქოსდა მრავალ წელიწადს გაერბინოს მაგ ამბის შემდეგ. ბიკი ზოგჯერ ფიქრობდა კიდეც — ვინ იცის და, ეგ ყოველივე ეგეთის საერთოდ არ მომხდარა, იქნებ მხოლოდ და მხოლოდ სიზმრად ვიხილე და მერე სინამდვილედ ვირწმუნეო...

„შე კი, არც გამეგებოდა, რა უნდა გამოსულიყავი, — უთხრა მაშინ დეიამ. — ისე კი, სიტყვები მიყვარდა, ყოველთვის ასეთი ვიყავი, რაც კი თავი მახსოვს, უფრო ადრეც, მეხსიერებას რომ არ შემორჩენია, იმ ასაკშიც ასეთი ვყოფილვარ, ერთხელ ჩვენს ეზოში ძალიან ლამაზი ბალიშიანი თორმე ერთი, ბე, მამაჩემი რომ მობრუნებულა სამსახურიდან, ახე მითქვამს: იცი რა, მამაკო? დღეს, უთენიაზე, გარიჟრაჟისას, ჩვენი მერა ალრაფლებულა... ახლა ადარც კი მახსენდება, როდის მომხდარა ეს და არც ის მახსოვს, როდის გავიგონე პირველად სიტყვები: „გარიჟრაჟისას“ და „ალეფლულა“, ჩვენები ახლაც ალეფნიან ხოლმე, როცა კი ამ ამბავს გიახსენებენ“.

ბავშვები რომ გამოეფინენ დერეფანში დეიას და უჩა კვლავ იქ იდგნენ, შვიდიანები ერთდროულად გამოცვივდნენ, ჯერ ეიფელ-ხიბილით მიაწყდნენ სარკმელს, მერე კი დადუმდნენ და ხმისამოუღებლად, ღიმღამს, ძალიან დიდხანს შეპყურებდნენ ფანტელებსა და გადათეთრებულ ეზოს, მოკაკიბულულებსა ჭვავნდნენ, იყვნენ ერთხანს აგრე და კვლავ ატეხეს ყრიამეული მერე და ეს ქარიალი, ლამაზი ხმები საავდმყოფოს დერეფანსა და პალატებს უცნო რამ ზღაპრული ჰანგივით მოედო და მოეფინა, ხოლო ამ სიმშვიდეს, რომლითოც პირველი თოვლის ფანტელების ავსებდა ქალაქს, ჭუჭრიანად აქაც შემოეთნა — საავდმყოფოს კედლებში, ნელ-ნელა შემოადწია და აქეთ მკაცრ ყოველდღიურობას სილბოდ გადმოეღვარა, ბიკმა კი, გახარებულ ბავშვთა ხმაურს რომ ისმენდა, ყოველივე გადავიწყა წამით, ამ მოულოდნელმა თოვლმა და ყრიამულმა წაშალა ზღვარი აწმყოსა და წარსულს შორის და იმჟამად მარტოდენ ეგ ერთი დიდებული და მომთენთავად მშვიდი, წარმტაცი ნამი არსებობდა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა, არ გაგრძელებულ დიდხანს, უცებვე გაჭრა.

— მაინც ასე მგონია, — ჩაესმა დეიას ხმა, როცა ბავშვები პალატებში შებრუნდნენ და ყრიამული მოწყდა, — დარწმუნებულიცა ვარ, რომ ჩვენ აუცილებლად შეეხვედროდით ერთმანეთს ზღვაზე, წვიმიანი ამინდები რომ დაიჭირა, მაშინ...

— შეიძლება. მეც ასე ვფიქრობ, თითქოს მახსენდები კიდეცა, წითელ საბანიო კოსტუმს იცმევდი ხოლმე, არა?

— ჰო, წითელს... შენ როგორა გგონია, უჩა, ამაო, ამ ბავშვებს არაფერი ეცოდინებათ?

— არა მგონია, — მიუგო უჩამ, — რა უნდა იცოდნენ...

— ვაიმე, უჩა, ყველაფერი რომ კეთილად დასრულდეს, რა კარგი იქნება, არა? ხელახლა დაბადებასავით იქნებიო ალბათ, მეორედ დაბადებასავით, და რა წარმტაცი გახდებიო მაშინ სიცოცხლე, რა მოხდებოდა ვითომ ბავშვობიდანვე შეეხვედროდით ერთმანეთს, სულ ცოფთნი რომ ვიყავით, აი, ფეხი ავიდგით თუ არა, მაშინვე... ვაიმე, რატომ ადრე არ გიცნობდი, უჩა, რატომ, რატომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, უჩას — ცამეტი წლის ბიჭს, ამყვამად ყველისფერი და ყოველივე სმაყდა: სმულდა აწმყო — გადათეთრებული ეზო და ჭიეტები, საავადმყოფოს დერეფანი და პალატები, წამლების სუნით გაჯერებული პაერი და ანდრო ექიმი თუ ექთნები... ეზიზღებოდა წარსული — ძველისძველი გახსენებანები თუ ადამიანები, მშობლები, ტანვარჯიში, ის პირველი მიცვალებული, სოფლად რომ ისალი მაშინ და ის პირველი სიყვარული ბორცვი, ის ორი პირველი ადამიანი მთავრეზე რომ დალაპარაკდნენ და ის ახალგაზრდა ვაჟის სიტყვებიც, ქალს რომ უთხრა ზღვაზე... ზარაფვა მომავალი — მხოლოდ ეგ მხოლოდ მარადიული წყვდიადი და არარობა...

ხოლო დეიას ფერთო ლუჩარი თვალები ჰკონდა, ფართო, ფართო და სოი

მიჯდა თუ არა, ხელები ერთმანეთს ჩაავლო — ეგების ცახცახი შეენერეოო, მაგრამ ვერ შეძლო და ზურგსუკან შემოიწყო მოსწავლეთა...

— ანდრო ექიმო, მე მინდა, — წამოიწყო ქალმა. — მე მინდა... — და მოელვარება მიეძალა, ცრცმელი ჩამოუგორდა ღაწვებზე და ცხვრისახოცს დასწვდა, შეიმშრალა კურცხალი და ვიდრე დამშვიდდებოდა, ექიმიც უბრად იყო, კვლავ იმ კაცად ქცეულიყო იმოკამად, წელან რომ ვიხილეთ, პალატების შემოვლის შემდეგ — დაღვრემილი და დასეფიანებული სეგარეტს მიექაცა ისევ.

ქალი, როგორც იქნა, დამშვიდდა და განაგრძო:

— მე მინდა, ყველაფერი ვიცოდე, რამდენ ხანს იცოცხლებს...

ექიმს შესაქეროდა და წელანდელივით ეძალებოდა ცრემლი.

— იცით რა, — თქვა ექიმმა. უკირდა ლაპარაკი და ქალი ამკარად გრძნობდა ამას. — ერთ წელიწადს, — წამოცდა მოულოდნელად. — ერთ წელიწადს მაინც... შესაძლებელია, უფრო მეტ ხანსაც, ამასობაში კი ყველაფერია მოსალოდნელი, ეგება ეშველის რაიმე ამ სენს.

— არა, — თქვა ქალმა, — არა, — ცახცახს ვეღარ იკავებდა. — ტყუილი იმედია, რა უნდა ეშველოს...

წამოდგა შემდეგ და ენერგიული ნაბიჯით მივიდა კარამდე, ექიმს არც გამომშვიდობებია, ისე გავიდა ოთახიდან.

შუადღისას ახალი ავადმყოფი მოეყვანათ და ექიმი გამოიძახეს, ასეთი დროს თითქმის ყოველთვის ხალისიანი გაბდადთ, ხიამოვნებას გვრიდა ხოლმე დროებითი გაურკვევლობა, რაც ავადმყოფის მიღებიდან დიაგნოზის დასმამდე არსებობდა — იმ განყოფილებიდან დალწე იშვიათი მოვლენა გახლდათ ჯანსაღი ბავშვის გაყვანა და თითქმის ხასწეულს უდრიდა, იყო შემთხვევები, როცა დაავადების ადრეულ სტადიაზე მოიყვანდნენ ხოლმე ბავშვს, ავადმყოფობის განვითარებას დაასწრებდნენ და სენს ჩაკლავდნენ, აი, სწორედ მაშინ მოიცავდა ხოლმე ექიმს ის პროფესიული სიმაყე, რომელიც ადამიანთა უმრავლესობისათვის აგრერგადდა დამახასიათებელი.

შუადღის მერე კი ნაძვის ხეს დგამდნენ...

საავადმყოფო ახალი წლის შესახვედრად მზადებოდა, — ათი წელი გასულიყო იმ დღის, შემდეგ, პირველად რომ ლაღდა ანდრო ექიმმა ნაძვის ხე აქ, ბავშვთა განყოფილების დერეფანში.

მწვანე რტოები თანდათან იბუნძლებოდა სათამაშოებით, ბავშვებსაც თვალები უბრწყინავდათ მაშინ და ანდრო ექიმსაც, შორიდან რომ შეგეხედოდა, რაც უნდა კარგი ალღოთი და ფანტაზიერების უნარით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანებულიყავით, ვერა და ვერ მიხვედრილიყავ ბოდიო, როგორ იტანჯებოდა ანდრო ექიმი იმფამად, ისე კი, ერთის შეხედვით, უზრუნველ, განებივრებულ ბავშვს დამსგავსებოდა, რომელსაც თვალები გაუნათდება ხოლმე სათამაშოებისა თუ ტკბილეულის დანახვისას და ბავშვებსაც გადასდებოდათ ექიმის ბჭიარულება — სევდაც ჩამოსცილებოდათ და სასოწარკვეთაც და ახლა, ამ წუთას, როცა რაზეღაც საათ დარჩენილიყო ახალი წლის შეხვედრანებამდე, იფიქრებდი, ნაძვის ხეს იქაც ისეთივე ჩეულებრივი ბავშვები რთავდნენ, როგორც ყველგან, უამრავ ოჯახში, საავადმყოფოს კედლებს მიღმა.

მორთულ-მოკაზმული და ანაზრაზებული იდგა უკვე ნაძვის ხე და ანდრო ექიმი დიღხანს ისმენდა გამხიარულებულ ბავშვთა ერიამულსა და კისკისს.

ეგ შვიდი ბავშვი აუცილებლად შეხვდებოდა ახალ წელს — კარგად იცოდა ანდრო ექიმმა, ეგ შვიდიცა და ის ორიც, უფრო მოზრდილნი რომ იყვნენ. მერე კი, როცა სხვა ახალი წელი ჩამოიკვლიდა. ისინი ალარ იქნებოდნენ ცოცხალთა შორის; ასე გახლდათ ეხა, გამოსავალი არ არსებობდა და, აი, უცაბ, მაშინ, იმ წუთას, ექიმის ძარღვებში მორბენდა და ღვთისმოსავ წინაპართა სისხლი აჩქროლდა თითქოს:

ხოლო უფრო მოგვიანებით, როცა საავადმყოფოდან გასასვლელ კარს უახლოვდებოდა დადერემილ-დადარდიანებული და სახეზე აშკარად დამჩნეოდა ყოველივე, რაც კი იმ დღეს განეცადა, უცაბ ჩაესმა:

— ანდრო ექიმო, ანდრო ექიმო... — და ტანში გაკრთოლა, ეცნო ხმა და უცაბვე მობრუნდა თვალში ღიმპრამდგარი, — ანდრო ექიმო, — უთხრა უჩამ, — დეია ისევ წამოდგება ფეხზე? მეხანე დდეი, რაც ოოგინდ ჩავარდა, პალატიდან ალარ გამოსულა...

ერთხანს ფიქრობდა ექიმი.

— კი, წამოდგება, — მიუგო მერე და ჰკითხა, — შენ დიდი ხანია იცნობ დეიას?

— არა, აქ გავიცანი, საავადმყოფოში... ანდრო ექიმო, მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი... მართალი მითხარი, ერთი კვირით მაინც თუ წამოდგება დეია ფეხზე...

. . .

ექიმი დაღლილი ნაბიჯით მიდიოდა შინისაკენ.

ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა და ბრდღვიალებდა.

ყინავდა.

გზაზე მხიარული ხალხი ხვდებოდა — ხახ-

ლებისაკენ მიიჩქაროდნენ. საზეიმო მოლოდინი იგრძნობოდა.

ახალი წელი შემოდიოდა ქალაქში...

●

როგორც ყოველთვის, დრო მაშინაც ძველებურად მიედინებოდა — უჩინარად, მაგრამ მონდომებით და ირგვლივ ყველაფერსა და ყოველივეს: ადამიანებს, გარემოსა თუ საგნებს თავისებურ, მხლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ დაღად ეშნიებოდა, მარტოდენ იმ კვალსა და ნიშან-წყალს ანნევდა, რომელიც თავად მოპრიანებოდა და სურდა, რაიც უცილო და გარდაუვალი გახლდათ ეა, აი, ახალი წელიც შემოგრიალდა, შემობრძანდა და ხალხს მოგონებებსა და გარდასულ ამბებში აუფათურა თითეული, ეგ, ამ თავისებურსა და განსხვავებულ სამყაროში უფრო მეტის სიმკვეთრითა და სიცხადით იგრძნობოდა თითქოს — ერთი წელი შეიცვალა მეორეთი და ბიჭს ახლა სურდა წარსულიდან იმდაგვარივე დღეების ალდგენა-გახსენება, მაგრამ არა, ვერა და ვერ მოეხერხებინა, მხოლოდ ნაძვის ხის მწვანე რტოები, საახალწლო ჭრელა-ჭრელა ხათამაშოები და ნაცნობ ადამიანთა სახეები თუ გაუელვებდა თვალწინ, ეს უველაფერი განცალკევებით, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ტიტვებად წარსულში, მთავარი კი, ის ერთიანი, მთლიანი სურათი საზეიმო იერ-ფერით, ხალისითა და ხმაურით აჩახჩახებულ-ახარხარებული მომჩიბველელი დღეებისა წლებს მიღმა დარჩენილიყო, ისე მიუწვდომლად შორს, რომ ეფლარ იქნა, ვერ აღდგენა...

ახალი წლის ნენი დღეს, აი, მაშინ, ნაძვის ხის რტოები ხათამაშოებით რომ ისუნძლებოდა და ბიჭი იმ შვიდი გახარებული ბავშვის სიცილ-ეროვამაულს ისმენდა და შესცქეროდა, გრძნობდა, მხიარულება ბავშვებისა, ალბათ თავადვე რომ ვერ მოუვიდოდათ აზრად, შებორკილი და ნაძალადევი იყო მაინც, მოძრაობითაც ზანტად და უსიცოცხლოდ ირჯებოდნენ თითქოს და არც ანდრო ექიმის ძალისა-ძალათი მხიარულება გამოპარვია ბიჭის თვალს, ბოლო დროს იგი ძალზე ბევრ რასმე ამჩნევდა ირგვლივ მყოფი იმგვარს, რასაც ადრე ვერ ჩასწვდომოდა და მაშინაც, იმ ახალი წლის წინა დღესაც გამოიცნო ანდრო ექიმის განგებისი მხიარულება და იმასაც კი მიხვდა — ექიმი ღელავსო...

ხოლო ახალი წლის დილით, უთენიაზე, შშობლები ეწვივნენ ბიჭს და თვალის ერთი შეელებისთანავე ამოიცნო მათი თითქმის ყოველი ჩანაფიქრი.

საოცარი რამ ემართებოდა ბიჭს იმ ხანებში — შშობლებს ველარ იტანდა იგი, თუმცა გულმოდგინედ ცდილობდა მიეჩქმალა ეგ გრძნობა, საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ მაინც ეგრე იყო და ყოველივე მას შეიძულებდა მიდგა მოხდა, სამარილთ რომ გაიგო ბიჭმა ექიმ-ბოროტი სენის შესახებ.

— კარგად გამოიყურები, — უთხრა დედამ და ბიჭმა აშკარად შეატყო, როგორ დაეძახა სახე მაგის თქმაზე და ისიც დაინახა, საფეთქელთან ცისფერი, ძნელადშესამჩნევი ძარღვი რომ შეუტოკავდა უცებ.

ბიჭი იმახავ ხედავდა, თვალები ნამტირალევი რომ ჰქონდა დედას და იცოდა, საავადმყოფოდან გავიდოდა თუ არა, ხელახლა ატირდებოდა.

მამამაც უთხრა — კარგად გამოიყურებიო და ხმა გაებზარა.

— კი, — უთხრა ბიჭმა შშობლებს. — თავს გაცილებით უკეთესად ვგრძნობ, რა შედარებაა...

ეგ სიტყვები ბიჭმა ულსიდან მიუგდო ორთავეს, უფრო იმის გამო, მოვალეობა მოვიხადოო...

მერე კი, როდესაც შშობლები გაიხტუმრა, რამდენჯერმე დაალპირა დეიას პალატაში შესვლა.

მეოთხე დღე იყო, თვალიც ადარ მოეკრა გოგოსთვის და ახლა სურდა როგორმე კვლავაც ეხილა იგი, ისევ დალაპარაკებოდა, კვლავ ეშზირა ერთ ხანს იმ დაბურუსებულ თვალთა-თვის, მაგრამ პალატაში შესვლა ვერ გაებედა დეიასთან და როდესაც დარწმუნდა, ვერა და ვერ შეელო იქაო, საწოლზე გაგორდა, იცოდა, რა უსასრულოდ გაგრძელდებოდა და გაწელებოდა ის დღე და ღამეც როგორ გაჭიანურდებოდა... გაბეზრებული და თითქმის გაბოროტებულიც იწვა, ექთანნი რომ შევიდა და უთხრა:

— დეიასთან შეიდი პალატაში, გთხოვა მომინახულოსო...

იმ სან დღეს, რაც კი ლოგინად ჩავარდა, ისე ჩამოდენო დეია, ბიჭი ვერც წარმოიდგენდა — სახე ერთიანად ანწოლილთოდა მაღალი სიცხისაგან, თვალები კი კიდევ უფრო მეტად გაფართოებოდა და ბიჭმა შეეხედა თუ არა, მაშინვე გაიფიქრა: აწი თვალები დღითიდღე უფრო და უფრო გაუფართოვდებიო... სახნინდან თეთრი, სიფრიფანა მხრები მოეჩანდა გოგოს, ხოლო მსუბუქი ქერა თმა სქლად მიღვრილ-მოღვრილიყო ლოგინზე და ერთიანად ფარავდა ბალიშს, ის თმებს შორის, ბიჭი თითქოს სიზმარში ხედავდა, ეგრე უცნაურად და ლამაზად გამოიყურებოდა სახე და თვალები.

დეიას უცებვე დაეტყო ბიჭის შესვლით გამოწვეული სიხარული, არც ცდილა დაფარვას, საწოლზე წამოჯდა და უმალ ალაპარაკდა:

ჯუმბერ ტიპარაძე
მარადისობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, დედიკო, აი, ეს არის უჩა, გახსოვს, ჩვენ რომ ვისეირნეთ ზღვაზე, წითელი სახანთო კოსტუმი რომ მიყიდე, აი, იმ წვიმიან ზაფხულს, ჰოდა, ესეც იმ ყოფილა თურმე მაშინ და როგორც კი გავიცანი, უცებვე გავიფიქრე, საიდანღაც მეცნობა ეს ბიჭი-მეთქი, ახე მგონია, თითქოს მაშინ მინახავს უჩა, ახა, ერთი დააკვირდი, დედიკო, შენ ხომ არ გეცნობა?

დეიას დედამ — მაღალმა, აშხვართულმა, თეთრ ხალათში გამოწყობილმა ლამაზმა, ტანწერილმა ქალმა, შეილი რომ ჩამოგაგდა ქერა, მსუბუქი თმითაც, თვალთა მოხაზულობითაც თუ უერითაც და სახის ირითაც, დაკვირვებით შეათვალიერა ბიჭი და თქვა:

— ჰო, მეცნობა, ვიცანი... — და უჩას მიმართა მერე, — რამხელა ბიჭი გაზრდილხარ, უშველებელი...

უცებ გაუბრწყინდა თვალები დეიას, თავი ნელა გადაადო უკან, თმა შეიარხა და თქვა:

— უჰ, რა კარგია, რომ იცანი, დედიკო, აი, უჩა, ადრეც ხომ მოთქვამს, ჩემ გეუბნებოდი, მე და შენ სხვა დროსაც შეეგვიდრივარო ერთმანეთს-მეთქი? დედა, იცი რა? ავედან გასვლა ოუკი გვეირსა მე და უჩას...

დეიას უცებ ჩაუწყდა ხმა, შეიცა, უარესად წამოწყნარდა სახე, შუბლზე მიიდო ორივე ხელი, დეიას დედასაც გადაედო ეგ უცაბედი შეკრთომა, მაგრამ არ დაიჩნია, უბერსული სირუსე ჩამოვაგდო წამით.

— მერე რა, — წამოიწყო უჩამ ხმის ცახცახით. — რა იქნება მერე, ავედან როცა გავალთ...

იყურა ერთხანს დეიამ და ცოტა ხნის მერე, გონს რომ მოეკო და შეცბუნებამაც გადაუარა, ზევით ააღერა კისერი, შეარხია მხრებზე დადენილი თმა და დედაძისს მიანათა თვალები:

— დედიკო, როცა განვაკურნებით და აქედან გავალთ, იცი, რა კარგი მეგობრები ვიქნებით მე და უჩა?

— ძალიან კარგი იქნება... — თქვა დეიას დედამ.

დეია კვლავ ისე იჯდა ხაწოლზე — თავი უკან ჰქონდა გადაბრილი და ხან ერთს შეავლებდა თვალს და ხანაც მეორეს, თმა კი ბალიშზე ეფინებოდა.

— ჩაწექი ლოგინში, — უთხრა უჩამ. — სიცხემ არ აგიწიოს.

— მართალს გეუბნებიან... — უთხრა დედამაც.

ლოგინში ჩაწვა დეია, მკლავები სპანქეეზე შემოალო, თმა კვლავ მიდვარ-მოდვარა ბალიშზე და უჩას შეაკერა მზერა.

— ეჰ, რაღას ამიწევს, თერმომეტრში ვეღარ ეტევა... უჩა, რატომ არ შემოხვედი ჩემთან, პალატაში, მეოთხე დღეუკვე, რაც ლოგინად ვწევარ, ერთხელაც არ წამომდგარვარ...

— რა ვიცი, მომერიდა. — მიუგო [illegible]

— მოგერიდა? უჰ, მოსარიდებელი რა გქონდა, რომ ენერ შემოგსულიყავ თვალებთან, ბიბეების პალატაში, შემოიარე ხოლმე, რა? ხომ შემოვიდეს ხოლმე დედა, უჩა?

ქალს გაეღიმა და ბიჭმა შენიშნა, ეგ ღიმი ეი უფრო მეტად რომ აძლევდა მწუხარების ირს.

— ძალიან კარგი ბიჭი ჩანს უჩა, შემოვიდეს, ყოველთვის შემოვიდეს, როცა კი შენი ნახვა მოუნდება.

უჩა დეიას შესცქეროდა, იქნება როგორმე ავარიდო თვალიო — სურდა, მაგრამ მის ძალღონეს ადემატებოდა ეგა — ეერაფერით ვერ მოარიდებდა მზერას და შესცქეროდა და შესცქეროდა.

თვალს ვერ აცილებდნენ ერთიმეორეს

ინი, მართლაც ახე იყო მაშინ — სამარადისოდ სურდათ ერთმანეთის დამახსოვრება... და, აი, უცებ ბიჭს ეგ ამბავი გაახსენდა, დედაბერმა რომ თქვა მაშინ, იქ, სოფოლო — ჯვარი აქანი და ყოლისფერი კაი, ნენა, გული გასკდმიაო...

შავი კაბა ემოსა მაგ დეიაბერს, წელში იმდაგვარად მოკუნცხულიყო, შეხედვისას შეგეშინებოდა — შუბლი მიწას არ ახლოსო, თეთრი, შეთხელებული თმა მოეჩანდა თავსაფრიდან, ხოლო პირისახე და შუბლი ისე ერთთავად დანაოებოდა, აუცილებლად გაგიკვირდებოდა, თვალები როგორღა შერჩენია ადამიანსო... წვრილი ხმით ლაპარაკობდა და ვიდრე პირჯვარს გადაიწერდა, ჯობი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში რომ გადაიტანა, კინალამ გვერდზე გადაკანდა.

„ჯვარი აქანი და ყოლისფერი კაი, ნენა"...

ჰოდა, ის მეზობელი გლეხი, რომელსაც ალუბლის რტოები ებრალებოდა ხოლმე, კუბოში ესვენა იმ დღეს და ბიჭმა პირველად მაშინ იხილა კუბოცა და კუბოში ჩასვენებული ადამიანიც... ოღნავადაც არ შეეცალოლიყო მეზობლის გლეხი, სახის გამომეტყველებაც და ფერიც იმგვარივე შერჩენოდა, სიცოცხლეში რომ ჰქონდა, ოღონდაც ეგ იყო, კუბოში ესვენა მაშინ, ხელეები გულზე დაეკრიფა და ტანთ ახლათახალი ტანისამოსი ეცვა, ადრე, სიცოცხლეში რომ არ ღირსებოდა ისეთი... უამრავი ხალხი ირეოდა მიცვალებულის კარმიდამაში, ხოლო ბიჭს მაინც კარა ხერხოდა, კლეხი რომ ადარ იყო ცოცხალთა შორის და რამდენჯერაც კი დახედავდა იმის ხასხასეს, ეგონა საცაა მიცვალებული მეტყვის: ნუ ტეტ, ბაბა. უჩაიე, ცოდვაა მაიი... იმ ორი გლეხის საუბარიც გაახსენდა, რაგომდაც ცხადად და ნათლად რომ შემორჩენოდა მეხსიერებაზ.

„უბედური გული ჰქონდა, ძმა, მაგ საცოდავს, ყოლისფერი ებრალებოდა"... — ეუბნებოდა ერთი მეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აბა, მაი თქვი, შენ, — პასუხობდა მეორე გლეხი, — ძალლს ნუ დაკრავ ჯოხს, სილიბისტრო, ცოდავა მაინო, მითრა ერთხელ"...

ის გზაც გაახსენეს, რომელიც სახაფლაოსაკენ მიემართებოდა — ჯერ ამწვანებულ ორობოტებსა და ციტრუსთა პლანტაციებს შორის და მერე ფერფლიზე, სოფელს გაღმა.

გლეხს რომ კრძალავდნენ, ბიეი მახლობელ ხეზე აძვრა და იქიდან დაეხედა. თვალს ყოველივეს... ბოლოს მიწა ამოიბურცა სამარეზე და დარჩა გლეხი ია, სოფელგაღმა, მარტოდ მარტო, ხოლო სასაფლაოს კიდეე ერთი ახალი ბორცვი შეემატა და ბიეი მაშინ არ ჩაფიქრებულა, არც უკრძალია მიცვალებულს რომ ხედავდეს, ეგ ამბავი მთელი სიცხადითა და სიმწვანით მხილო

„შესამე დღეა, — ამბობდა დეია, — მესამე დღეა წვიმს და წვიმს, რა უბედურებაა ესა"...

კარავში იყვნენ ზღვის პირად დეია და უჩა, პატარა, მწვანე კარავში და განუწყვეტლივ ესმოდათ კარვის კალთებსა და სახურავზე დაცემული ხშირი წვიმის წვეთების მონოტონური, მაგრამ სასიამოვნო კაკუნი და ზღვის ღრიალი. ზოგჯერ კარვიდან გამოეოფოდნენ ხოლმე თავს და ხედავდნენ ნაპირისაკენ დაძრული, დიდ, ქაფმოდებულ ტალღებს, მარადიული თოფლით დაფარულ მთებს რომ გავდნენ და ნაპირს ეფშვნებოდნენ, ერთ ხანს მოსუსხულებივით გაჰყურებდნენ არემარეს და კვლავ კარავს აფარებდნენ თავს.

წვიმდა და წვიმდა.

ღამდებოდა და თენდებოდა, თენდებოდა და ღამდებოდა.

ისინი კი ერთად იყვნენ იქ, ზღვის პირად პატარა მწვანე კარავში, წვიმის შრიალსა და ზღვის ღმუოლს ისმენდნენ. ჰოდა, დეიამ თქვა:

„გავიდეთ, უჩა, კარვიდან, გავიდეთ და ზღვაში ვიბანაოთ და იქი რა მოხდება? ჩვენ რომ შეგცურდეთ, ზღვა დაშშიშნიდა, წვიმაც შეწყდება, აი, ნახავ, ახე თუ არ მოხდეს, გავიდეთ, უჩა, კარვიდან, ჩქარა, ჩქარა"...

იმ კოკისპირულში ხელიხელჩაჟიდებულები მირბოდნენ ზღვისაკენ, მაგრე სირბილი-სირბილით მიაღწიეს ნაპიროს და როცა უზარმაზარი ტალღა მიეფშვნა ნაპირს, ზღვაში შეცვივნეს, ზღვის ფსკერზე მიაბიჯებდნენ ახლა და ირგვლივ სინათლე იყო, თითქოს ზედ ფსკერზე ენთო მზე, მოჩანდა ნიფარები, დიდი თუ პატარა, წითელი თუ ლურჯი და სხვა უამრავი ფერის თევზები, მწვანე წყალმცენარეები და გამჭვირვალე მედუზები.

„კარგი ყოფილა აქ, ზღვის ფსკერზე, — ამბობდა დეია, — მოდი, უჩა, აქ დავსახლდეთ საშოფამოდ, მერე დროდადრო ზღვის სანაპიროზე გავდეთო ხოლმე და ვნახოთ, როგორი ამინდია იქა"...

ზღვიდან რომ ამოყვინთეს, არემარეს მზე ანათებდა, ცხელი, ვარვარა მზე. ნაპირზე მარტონი იყვნენ, სხვა ვინმე სულიერი არ ჭაკანებდნა, თვალები მიეღლუღათ, იწვნენ და ხმას არ იღებდნენ და მზე ჩავიდა შემდეგ, ჩამობინდა, ჩამობნელდა და ღრუბლებში მთვარეს ამოყვინთა, მერე უამრავი წვრილ-წვრილი ვარსკვლავი ჩამოცამცამდა ციდან, ჯერ მეუტადვნენ ვარსკვლავები, მკრთალად იბეუტტეს, იბეუტტეს და ჩამოცვივნენ ბოლოს და კვლავ ერთად მიდიოდნენ, ერთმანეთის მხარეამხარ დეია და უჩა, ხელახლა იქ იყვნენ ზღვის ნაპირზე, მაგრამ ამჯერად ეფალიტების ტყეში, ზურგს უკან მზვიდი შრიალი ისმოდა ზღვისა, ხოლო წინ, სადღაც მოპრიმული, ფრინველები სტეენდნენ და წყვილებით იყო ხავსე ეფალიტების ტყე, ყველგან ისხდნენ ირგვლივ, სანამდისაც კი გაალწევდა ადამიანის მზერა მთვარის ნათელში, მიდიოდნენ დეია და უჩა და ყველგან ხშირიდან ჩაეხმიდათ ჩურჩულითი ნათქვამნი:

„ალარ შეშმაძლია უშენოდ სიცოცხლე, ალარ შეშმაძლია უშენოდ სიცოცხლე".

უკან, ზღვის სანაპიროსაკენ წყლში აზნექილნი მირბოდნენ და თან ჩიტების სტვენა და წყვილების ჩურჩული მისდევდათ, წინ ზღვა შრიალებდა და როცა ტალღებთან შედგნენ, დეიამ თქვა:

„იქ დავსახლდეთ, ზღვის ფსკერზე საშოფამოდ მე და შენ, უჩა, იქ უკეთესია, ოღონდ ალა ცოტა ხანს ვუმზეროთ მთვარესა და ვარსკვლავებს".

ქვიშაზე წამოწვნენ პირაღმა და დეიას რბილ, ფაფუკ თმაში გაეხვია სახე ბიჭმა და დიდხანს, ძალიან დიდხანს ასცქეროდა ცას, თმებს შორის შორეული ვარსკვლავები თრთოდნენ. ცახცახებდნენ და ნელი ტრიალით მიცურავდა მთვარე, ხოლო ირგვლივ სიჩუმე იყო ამხლოდ ერთიმეორის სუნთქვა ესმოდათ. წამოდგნენ ბოლოს და ისე ნელა წავიდნენ ზღვისაკენ, თითქოს არც მოძრაობენენ და დეიამ და უჩამ ხელიხელჩაჟიდებულებმა შეეყვინთნენ თბილ ზღვაში...

სიხშირი არ ყოფილა — ეგრე ოცნებობდა ხოლმე ბიჭი.

●

ცა მოკუფრული იყო — ულიმღამო და უფერული, ხოლო ის დღე, რომლის მსგავსი ჯერაც არ გასთენებოდა ბიჭს შეშხარავი... ძლიერი ქარი ამოვარდა წინა ღამით, უცაბედად აახმაურა შენობათა სახურავები და ჯიხები, ააზანზარა პალატის სარკმლის მინები და ხეთა გაბარცყელ რტოებს ლაწალეწი ატეხა — ამინდის ამდაგვარი უეცარი ცვალებადობა ცუდად ენიშნა ბიჭს, ტანმა ის გარდაუვალი სიშინელება უწინასწარმეტყველა, რომელიც ძალზე ხშირად ფიქრებდა ხოლმე ბოლო დროს და რომლის მოლოდინი და აკვიატებული შიში ფაკარ-რბილში გასჯდომოდა, ხოლო გათენებას კი არ იქნა, ვეღარ დაადგა საშველი — ბიჭი დროდადრო ძილბურანში გაეხვეოდა ხოლმე, არც ეძინა და არცა ფხიზლობდა, თითქოს სიზმრებსაც ნახულობდა, ერთთავად არეულდარეულს, რომელთა დამახსოვრება არაფრით არ ძალუძდა და თანაც გრძნობდა, პალატაში რომ იწვა და გარეთ, ქუჩაში ქარი რომ ქროდა, ეგეც იცოდა, ხვალ უნდა მომხდარიყო ის, რაც აგრერიგად აშინებდა, მერე დამფრთხალი გაახელდა ხოლმე თვალს, ძილეულს დაადწევდა თავს და უბრუნდებოდა უნარი საღად განსჯისა, წამდაუწუმ ასე მეორდებოდა წინა ღამით.

ვამთენიისას, როცა ქარი ჩადგა და პალატის მინების ზრიალი გაიყოო თან და ქუჩებიც დაშშიმინდა, აი, მაშინდა ჩაეძინა ბიჭს — უდრტვინველად და უსიზმროდ ეძინა, მაგრამ

ჯანმრთელი ადამიანის ძილი როდი გახლდათ ეგა. ბიჭს სადღაც ძალნე ზორს, თვეებს მიღმა, წარსულში ჩაპკრგვოდა თუ დარჩენოდა ის ანუ ცოდესებელი. ბუნებისაგან მინიჭებული და დაკანონებული ღამეები, როცა ადამიანი ძალ-ღონეს, სიმხნეველეს და წინა დღით გახარჯულ ენერგიას ძილით აღიდგენს ხოლმე და დასვენებული ეგებებმა განთიადს.

მერე კი, ორიოდე საათის შემდეგ შეშინებულმა გამოიღვიძა—დამფრთხალმა, მაგრე თავ-დაცვის ინსტინქტი აღვიძებს ხოლმე ულრან ტყეში, სუსტ, უღონო ცხოველის, ძილნიაკ რომ არ ასვენებს სხვა ძლიერ ნადირთა შიში... თავის ტკივილი და თავბრუხვევა ჰპყვა ლოგინიდანვე, მაგრამ კარგა ხნის შეგუებული გახლდათ ამ ამბავს და ყურადღებაც არ მიუქცევია.

ტანთ რომ ჩაიცვა, დეიას პალატის წინ იწრილა კარგა ხანს, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და კარი შეაღო; დეიას დედამ, უძინლობისა და დარდისაგან თვალები რომ ჩალებმოდა და ქუთუთოები შეშუპებოდა, თავი დაუქნია — შემოდიო... დღითიდღე უარესდებოდა და უარესდებოდა დეიას ჯანმრთელობა, რაც ლოგინად ჩავრდა, ერთხელაც არ წამომდგარა ფეხზე იმ დღის მერე, ხოლო ბოლო ხანებში ლაპარაკს ხალისიც წაერთვა, თუკი დაილაპარაკებდა რამეს, ლამაზ სიტყვებს ალარ ეძებდა ბრიის უკეთ გამოსახატავად, როგორც ეწინ ჩვეოდა; ყოველდღე აკითხავდნენ მნახველები: ნათესავები, მეზობლები, თანაკლასელები თუ მასწავლებლები, შემოდიოდნენ ექიმები და ექთნები, ახმეადნენ წამალს, ნემსს უკეთებდნენ, ის კი ხმას არ იღებდა. ოღვა წუნარად, მშვიდად, ერთ წერტილს მიჩერებული და აუღელვებლად და მორჩილად ელოდა გარდეკვალს.

ბიჭი ახლა ბალიშზე დაფენილ თმებს ზორის მხოლოდ და მხოლოდ იმ საოცრად გაფაროთიებულ, ოდნავ ცრემლმომფდარ თვალებს ხედავდა, ზესკლისთანავე რომ მიანათა გოგომ, სხვას ვერაფერს ამჩნევდა.

სიტყვა არ დაუძრავს დეიას, მხოლოდ ეგ იყო, დაინახა თუ არა ბიჭი, თვალებში თბილი ღიმილი ჩაუდგა და ალარც მოსცილებია, უმ-ზარა და უმზარა, უმზარა და უმზარა...

ბიჭს ყელთან მოეჭიკნა ცრემლი, სხეულში ყრუვანტელი უელიდა და როცა იფიქრა, თავს ვეღარ შეგიკავებ, აკქვეთინდებიო, დეიამ თვალები მილოცა და ბიჭი შესცქეროდა ხმირ, ქერა თმას, მუშტადაქცეულ ავარვარებულ სახეს, ოდნავგაპობილ ლამაზ, წითლადშემოსილ-ზულ ბაგეებს და თხელ, სიფრიფანა ნეხტიებს, ძლივსშესაჩნევად რომ თრთოდა, თითქოს სანთელი ბუუტავს ანდა სუსტი, პატარა ფრინველი სუნთქავსო... ბიჭმა ვეღარ გაუძლო ფიქრს მზერას, რადგან იცოდა, არ ეძინა, თვალები მილულოდა მხოლოდ, ისე იყო მისუსტებული, ჰო, მის ძალ-ღონეს ადემატებოდა თვალდახუჭული დეიას ცქერა და ვიდრე ნერვები ულალატებდა, უსმაუოროდ გავიდა პალატიდან.

ექიმებითა და ექთნებით აივსო დეიას პალატა შუადღის მერე.

ადგილს ვეღარ პოულობდა ბიჭი, სალამომდე დაბორიალებდა საავადმყოფოს დერეფანში.

ბინდი რომ ჩამოწვა და ჭუჭებში სინათლე აანთო, დეია ხელშეატაკებული გაჰკავდა მამამისს პალატიდან, ხოლო დედამისი ცრემლს აღარ მალავდა, ქვითინითა და ლასლასით მიჰყვებოდა ქმარ-შვილს და ბიჭი მიხვდა — მოვიდა ის გარდაუვალი და უცილობელი, რომელიც იყო ზმირად აფიქრებდა ბოლმე, ეგ წუთები იყო წამლეული ყველფრისა და ყოველივესი...

დეია ხელშეატაკებული მიჰყავდა მამამისს.

ბიჭი ნელი ნაბიჯით მისდევდა მათ და ახლა კვლავ ცრემლდანამული იმ ფართო თვალებს დამზერდა, ახლოს მივიდა, ძალიან ახლოს და შეერწყნენდა — დეიამ ვეღარ იცნო იგი, თვალებში სითბო ალარ ჩასდგომია გოგოს, როგორც ადრე იცოდა ხოლმე მისი დანახვისას და ბიჭს სურდა ეყვარა — დეიაო...

და, აი, კიბეც, ეგ სახედიხწერო საფეხურები, საყვარლად მოემზადა, მაგრამ არა, ხმა ვერ დაიმორჩილა, საფეხურებიც ჩათავდა მერე, გაალო სადარბაზოს კარი და ბიჭმა დანახვა — მანქანაში ჩასხდნენ ისინი და დარჩა სამარადჟამო ცივი სიცარიელე... დღეხანს, ძალიან დიდხანს იდგა იქ და დაცარიელებულ ქუჩას გასცქეროდა საავადმყოფოს სადარბაზოდან, მერე მიბრუნდა, აიარა ორიოდე საფეხური და შეჩერდა, თბილი ცრემლი ჩამოწყდა თვალთაგან, ჯერ წვეთწვეთად, მერედამერე თითქოს ნიაღვრად და ისე გაცხელდა, დაწვეგინა დაუშდეფრა — თვალი გაშტერებოდა, ხოლო ცრემლი თავისით მოედინებოდა.

„ალეი, დეიაა"... — მგელივით შეეშუვალა მერე დაცარიელებულ სადარბაზოს და უცემ შეუშუალა ცრემლი, უცემვე შეაშრა დაწვეგბზე.

დრო, სივრცე და ყოველივე, რაც კი აქამდე არსებობდა და ისიც, დღეის ამას იქით რაიც იარსებებდა, შეიკუმშნა, შეეფრწოდა, დაპატარავდა, დაკნინდა და ყმოელით წამიოთ-ქმელ მაგ მოკლე სახელსა და ბიჭის მუშტადშერეულ თითებში აფართხადა.

დიდხანს იდგა იქ, კიბეზე, საავადმყოფოს სადარბაზოში და ვეღარაფერს ფიქრობდა. კიბე ავადა მერე და ბარბაცითა და ბრბენა-ცხანცაბით გაუყვა დერეფანს, სარკმელთან შეჩერდა წამით, მერე პალატისაკენ გაეჩართა დალილი ნაბიჯით; ხოლო გარეთ ქალაქი ხმაურობდა, უამრავი წვრილი ვარსკვლავივ კაშკაშებდა-ცაზე და ჰაერში მარადისობაზე ქროდა ორი წყვილი თვალი — ერთი გოგოსი, მეორე კი ბიჭისა...

თეიმურაზ ჯანგურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარი ცხადად

მინიატურა

შენ არ გეძებდი, თუმცა შენზე ბევრი მსმენოდა. რამდენი ღამე გამიტანია შენზე ფიქრში, შენზე ლოცვაში. შენკენ ვილტვოდი, მაგრამ მაინც არა მჯერდა, ვერ ვიჯერებდი, რომ იყავი ზღაპარი ცხადად მთაში რომ ვიყავ, ხშირად მეცინოდა უხმო ძახილი, ოქროსრქა ჯიხვი დამიდგებოდა უეცრად თვალწინ — მიხმობდა შენკენ, მიღიმოდა დვთიური მზერით. თვალს არ ვუჯერებდი, ვთვლიდი ამას ტყვილ მოჩვენებად და მთის ბილიკით ვისწრაფოდი უკან დამფრთხალი. შემდეგ ვხანობდი, ძალზეც ვნანობდი ჩემს შიშს ზღაპართან...

მე შენ გიხილე წყაროს პირას მარტოდჯდომარე, ცეცხლად აენთოთ ოქროს დალალთ ანკარა წყალი. შენ იღიმოდი, იფრქვეოდა ბაგეთგან ვარდი და იდგა ირგვლივ სურნელება გაზაფხულისა. მინდოდა შენთან გამოქცევა—გაქვავდნენ ფეხნი, მინდოდა შენთვის დამძახა — მსწრაფლ ვიქმენ უტყვი, მოცელილივით იქვე დავეცი ულონო ჯირკვად და ჩანრჩა გულში, ალბათ, მხოლოდ სურვილი შენი...

გონზე რომ მოვედ, ირეოდა მზე დასავლეთით; ვიწექი სახლში, თავზე მადგა ვიღაც მოხუცი. მისმა იერმა მომაგონა მინდიას სახე და თვალებიდან უხეშურად წამსკდა ცრემლები. მკურნალი იგი მიმზადებდა რაღაცა წამალს, იქარგებოდა ჩემს ცრემლებში სახეგა შენი და მე ეტირიდი როგორც ბავშვი, პატარა ბავშვი, დაშოროებული რაღაც ძალით საყვარელ დედას. შეეხვი წამალი და დაწყნარდ: გრძნობათ ქარბუქი, სადღაც წაველ, გამიტაცა ბურუსის ტალღამ და კვლავ ვიხილე, მთვარის შუქში მცურავი გედი, სატრფოს რომ უხმობს სიყვარულის უნაზეს ლეკვით. აძგერდა გული, ბომეთხეთქა გრძნობათა ზვავი, შემოვეხვიე როგორც ქარი საყვარელ მუხას, ღვთაებრივ ცეცხლში ჩავეფაფი და დავიფერფლე, ვიპოვე შვება და ზღაპარში მეც ვიქეც ზღაპარად... გონს მოვიყვანა მინდიას ლოცვამ, ოცნების ნისლში შემოიჭრა სიცოცხლის ჰიმნად. ჩამოველ ცაწას, ზეცას ნყოფი გადვიქეც მიწად. წამომსკდა ცრემლი მოგონების და გამეღიმა.

მას შემდეგ ბევრჯერ გადიხადა ზამთრის საბანი და შეიმოსა გაზაფხულეთ კეკლუცი მიწა. მე კიდევ შეგხვდი.. მოდიოდი ქუჩაში მარტოდ, ფიქრში წასული ვერ ამჩნევდი გამგელელთა მზერას. როგორც პირველი შეხვედრისას — გავვოგნდი უცებ, შენი სახელი ბაგეთ მოსწყდა და გაიყინა. ნიავ-ქარივით გამოვქანდი ამმორის ნდომით,. ქვად გამაშეშა შენს თვალთაგან ნატყორცნმა ელვამ. შემომხედე და გაიარე ჩემს გვერდით უხმოდ, გაჰყევი ქუჩას, ერთხელაც კი არ მოგიხედავს... და მე ვიდექი, შევყურებდი მიმავალ ქალღმერთს, ჩემი ბავშვობის ოცნებას და გარდასულ ზღაპარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კერპები...

თანდათან, ფრთხილად მოდის შუადღე,
ფრთიანდებიან ჩვენი შვილები...
ო, გაგუძელით რამდენ ჟრუანტელს,
ახლა სხვა ფიქრებს ვემორჩილებით.
მათი სიცილი ყველგან დაგვყვება,
მათ კიდევ დიდხანს,
დიდხანს ვჭირდებით...
ჩვენ მათზე ფიქრი გვევამყება
და ცას მიწას და ქარს ვეჭილებით.
ჩვენ მათთვის ვგავართ მაღალ ანტენებს,
ღამეს ვათენებთ, ღელვას ვარიდებთ...
კიდევ რამდენ ჯავრს მოგვიმატებენ,
რამდენჯერ ზღვაში უნდა გავიდეთ.
მოგვჭერებიან როცა ბელები,
უნდა დავმალოთ ჩვენი წყლულები...
და გამძაფრებით და გამგელებით
უფრო და უფრო შორს ვიყურებით.
მათი გულები ბროლის თასია
და სადღეგრძელოდ მოდის თავისით...

ჩვენ მათთვის გვინდა, რაც ძვირფასია;
ვარძია, ტაო, გრემი, კრწანისი.
ეს, მათთვის ვთიბეთ მწვანე ბალახი,
მათთვის ვიმღერეთ დილის საარი,
უნდა ვზარდოთ და უნდა ვანახვოთ,
ეს რა მიწაა, ეს რა ცა არი.
მან თავლწინ თიხა უნდა ავზილოთ,
მუსიკა უნდა შევქმნათ თიხიდან...
სიცოცხლე უნდა გავიხანგრძლივოთ
და მათთან ვიყოთ წლების იქითაც.
ვერ ავიცილებთ აუცილებელს
და უნდა ვარიფოთ ხელით ეკლები...
რომ იყვნენ დვთისგან დალოცვილები
და კერპთა ტოლნი, — ჩვენი კერპები.
... თანდათან,
ჩუმად მოდის შუადღე,
ფრთიანდებიან ჩვენი შვილები...
ო, გავუძელით რამდენ ჟრუანტელს,
ახლა კი... მათ სულს ვემორჩილებით.

ო, საქართველო...

შენ გულის ტოლო —
სამშობლოვ კლდეთა,
შენი ტანჯვის გზა
შორეთში მიდის...
შენ ერთი მყავხარ...
ალმასი, კენტად,
შენი მზით, მთვარით,
დღითა და ბინდით.
შენ სილამაზის ულრმესო ცაო,
უუმშვენიერესს მაგონებ ნესტანს...
ჩემო სულისთქმავ
და სალოცავო,
არ მოხვედროდეს
გულს შენი კვნესა.
ისევ შემოგრჩა
რუსთველის გმირთა
ვაჟკაცობა და გმირული ვნება...
ასეთი იყავ გაჩენის დღიდან,
ის სული შენში
რასდროს კვდება.

წარსულშიც,
როცა შაჰი თუ ხანი,
ბრდღვინავდნენ...
შენი სწყუროდათ სისხლი...
გორგასლისა და დავითის ხმალი
სტოვებდნენ ქარქაშს,
აღვსილნი რისხვით.
უჭირდათ ვაზებს,
ყლორტებს და ფესვებს,
გულსაც იმ დროის აჩნია კვალი...
ბევრჯერ შენი სვე
ეკიდა ბეწვზე,
იმ დღიდან...
დღემდე მუქია მტკვარი.
ო, საქართველოვ!
ნთა-ბარი შენი,
მტრისათვის
ბევრჯერ სამარედ იქცა...
რამდენ ციხეთა დაირღვა ბჭენი,
რამდენი ტანჯვის მომსწრეა მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, საქართველოვ!
თუმცაღა გფლეთდნენ,
შენი დაქცევა ვერავინ შესძლო,
სხვა გზა არ იყო...
ერუკლე მეფე,
ბრძოლით დაღლილი...
დიდ რუსეთს ეძმო.
არც მაშინ ბჭონდა
დღეები ლხენის,
შენს სახლში
სხვები ბჭობდნენ და სჯიდნენ...
აფათურებდნენ შენს სულში ხელებს
და სათავისოდ ივსებდნენ ჯიბეს.
ვერა და ვერა,
ვერ აგცდა შუღლი
და ეძიებდი
საშველს და იღბალს,
საღღაც ბრწყინავდა იმედის შუქი,
იმ დროის ჭექა-ქუხილის მიღმა.
ო, ზოგჯერ ვეღარ უძლებდი აღმართს,
ო, ზოგჯერ...
გძულდა შენივე თავი...
მაგრამ ითმენდი
ტანჯვას და დაღლას,
რადგან გიმზერდა ბოროტი თვალი.
მტერი გიქრობდა
იმედის ვარსკვლავს
და ძრწოდა
შენი მომავლის შიშით...
მაგრამ შენ აღსდექ,
ფერფლიდან აღსდგა
შენი სული და... ხელახლა იშვი.
ათასწლოვნით რომ გტკიოდა მკერდი,
ათასწლოვნით, რომ
გფუტრავდნენ ეშვით —
ბოლოს და ბოლოს გეწვია ბედი,
იგი მოვიდა თებერვლის თვეში.
თებერვლის თვიდან
ამღერდი მძლავრად,
და ხარობს,
ვინაც შენი სვე ზიდა...
სულ სხვა დროების დარეკა ზარმა
და გაგანათა ახალი მზითა.
როგორც არწივმა
გაშალე ფრთები,
ბოლო არ უჩანს
შენს მწვანე ბალებს...
ნავსადგურებში
შენს გემებს ვხედავ,
ცის ხომალდებით
ზეცის კარს აღებ.
თოთხმეტი ძმა გყავს...
და შენი ძმები,
ნხარში გიდგანან,
ჰფარვიდეთ ზენა...
სიმხნევეს გმატებს
ლენინის ძეგლი,
სიმხნევეს გმატებს
ბელადის მზერა.
... ო, საქართველოვ!
საშობლოვ კლდეთა,
ტანჯვის გზა შენი
შორეთში მიდის,
შენ — რუსთაველის გენიის დედავ,
ისევ ჩქეფს
შენი სიცოცხლე დიდი.

თვითმფრინავიდან...

თვითმფრინავიდან დავყურებ ღრუბლებს,
ზოგი ფრინველს ჰგავს, ზოგი კი ირემს...
რამე რომ მოხდეს, ხომ დავიღუპე,
ღმერთს ვეტოლები... უბრალო ვინმე.
ვინ იფიქრებდა ამ წლების წინათ,
კაცი იფრენდა ღრუბლების თავზე...
ჩემს ქვემოთაა: ქარიც და წვიმაც,
მე კი... სალონში ვკითხულობ გაზეთს.
სტიუარდესა ღიმილით გვამცნობს,
მანძილს,
სიმაღლეს,
სიჩქარეს ფრენის...
თვალსაცქერებით დავეძებ ნაცნობს.
და მეკარგება თანდათან ფერი.
სტიუარდესა, ჩვეული ტაქტით,
იღიმება და მიტოვებს სევდას...
სტიუარდესას ერთი აქვს ნაკლი,
რომ ლამაზია ზომაზე მეტად.
და გულით ვნატრობ: ღრუბელთა კარავს,
მისთვის ვარდებით მოვრთავდი ალბათ.
მაგრამ ვეშვებით... მიწა ფიქრს მპარავს,
ფიქრი გადარბის მიწისკენ, დაბლა.
... მიწაზე მდგარი ვგრძნობ სხვაგვარ ძალას
ახლა ქვემოდან აგხედავ ღრუბლებს...
სტიუარდესა თავის გზით წავა,
რას ვიზამ... ღმერთი არა ვარ თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გიორგი მრელაშვილი

პირველი კომუნა „ძმობა-ერთობა“ კახეთში

მშობლებმა ყველაფერი იღონეს, რომ ივანე თედორეს ძე კოლელიშვილს ცხოვრების გზა ბედნიერად გაევლო. ახალგაზრდამ დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი, „გუბერნსკი სტატისკერტარის“ ხარისხი მიიღო და თელავის მაზრის სახელმწიფო ტყეების უფროსი მეტყევის თანამდებობაზე დაინიშნა.

კარგად გაამართული კარ-მიდამო ჰქონდა, ვენახები, ტეკ და სახნავი მიწები სოფელ გულგულაში, — ორსართულიანი ქვეტკირის სახლი თელავში, მთელი კახეთის მთებს და ველებს ნადიკვრის კალთიდან რომ გადაჰყურებს.

დიახ, კარგ სახლიდან იყო მორთული ივანე. ის პირველ „კავალერად“ ითვლებოდა თელავში. მისთვის უცნო არ იყო: ქართული და ევროპული ცეკვები, საკრავ ინსტრუმენტებზე დამღერება. მაღალი, ქართულ ტანსაცმელში, გამოწყობილი, მისი ვიჟეკიური გარეგნობა ყველას ხიბლავდა, აზნაურის ქალებიც კი არ თაკილობდნენ მის პარტნიორობას ცეკვაში. დრო არავის უცდიან. ივანეშ დიდი ხანი არჩია მეგობარი. ორი წლის წინად კიდევ შეფიცეს ერთმანეთის. ქორწილი მზადდებოდა 1905 წლის შემოდგომისათვის. ივანე ახალგაზრდული თავმომწონეობით ათვალიერებინებდა საცოლეს თავის ხელით დარგულ ახლოს, ვაშლებს, ბროწეულებს, ახალი ჯიშის ატმებს, ზაქათალიდან ჩამოტანილ გულაბის ნამყენებს. ზვარიც მან, ერთი პირველთაგანმა გადაიყვანა ალაზანზე, მწარე ამერიკულ ვაზებზე დამუნობილი გულგულური „მწვანეს“.

ფურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ თავის წერილებსაც აკითხებდა საცოლეს. აი, ჩემი მეთოდით ვენახის შეწამლა იმერელ მდივანსაც უცდია, კარგი შედეგი მივიღეო. ამაში ფილოსოფრასთან ბრძოლაზეა ლაპარაკიო; ამაში კი ჩვენი სოფლის ბეჭედის ვაგლახ მდგომარეობაზე, მაგრამ ვინ ეპარის პატრონიო. სალამოთი ცხენის ურემს შეაბამდა, ზედ ცარიელა კასრს დასდებდა, კასრით თელავიდან წყალი ჩამოჰქონდა... ხანდახან გლეხებიც ეტყოდნენ ხოლმე ივანეს: „ვანო, ავადმყოფისათვის ცოტა წყალის წყალი ჩამოგვიხსნი“.

აღმართზე, ოღრო-ჩოღრო გზაზე, მოაბოტებდა ივანეს შინდისფერი ცხენი. გიამართებოდა საუბარი: ახალ ამბებზე, იაპონიაში დაჭრილ და დახოცილ მეზობლებზე; სოფლის უმწეო მდგომარეობაზე. ნელ-ნელა ივანეს ქორწილისათვის დათქმული თარიღი ახლოვდებოდა, მაგრამ ქორწილის 1905 წლის რეალუციამ დაასწრო!

თქვენ გინახავთ ალბათ კახეთი ავგისტოში. მინდორში სიცხისაგან ჰაერი რომ ლაპლაპებს და ლივლივებს, თითქო ყველაფერს ცეცხლი უსდა წაეკიდოსო. ახეთი დაძაბული მძვინვარე პოლიტიკური ვითარება იყო 1905 წლის დამდეგს კახეთში, მარტო ნაპერწკალი იყო საჭირო. ეს ნაპერწკალიც დაეცა ალაზნის ველზე. ცეცხლივით მიტინგები და გლეხთა ყრილობები ზაქათალიდან შორახევამდე, ნეკრესიდან ჯვრის მონასტრამდე.

მიტინგები და სოფლის ყრილობები აგიტატორებმა გულგულაშიც ჩაატარეს. ამ სოფელს თავისებური პირობები ჰქონდა და ეს მდგომარეობა ართულებდა საკმეს. ამა, რომელი თავადი, აზნაური ან მდიდელი იცხოვრებდა, როგორც ივანე იტყოდა ხოლმე: „ამ ხაშალ სოფელში“. სხვა სოფლებში მივიდოდნენ გლეხები ან გამოიძახებდნენ თავადს, მემამულეს, მდიდელს და რიხიანად ეტყოდნენ: „ბიწა მიწის მუშას უნდა ეკუთვნოდესო“. აქ, გულგულაში არავინ იყო. მოწინააღმდეგენი თბილისში ან თელავში ცხოვრობდნენ. მიტინგები გრძელდებოდა, აგიტატორები არ ცხრებოდნენ. ივანე პირველი აგიტატორი და მოქადაგე იყო, მაგრამ მას არ მოსწონდა, ეს ლიტონი ცა-

რიელი სიტყვები, საკმე კი არსად სჩანდა. ივარნე ფიქრობდა და საფიქრალს არაფის უზიარებდა. ჯერ სიიდუმლოდ ინახავდა. ბევრმა ფიქრებმა და საკმის ეწოდა-ეწოდა ივანეს კინაღამ გვიან გადაადგმევინა ნაბიჯი. ქორწილი გადავედეთ, აქ კი გადადება აღარ შეიძლებოდა!

1905 წელს, დეკემბერში, როდესაც რევოლუციის ტალღები ცასა სწვდებოდა ივანე თეკდორის ძე კილელიშვილი, გულგულელი მთავლის შვილი, ყოფილი „ეუბერსკი სტატხეერტარი", დიწვიდ, ობასიანად ავიდა ტრიბუნაზე. სოფელიცა და თელავიდან ჩამოსულნიც მოხიბლა მისმა ტრიბუნაზე გამოჩენამ. ივანეს თვალი მოავლო არეგრანტ; დიწყად დაიწყო სიტყვა. კრება გაინაპა. აგიტატორებიც თვალგაბრწყინებულები უყურებდნენ და უსმენდნენ გულგულელ ორატორს!

უკვე წელიწადი შესრულდება ძალე, რაც ეს დაუმთავრებელი მატანები და ეროლობები ტარდებათ... ამა რა მოაკლდა, ან რა მოეშალა ამ უბედურ ულუკმაპარო გლეხებს... შეხედეთ ჩვენ ბედკრულ ხალხს, ზიმშილი, ნიშიმული სპობს სოფელს და ექიმი არსაიდან არ სჩანსო! ორ დღეში ერთი კუბო მოგვაკლეს „ნათლისმცემლის" სასაფლაოზე... როდემდინ უნდა ვიყოთ ასე, ჩემო მეზობლებო და თელავიდან და იმერეთიდან ჩამოსულო ჩვენო სტუმრებო? კვეკავნაზე ყველი ადამიანი თანაპარო უფფლებით არის დაბადებული. ეს გულგულელს ნოყიერი მიწები, ბაღ-ვენახები ჩვენნი სოფლიდ მცხოვრებთა საკუთრებაა. ჩვენს უნუგეშო ცხოვრებას, გაკირვებას, ქუდოდობას, ბაკალოლობას, მანამ არ მოიღებს ბოლო, სანამ კერძო საკუთრება არ მოისპობა მიწაზე და ფაბრიკა-ქარხნებზე. კერძო საკუთრება უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი საკუთრებით. არაკინ არ მოგვარომეგს, ჩვენ უნდა მოსპობთ და ტატიდან ჩამოვაგდოთ რუსეთის ყველაზე დიდი ფეოდალი, ხალხს დასაბრჩობად მოყლენილი ჯალთი ნიკოლაზ რომანოვი, არ არის საგერო მეფე, არც მთავრობა, ჯარი, თავადები და აზნაურები, ხალხს ხელისუფლებას უნდა ჩავაბაროთ ჩვენი ბედიო".

მერე კომუნაზე და კომუნისტურ საზოგადოებაზე ილაპარაკა ივანემ. კომუნა ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ და ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთო. განა ვინმეს აგნებს, რომ გულგულელებმა პირველებმა ჩამოაყალიბონ კომუნა? მე პირველი ვამბობ უარს კერძო საკუთრებაზე და ჩემს ვენახებს, ბაღს, ხახნავ-სათეს მიწას, საძოგრებს, ხალხს, ჩვენი სოფლის იმ მცხოვრებთა, ინ ნაწილის საკუთრებად ვაცხადებ, რომელნიც კომუნაში გაერთიანდებიან. ჩემს ფუფლად ქონებასაც კომუნის გამგეობას გადავცემ, ის მამოუფლებე ქვეერ-მარანსა და სახლების ღირებულებაზე ნაკლები არ არის.

ტრიბუნიდან ჩამოსული ივანეს აგიტატორებმა და მეგობრებმა ხელი ჩაჭიროთეს, ვანშარახვა და სიტყვა მოუწონეს. კრების თავმჯდომარემ დიდი პაექრობის შემდეგ კენჭი ეყარა ... კოლელიშვილის წინადადებას, 70 კომლისგან ... ერელი გამოთქვა კომეფაში გაერთიანებინ, გულგულის კომეფსა „ძმობა-ერთობა" უწოდეს. გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად ივანე კოლელიშვილი აირჩიეს.

გაჩაღდა მუშაობა. ჯერ ყველას კონება ალწერეს, აქ მთავარი მუშა-ხელი და გამწევი ძალა იყო. რაგდაპ საკაზოფსტელი საპუშაოებისათვის უნდა მომზადებულიყო კომეფა. შეადგინეს კომეფის წესები, შრომისუნარიან გლეხთა სიები — სამი გუთნეულისათვის დაკომპლექტეს გამწევი ძალა, მეხრეები, გუთნის ედედები, ჭაპნები, ულელები, ტაბიკები და სამალდები. თელაღელ ჭმელებს გაკეკრეზნეს ხანნები და საკვეთელი. ვენახებისათვის საჭირო იყო ბარი და ოთხი, ხასხლეთი მაკრატელი, ნამგალი, შაბიანნთ შესაწყალი ასაბატი და ხახრეველი. ალწერის შემდეგ ყველი საჭირო იარაღის რაოდენობა დაიაზუტა კომეფის გამგეობამ. ივანეს თავისი ფეოლთან ახალგაზრდა კომეფარეტთან ერთად თელავში შეიძინა ყველა ეს იარაღი. დაიაზუტეს საკმელნი საკვების რაოდენობა და დანაკლისი მეზობელი სოფლებში შეიძინეს. შეაგზეს დიკის, საგაზაფხულო ქერის, ხიბრდის, ფეტკის და ბოსტნეულის თესლი. დაჩამრეს მიწის ნაკვეთები, სად რა კულტურა უნდა დათესილიყო. ალაზნის პირას, ყამარეტში, ხაზამთროსა და ნინოვის მოყვანა გაითვალისწინეს. კომეფის წევრთა შორის ვენახებმა საპუშაოებიც გაინაწილეს, ერთი ნიტყვით დატრიალდა კოლექტიური შრომის ჯარა სოფელ გულგულეში. „ამა ნიკა, გოგი, ფირუზ, ეენაცვალეთ ბიჭებო, არ შეგრცხვეთ, მთელი კახეთი ჩვენს საქმიანობას ადევნებს თვალს!", ამხნევებდა ყველას მბიარული ალერსანი ნიტყვებით ივანე.

კომეფა სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა, როდესაც კახელი თავადაზნაურობა „თავს იტეტდა", როგორც ჩაეჭრა „მოძრობა". ისინი ხშირად, „საგანგებო" თათბირებზე ეწაწულიანობდნენ, გლეხების გაკირვებაზე ვეთოდ ისინიც სინანულს გამოსთქვამდნენ. თუ ვინმე „რადიკალურად — მოაზროვნე გამოვდოდა ამ კრებაზე, ისიც კი იმას ამბობდა: „მიწები რომ გლეხებს მივცე, ჩემ ცოლშვილს რაღა ვაქმიო... გლეხმა თავის თავზე თითონ იზრუნოს... მე ჯერ არ გავგიჟებულვარ, რომ მიწები სხვას გადავცეო", — ახეთ ვითარებაში ივანეს მიერ გადადგმული ნაბიჯი გლეხობისათვის ვამამხნევებელი მაგალითი იყო და ამას ყველა ხედავდა.

გაზაფხულდა. 1906 წ. საგაზაფხულო საპუშაოები გაჩაღდა. როგორც მუზეუმს ან ახლად აშენებულ დიდ საწარმოს, ისე ათვალიერებდნენ კახეთის სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული გლეხები „ძმობა-ერთობის" საკმაონაბას. ხშირად სახნავ მიწებში ან ვენახებში მუშაობის ადგილას, როდესაც გაიშლებოდა სუფ-

რა, სტუმრებსაც იქვე ასადილებდნენ. მეზობელ სოფლებში ასე ლაპარაკობდნენ: „ნეტავ ერთი კოლეკტივი ჩვენც გავგიჭნოდა“.

შინასოფლურკლასობრივი ბრძოლა უფრო გამწვავდა მოსავლის აღების დროს, მთავრობის პოლიცია, ჯაზბუნი ჭერ-ჭერობით აფერეიდან ვერ ავიწროვებდნენ კომუნას. სამაგიეროდ კულაკ-მეკანბეები ყოველდღე ემუქრებოდნენ კომუნის წევრებს და მათ თავმჯდომარეს.

— კაცო, ვინო, რატომ ნებას არ აძლევ კომუნის წევრებს ყანა მომიმკან, მე ხომ ერთი ფუთი ყველი შარაშნე მიიეკი წლევანდელი წლის ავანსად.

— ჭერ კომუნის წევრმა თავის ყანა მოიკას და მერე!

— როცა ყანა ჩაგვეწვება?

ასეთი დიალოგები იმართებოდა ყოველდღე. ზოგი ლეანის ავანსის განადგურას ითხოვდა, ზოგი ყველისას, სხვანი ხორცის, შუშის და სხვა. ამ ნიადაგზე კულაკმა მეკანბეშემ, კომუნის წევრი გიო გიგაურაშვილი მოკლა 1906 წ. 13 აგვისტოს. კომუნარის დაკრძალვის დღეს გულდაღონებულ კომუნას მრავალი მოსაძმიერნი ესტუმრენ მეზობელი სოფლებიდან. თელავის დელეგაცია 50 კაცსე მეტს ითვლიდა. ამაყად ფრიალებდა წითელი ალმები გულგულაშნი. პოლიციას ესეც „შეუმჩნეველი“ დარჩა — მოსავლის აღება კი გრძელდებოდა. „როგორც იქნა ვეგულარსა... შიშმრეს ახლა მაინც დავასაბარებთ“, ამბობდნენ კომუნარები. მაგრამ ჩარჩ-ვაჭრებს, კულაკ-მეკანბეებს არ ეძინათ. გიო გიგაურაშვილის მკვლელობის შემდეგ კომუნის აქტიური ასალაშრომა წევრებისაგან წითელი შეიარაღებული რაზმი ჩამოყალიბდა გოგია ენტაიშვილის ხელმძღვანელობით. მოსავლის აღება გრძელდებოდა, კალოებზე სიცილითა და ეკისკისი დაფრიალებენენ ჩითის კაბებს გულგულელი ქალები, კომუნის წევრები. ბედლები ივსებოდა ხორცშეთი, ქერით, ფეტვითი. დატვირთული ურმები ბრეზენით მიდიოდნენ ბედლებისაკენ. მარნებისა და ქვევრების დარეცხვასაც შეუდგენენ კომუნარები. ზენარეში მოპკავდათ ხაწნაბელი და ნავები. ხარობდნენ კომუნარები, შრომა ზეიმს უფრო გაგონებდათ, უბარიდათ კარგი მოსავალი. მოსავალი ყველაზე უფრო ივნენ კოლეკიფშვილს ამბრეველეზეი. შრომა დაგვიფასდა, ამ ჩვენს კომეზარებს ეღირსებათ და შიშმილს თავს დაავწეენენ. პირველად მიიღებს ბლეხი სრულად თავის ნაოფლარს, არც „ნაოთხალი“, არც „ნასაედი“, არც ერთი მარცვალი, ვინც არ შრომობს! მაგრამ არ ეძინათ კომუნის მტრებს. ისინი ეძებდნენ მოხერხებული მოპეტაზ. და აი მეკანბე ვანო ეფხიაშვილის თოფმა კოლეკიფნეი ფეხში მსუბუქად დასჭრა.

გოგია ენტაიშვილმა დაატრიალა თავის ეფუნეები. ესიტაშვილს ახლად გავარდნილი თოფი უკოვეს ხასლში. წასდა ბმდილი ტუალეი. მან მაშინვე ალიარა დანაშაული — კომუნის წევრებმა ესიტაშვილს ბოძზე ჩამოარჩინა მიუსაჯეს. ივანე ესიტაშვილი ხეზე ჩამოკიდეს და სწორედ ამ დროს პირველად მოჩანდნენ დაიქუცა კომუნის თავმჯდომარემ: „ეეე როგორ ზეიმლება, თქვე შეჩვენებულებნი... ჩამოხსენითო!“ დამნაშავე დამსახურებულად ხასკეეს. გადაურჩა.

ფორმალურად ეს თავდასხმა კომუნის დარღვევის მიზეზი გახდა. 1906 წ. 8 ოქტომბერს თელავის მაზრის უფროსმა ანტონოვმა ეგზეკუციია ჩაიყვანა გულგულაში. დიაფენ ბრეეეი და კომუნარების დაპატიმრება. 10 ოქტომბერს ჩხრეკა გრძელდებოდა. დაიპატიმრეს პირველი ქართველი კოლეფტიარი ივანე კოლეკიფშვილი. ეეიიეეეს ია-ოალი და ვაჯბუნები. პოლიციელებს და ჯაზბუნებს მარტო გოგია ენტაიშვილი დაუსხლტა.

ივანე კოლეკიფშვილი ჭერ თელავის ციხეში მოთავსებულ, მერე თბილისში. მერე სამხედრო წესების თანახმად, იგი სამხედროდ გადაასახლეს ოლენეკელის გუბერნიაში. ციმბირის კატორღაშ ვერ გატეხა კახელი 45 წლის ვეფაკი. რამდენიე ხნის შემდეგ ივანე შეიეიკარიაში ამერიკაზე გაპარვას. გულგულელის კომუნის ყოფილი თავმჯდომარე, ყოფილი „გუბერნესკი სეკრეტარი“, ქალაქ ასკონის ერთ-ერთი სატყეო სასუფევლებში ეწყვეს მეცადინეობას, ეკალიეიკეიის ასამალილებლად, როგორც შეტანეეე. გულგულელი გატაცებით ისმენს ვ. ი. ლენინის მეზნებარე ლექციებს. მშობლიურ თელავს და გულგულას ივანე კოლეკიფშვილი 1918 წელს დაუბრუნდა. ის ძველებურად იღწვის სოფლის კეთილდღეობისათვის. ადგენს ეეეეშებს გულგულისა და მისთანა სოფლების ახალ მაღლობ ადგილებზე დასასახლებლად, თელავის მაზრაში და მოლიანად კახეთში კაეშირგაბმულობის გასაკეანად. შედეგებს ვერ ალწევს, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ადამიანი არ ტყდება, იმედს არ კარგავს.

ხაჭარეველნი საბეჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ახალი ენერგიით იწყებს კოლეკიფნეი ვანო ხაზოგადოებრივ მუშაობას. ის სისარულით შეხვდა გულგულაში დაწყებული სკოლისა და „წეროკუმის“ სკოლის გახსნას. მან ხახელი და ინვენტარიც არ დაიშურა ამ სკოლებისათვის. სხვა ამხანაგებთან ერთად იბრძვის სოფელში ნორმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ამ საკითხებზე ვანო ხანდახან რესპუბლიკურ გაზეთებშიც ათავსებს მოკლე წერილებს. აი, რას წერდა ივანე 1924 წ. 5 მარტს გაზეთ „კომუნისტებში“: „ეგულგულელ ხამ-ბოგ წარსულ ინვარში გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „უფნარეს ყოველისა, ეწველოს სოფლის ფდიდეს ფბედფრებს, მის ასე ვაგალაბად გავრცელებულ ავადმყოფობას, ერთიანად

გიორგი მრელაშვილი
კირილი კოტიშვილი „ძმობა-ერთობა“ კახეთში

ყველას სიხარულს. მას არა აქვს წყალი, არა აქვს სალი ბაერი. 209 კოლექიან ერთი მეზუთეული ქვრივ-ობოლი, სნეული და დაავადებული. ჩარსული წლების აღწერით, სოფელში წელიწადში ნაღდი 14-15 სული, ყველა 16-17 სული. აქედან ცხადდე უცხადესია, რომ სოფელი გაშრავლების მაგივრ, ამოწყვეტის გზაზე დგას. ამისათვის თხოვს მთავრობას, — მიეცეს მას დასახლებული ადგილი 60-70 დესეტინა, მდებარე ქ. თელავს და სოფელ ვარდისუბნის შუა, ჯაგანარ-ზვრილიანი ტუე.

ავაშენებთ სოფელს სანიმუშოდ. ასეევ ხუმალი სოფლებია: ახატელი, კოლოთი, ჯანაანი, ზორხეული, ოფეო. ეს სოფლები მოეწყოს სუფთა ბაერზე — მამულები ეკენებთ ალაზნის პირას. თუ ყველა ეს სოფლები გზის პირას იქნება დასახლებული ახმეტიდან—ხიღისამდე— ყველა ისინი შარაგზის პირას იქნებიან და ამიტომ უფრო ოფილი ეახდება მათში კულტურული და სხვა მუშაობის ჩატარება". ი. კოლელიშვილი". (ეგზ. „კომუნისტი", № 53. 5/III-24 წ.).

ცდას უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1925 წელს გუფლეულელებმა „ცივის" მთის კალთებიდან ანკარა წყალი მიიღეს. უნდა გენახათ ივანე ოროგორ ათვალიერებდა უბნებს, ყველაკან თუ მიიღეს წყალია. მოიწონა ივანემ კომისიის წევრებს მუშაობა. სალამაზე კატეგორებება სახლი მიიწვია. იმავე წელს ივანეს მიმდევრობა და მოწაფეებ. ყოფილმა კომეზარმა, ივანე გოგიტელაშვილმა პირველი კოოპერატიული მაღაზია ვახსნა. „ყოჩაღ, შვილო ხუხნიავ, ეს რა კარგი საქმე გიუკეთე სოფელს. გვახსენეთ". სიხარულს სიხარული მოსდევდა. 1927 წელს იმავე გიგიტელაშვილმა პირველი ტრაქტორით ალიბარეთ სოფლის მინდვრები. ივანე ბაშვიავით გახარებული მისდევდა ტრაქტორს და ეხიტცვებოდა ბჭენელთელებებს; „ეგენელთან, შვილებო... გაიხარეთო".

1929 წელს ს. გუფლეულში თელავის ხალაზარო პარტიკომი კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ყველა ელეხისათვის ჭკვიანი დამრიგებელი და ამხანაგი გრიგოლ არუთინოვი ჩამოდიდა. შეიკრიბა მთელი სოფელი. მოიგებმა მიმბიდად. ვახაკეი ენით გადასცა დაუნჩრეთ ამეამად მისი ჩამოსვლის მიზანი. მონმბეზენელებმა მოკლედ დასვა კითხვა: მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო დიდი საკოლმეურნეო მოძრაობა, გუფლეულელები რას იტყვიან ამის შესახებ. 1905 წელს ჭოვენ ზომ პირველი მაგალითი მოგვეცითო. დროფელი იქნება ამეამად კოლმეურნეობის ჩამოყალიბება თუ არაო. ივანე პირველი მივიდა ტრიბუნასთან, სიტყვა ითხოვა. „ნეგმო შვილებო და ამხანაგებო! მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიბრძოდი კოლექტიურ შრომისათვის — ადამიანის ხსნა. ეს ბედნიერი ცხოვრება თანასწორობაში. თანასწორობა შრომაში, თანასწორობა ფიფაში. ეს ბედნიერი ვარ ამ დღეს, რომ მოვესწარი. ამიტიეეი 69 წლის მობუცი და ვეცადეთ თქვენნი ნდობა გავამართლოთ". „მე გთხოვთ თქვენც, ამხანაგო საბაზრო კომიტეტის მდივანო, მენდეთ და მიმიღოთ. რასაკვირველია, ჩემს ქონებას მოძრავს და უძრავს, თელავში და გუფლეულში, ჩემს დანაზოგსაც კოლმეურნეობის საკუთრებად ვრაცხ დღეიდან". ივანეს თხოვნა დაკმაყოფილეს, საერთო კრებამ კომუნა „ძმობა-ერთობის" ფოფილი თავმჯდომარე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია. გუფლეულელები, პარტიული ორგანიზაცია, კომკავშირი, კოლმეურნეობის აქტივისტები უკვე გამოცდილები უმკლავდებოდნენ გუშინდელ ჩარჩ-ვაჭრებს, შეეჯიბკულელებს.

ივანე კოლელიშვილი გარდაიცვალა 1930 წელს. ბაზეთებში რამდენიმე სამგლოვიარო განცხადება იყო გამოქვეყნებული. თელავისა და გუფლეულის პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობის გამეკონა. განსვენებულის ნათესავები, მეგობრები ილუმებიდნენ რომ: „თბილისის ხაბაოელ და ძმიე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1925 წელს ს. გუფლეულში (ეხება) კოზეზ „ძმობა-ერთობის" დაბაარსებელი, სოფლისათვის დაუფალეი მუშა ივანე თეფდარეს ძე კოლელიშვილი".

ხაჭართველის მთავრობამ, ხაჭართველოს კატორღელთა ხაზოგადოებამ თხოვნა დაკმაყოფილა, ივანეს დასაკრძალავი ხარჯები გაიღო და მისი დაკრძალვა დიდებულ პანთეონში გადიწყვეტა. მაგრამ გუფლეულელებმა არ ინდომეს. ივანე ცოცხალივე ჩვენი იყო და თბილისში ვერ დავტოვებთო. 1930 წ. 21 აგვისტოს თბილისელმა კატორღელებმა, ნათესავებმა და მეგობრებმა თბილისის ვაგზალზე მიიცილეს ამაგდარი. მოკლე იყო კატორღელთა გამოსათხოვარი სიტყვები — კუბო სპეციალურად გამოყოფილი ვაგონში დასხეენეს.

თელავის და ვარდისუბნის შუა მდებარე სატყეოს ადგილზე, იქ სადაც ოცნებობდა ივანე გუფლეულის გადმოსახლებას, „ძმათა სასაფლაო" გაუხსნეს თელაველებმა. აქ ალიმართა სადა ობელისკი წარწერით — ივანე თეფდრეს ძე კოლელიშვილი. ბევრმა თანამებრძოლებ არც ეი იცის, რომ ეს სამარე ეყოფილის ადამიანს, რომელმაც პირველმა ხელი პრაქტიკულად უარი ქერძოო საკუთრებაზე ქაბეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცისკრის“ ანკეტა

ამას წინათ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე (№ 1, 1976), რედაქციის ანკეტებზე პასუხების მეშვეობით ქართველმა მწერლებმა გამოთქვეს თავიანი აზრი სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე. რედაქცია იქვე დაჭირდა მკითხველებს, რომ ეახლოვებ ხანში კრიტიკოსთა მოსაზრებებსაც გაიცნობდა.

კრიტიკოსებს ასეთი კითხვებით მივმართეთ:

1. რა მიგაჩნიათ სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულებად? რა გეესახებათ ქართული კრიტიკის დღევანდელ მთავარ ამოცანად? რამდენად ემსახურება ერთისაც და მეორესაც ქართული სალიტერატურო კრიტიკა?

2. რა აზრისა ხართ თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის შესახებ? თვლით თუ არა დამაკმაყოფილებლად მის დღევანდელ დონეს? თქვენი აზრით, როგორ გამოიყურება იგი ხაბჭოთა თუ მსოფლიო კრიტიკული აზროვნების ფონზე? რა მიგაჩნიათ მის ღირსებად, რა კიდევ — ნაკლად?

3. რა აზრისა ხართ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობაზე?

4. როგორია კრიტიკისადმი მწერლობის დამოკიდებულება და როგორი გსურთ იყოს იგი?

5. კრიტიკის შესახებ ცნობილი დადგენილების შემდეგ რა შეიცვალა ქართულ მწერლობაში, რამდენად უპასუხა ქართულმა კრიტიკამ საკმით ამ დადგენილებას?

6. რომელი თქვენი წიგნი თუ წერილი მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

7. რა აზრისა ბრძანდებიან ალმანახ „კრიტიკაზე“, ქართული ლიტერატურული ჟურნალებისა და გაზეთის დამოკიდებულებაზე კრიტიკასთან, მათ პოზიციაზე?

სამწუხაროდ, ყველა კრიტიკოსი არ გამოეხმაურა ჩვენს ანკეტას. მიუხედავად საგანგებო თხოვნისა და მრავალგზისი შეხსენებისა, დუმილი არჩიეს.

უმეტესობამ კი პატივი დასდო ჟურნალსაც და, რაც მთავარია, იმ საგანსაც, რასაც შეეხებოდა ანკეტა, გამოგზავნა პასუხები, რომელთაც გთავაზობთ ქვემოთ. ამას გარდა, რაკი ვამთავრებთ სალიტერატურო კრიტიკის შესახებ ანკეტებზე პასუხების ბეჭდვას, ჟურნალის რედაქციამ თავი მოვალედ ჩითვალა, საკუთარი პოზიციაც გაემეჯვნებინა ბოლოსიტყვაში.

აკაკი გაწერელია

1. სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულებას კარგად გამოხატავს თითქოს-და ტრივიალური შეხედულება: მისი მიზანია **თანამედროვე** მხატვრული ლიტერატურის კონკრეტული ნიმუშების ანალიზი ან ავტორის მთელი შემოქმედების შეფასება. ამასთან, კრიტიკული ანალიზი მკითხველისათვის სწორი ორიენტაციის გამომუშავებას და მისი გემოვნების დახვეწას ისახავს მიზნად.

მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში კრიტიკის როლი და პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, რადგან ვისიმე ან რისიმე კვალიფიკაცია მწერლობაში — მაღალი ინტელექტუალური კონტროლის გარეშე — სასაცილოა ან დანაშაული, ან კიდევ — ორივე ერთად.

კრიტიკამ უმალვე კარგად ეთიკურ ღირებულებას. თუ მასში სუბიექტივიზმი ან დაუსაბუთებელი სიმპათია-ანტიპათია აირეკლა. მიუხედავად ამისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკოსს ვერავინ წაართმევს აღტაცების ან გულისმოსვლის უფლებას. კრიტიკა მწერლობის ყველაზე ნაკლებ ანემიური ჟანრია.

ლიტერატურის მიზანი არაა უცილობელი ჭეშმარიტების ან დღემდე უცნობი ფაქტების დადგენა. უნდა გავიმეორო ერთი ავტორის სიტყვები: პუშკინის, ტოლსტოის და ბალზაკის ნაადრევი სიკვდილის შედეგად ჩვენ არ გვეკნებოდა „ევგენი ონეგინი“, „ომი და მშვიდობა“ და „გაფანტული ილუზიები“, ხოლო კოლუმბი, ნიუტონი და მენდელეევი ადრე რომ გარდაცვალებულიყვნენ, ამერიკა, მიზიდულობის კანონი და ელემენტების პერიოდული სისტემა მაინც იქნებოდა აღმოჩენილი. **ლიტერატურა ახალი სინამდვილეა,** რომლის „ჭეშმარიტობის“ მეცნიერული შემოწმება არ ხდება. მკითხველს ხიბლავს ტარიელისა და ვეფხის სამოჯნური ეპიზოდი, გულიავრისა და პანაურგის მოგზაურობანი (სვიფტი, რაბლე), ჰამლეტის დიალოგი მამის აჩრდილთან და ა. შ. მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ეს შესანიშნავი ჰასაკები არავის განუხილავს „რეალური სიზუსტის“ თვალსაზრისით. დიდი ხელოვნება შესაძლებელისა და შეუძლებელის ზღვართა ურთიერთშესაბამება და მოწესრიგებაა, ხშირად იგი უდიდესი მეცნიერის ინტელექტს „იქეთ ასაზრდოვებს“ (აინშტაინი: „დოსტოევსკი მანიჭებს უფრო მეტს, ვიდრე გაუსი“).

კრიტიკა უწმინარეს ყოვლისა გვიჩვენებს ხელოვანის მიერ შექმნილი სინამდვილის ახალი და განუმეორებელი მოდელის ესთეტიკურ ხარისხს. მრავალი რამ განაპირობებს ამგვარი ანალიზის დამაჯერებლობასა და ეფექტურობას: გემოვნება და განსწავლულობა, შეურიგებელი სიძულვილი ყოველგვარი ექსტრავაგანტურობისა, ბუნდოვანებისა, გალიმატიისა, ბანალური სტილისა თუ „სიტყვიური ჩუქურთმებისადმი“ და ა. შ. ყოველივე ამასთან — უშიშარი რეინტერპრეტაცია დრომოჭმული, გაცვეთილი თუ მოდური „კრიტერიუმებისა“, რომლებიც აფერხებენ კრიტიკული აზრის განვითარებასა და წინმსვლელობას. საღი პრინციპულობა — კრიტიკის აუცილებელი თვისებაა. ტენდენციური კრიტიკა ვერც ვინმეს აამაღლებს, ვერც დაამცირებს. ხოტბითი ინფულიგენციების გაცემის უფლება კრიტიკას არა აქვს, მაგრამ არც გადაჭარბებული სკეპტიციზმი ამართლებს ვინმეს, რადგან რენანის ამპლუა არავის შეეფერის ჩვენში.

შინაგანი ფილტრაციის კანონის ერთგული კრიტიკა უნდა იყოს. ამ კანონის განხორციელება მეტნაკლები წარმატებით ხდება როგორც ჩვენში, ისე სხვაგან.

2. მსოფლიო კრიტიკული ლიტერატურის დღევანდელ ვითარებაში იმდენად ორიენტირებული არა ვარ, რომ მის ფონზე შევაფასო ქართული კრიტიკის დონე. ამგვარი გამბედაობის უფლებას ჩემს თავს არ ვაძლევ. მაგრამ სუფეთფსო რუსული თარგმანების წყალობით ევროპული კრიტიკული პროზის ბევრ შესანიშნავ ნიმუშს კარგად ვიცნობ. მაგ. პოლ ვალერის ლიტერატურული წერილები უმაღლესი რანგისაა და სწორედ ჟურნალ „ცისკრის“ დამსახურებაა, რომ მან პირველად გააცნო მკითხველს XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ეს გიგანტი. სხვა საკითხია, რამდენად გასაზიარებელია ვალერის მეთოდი ან შეხედულებანი, რომლებიც ლამის მეორე სახარებად გადაუქცევია. მაგალითად, რომან იაკობსონს. ერთი კი უეჭველია: ვალერი უდიდესი პოეტი და ასეთივე კრიტიკოსია ერთსა და იმავე დროს. მისი ოქროს კალამი, რა თქმა უნდა, იდეალია, ხოლო იდეალური თვისება ისაა, რომ საშუალო ტალანტს შეუდამ „იმედს უქარწყლებს“ („ასეთის დაწერას ვერ შეეძლებ“). მაგრამ ეს სიტყვები მწერლობის ყველა ჟანრზე თანაბარი უფლებით ითქმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო, ლიტერატურაში „უკნრების სუბორდინაციისა“ არაფერი მწამს. ბრწყინვალე კრიტიკული წერილი ისევე იშვიათია, როგორც კარგი ლექსი, მოთხრობა ან პიესა. ხელოვნება — ბეწვის ხიდზე გავლაა. ასევე კრიტიკაც. და შესანიშნავი კრიტიკული ეტიუდი თვითონაა მაღალი ხელოვნება.

თანამედროვე ქართული კრიტიკის ბევრი ნიმუშის მთავარი ნაკლია: ფორმულირებათა უზუსტობა, მიდრეკილება ორიგინალობისა და პარადოქსულობისადმი, რაც მეტწილად მჭლე ანგუმენტაციიზეა დაფუძნებული (საილუსტრაციოდ მოტანილი მასალა არ ამართლებს დადებითი თუ უარყოფითი შეფასებების ასპექტს: ციტატები „ედავებიან“ სტატიის ავტორს!). გარდა ამისა, არ შეიძლება რომელიმე თანამედროვე ავტორს ადვილად დაეუძმობილოთ, მაგალითად, სტენდალი ან ფოლკნერი. აკი მუსიკასა და მხატვრობაში ასე ძნელია ბეთჰოვენისა და რემბრანდტის მსგავსი ფენომენების აღმორჩენა!

„კოსმიური ასოციაციები“ კრიტიკოსის დაბალ გემოვნებაზე (ან მიკერძოებაზე) მეტყველებს. მაგრამ არა ნაკლებ დანაშაულია, თუ ნიჭიერად დაწერილის ან შედევრის შეგნებული იგნორაციის გზას დაადგება ვინმე. „შური არს წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“ (საბა).

3. მწერლის მსჯელობას მეორე მწერალზე მუდამ თან ახლავს სუბიექტური ელემენტი. ეს არც გასაკვირია და არც თუ დასაძრახისი, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი მხატვრული მეთოდის პრიზმით ფასავს სხვას. ეს გარემოება ბადებს გარკვეულ იმპრესიონისტულობას მათს მსჯელობაში. სრული ობიექტურობის ან თეორიული სიზუსტის ძიება ასეთ ვითარებაში გაუმართლებელია მაინც: კარგი მწერლის ან პოეტის აშკარად ტენდენციური სტატიაც მუდამ საინტერესოა.

4. მწერლის დამოკიდებულება კრიტიკისადმი ყოველთვის „ნერვიული“ იყო და, ვფიქრობ, ასეთივე დარჩება. ესეც სავსებით გასაგებია: მხატვრული ნაწარმოები, გარკვეული თვალსაზრისით, ავტორის სულის სარკეცაა, ხოლო სულის უხეშად შეხება მუდამ ტკივილს იწვევს. აკი პოეტის გარდა არავინ იგრნებს თავის პროფესიას სიკვდილის წინ ან აგონიის წუთებში. და მხოლოდ პოეტი ეთხოვება წუთისოფელს რიმებით.

ყველა პოეტის ნერვიულობა ჩემთვის სავსებით გასაგებია

5. ქართული კრიტიკა უკანასკნელ წლებში ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი მკითხველი გაეცნაროს ქართულ, რუსულ და უცხოურ ლიტერატურულ ფასეულობებში და ამით პასუხობს იგი კრიტიკის შესახებ გამოქვეყნებული დადგენილებიდან გამომდინარე დასკვნებს. კრიტიკის ჩამორჩენილობაზე ლაპარაკს ვთვლი ჩამორჩენილობად. ჭეშმარიტების შემცველი აზრიც კი ტრაფარეტად გადაქცევა, თუ მას დაუსრულებლად და სხვადასხვა ვარიაციებით გავიმეორებთ.

6. უკანასკნელი 35 წლის მანძილზე სამოდე კრიტიკული წერილი დავბეჭდე. მათს ავკარგიანობაზე თვითონ ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება ჩემს ფილოლოგიურ ძიებებს, შემიძლია კატეგორიულად განვაცხადო: არა ერთი და ორი „მეცნიერული“ ქმერა ამ ძიებათა წყალობით უკვე აღარ ეკუთვნის ჭეშმარიტებათა სფეროს. ერთი ნაკლი შეიძლება ამ ძიებებს მაინც ჰქონდეს — „მკაცრი ტონი“! მაგრამ თუ თავდამსმენელი Forte-თი იწყებს, Piano-თი მას არ პასუხობენ. ფრო — უტყეარი მსაჯულია.

7. ჟურნალ „კრიტიკის“ თვითეული ახალი ნომერი წინგადადგმული ნაბიჯია. საეჭვო არაა, იგი უკვე გადაქცეა მართალი სიტყვის ტრიბუნად, თუმცა, რასაკვირველია, ამ მხრივ მას კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. სხვა

ჟურნალების მხრივ კრიტიკისადმი უყურადღებობის გამო არაფერი მსმენია. რაც შეეხება გაზეთებს, ჩინდა აღვიშნო, რომ გაზეთი „კომუნისტი“ პირდაპირ სანიმუშოა ქართული მწერლობისადმი პატივისცემისა და სიყვარულის მხრივ. მისასალმებელია გაზეთ „თბილისის“ დაუღალავი ყურადღება ქართული ენის სიწმინდის საკითხებისადმი, რითაც იგი დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება.

ზაზა აბზიანიძე

1. ერთი იუმორისტული ნახატი დამამახსოვრდა — გამეჩხერებულ ყვავილნარში ბორბა მებაღე დგას. ცალ ხელში პაწაწინტელა სარწყავი უჭირავს, მეორეში — უზარმაზარი მაკრატელი. ამ ნახატს ქვეშ ერთადერთი სიტყვა ჰქონდა წარწერილი — „კრიტიკოსი“. ვაი რომ, მგონი, მართლაც ასეთია კრიტიკოსის საყოველთაო სტერეოტიპი.

არ მეგულება ისეთი კრიტიკოსი, რომელსაც ერთხელ მაინც, მწარე სინანულით არ წამოეძახოს — „ეს რა უმადური ხელობა ავირჩიეო!“, ან ვინმესათვის არ შეეჩივლოს, რომ არც მისი პროფესია არ სჭირდება — არავის, არც ეს ყბადაღებული ობიექტურობა ღირს კარგი კაცის წყენად. მაგრამ ალბათ ისიც იშვიათია, რომ იგივე კრიტიკოსმა, რამდენიმე ხნის შემდეგ, თავის თავს მაინც არ უთხრას: „ცივილიზებული ერის ლიტერატურა დღეს ვერ იარსებებს კრიტიკის გარეშე. კრიტიკამ უნდა შექმნას ობიექტური საზოგადოებრივი აზრი მწერლობის შესახებ, გაანიმბიეროს ლიტერატურის სხვათათვის უხილავი ტენდენციები და მათი უცთომელი ანალიზით ხელი შეუწყოს ამ მწერლობის წინსვლას.“

2. ქართულ კრიტიკას დღეს ორი საზრუნავი აქვს: საკუთრივ კრიტიკა — მისი, კარს მომდგარი, მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებათა ამოცნობა. აქ, ეფიქრობ, ქართველი კრიტიკოსების გამოკვლევები არ მკრთალდებიან საბჭოთა კრიტიკის საერთო ფონზე. რაც შეეხება კრიტიკის მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევას, რამდენადაც მე ვიცი, პირველობას ბალტიისპირული სკოლა ჩემობს.

3. ბუნებაში ერთი კანონი მოქმედებს: ის ბიოლოგიური სახეობა, რომელსაც კონკურენტი არა ჰყავს, ნაკლებად ქმედითია. მგონი, ლიტერატურაშიც მსგავსი რამ ხდება და მწერლების „კონკურენცია“ კრიტიკის ქმედითუნარიანობას ამაღლებს. სხვა რომ არაფერი იყოს, — ამიტომაა მისასალმებელი.

4. ბოლახდილად რომ ვთქვა, ამ კითხვამ საგონებელში ჩამაგდო. ჯერ ერთი ის რომ, მწერალთა დამოკიდებულება კრიტიკისადმი ჩვენში ეროსულო�vანი არაა (საპედიეროდ!), მეორეც — იმ „ბორტი მებაღის“ სტერეოტიპსაც აქვს ეტყობა თავისი შორეული წარმომავლობა.

არაერთ ქართველ მწერალს უგრძვნია საბრალდუბრ დასკვნებს მიმგვანებული რეცენზიების სუსხი, ან მოსალოდნელი საშიშროების ნიშნად მიუჩნევია (და სამართლიანადაც) მისი იდეოლოგიური „მარცხის“ სასხვათაშორისო მოხსენიება რომელიმე კრიტიკოსის მიმოხილვით წერილში. ასე განჩნდა ასოციაცია: „კრიტიკა“ — „ხიფათი“. ამგვარი ასოციაციები, სტერეოტიპები კი საკმაოდ მდგრადია. რამდენიც არ უნდა გარწმუნოთ თქვენმა შემთხვევითმა თანამეზავრმა, რომ მისი მოშნიურებელი ლომი — დახვეწილი ინტელიგენტია, ვეეჭვობ მშვიდად გაატაროთ ღამე, ამ ლომთან ერთ კუპეში თუ მოგიხდათ მგზავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე კი, მართლაც საფიქრებელია, ან როდემდის მოუწევს კრიტიკას ძველი ცოდვების მონანიება, ან როდის ამოშრება იმ წვრილმანი გაუგებრობების ტბორი, რომლის ოხშივარიც ასე წამლავს ხოლმე მწერლურ ატმოსფეროს.

5. ქართული კრიტიკული აზროვნება უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გამოცოხლდა, გაახალგაზრდადა (ყოველმხრივ), უფრო მძაფრი და ქმედითი გახდა. გაფართოდა ქართველ კრიტიკოსთა ინტერესების დიაპაზონიც — ისინი წერენ მტკივნეულ საზოგადოებრივ პრობლემებზე და ჩვენი თანამოქალაქის ეთიკაზე: თეატრისა და კინემატოგრაფიის, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების საკითხებზე. საკუთრივ ლიტერატურულ კრიტიკაში ერთი პრობლემის გადაჭრა ალბათ უახლოეს მომავალში მოგვიწევს: ჩვენ თითქმის არაეითარი რეალური ინფორმაცია არა გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ არის დიფერენცირებული მკითხველი საზოგადოება. როგორ არის გადანაწილებული მკითხველთა ინტერესები. (ის ფაქტი, რომ ერთი წიგნი ორიათასიანი ტირაჟით გამოდის, ხოლო მეორე — ოცდათასიანით, ხშირად გამომცემლობის დირექტორის სიმპათია-ანტიპათიებზე უფრო მეტყველებს, ვიდრე მკითხველისა. ამიტომაც კრიტიკოსისათვის არგუმენტად არ გამოდგება.)

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვილნიუსში მომიხდა ყოფნა. შურით ვუსმენდი ჩემს ლიტველ კოლეგებს, რომელნიც „მრგვალი მაგიდის“ დისკუსიის მსვლელობაში, მკითხველთა გემოვნებებისა და ინტერესების ამსახველ მდიდარ სოციოლოგიურ მასალას მიმართავდნენ. ლიტვაში ლიტერატურულ-სოციოლოგიური ანკეტირება ზუსტი პრცენტული ციფრებით ასახავს ამა თუ იმ მწერლის პოპულარობას მკითხველთა ამა თუ იმ ფენას შორის. ეს ანკეტირება დროის გარკვეული ინტერვალებით ტარდება და ლიტველ კრიტიკოსებს შეესაძლებლობა აქვთ შეუპირისპირონ ლიტერატურის განვითარება მკითხველთა გემოვნების ევოლუციას. ისიც ცხადია, რომ ამგვარი წამოწყება ჩვენში ქართული სოციოლოგიური სკოლის უშუალო დაინტერესების გარეშე ვერ განხორციელდება.

6. დიდი ხანი არაა, რაც ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა. აი, მეორე წიგნსაც რომ გამოვცემ, მაშინ მეკნება შედარების საშუალება.

7. რიმელი რედაქტორი არ ნატრობს მწვავე, აქტუალურ კრიტიკულ წერილს? და რომელ რედაქტორს არ ეცვლება ფერი, როდესაც ეს ნანატრი წერილი ბოლოსდაბოლოს მის მაგიდამდე მიაღწევს? ამ პარადოქსში იმდენი პრობლემაა თავმოყრილი, რომ მე მეშინია თავიდან არ ჩამოვყვე ანკეტის კითხვებს. ერთი რამ მაინც მინდა აღვნიშნო: ვფიქრობ, არალიტერატურული პრესა თავს უნდა იკავებდეს ნაწარმოების პირველი, ემოციური შეფასების გამოქვეყნებისაგან, ძალზე ხშირად, ეს შეფასებები, (და არა მარტო „მკითხველთა წერილების“ რუბრიკის ქვეშ მოქცეული), სუბიექტურობისა და მიკერძოების დაღს ატარებს.

ეგების ძველი ისტორიაა და გახსენებადაც არ ღირდეს, მაგრამ ზემონთქვამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. კარგა ხნის წინათ, „ცისკარში“, რომელსაც მაშინ ვახტანგ ჭელიძე რედაქტორობდა, მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი დაიბეჭდა.

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს, —
ხომ უნდა შეიქცეო თავი რაიმეთი!...
ხოლა...
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყე,
ან...
რალაც ამგვარი... („ხ უ მ რ ო ბ ა“)

— ციტირებას აღარ გავაგრძელებ. ბევრ ჩვენთაგანს კარგად ახსოვს ეს ლექსი: იმხანად მომრავლებული, ფულითა და დაუსჯელობით გათავხედებული „ძალაძეებისათვის“ გაწნულ სილად აღიქმებოდა... ახლა იმას შეგახსენებთ, ერთი ჩვენი ავტორიტეტული გაზეთი როგორ გამოეხმაურა მუხრან მაჭავარიანის ლექსს: „ასეთი პოეზია, რა თქმა უნდა, უსახო, უსაგნო, უიდეო და გადმოფიტული... რას უქადაგებენ პოეტი და ჟურნალი მკითხველს, ახალგაზრდობას: ან გამყიდე, ან ცოლი წამგვარე. ან დანა დამარტყი, ან რაღაცა ამგვარიო.“ და ბოლოს — „...ცხადია, რომ ჟურნალმა და მისმა სარედაქციო კოლეგიამ დაბეჭდვის დროს ზედმიწევნით გამოიყენეს სიბრმავის ნიჭი“. ახლაც არ ვიცი, კრიტიკოსია თუ არა ამ „გამოხმაურების“ ავტორი გ. კეთილაძე. ყოველ შემთხვევაში, საუბედუროდ, რედაქციამ კრიტიკოსის პროფესიული უფლებები მიანიჭა. წარმომიდგენია, რამდენი ნერვები, დრო, მელანი დაიხარჯა იმისათვის, რომ ვიღაც ერთ კაცს, არც იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა, არც სპეციალურ ლექსიკონში ინება ჩახედვა (ტერმინს — „სატირას“ მაინც ამოიკითხავდა), ხოლო რედაქციის თანამშრომლები კი ბრმად მიენდვნენ მის შთაბეჭდილებას. (ეს ყველაფერი — უკეთეს შემთხვევაში!). ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ „რეცენზიის“ შემდეგ აქვს მუხრან მაჭავარიანს ასეთი „ალერგია“ კრიტიკისადმი?

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ კრიტიკისა და მწერლობის პრობლემები ხშირად უფრო გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. აკი ამბობდა ბალზაკი: „კრიტიკა მეფეს მომაგონებს: იქ სადაც არაფერია გარშემო, იგი თავის უფლებებს ჰკარგავს. მეფე სამეფოს გარეშე არ მეფობს, კრიტიკა ლიტერატურის გარეშე არ არსებობს.“ აქ წერტილს ვსვამ.

გურამ ასათიანი

1. იდეალურ შემთხვევაში კრიტიკა წინ უნდა უსწრებდეს ლიტერატურას, ასეთია მისი დანიშნულება. იდეალური კრიტიკოსი ლიტერატურის კერძო ფაქტს უნდა ხედავდეს ლიტერატურული ცხოვრების მთლიანობაში, (ე. ი. უნდა ხედავდეს მის კუთვნილ ადგილს, მის შეფარდებით მნიშვნელობას), უნდა გრძნობდეს მის აღმოცენებელ მიზეზებს და, რაც მთავარია, მის მნიშვნელობას განვითარების მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით.

კრიტიკოსს უნდა ჰქონდეს რეალობის მახვილი გრძნობა, რათა თავისი პირადი სურვილი ან გემოვნება თავს არ მოახვიოს ლიტერატურას და მკითხველს. კერძოდ, მან უნდა იცოდეს სასურველისა და შესაძლებელის ერთმანეთისგან გარჩევა. მკითხველისგან განსხვავებით, კრიტიკოსმა ანგარიში უნდა გაუწიოს მწერლის ჩანაფიქრს, ზრახვას, მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი სრულყოფილად არ არის განხორციელებული.

ქართული კრიტიკის მთავარ დღევანდელ ამოცანად მე მიმაჩნია საკუთრივ კრიტიკული საწყისის, კრიტიკაზმის მაქსიმალური გამახვილება.

ამ მხრივ აუცილებელია ნამდვილი ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომელიც ნაწილობრივ მომზადდა, მომწიფდა, მაგრამ ჯერჯერობით არ განხორციელებულა. ეს გარდატეხა საერთო ძალებით უნდა განხორციელდეს. ჯაჭვამ გადამწყვეტი სიტყვა ამ საქმეში ახალგაზრდობამ უნდა თქვას — ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ახლად მოსულმა თაობამ.

ასეთი მისიის შესასრულებლად ახალგაზრდობა ღრმად და ფართოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაეუფლოს კრიტიკული აზროვნების კულტურას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ უგუნური მნგრეველის როლს შეასრულებს.

ახალგაზრდობას კი მხოლოდ მაშინ აქვს ნგრევის უფლება, როცა მას ეარ-თლა აქვს რაიმე ასაშენებელი (ეს უკანასკნელი აზრი მე არ მეკუთვნის. სხვამ თქვა. მომეწონა და გავიმეორე).

2. თანამედროვე ქართულ კრიტიკას მე ვხედავ განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე მინდა დავინახო იგი და როცა ასეთი თვალით ვუ-ყურებ, მეჩვენება, რომ საქმე უკეთესობისაკენ მიდის. განსაკუთრებით მომ-წონს იმ კრიტიკოსების პრაქტიკა, რომლებიც ცდილობენ ფართოდ გამოიყე-ნონ თანამედროვე საბჭოთა და მსოფლიო კრიტიკული აზროვნების გამოცდი-ლება.

ამ მიდრეკილებას აქვს თავისი სუსტი მხარეები. ზოგჯერ უცხოური თარ-გი არ ერგება მშობლიურ მასალას. კრიტიკოსი ძალდატანებას იჩენს და პრო-კრუსტეს არასახარბიელო როლში გვევლინება.

საერთოდ კი, ეს ტენდენცია თავისი არსით მისასალმებელია და ყოველ-მხრივ მხარდაჭერას მოითხოვს.

კრიტიკოსმა უნდა იცოდეს თავისი ხელობის ყველა შესაძლებლობა, ყვე-ლა ამჟამად ამოხსნილი საიდუმლო, რომ თვალდახუჭული არ ეძებდეს სა-წადელს.

„თვითნასწავლი“ კრიტიკოსი (განსხვავებით, მაგალითად, თვითნასწავლი მხატვრისაგან) წმინდა წყლის აბსურდია.

3. სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილე-ობა აუცილებელია, ჩვენში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა. პირადად მე ეს სამარცხვინო ფაქტად მიმაჩნია. დიდი დიალექტიკონის მწერალი უსათუოდ უნდა იყოს კარგი ლიტერატორიც. თუ ის მართალი ლიტერატურის ინტერესე-ბით ცხოვრობს, არ შეიძლება ასეთი მოთხოვნილება არ გაუჩნდეს.

სამწუხაროდ, ბევრი ქართველი მწერალი დროთა მანძილზე გადაეჩვია ლიტერატურული ინტერესებით ცხოვრებას, ლიტერატურაზე ფიქრისათვის აღარ რჩებოდა დრო...

4. კრიტიკისადმი მწერლობის დამოკიდებულება ჩვენში, რპილად რომ ვთქვათ, ტენდენციურია. ზოგჯერ ეს ელემენტარულ უზრდელობაში მყლავნდე-ბა.

ხომ არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანი გალანძღო იმის გამო, რომ მან ოჯახში არ დაგპატიჟა. ან ვთქვათ, დაგპატიჟა, მაგრამ სუფრის თავში არ და-გსვა?!

დღევანდელი ქართველი მწერლების ერთი ნაწილი კრიტიკაში მხოლოდ თავის თავს ეძებს და მხოლოდ ამის მიხედვით აფასებს ამა თუ იმ კრიტიკოსის ავკარგს. თუ ასეთმა მწერალმა ვისიმე „მიმოხილვაში“ ვერ აღმოაჩინა თავისი სახელი, მოეჩვენა, რომ საკადრის ადგილზე არ „დასვეს“, ისეთ განგაშს ატეხს, თითქოს მთელი მწერლობის ღირსება შელახულიყოს. პატივმოყვარეობა ადა-მიანური თვისებაა, მაგრამ პიროვნების სულფასოვნება იმითაც იზომება, თუ რამდენად განვითარებული აქვს მას ამ ინსტინქტის შეკავების უნარი. როცა მწერალი საკუთარი პერსონისადმი უყურადღებობის გამო ტეხს აურზაურს, ჩემი აზრით, ეს ცუდი აღზრდის ნიშანია. ვინც ამას მიხვდება, ჯერ კიდევ და-ლუპული არ ყოფილა. ყოველთვის შეიძლება მოერიო შენ თავს, თუ მიხვდი. რა სამარცხვინო ზნე გვირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ კრიტიკოსებმაც უნდა იზრუნონ, რომ მათდამი დამოკიდებულება გამოსწორდეს.

ამის მისაღწევად იქნებ ასეთი ხერხიც გამოგვადგეს: აბა, უფრო ხშირად ეწეროთ ისეთი ხასიათის კრიტიკული წერილები, ისე უშეღავათოდ მიმოვიხილოთ თვალი ჩვენი მწერლობის დღევანდელ მონაგარს, რომ ჩვენს „მიმოხილვებში“ მაინც და მაინც არავის მოენატროს განსთებული ადგილს მოხვედრა.

5. კრიტიკის შესახებ ცნობილი დადგენილების შემდეგ ქართულ პერიოდიკაში მეტი ადგილი ეთმობა კრიტიკულ წერილებს. კარგი იქნება, თუ გაძლიერებულ ბებიც ასე მოეკიდებიან ამ საქმეს. სხვათა შორის, კრიტიკული შინაარსის წერილებს დღეს დიდი ინტერესით კითხულობენ. მკითხველის ეს დაინტერესებაც უნდა გავითვალისწინოთ.

6. ჩემი სუფეთესო კრიტიკული წერილი ოციოდე წლის წინ დაიწერა. საინტერესო ის არის, რომ ეს იყო ამავე დროს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უღიერმო გამოქვეყნებული წერილი. აი, რა მოხდა: ლიტერატურაში მედროვეობისა და ზერელობის წინააღმდეგ ვწერდი — კონკრეტული მისამართებით.

წერილი დიდხანს გადადიოდა რედაქციიდან რედაქციაში. ბოლოს მაინც დაიბეჭდა, მაგრამ დაბეჭდვამდე ისე საგულდაგულოდ გამომაშიგნინეს, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. არც ერთი კონკრეტული მაგალითი აღარ დარჩა.

წერილის ყოველი აღრესატი გულითადად მართმევდა ხელს: — ყოჩაღ, ბიჭო, რა კარგად დაგწერია! თითქოს ჩვენს გულში იჯექი, ჩვენც ხომ მთელი ცხოვრება ამის წინააღმდეგ ვიბრძოდითო.

გიორგი გაჩეჩილაძე

1. დასმული კითხვების ყველა ასპექტზე დეტალური პასუხები შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება თვალსაზრისს კრიტიკის დანიშნულების შესახებ, ეტყობა, ზოგიერთი მწერლის შეხედულება აქ გარკვეულ კორექტივს საჭიროებს.

თუ რომელიმე ქართველ მწერალს მართლა გულწრფელად ჯერა, რომ კრიტიკა მათი სარდალი, გზისმკვლევი მოძღვარი და ჭკუის დამრიგებელია, იგი ასევე გულწრფელადაა შემცდარი თავისი სპეციალობის არჩევაში.

კრიტიკის სოციალური ფუნქციის შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. კრიტიკის მიზნისა და დანიშნულების მწერლობისაგან გამიჯვნა კი, უბრალოდ, არ შეიძლება. ეს ნიშნავს მიზნისა და საშუალების ერთმანეთში აღრევას.

სხვათა შორის, ნამდვილი განგაში მწერლობაშიც და კრიტიკაშიც იმ დროსაა მოსალოდნელი, როდესაც კრიტიკა (თავისი სოციალური ფუნქციის უტრირებით) და მწერლობა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ და გათიშულ სისტემადაა წარმოდგენილი.

ლოგიკა აქ ასეთია: ლიტერატურის საგანი ადამიანია, კრიტიკის საგანი — ლიტერატურა. ამდენად მწერლობის მეშვეობით კრიტიკის მთავარი საგნის არსი ადამიანის, ჰუმანიზმის, სიმართლისა და სამართლიანობის ფუნქციებამდე დაიყვანება. ეს გზა კრიტიკაში ლიტერატურითაა გაშუალებული.

ამდენად, კრიტიკისა და ლიტერატურის ერთიანობა ადამიანის კონცეპციასადმი ერთიანობის პრინციპში ისახება. ესაა ეთასისა და ადამიანის ონტოლოგიის საფუძველზე დამყარებული ერთიანობა.

სხვა დანარჩენი ცოდნისა და პროფესიულ ჩვევათა მომენტებად მიმაჩნია.

როდესაც მწერლობა კარგავს უშუალო კავშირებს თავის საყრდენ საგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოან და მისი ღირებულებრივი ორიენტაცია სხვა ფასეულობებზეა გადანაცვლებული, ასეთი მწერლობა კარგავს არა მარტო თავის საგანს, არამედ სახესაც. ანალოგიურ პირობებში განა იგივე სურათი არაა კრიტიკაშიც? განსხვავება იმაშია, რომ ეს გადანაცვლება, რომელიც ისევ ადამიანის კეთილდღეობის დევიზითაა შენიღბული, კრიტიკაში იძენს არალიტერატურული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების უფრო ბრმა და ცინიზმამდე მისული ფორმებს.

ამიტომ არ შეიძლება კარგა ხნის მანძილზე ქართული კრიტიკის ამგვარი ჩამორჩენისა და დაქვეითების სურათი თვით მწერლობის ანალოგიური ჩამორჩენის სურათისაგან იზოლირებულად წარმოვიდგინოთ. კრიტიკა და მწერლობა ხომ ერთმანეთის ამრეკლავი პარალელური სარკეებია?

ამ ასპექტში კრიტიკის მიმართ მწერალთა საყვედურები საკუთარი შემოქმედებისადმი გულისწყრომად აღიქმება. გასაგებიცაა.

2. თანამედროვე ქართული კრიტიკა ისევე არ შეიძლება დაყვანილი იქნას რაიმე ერთ მანიშნებლამდე, როგორც არ შეიძლება ამ მანიშნებლამდე იქნას დაყვანილი თანამედროვე ქართული მწერლობა. ერთმანეთის ამრეკლავი პარალელური სარკეების კანონი აქაც მოქმედებს. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მკვეთრადაა გამოხატული მხატვრულ ინტერესთა, ღირებულებრივ ორიენტაციათა და ემოციურ-ინტერესებისაგან განსხვავებულ — დაპირისპირებულ ფასეულობათა სურათი. ანალოგიური სურათი დუბლირებულია კრიტიკაშიც.

ცხადია, არსებობს არალიტერატურული პოზიციებიდან ლიტერატურის შეფასების დიდი ინერცია. ისიც ფაქტია, რომ ასეთი კრიტიკა ზოგჯერ აგრესიულიცაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უსახელოდ გარდაცვლილი იდეებისა და პრინციპების საპატიო ყარაულში მდგარი კრიტიკა და მისი ლიტერატურული ბედი ამ იდეების ხვედრს იზიარებს.

ჭეშმარიტი ლიტერატურული ცხოვრების ტაქტიკა იმ პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელიც ამ ცხოვრების სტრატეგიაშია ნაგულისხმევი.

რაც შეეხება „საბჭოთა და მსოფლიო კრიტიკული აზროვნების ფონზე“ ქართული კრიტიკის წარმოდგენის სურვილს, — ეს საკითხი, თუ მას თავის მოსაკუთეებლად ან მიამიტურად არ შევხედავთ, უფრო მეტი ვალდებულებებისა და მოთხოვნების პრეტენზიას გულისხმობს, ვიდრე ამას საკუთრივ კრიტიკა ითვალისწინებს.

ეს მოთხოვნა გულისხმობს ერისა თუ საზოგადოების სააზროვნო ინტერესების ცენტრში კაცობრიობის სულიერი ინტერესების დაყენებას, ან საკუთარი ინტერესების აყვანას ამ მოთხოვნათა დონეზე. თუ ვის ეკუთვნის აქ პირველი სიტყვის თქმის პრესტიჟი, კრიტიკას თუ მწერლობას, მცდარად დასმული კითხვაა.

კაცობრიობის ეს ტრიბუნა ვაკანტურია ორივეესათვის. და კიდევ: „მსოფლიო კრიტიკული აზროვნების ფონი“ მსოფლიო სტანდარტების ხარისხსს, სააზროვნო სიტუაციისა და მათი განმსაზღვრელი ელემენტების ცოდნას ითვალისწინებს. მათი უცდინარობის გამო ასატეხ საგანგაშო ზარების ხმას ჩვენში საყოველთაურ მუდრეოებას ამჯობინებენ.

საყოველთაო უცოდინარობის დამაშვიდებელი ატმოსფერო კი ბევრ მოჩვენებით ავტორიტეტს აძლევს ხელს მწერლობაშიც, კრიტიკაშიც და ლიტერატურათმცოდნეობაშიც.

ოპტიმისტურად უნდა ვიფიქროთ, რომ თუ „ხარისხის ხეთწლედის“ დე-

ვიზი ცვლილებების აღმოქმელია წარმოებათა ხაზით, იგი ალბათ, ანალოგიური ძალი ძვრების აღმოქმელი აღმოჩნდება „სულიერი წარმოების“ სფეროშიც.

3. სალიტერატურო კრიტიკაში მწერლების მონაწილეობა ორგვარი ასპექტით წარმომდგება. მათგან პირველი და უმთავრესია თვით მწერლის შემოქმედება. შემოქმედება როგორც არსებული და წინამორბედი ფასეულობებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების, კრიტიკული აზროვნების ნაყოფი. მეორეა ამ ვამოხატულების ფორმა კრიტიკის ჟანრში. იდეალურია მწერალი თუ ორი-

ვე ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, გალაკტიონი, თავიანთი ეპოქების ფინეზე ყველაზე დიდ კრიტიკოსებად მესახებიან. რეფორმა, რომელიც თვითულმა მათგანმა თავისი ეპოქის მიმართ განახორციელეს წინამორბედი კულტურის მიმართ კრიტიკული საწყისის გამკვეთრებას ემყარებოდა.

ილიას, თომას მანის, თ. ელიოტის, პ. ვალერის კრიტიკული წერილები კი სანიმუშო კრიტიკის მაგალითია.

„ცისკრის“ ანკეტაზე გაცემული პასუხებიდან არ არის სწორი ერთი ჩემი მეგობარი პოეტის ასეთი რეპლიკა: „განა ვიზმეს დღეს შეხვედრია კრიტიკოსის მიერ ახლად აღმოჩენილი და თუნდაც ახლებურად გამოვლენილი კლასიკოსი?“

ესეც კრიტიკის საქმისა და ამოცანებისადმი ჩვენი მწერლების უყურადღებობის ბრალია. ჯერ ერთი, ზოგიერთი ქართველი კრიტიკოსის მიერ ახლებურადაა წაკითხული არა მხოლოდ ესა თუ ის კლასიკოსი, არამედ მთელი ეპოქაც ამ მწერლობაში. მეორეც, ბევრი თანამედროვე მწერლის ინტერესებში ეს ასპარეზი. რატომღაც უნუგეშოდაა მიტოვებული. თავის დროზე ილიამ სრულიად ახლებურად წაიკითხა თუნდაც ბარათაშვილი. თ. ელიოტმა პრინციპული კორექტივები შეიტანა ინგლისური ლიტერატურის ისტორიის კლასიფიკაციაში. ორივენი ჩინებული მწერლები იყვნენ.

ეს ასპარეზი ხომ არც დღესაა დაბშული ქართველი მწერლისათვის? რატომ მიაჩნიათ მწერლებს, რომ მწერლობის ისტორიის საკითხები არ არის მწერლების საქმეც და მხოლოდ სპეციალისტთა პრივილეგიას წარმოადგენს?

4. მწერლობის დამოკიდებულება მისი დროის კრიტიკისადმი ისტორიულადაა ნერვიული და ემოციური. არა მჯერა იმ მწერალთა მოწოდებებისა. კოლეგებს რომ ურჩევენ კრიტიკის მიმართ გულგრილნი და უყურადღებონი იყავითო. ასეთ პოზაში მწერლები, როგორც წესი, დიდხანს ვერ ძლებენ.

მწერლობისა და კრიტიკის ურთიერთმიმართების ხასიათს ლიტერატურული პროცესის ხასიათი და მისი ამოცანები ქმნის და აყალიბებს. რეალისტიკაცს სურვილი ამ სურვილის განხორციელების შესაძლებლობასთან უნდა ჰქონდეს შეხამებული. ამიტომ კრიტიკისა და მწერლობის იდეალური თანაარსებობის ოცნება უტოპიურია. მაგრამ მწერლობისა და კრიტიკის საერთო საძენის საფუძველზე მათი მეგობრობა-მოკავშირეობისაკენ სწრაფვა აუცილებლად მიმაჩნია. ამ სწრაფვის ცალკეული და სასიამოვნო შემთხვევები ჩვენშიაც შეინიშნება.

მწერალი თავისი ხალხისა და კაცობრიობის ცხოვრების დრამაში მონაწილე ჰამლეტივითაა. ყოველ შემთხვევაში, თავისი ხალხისა და ცხოვრების საიდუმლოებათა ცოდნა მისი მოვალეობაა. ჰამლეტთან „სამეგობროდ“ კი ზოგჯერ როზენკრანცები და გილდენსტერნებია მიჩენილნი. მაგრამ ჰამლეტის ნამდვილი მეგობარი და მესაიდუმლე ჰორაციოა. ჰორაციო ხომ საქმეში ჩახედული სკეპტიკოსი და ის ერთადერთი კაცია, რომელსაც ჰამლეტმა სიკვდილის წინ სთხოვა: „ამ კრულ მიწას მიმოჰფინე ჩემი ამბავიო“. მას უთქმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა რაღაც „სხვათა საამბობი“. ამ „სხვის“ თქმა, რაც ამ დრამაში უთქმელად დარჩა, პორაციოს ეკისრება.

ნამდვილი შემოქმედი ცხოვრებისაგან ნებივრობის გარანტიას არ უნდა ელოდეს. ის მზად უნდა იყოს გილდენსტერნ-როზენკრაცების მოსაგერიებლად ან გასაძლებად. ცხადია, ეს საქმე უფრო იოლდება, თუ მწერლის გვერდით იდგომება კრიტიკა-პორაციო. ეს მათი საერთო მისიაა.

5. საგანგებოდ აღსანიშნავ ცვლილებებს ქართულ კრიტიკაში ვერ ვხედავ.

7. აღმანახი „კრიტიკა“ იმედების აღმოქმელია, მაგრამ მისი შესაძლებლობები ჯერ კიდევ გამოუყენებელია.

გურამ გვერდწითელი

1. სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულება, მოკლედ რომ მოვუთრთ, თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ანალიზია. მაგრამ ეს არც ისე მარტივი საქმე, ან ვიწრო სფეროა, როგორც ბევრს ეჩვენება, ამ ანალიზს ათასი ასპექტი აქვს და კრიტიკოსის ნიჭიერებაც უპირველესად სწორედ იმაში მჟღავნდება, რომ შეუმცდარად მიაგნოს ესა თუ ის მხატვრული ტენდენცია, ან კონკრეტული ფაქტი რომელ ასპექტში მოითხოვს განხილვას, რა პრობლემებს მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რითია მნიშვნელოვანი „საკუთრივ“ შემოქმედებითი, თუ უფრო ფართო თვალსაზრისით, მხარდასაჭერია თუ უარსაყოფი მისი არსი და პათოსი. თუ მაინცდამაინც მოვნიდომებ ამ ასპექტების მინიმუმამდე დაყვანას, მაშინ, ორი ძირითადი შემოგვრჩება ხელთ, — სოციალური და მხატვრული, რომლებშიც მეტნაკლებად ყველა სხვაც მოძებნის თავის ადგილს. ამათი იგნორირება კი უკვე არაფრით შეიძლება, თუმცა ბევრნი ხშირად ამასაც ახერხებენ. ამიტომაც არის, რომ სალიტერატურო კრიტიკით გამოწვეულ, რბილად რომ ვთქვათ, უკმარობის გრძნობას ყველა უჩივის, თვით კრიტიკოსთა კლანიც კი.

რაც შეეხება ქართული კრიტიკის დღევანდელ ამოცანებს, მათ თითებზე ვერც კი ჩამოვთვლით, რადგან უამრავი რამ არის მოსაგვარებელი, გასაკეთებელი, სამწუხაროდ, უამრავი მარტო იმიტომ კი არ არის, რომ ცხოვრება და მწერლობა ახალ საზრუნავს უჩენს კრიტიკას, არამედ იმიტომაც, რომ კრიტიკას გუშინდელი საქმეც არა აქვს ჯერ მოლეული. თითო-ოროლა რამ რომ აკლდეს, ან აწუხებდეს კრიტიკას, მაშინ მისი დღევანდელი ამოცანებიც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა. რაკიღა ბევრი რამ აკლია, მის მთავარ ამოცანად საკუთარი დანიშნულების შეგნება და მისი გულმოდგინე მსახურება უნდა მივიჩნიოთ.

2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის, მისი დღევანდელი დონის განსაზღვრა და შეფასება რთული საქმეა, რადგან მას კრიტერიუმები სჭირდება. თუ ქართული მწერლობის პოზიციებიდან შევაფასებთ მას, იგი დამაკმაყოფილებლად მოგვეჩვენება. თუ, შემლებისდაგვარად, საბჭოთა და მსოფლიო კრიტიკული აზროვნების დონიდან შევხედავთ, მაშინ მდგომარეობა უფრო მძიმედ წარმოგვიდგება.

მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც კრიტიკოსს, სულაც არ მეჩოთირება, თავმოყვარეობას არ მილახავს ჩემი პროფესიის გამოცხადება მწერლობის დამხმარე, ხელშემწყობ, ეგრეთწოდებულ „მომსახურების სფეროდ“, მაინც მინ-

80109

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ საკითხზე ორიოდ სიტყვის თქმა. ასეთ განცხადებაში ჭეშმარიტების მკვლევარ-რეცენზიორ უთუოდ არის, რადგან კრიტიკა ერთგვარი შუამავალია მწერალსა და მკითხველს შორის, მას პროპაგანდისტული მისიაც აკისრია, ანუ „მომსახურების სფეროს“ ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, მხატვრული ნაწარმოების რეკლამაც ევალება და რეკლამაციაც (წუნის დადებაც). ამაში არაფერია საწყენი. მაგრამ როცა „მომსახურების სფეროდ“ მას მწერალი ნაილავენ და თანაც ქედმაღლური, აგდებული ტონით აცხადებენ ამას, ეს უკვე ამცარად და აჭტიურად განგვაწყობს საპროტესტოდ, რადგან იმდენად არის შეურაცხმყოფელი, რამდენადაც უმართებულია. სალიტერატურო კრიტიკაც ისეთივე სრულუფლებიანი მწერლობაა, როგორც პროზა, პოეზია, დრამატურგია, მხატვრული თარგმანი თუ პუბლიცისტიკა. ჟანრობრივი დისკრიმინაცია ისეთივე უსამართლობაა, როგორც საერთოდ ყოველგვარი დისკრიმინაცია. და, როგორც წესი, ძალადობას სუსტნი მიმართავენ ხოლმე საკუთარი დაუმსახურებელი პრივილეგიების შესანარჩუნებლად.

საბჭოთა და მსოფლიო სალიტერატურო კრიტიკის ფონზე (ძირითადად ემსჯელობ რუსულ ენაზე თარგმნილი ნიმუშების მიხედვით) ქართული კრიტიკა ერთობ უმჯობეს გამოიყურება. მათი სიღრმე და სინატიფე უთუოდ სანიმუშოდ უნდა იქცეს ჩვენთვის (ვინაიდან დემაგოგია ჯერ კიდევ არ ჩაბარებია არქივს, აქვე განვმარტავ, რომ დასავლური კრიტიკაც, თავის მხრივ ჭრელი და ათასგვარი, იმ ფილოსოფიურ მოძღვრებებს, რომელებსაც ემყარება, ჩვენთვის მისაღებს თუ მიუღებელს ამჟამად ამას მნიშვნელობა არა აქვს, თავისთვის ძლიერ ფუნდამენტად იყენებს და მხოლოდ ამდენად მიმაჩნია სანიმუშოდ მისი სიღრმე). ქართული სალიტერატურო კრიტიკა ნაკლებ სარგებლობს ისეთი ძლიერი მეკავშირეებით, როგორებიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. კრიტიკული ნააზრევის ფორმის და სტილის მრავალფეროვნება ხომ ისევე ამოუწურავია, როგორც ჭეშმარიტი მწერლობისა. ამას ქართული სალიტერატურო კრიტიკით ნაკლებად მიხვდება კაცი.

რა ღირსება და ნაკლი აქვს?

ღირსებად მისი გამოცოცხლება და გააქტიურება უნდა მივიჩნიოთ. ავრეთვე ისიც, რომ სწორედ მწერლობის ჟანრად, დამოუკიდებელ და სრულუფლებიან ჟანრად ჩამოყალიბების სურვილია გაღვიძა მასში.

ნაკლად კი — ის, რაც ზემოთ ვთქვი და ათასი სხვა რამაც, რასაც აქ უბრალოდ ვერც კი ჩამოვთვლი. ყველაზე დასანანი ნაკლი კი არავფლობ-წრფელობაა და კიდევ — კარჩაკეტილობა. ამ მძიმე სენიდან ქართული კრიტიკის გაწკურნების მთელი იმედები ახალგაზრდებზეა. მომავალ თაობაზეა. თუმცა, ამით დაიმედებულებს, არც ჩვენ გვმართებს მხართეძოზე წოლა.

ერთი დიდი და სერიოზული ნაკლი, რასაც ახლა შევეხები მარტო ქართულს კი არა, მეტ-ნაკლებად საერთოდ ახასიათებს საბჭოურ კრიტიკას. სპეციალიზირებისაკენ სწრაფვამ ჩვენს პროფესიაშიც ვაიდგა ფესვი და მალე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ყოველი კრიტიკოსი თუ ლიტერატურისმცოდნე ერთი რომელიმე საკითხის ან მწერლის, უფრო მეტიც, ერთი რომელიმე მწერლის ერთი კონკრეტული ნაწარმოების სპეციალისტი გახდა. ლიტერატურული პროცესი ერთ უზარმაზარ კონვეერს დაემსგავსა, რომელსაც თითოეული დეტალის სპეციალისტი ჰყავდა და მას სხვა არაფერი მოეთხოვებოდა, მშვენივრად იცოდა ამ დეტალის დამაგრება, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მას საერთო კონვეირისათვის, ანუ ლიტერატურული პროცესისათვის, ეს უკვე ნშვენივრად აღარ ესმოდა. თუ მაინცდამაინც წარმოებასთან ანალოგიას ჩავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდებით, ლიტერატორი იმ იშვიათ სპეციალისტს უნდა ჰგავდეს, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკა ვთქვათ საავტომობილო კონვეიერთან ეი არ მუშაობს, არამედ ინდივიდუალურ-ინ-ტელექტუალური ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადგენლის პირით ისიც კი განაცხადა, რაში გვჭირდება ეს მაჩანჩალა ლიტერატურა, უამისოდაც კარგად ვგრძნობთ თავს, ჩვენ სრულიად დამოუკიდებელნი ვართო. არც ერთი და არც მეორე სახის გათიშვა კრიტიკისა მწერლობისაგან სასურველ შედეგს არ მოიტანს. საქმე მარტო იმ პრესტიჟში კი არ არის ვინ ვის დაასწრებს გაბუტვას, ან აბუჩად აგდებას, უბრალოდ თავად მწერლობა და კრიტიკა კნინდება ამ უპირნაკიპო, დამაძაბრებელი დავის დროს.

მე არ მინდა ილუზიების ტყვე ვიყო. სულაც არ ვოცნებობ იმ ბედნიერ დროზე, როცა მწერლობასა და კრიტიკას შორის სრული ჰარმონია დაისადგურებს. მე მხოლოდ ის მსურს, რომ მწერლებმაც და კრიტიკოსებმაც მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ თავის საქმეს, ნაკლები — კინკლაობას, მეტი ღირსების გრძნობა იქონიონ და ნაკლები — ქვენა გრძნობები. მე პირადად ისიც მაყოფნის, რომ ჩემთვის საინტერესო მწერალთა ჯგუფი საკმაოდ მოზრდილია, მათი შემოქმედება მნიშვნელოვნად მიმაჩნია და მათთან საუბარიც და დავაც, მათთვის საქებარი სიტყვის თუ შენიშვნის თქმაც მეტ კმაყოფილებას მანიჭებს, ვიფრე, ჩემი აზრით სრულიად უსარგებლო და უპერსპექტივო მწერლებთან პრესტიჟის გამო გამართული ასწლიანი (ღმერთმა ორთავე მხარე გვაცოცხლოს) ომი.

საინტერესოა, რომ სწორედ უდღეური ნაწარმოებების პატრონნი ლაპარაკობენ ბევრს და დაბეჯითებით განკითხვის ჟამზე, ისტორიასა და შთამომავლობაზე, მათ პირუთვნელობაზე და იმ შეფასებაზე, რომელიც მომავალში მიეცემა დღევანდელ ქართულ მწერლობას. დიდი წინასწარმეტყველება სულაც არა სჭირდება იმის განცხადებას, რომ ვინც დღეს ცუდ მწერლად არის მიჩნეული, მომავლის იმედით ნურც თავს იტყუებს და ნურც სხვის მოტყუებას ცდილობს. გადაფასებები კი, ცხადია, მოხდება და მე მგონი, აი ვინც კარგ მწერლებად გვყავს გამოცხადებული იმთგან საკმაოდ ბევრს უნდა აფიქრებდეს მომავალი, რადგან ჩვენი უპირნაკიპობა იქ აღარას არგებთ, აღარც მათი დღევანდელი ათასგვარი პრივილეგიები გასჭრის და ფუჭი ნაყოფივით ჩამოსცვივიან ქართული მწერლობის მშვენიერი და დახუნძლული ხიდან.

5. სალიტერატურო და ზნატვრული კრიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის ცნობილ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა, კერძოდ ქართული კრიტიკისათვის. თეორიულიც და პრაქტიკულიც. ამ დადგენილების შემდეგ ქართულ სალიტერატურო კრიტიკას ეამოცოცხლება დაიტყო, იგი აშკარად ესწრაფვის სასურველ დონეს და იმედია ახლო მომავალში კიდეც მიაღწევს მას.

6. ძალიან ვინუგეშებ თავს, რომ ყველაფერი საუკეთესო. მათ შორის წერილებიც და წიგნებიც, მხოლოდ წინ მელის, რადგან უკან ჩამოტოვებულიდან ბევრმა რამემ გამიკრთა იმედები. თუმცა ზოგი რამ ახლაც მიხარებს გულს. თუ ერთი წერილი ან წიგნი უნდა დავასახელო, უპირველესად მახსენდება „ჩურჩხელით გამხელილი სიყვარული“, ედიშერ ყიფიანის ლიტერატურული პორტრეტი.

7. ალმანახ „კრიტიკის“ დაარსება სწორედ იმ ცნობილ პარტიულ დადგენილებასთან არის დაკავშირებული. ამით მეტად კარგი საქმე გაკეთდა. მე მგონი, ალმანახს თავისი მყარი და ყოველთვის სწორი პოზიცია არა აქვს. იგი უნდა იქცეს ქართული კრიტიკის მთავარი ტრიბუნად. სხვა ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთს რაც შეეხება, განსაკუთრებით აქტიურობს ალმანახი „განთიადი“. ვიქმნიოთ იმედი, რომ ეს კრიტიკული ენი არ გაუნელდება მას. მე მაინც მგონია, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის ნაკლი ისევ ჩვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკოსებს გვედება ბრალად, თუმცა რედაქციებისა და გამომცემლობებისა მაორგანიზებელ როლს, მათი სტიმულირების ძალას სულაც არ ეუგულვებელ-ყოფ.

ჯუმბერ თითმერია

1. მაშინ, ჯერ დავსვათ „კონტროლითხვა“: რა მიგაჩნიათ ლექსის დანიშნულებად? ანდა, მოთხრობის, რომანის, ტრაგედიის და ა. შ. დამერწმუნებინ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ოლია. უფრო სწორად, თითქოს ოლია, მაგრამ...

კრიტიკის დანიშნულებაც. ალბათ, ისაა, რაც საერთოდაა მწერლობის, ხელოვნების, სულისმიერი ნაღვაწის დანიშნულება — მოგვანიჭოს სიხარული.

„შემოქმედებითი პროცესი, უწინარეს ყოვლისა, თვითდაკმაყოფილების პროცესია და არამც და არამც მსახურება“ (ვ. პრიშვინი).

ჩემის აზრით, კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედებითი პროცესია, ლიტერატურაა, — უნდა იყოს! — და არა ლიტერატურის „მსახურება“.

გამარტივებულად ასეც ამბობენ: კრიტიკა ავისა და კარგის . გამარჩეველი, ზღვარმდებელიაო.

მაგრამ ავისა და კარგის გარჩევა (მხოლოდ ეს), ხშირად, არაკრიტიკოსებსაც შეუძლიათ („ვინცა ისმენს კაცი ვარგი“), მაგრამ კრიტიკოსს, ისევე როგორც ყველა სიტყვით მხატვარს, სისხლში უნდა ჰქონდეს — „აწ ენა მინდა გამოქმედ. გული და ხელოვანება“.

კრიტიკოსი მწერალია, ე. ი. კარგად წერს.

რამდენჯერ გაგვიგონია: ეს კრიტიკოსი კარგად აზროვნებს მაგრამ ცუდად წერსო.

ეს აბსურდია: ცუდად ვინც წერს, ცუდად აზროვნებს (სხვათა ნათქვამია). ცუდი ფრაზა, სტილური განურჩევლობა, უღიმღამობა, მე რომ მკითხოთ, კრიტიკოსს უფრო ჰკლავს, ვიდრე პროზაიკოსს (პროზაში ხასიათებმა, საერთო ემოციურმა დატვირთვამ შეიძლება უშველოს საქმეს).

ქართული კრიტიკის დღევანდელ მთავარ ამოცანად მესახება: იგი ლიტერატურა უნდა გახდეს. ნამდვილი ლიტერატურა.

კრიტიკოსზე თქმული — ეგ მწერალიაო, ვერავინ ვერ უნდა იუცხოოს. ეგ მწერალი კი არა, კრიტიკოსიაო, ვერავინ ვერ უნდა თქვას. გერონტი ქიქოძეზე ამას ვერავინ იტყოდა. აკაკი გაწერელიასა და გურამ ასათიანზეც ვერ იტყვის ამას ბევრი (ვისაც თავისი გაჭირვება არ ადგია).

კრიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, თავის ხასიათს ქმნის, ამ ხასიათს კვეთს თავისი კრიტიკოსობით, და მის კრიტიკულ ნაწერებში, პირადად მე, უწინარეს ყოვლისა, მაინტერესებს თვითონ კრიტიკოსის პიროვნება, მისი როგორც შემოქმედის, ხასიათი. მაინტერესებს მისი „სუბიექტური სიმართლე“, ამ სიმართლის გამოთქმის ფორმა, არტისტიზმი.

დაე, მალე მივხვდე. — იქნებ მაშინვეც მივხვდე, რომ ობიექტურად სწორი არაა ის, რასაც მიმტკიცებს კრიტიკოსი, მაგრამ მე ემადლობ მას იმ მშვენიერი ილუზიისთვის, იმ ჰიპნოზიური მომხიბვლელი „სეანსისთვის“, რომელიც ჩამიტარა. ასე რომ არ იყოს, ჩვენ კვლავ და კვლავ სიამოვნებით არ წავიკითხავდით, ვთქვათ გერონტი ქიქოძის ადრინდელ წერილს ვაჟა-ფშაველაზე, რომელიც ფრსებითად, მცდარია და კონსტანტინე გამსახურდიას ესეებს, რომ-

ლებშიც წმიდა მეცნიერული, აკადემიურ-ცნობარული თვალსაზრისით ზუგდიდელი
რამ ზუსტი არაა.

თავის დანშნულებასა და ამოცანას დღევანდელი ქართული სალიტერა-
ტურო კრიტიკა შეძლებისდაგვარად ემსახურება.

2. დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ღირსებად მიმაჩნია
მისი გააქტიურება, ხოლო მის ნაკლად — ისევ... გააქტიურება. რადგან ზოგი
ვინმე ისეთი და ისე გააქტიურდა, რომ ღვთის წინაშე, სჯობდა მშვიდად ყო
ფილიყო.

«Кто в критике руководствуется чем бы то ни было, кроме чистой
любви к искусству, тот уже нисходит в толпу, рабски управляемую низ-
кими, корыстными побуждениями». (პუშკინი).

3. „პუშკინი ყველაზე თვალნათლივ გვარწმუნებს ლიტერატურისა და ლი-
ტერატურული კრიტიკის ბუნებისა და მიზანდასახულობათა განუყოფლობა-
ში“, — წერს ბ. ბურსოვი, ავტორი დიდად ცნობილი წიგნისა „დოსტოევსკის
პიროვნება“.

ეგვე გვეთქმის ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე... ახლა მიწაზე ჩამოვიდეთ.

რამდენი ახალგაზრდა მწერალი ვიცი, პოეტად და პროზაიკოსად რომ
იხსენებიან მწერალთა კავშირის საცნობარო წიგნში, მაგრამ გაცილებით
უკეთეს კრიტიკულ წერილებს რომ წერენ, ვიდრე ლექსებსა და მოთხრობებს.
ასეა და რა ვქნა.

მაშასადამე, მოქმედებს ინერცია — მწერლობა ლექსია და მოთხრობაა,
კრიტიკოსობა კი „მსახურებაა“.

კრიტიკოსობა პროფესიაა და კრიტიკის ტვირთი, უწინარეს ყოვლისა, სწო-
რედ კრიტიკოსმა უნდა ზიდოს. მაგრამ ყველა ნამდვილი მხატვრის ყველა ნა-
მდვილი მწერლის მონაწილეობა სალიტერატურო კრიტიკაში ყოველთვის სა-
ინტერესოა, რადგან ჭეშმარიტი მწერალი არასოდეს არ ჩათვლის საჭიროდ
„სხვის ტერიტორიაზე“ შეჭრას, თუ ძლიერი არ იქნება საამისო ბიძგი.

სიტყვამ მოიტანა და გავიხსენებ ერთ ასეთ ამბავს.

პუშკინი რა აზრისაც იყო ბულგარინზე, მოგეხსენებათ.

და აი, როგორ „იცავს“ იგი ბულგარინს:

„უფალმა ბულგარინმა ერთ-ერთი თავისი რომანის წინასიტყვაობაში
აუწყა მკითხველებს, — ისეთი ხალხიც მოიძევება, ჩემში ვერავითარ ნიჭს რომ
ვერ ხედავსო!. ეტყობა, ბულგარინს ეს გარემოება ძალზე ანცვიფრებს. მან ეს
განცვიფრების ნიშნითაც კი გამოხატა.

ჩვენდა თავად, ვიცნობთ ხალხს, ვინც უფალ ბულგარინში ტალანტს ხე-
დავს, მაგრამ ჩვენ კი ეს არ ვვაოცებს.

უფალი ბულგარინის ახალი რომანი მისავე წინანდელ რომანებს არაფერ-
რით ჩამოუვარდება“.

4. მწერლობის დამოკიდებულება კრიტიკისადმი — საზოგადოდ თუ ჩვე-
ნში?

ჩვენში — მწერალს გააჩნია.

ამ ორიოდე წლის წინათ მწერალთა კავშირის ერთ-ერთი სექციის სხდო-
მაზე საკმაოდ მკაცრად გავაკრიტიკე რევაზ ჯაფარიძის მოთხრობა „ჯიმარაის
ტუსაღები“. რაღაც ვერ ვატყობ, რომ მას აქეთ წყალწაღებულად მიეჩინდე.
პირიქით, თუ არ მეშლება მეტ გულითადობას ვგრძნობ მწერლისაგან. ვგონებ.
ვასაგებია, რომ ამგვარი რამ მხოლოდ თუ ამშვენებს პიროვნებას

ზოგი კიდევ, — ღმერთმა დაგვიფაროს — არც არაფერი დაგიწერიათ,
არც არაფერი საჭიროდ გითქვამთ. მხოლოდ ამხანაგს გაუწმიერეთ თქვენი აზრი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა. მეტი რა საქმე გაქვთ — ან — გროტესკისთვის ვიტყვი, — გულში გაიფიქრეთ, რომ მავანი ავტორის ეს და ეს წიგნი არ მოგწონთ და მორჩა, ის ავტორი უკვე ან არ ფიცალმებათ, ან გესალმებათ, მაგრამ, ვაი იმისთანა სალამს! ყოველ შემოხვევაში სჯობია ამისთანა ავტორთან სამას კაციან სუფრაზეც არსად მოხედეთ (თუკი აწი გაიმართება ამისთანა სუფრები!)

რას იზამთ, არსებობს ურყევი ფორმულა — „ეოკასა შიგან...“

და საერთოდ, არ შეიძლება დავჯამოთ — თითქოს მწერლობის დამოკიდებულება კრიტიკისადმი ასეთი იყოს ან ისეთი. ეს დამოკიდებულება ყოველთვის იყო, არის და იქნება ასეთიც და ისეთიც.

რადგან მწერლობა ცოცხალი, მოკვდავი ადამიანების ურთიერთობაა.

ამ მხრივ გამონაკლისი არც დიდი მწერლები ყოფილან, თუმცა როგორც წესი, ისინი ურთიერთ პატივისცემის ,ურთიერთკრძალვის ზნეობრივ გაკვეთილებს აძლევდნენ შთამომავლობას.

5. ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკაზე ცნობილი დადგენილების შემდეგ ქართული კრიტიკა რეალური შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, რათა სათანადოდ უპასუხოს ამ დადგენილებას.

6. მე, სამწუხაროდ (იქნებ მეკითხველისთვის სასიხარულოდ!) ცოტას ვწერ და მაინც, ჩემი წერილებიდან სხვას მირჩევნია ორი წერილი ადრე დადუბლულ ნიეიერ ახალგაზრდა რუს პოეტზე ვლადიმერ პოლეტაევზე. აგრეთვე წერილები რევაზ ინანიშვილსა და მიხეილ ქვლივიძეზე (თუმცა, ისეთი პირი უჩანს, თვით სხვაგვარად უნდა ფიქრობდეს).

ჩემი საუკეთესო წიგნი...

მესმის, რომ ამას მეკითხებიან როგორც კრიტიკოსს. გაისად უნდა გამოვიდეს ჩემი კრიტიკული წერილების კრებული. მაგრამ ჩემს საუკეთესო წიგნად მიმაჩნია X საუკუნის დიდი იაპონელი პროზაიკოსი ქალის სეი სონაგონის თავისებურად უნიკალური თხზულება „მარტოობის ჟამის ჩანაწერები.“ ახლო წლებში განზრახული მაქვს განვაგრძო კლასიკური იაპონური პროზის თარგმნა. უკვე გამოვიდა ჩემს მიერ თარგმნილი შუქშინი. განვაგრძობ მის თარგმნასაც. გამოდის იფხიანი მწერლის ალექსი გოგუას წიგნის ჩემი თარგმანი. ერთი სიტყვით, როგორც ვატყობ, საქმე ისე მიდის, რომ ახლო წლებში კრიტიკოსთა ტრადიციულ ანკეტებზე პასუხის გაცემამ იქნებ არც მომიწიოს.

თუმცა, ვნახოთ, ხვალეს იცოდეს ხვალისა...

7. ალმანახ „კრიტიკაზე“ მე ვერაფერს ვიტყვი სავსებით გასაგები მიზეზით — მისი თანამშრომელი გახლდით თავიდან აქამომდე. ბუნებრივია, რომ აქამდეც მძაფრად განვიცდი მის ყოველ წარმატებას თუ წარუმატებლობას და, დღეიდანაც ამგვარივე განცდით ავიღებ მის ყოველ ახალ ნომერს ხელში.

კობა იმედაშვილი

1. სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულება, ისევე როგორც ამოცანა, ყოველთვის იცვლებოდა დროისა და ადგილის მიხედვით. არ შეიძლება ვიცხრამეტე საუკუნის კრიტიკის მოდელით ვილაპარაკოთ თანამედროვე კრიტიკაზე და პირუკუ.

დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულებაა მხატვრული ნაწარმოებისა თუ ლიტერატურული პროცესის ანალიზი, შეფასება და მომავლის პერსპექტივების განჭვრეტა.

— რა თქმა უნდა, ჩვენი კრიტიკის უპირველეს მიზნად კვლავაც რჩება ბრძო-

ლა მაღალიდეურობისა და მაღალმხატვრულობისათვის, რაც დღევანდელ კრიტიკას სავსებით კონკრეტულ და ძნელად გადასაჭრელ ამოცანებს უყენებს. კრიტიკამ უნდა განასხვავოს ეგზისტენციალური ლიტერატურა ფსევდოლიტერატურისაგან, ლიტერატურული საქმიანობა. ლიტერატურული საქმოსნობისაგან, იდეის სამსახური იდეით სპეკულირებისაგან.

დღევანდელი საბჭოური კრიტიკა არაა ლიტერატურული პოლიტიკის მთავარი წარმმართველი. მას შეუძლია იმოქმედოს პროცესზე, მაგრამ პროცესის წარმართვა მისი კომპეტენცია არ გახლავთ.

ნუ მოვთხოვთ კრიტიკას იმას, რაც მის კომპეტენციაში არ შედის.

2. ჩემი პირველი კრიტიკული წერილი (დაბეჭდილი 1955 წელს) ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩამორჩენას ეხებოდა. შემდეგ, 1963 წელსაც, დავწერე წერილი — „ფიქრები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე“ (ძლივს დაიბეჭდა 1966 წელს). კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ.

დღევანდელი კრიტიკის პროფესიონალური დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც ამ ოცი წლის წინათ იყო. თვისობრივი სხვაობა პრიფიციული ხასიათისაა, მაგრამ მაინც... დღევანდელი კრიტიკა მე მინდა ჩემი ძველი წერილის სიტყვებით შევაფასო: „ისევე, როგორც წლების განმავლობაში ქართული ლიტერატურული კრიტიკა არა მდგარა მწერლობის სათავეში, იგი. უმეტესად მხოლოდ აფასებდა მოვლენებს და აქტიურად არ ჩარეულა ლიტერატურულ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოგვდგამდა კრიტიკული აზროვნების დიდი ტრადიცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვყავდნენ და გვყავსან კიდეც კარგი კრიტიკოსები, რომელთაც საკმაო წვლილი შეიტანეს ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ლიტერატურულმა კრიტიკამ გარკვეული წლების მანძილზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, დასთმო თავისი პოზიციები. შეიზღუდა კვლევის სფერო და, ზოგ შემთხვევაში, დაკარგა კიდეც თავისი სგანი“.

„მართალია, უკანასკნელ დროს ქართულ მწერლობაში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ მხატვრული ოსტატობის საკითხებზე, მაგრამ ჩვენი კრიტიკოსები, და მათ შორის ახალგაზრდებიც. ძალიან იშვიათად ებრძვ..ნ ხალტურასა და ხელოსნობას. არჩევენ რა განიხილონ კარგი ნაწარმოები, ისინი ხშირად გვერდს უვლიან ცუდს. დუმილი კი ბრძოლა არაა. ხშირად ხდება ისეც. რომ აქტიური წინააღმდეგობის მაგივრად კრიტიკოსებს თვითვე შემოუავთ მწერლობაში უდღეური ნაწარმოები და მწერალი, ხოტბა და ქათინაურები დღევანდელ კრიტიკისათვის იქცა თავდაცვისა და სიმშვიდის თითქოს ერთადერთ გარანტიად“.

„ქართული თანამედროვე კრიტიკა თავის ამ პანეგირიკულობაში პროგინციალურია, რადგან მწერლობას მხოლოდ საქართველოს მასშტაბით ზომავს. ჩვენ მსოფლიო საზომი უნდა გვეშიოს, უნდა ვგრძნობდეთ დიდ პასუხისმგებლობას, უნდა ვიყოთ მართალნი და ალბათ მაშინ უფრო კრიტიკულნი ვიქნებით სხვისი და საკუთარი ნაწერების მიმართ. არც ერთი ჩვენი თანამედროვე მწერალი არ ფიქრობს, რომ რაც დაუწერია ყველაფერი კარგია. ჩვენ, კრიტიკოსები, კი ხშირად ვაჯერებთ ამაში ავტორსაც და მკითხველსაც“.

„ადვილად იწერებოდა მაშინ ეს სიტყვები და ჩემთვის ადვილადაც იკითხებოდა — მე ვწერდი „სხვებზე“. ახლა, სამწუხაროდ, ეს სიტყვები მეც მეხება და იმ კრიტიკოსებსაც. რომელთაც ბევრი კარგი რამ მოიტანეს ლიტერატურაში (რასაც მწერლები ხშირად ვერ, ან არ ამჩნევენ). იმ კრიტიკოსებზე მოგახსენებთ, რომელნიც დადებითისპირდნენ ლიტერატურის ვულგარულ გაგებას, შემოიტანეს ქართულ კრიტიკაში თვისობრივი სიახლე, გადაფასეს ბევრი ღი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებულება, მაგრამ რომელთაც ასევე ბევრი. რამ ვერ დასძლიეს. რატომ? ეს ძნელი ფიქრია.

ეტყობა, მწერლებსაც უფიქრიათ ამ „რატომზე", მაგრამ მათ პასუხებში კითხვის ნიშნები უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი წერტილი.

ეტყობა, აქაცაა თვით ამ „რატომის" პასუხი ჩაფარული.

ისიც ხაზგასასმელია, რომ „კრიტიკული ჟანრების დაცემა თუ აყვავება უშუალოდ დამოკიდებულია საზოგადოებრივ ატმოსფეროზე".

განა ათი წლის წინათ ვინმე წარმოიდგენდა დღევანდელ „პუბლიცისტურ ბუმს" საქართველოში? შეიცვალა საზოგადოებრივი სიტუაცია, რამაც პუბლიცისტიკის ფუნქცია და მნიშვნელობა გამოკვეთა და გაზარდა, იგი გახდა საჭირო. ბუნება ვერ ითმენს ვერაფერს უფუნქციოს.

თუ კრიტიკა ვერ მონახავს თავის ფუნქციას, თუ იგი არ გახდება შეუცვლელი და საზოგადოებრივად „საჭირო", მაშინ იგი დარჩება მხოლოდ მკითხველსა და მწერალს შორის კვალიფიცირებულ შუამავლად; ხოლო როდესაც მკითხველის გემოვნება და ლიტერატურული კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად ამაღლდება, მაშინ აღარ იქნება საჭირო არც კრიტიკა და არც ასეთი კრიტიკოსი (რა თქმა უნდა, ლიტერატურის თეორეტიკოსსა და ისტორიკოსს ეს საშიშროება არ ელით).

მაგრამ ეს პესიმისტის პროგნოზია.

ამ ხუთი წლის წინათ პესიმიზმმა იძალა ჩემში და თავი დავანებე კიდეც კრიტიკას, მაგრამ საკმარისი იყო მეგრძნო, რომ კრიტიკა „საჭიროა" და სიამოვნებით დავუბრუნდი მას.

ადამიანი თუ არა გრძნობს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვნობას, იგი ვერაფერს შექმნის ღირებულს. ჭეშმარიტი შემოქმედება და კრიტიკაც შეუძლებელია ამ გრძნობის გარეშე.

რა დასამალია და, არც თუ დიდი ხნის წინათ, კრიტიკა (და არა მარტო ლიტერატურული) არავის სჭირდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრების განვლილი ოცწლეულის მანკიერებამ ყველაზე მეტად (მისი სპეციფიკის გამო) სწორედ ლიტერატურული კრიტიკა დააზარალა.

და მაინც, თუ შევისწავლით უკვე ისტორიადქცეულ ჩვენი ლიტერატურის „სამოციან" წლებს, ვნახავთ, რომ ამ პერიოდის კრიტიკას არ გაუწირავს და არ დაუმუშავებია არავინ ისე, როგორც თავის დროზე დაამუშავეს ილია, ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალიო მირცხულავა, კოლაუ ნადირაძე, იოსებ ნონეშვილი, ანა კალანდაძე... იმასაც ვნახავთ, რომ ეს კრიტიკა საკმაო დაფინებით იბრძოდა ლიტერატურაში იმ ოთობის დადგინებისა და იმ თოობის იდეალებისათვის, რომელმაც ახლა ფაქტიურად იტვირთა ქართული მწერლობის სიმძიმე.

თუმცა იყო „დამუშავების" რეციდივებიც — ოთარ ჭილაძე, ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი... (დამუშავება კი ისაა, ერთის ნათქვამის საწინააღმდეგოს რომ ვერ იტყვი).

მართალია ნოდარ წულეისკირი. მისი მოთხრობა უსამართლოდ იყო „დამუშავებული", მაგრამ ვის მიერ?

ნუ გავიგიგვებთ ერთ-ორ კრიტიკოსს მოელ თანამედროვე ქართულ კრიტიკასთან და ისიც ეკითხოთ, მიეცათ კი სხვებს საშუალება საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისა? დროდადრო ჩვენს სინამდვილეში თავს იჩენს ხოლმე „აზრის ერთნაირ ბოლშევიზირება". ასეთ დროს ჭეშმარიტ კრიტიკაზე ფიქრი და ლაპარაკი ბულუბრყვილობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ, მეცნიერულმა, პროფესიონალურმა მიდგომამ ყველაფერი ... და არა მხოლოდ ლიტერატურისადმი, მომავალში მაინც უნდა დაგვიზღვიოს ასეთი ცალმხრივობისა და ეოლუნტარიზმისაგან.

თანამედროვე ქართული კრიტიკის დონე არ მაკმაყოფილებს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას პრინციპულობა აკლია (ყოველივე ეს უფრო გარე სერიოზულ მიზეზთა შედეგი გახლავთ და არცთუ ისეთი ბანალური მიზეზებისა, როგორიცაა „ძმაკაცობა", „პიროვნებისადმი მორიდება", „პირადი გამორჩენა" თუ სხვა მსგავსი რამ). ჩვენი კრიტიკა ძირითადად მაინც „შთაბეჭდილების კრიტიკად" რჩება, სასიამოვნო საკითხავად, მაგრამ ცალმხრივ, არაზუსტ კრიტიკად. სულაც არ მინდა სუბიექტური განცდა და შეფასება დაკარგოს კრიტიკამ, მაგრამ კარგი იქნება, თუ იგი მეტ მეცნიერულ სიზუსტეს შეიძენს.

ყოველივე ამაში მსოფლიო კრიტიკული აზრისაგან შედარებით განზე გადგომაც ჩანს. დღევანდელი უცხოური ლიტერატურული კრიტიკის მიღწევები (და ხშირად ნაკლიც) სწორედ ზუსტი მეცნიერებისაკენ და მეცნიერული სიზუსტისაკენ ლტოლვამ განაპირობა. ამ თვალსაზრისით, ჩვენი კრიტიკა საბჭოთა კრიტიკის ნაკლსაც იზიარებს.

ქართული კრიტიკის უპირველესი ღირსება სიტყვის გრძნობა და მისი განცდაა, ზოგჯერ მისი ფლობაც. ქართველი კრიტიკოსი ხშირად უფრო პოეტია. იგი კი მეცნიერიც უნდა იყოს. ეს კი ძნელია. სწორედ ამიტომაც, იშვიათია კარგი კრიტიკოსი.

3. ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობთ მწერალთა წერილებს, მათი მონაწილეობა კრიტიკაში არათუ სასურველია, არამედ აუცილებელიც. მიხეილ ჯავახიშვილიც, ტიციან ტაბიძეც, ვალერიან გაფრინდაშვილიც, სიმონ ჩიქოვანიც, კონსტანტინე გამსახურდიაც, დემნა შენგელაიაც თავის დროზე ბევრ წერილებს წერდნენ. დღეს მწერლები იშვიათად მიმართავენ კრიტიკას. ესეც სიმპტომატურია.

ერთი კი მინდა შევნიშნო: მწერლის კრიტიკული წერილი პრინციპულად განსხვავდება კრიტიკოსის წერილისაგან და ისინი ერთმანეთს ვერა სცვლიან.

4. იყო დრო, როდესაც ქართული კრიტიკა ჩვენს მწერლებს ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებსავით უცქერდა. ახლა პირიქით ხდება, მოსწავლეებსავით კრიტიკოსებს უცქერიან, ოღონდ — როგორც ზარმაც, უნიჭო და მატყუარა მოსწავლეებს.

მაშინდელი დამოკიდებულება ზოგი ჩვენი კრიტიკოსის უმწიფარობასა და არაგონივრულობაზე მეტყველებდა. მე არ ვიცი, დღევანდელი ზოგი მწერლის დამოკიდებულებას ქართული კრიტიკისადმი დრო როგორ შეიფასებს, მაგრამ არც ეს დამოკიდებულება მიმაჩნია გონივრულად, რადგან მასში ზოგჯერ სნობის პოზიცია უფრო იჩენს თავს, ვიდრე საქმეში ჩახედული გულშემატკივრისა.

ერთი კია, მწერლებმა მაინც ბევრი რამ თქვეს ზუსტად და გულახდილად, თუმცაღა, არცთუ იშვიათად, თვითვე შემოაკლდათ გამბედაობა, პრინციპულობა, პირუთვნელობა, ანალიზის უნარი. ეტყობა, კრიტიკოსობა მართლა ძნელია.

თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი პასუხებიდან მოშეწონა მუხრან მაჭავარიანისა და, განსაკუთრებით, ბესიკ ხარანაულის პასუხები. მათში, ჩემის აზრით, სწორად არის გაანალიზებული მდგომარეობა. და თანაც, ისინი ცდილობენ „ჩვენს ტყაში ჩაჭვრომას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კრიტიკა ჯერაც ვალშია ხალხისა და მწერლობის წინაშე.

იყო კრიტიკული „დეკლარაციების ბუნი“, რომელმაც მალე გაიარა. მთავარი საქმე კი ჯერ წინაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი არაა დამოკიდებული მხოლოდ კრიტიკოსთა სურვილზე. არც ალმანახ „კრიტიკის“ დაარსება ყველაფერი. უნდა პრინციპულად შეიცვალოს დამოკიდებულობა კრიტიკის მიმართ. ბევრი მხოლოდ მას შეიძლება მოსთხოვო, ვისაც ენდობი და ანდობ. დღეს კრიტიკასა და კრიტიკოსს ძალიან ბევრი გადია ჰყავს. ჩვენი დღევანდელი კრიტიკის მთავარი სატკივარი უპრინციპობა კი არაა, არამედ ის, რომ პრინციპულ კრიტიკოსს ყოველთვის ვერ გამოუთქვამს თავისი აზრი. ისიც სათქმელია, რომ ჩვენი კრიტიკული ძალები დაქსაქსულია, მათი მუშაობა არაა ბეგმაზომიერი, წინასწარგამიზნული. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში კრიტიკის განყოფილების დაარსება. მაშინ არც კრიტიკოსები იქნებოდნენ გაორებულნი თავის საქმიანობაში. მათი ძირითადი, უკვე ინსტიტუტის გეგმით განსაზღვრული პრობლემა ლიტერატურული კრიტიკის საკითხებით იქნებოდა განპირობებული.

6. წიგნი „ადამიანი და დრო“. მხოლოდ მას არ შეხებია უხეშად რედაქტორის ხელი. კარგი რედაქტორი ჰყავდა ამ წიგნს — ციალა ჩხეიძე. დღესაც დიდი მადლობელი ვარ მისი, სასარგებლო და დელიკატური შენიშვნებისათვის.

სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებ აქვე ვახტანგ ჭელიძეს და თამაზ ჭილაძეს, როგორც შესანიშნავ რედაქტორებს...

7. „კრიტიკას“ აკლია ოპერატიულობა, იგი იშვიათად ამბობს პირველ სიტყვას, თანაც ზედმეტად აკადემიურია. ვისურვებდი, იგი უფრო გაბედული გამხდარ იყოს. სამწუხაროა, რომ ზოგი კარგი კრიტიკოსი რატომღაც გაურბის „კრ ტიკას“. ესეც დამაფიქრებელია.

საერთოდ, „ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები უფრო მეტი გაბედულებით ბეჭდავენ პროზასა თუ პოეზიას, ვიდრე კრიტიკას.

მე ხლაც მაქვს სახლში რამდენიმე კრიტიკული წერილი, თავის დროზე ვერ და ბეჭდა, მათგან ერთს საგანგებოდ ვეუფრთხილდები, იგი აწყობილია და ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორის ვეტო ადევს: „ამ წერილში შეფარვით კალანძღულია არა მარტო კალანდაძე, (იგულისხმება გიორგი კალანდაძის წერილი ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე — კ. ი.) არამედ ირ. აბაშიძეც. ამას გარდა წერილში გამოთქმულია ისეთი აზრები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს ლიტერატურაში, უნდა აღინიშნოს, რომ წერილში არის ცდა თაობების დაპირისპირებისა, ამიტომ წერილი ამოღებული იქნას“. (ესაა წერილი: „ფიქრები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე“, რომელიც დაიბეჭდა სამი წლის შემდეგ კრებულში „ლიტერატურა და თანამედროვეობა“. ამ ბრალდებების საფუძველი კი რედაქტორისთვის მხოლოდ საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის გადამეტებული რიდი გახლდათ.

ეს კრიტიკისადმი მარტო ერთი ადამიანის დამოკიდებულების გამოხატვა რომ იყოს, არც ღირდა გახსენებად. ლიტერატურის არც ერთ ჟანრს ისე არ ეშურობიან ჩვენში, როგორც კრიტიკას. ვერც ერთი ლექსი და რომანი ვერ გაუძლებს ისეთ „ბრაკერვას“, რასაც უძლებენ კრიტიკული წერილები, მაგრამ უძლებენ კი?

ხშირად ეშვი მეპარება, უნდა კი ვისმეს მართლა ის კრიტიკა, რომლისკენაც მოგვიწოდებენ? პირველნი ხომ თვით მწერლები არიან, ვინც კრიტიკაში, რაც უნდა პირწუთნელი იყოს იგი, მაინც რაღაც პირადულს ხედავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა ლიტერატურის დამხმარე დარგი როდია. იგი ლიტერატურული მომსახურების სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ მწერლობის წარმმართველის, მაორგანიზებელის, ლიტერატურული ღირებულებისთვის თავისი აღგილის მიმჩენის მაღალი ფუნქცია აკისრია და ძნელია გადაჭრებებით შეფასდეს მისი როლი.

რაკი ჩვენს მწერლობაში ზოგი ჭეშმარიტი ტალანტი დღემდე სათანადოდ ვერ შეგვიფასებია და ზოგიერთ საეკვოდ გახმაურებულ კალამასანს კალდოსანს გუნდრუკს ვუკმევთ, ეს ნიშნავს, რომ კრიტიკა თავის ძირითად მოვალეობას არ ასრულებს. აქ უფრო სწორი იქნება ვთქვათ — „არ ასრულებინებენ“.

ვინ უშლის ხელს? შემიძლია პირდაპირ განვაცხადო: თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა იმ მწერალთაგან, ვინც გულზე ხელის ბრაგუნით გაჰყვირის, კრიტიკა გვინდაო.

ჩემი პატარა ლიტერატურული ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მომიხდა რამდენიმე კრიტიკული (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სტატიის გამოქვეყნება სხვადასხვა დროს. „რამდენიმეს“ ვამბობ, რადგან ვგულისხმობ კრიტიკოსები, რომელთაც ისე მოიპოვეს ეს ძვირფასი ლიტერატურული მანტია, რომ აოცერთი სუსტი ნაწარმოებისათვის არ მოუქცევიათ მეთხეველის ყურადღება.

ერთმა გაკრიტიკებულმა თავი გადასდო და იმით დაამშვიდეს, რომ ჩემზე ერთ სოლიდურ ორგანოში საშინელი ლანძღვა-გინება დაუბეჭდეს, მეორემ საჩივრებით აიკლო მწერალთა კავშირის სამდივნო: გადამეკიდა და დასაჯეთო, მესამემ შური იძია და ერთი პერიოდული ორგანოს რედაკოლეგიიდან გამომიყვანა (შემცირებაში მომაყოლა, ზუსტად ორი კვირის შემდეგ, რაც ჩემი წერილი გამოქვეყნდა მის მოთხრობაზე), მეოთხემ იმ დროს „ტაინდობა“ გამოიჩინა და არ მიპასუხა, მაგრამ ამდენი წელი გავიდა და სისტემატურად მწარედ განვიცდი მის „მზრუნველობას“. ვერ იქნა და ვერ მაპატია.

აი, რატომ არ მაინტერესებს მწერლის აზრი კრიტიკაზე. „ცისკრის“ ამასწინანდელი ანკეტაც უხალისოდ წავიკითხე, რადგანაც ზოგი ჩემი მეგობარი დაუფარავად აცხადებდა: მომეწონა ის წერილები, რომელშიც მაქებდნენ და კატეგორიულად არ მომეწონა ის წერილები, რომელშიც ჩემს ამა თუ იმ თხზულებას იწუნებდნენო. „კრიტიკა არა გვაქვს“ — იტყვის კრიტიკოსზე განაწყენებული ავტორი და კმაყოფილად მიმოხვდავს. ეს განცხადება რეალური ლიტერატურული სურათის ანალიზდან კი არ მომდინარეობს, არამედ კრიტიკოსისთვის სამაგიეროს გადახდის ფორმა გახლავთ.

მიწუწუნე და მხდალი კაცი არა ვარ, ამიტომაც იობის მოთმინებით ავიტანდი ყველა შემოტევას ლიტერატურული ჭეშმარიტების დადგენის გზაზე, ავიტანდი იმის უამურ განცდასაც, სულ მცირე ორი წლით მაინც სალამს რომ შეგიწყვეტს გაკრიტიკებული მწერალი, რომ მეგრძნო — ლიტერატურულ საგუშაგოზე ჩეს დგომას მცირე შედეგი მაინც მოჰყვება-მეთქი.

არავითარი.

რა სუსტი ნაწარმოებიც უნდა დასწეროს მწერალმა, და რა მკაცრი შეფასებაც უნდა მისცეს კრიტიკამ, თხზულების ბედზე კი უკანასკნელი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. გამომცემელი არ კითხულობს: კი მაგრამ ეს ნაწარმოები რომ გააკრიტიკეს, შეასწორა თუ არა მწერალმა ცოტა რამ მაინცო.

ამასწინათ ლიტერატურულ ჟურნალში ერთი მოთხრობა გავაკრიტიკე. წერილში მივუთითებდი ამკარა ენობრივ ხარვეზებზეც. რამდენიმე თვეში ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა ცალკე წიგნად გამოვიდა და გავვოცდი როცა ვნახე, რომ გაბრაზებულ ავტორს არც ერთი ჩემს მიერ მინაშნებული გრამატიკული შეცდომაც კი არ გაესწორებინა. ჩემს ჯინაზე ყველა შეცდომა უცვლელად დატოვა. ლაპარაკი არ უნდა.. იგი პირველი დადგება იმის მხარეზე, ვინც თავის ლიტერატურულ პროდუქციას მკერდით გადაფარებია და გაიძახის: „კრიტიკა არა გვაქვსო“.

ბევრი ჩვენი კრიტიკოსი არა მარტო კარგად ერკვევა ლიტერატურულ ავ-კარგში, არამედ ზოგი მათგანი პრწყინვალე ლიტერატურული ოსტატობითაც გამოირჩევა. აბა სცადე და მოახერხე ერთფორმიან სტატიაში ისე ოსტატურად შენიღბო შენი დამოკიდებულება ნაწარმოებისადმი, რომ მკითხველსაც წაეკითხო და თანაც შეფასებაზე სრულიად არაფერი თქვა.

რა ძალა ადგათ, რატომ ინიღბებიანო ეკითხვენ.

ცოდვა გამხელილი სჯობს. ამგვარი შენიღბვა ხელს აძლევს რედაქტორსაც, კრიტიკოსსაც და სარეცენზიო წიგნის ავტორსაც. მერე რა, ჭეშმარიტების დადგენას რომ არ ემსახურება. ჭეშმარიტება ზემოჩამოთვლილ სამ პატივცემულ პირს, ამ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად აინტერესებს.

რა ჭეშმარიტებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგი მწერალი ამოღებული ხმლით იცავს კრიტიკის „ხელყოფისაგან“ თავის თხზულებებს. როცა ამ მხრივ ისე აქვს საქმე აწყობილი, რომ სტამბის იატაქქვეშეთდანაც კი (ლინოტიპის ტყვიიდან) საიდუმლო არხებით ატყობინებენ გაწვრთნილი ლიტერატურული ვირთხები: „ამა და ამ ჟურნალში შენს წიგნზე კრიტიკული წერილი იწყობა და თავს უშველეო“.

მოქმედი კრიტიკოსი ახლა ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელია. ერთ ნაწილს ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ მოუთავვებია თავისი კრიტიკული მოღვაწეობა და ახლა ალარაფერს წერს. მე არას გეტყვით ლიტერატურულ დაჯგუფებათა გარშემო შემოკრებილ იმ მოხალისე ლიტერატორებზე, არაკვითარი პოზიცია რომ არ გააჩნიათ და ანუ ეკითხებავად იქითკენ იწყებენ ყეფას, სადაც მათი მფარველი გვამები მიუქსეენ.

ნამდვილი, მებრძოლი კრიტიკისათვის დაკარგულია ჩვენი ლიტერატურული პერიოდიკის დიდი უმრავლესობა. „კრიტიკა“ ენერგიულად იღვწის გამოცოცხლოს კრიტიკული აზრი, რედაქტორიც პრინციპული და ობიექტური ჰყავს, მაგრამ კრიტიკის საწინააღმდეგო ტალღა ამ ჟურნალსაც შემოჰკრავს ხოლმე შიგადაშიგ თავის ღონიერ ფრთებს. ამ ჟურნალის რედაქციაშიც ხშირად შეესწრებიავ პაწწკინტელა კრიტიკული გამოსვლის გამო აღშფოთებული მწერლის უსიამოვნო საუბარს რედაქტორთან „რას მერჩი, რა გინდას“ მოტიეებზე.

ერთი ჟურნალის განყოფილების გამგეს ვეკამათე ამასწინათ. მეო, დაკინებით მიმტკიცებდა, ობიექტური კაცი ვარო, არ დაიჯერო-მეთქი, ეგ ამბავი, შენი ობიექტურობა ჩვენ გამოვიგონეთ, რადგან გვეჭირდებოდა-მეთქი, რომ ალარ დაიშალა ავდექი და ვუთხარი: შენ ობიექტური ხარ ამისა და ამის მიმართ („უკეტრონო“, „დაბალ ღობეო“ მიჩნეული მწერლები დავუსახელე), მავრამ, აბა, თუ იქნები ობიექტური ამისა და ამის მიმართ-მეთქი (მისი მეგობრები, ზემოთჩამოთვლილნი არანაკლებ უნიჭო მწერლები, დავუსახელე) გაეცინა.

ამ სიცილმა ბევრი რამ მითხრა. აქ უკვე ახსნა-განმარტებები ზედმეტი იყო.

კრიტიკაზე ცნობილი დადგენილების შემდეგ მწერლობაში კრიტიკოსის მდგომარეობას უკეთესობის ნაცვლად უარესი ამინდი დაუდგა. თითქოს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაფეზიზლესო, მწერლები უფრო გააქტიურდნენ კრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახლა მინიშნებებით წერაც აღარ შეიძლება. ერთ წერილში ასეთი ფრაზა მეწერა: „ზოგიერთი მწერალი სხვებს მოუწოდებს ასახონ თანამედროვეობა, თვითონ კი თავის მეზას მხოლოდამხოლოდ ისტორიულ თემატიკაზე წერის მისიას აკისრებს". რედაქტორმა დამიბარა და მკითხა, აქ ვის გულისხმობ. რა მნიშვნელობა აქვს მეთქი, ბატონო. მე ხომ მაინც უნდა ვიცოდე, ვინ იგულისხმებათ. რაკი ასეა, ვიყოთ გაბედულნი და პირდაპირ გვარები ჩაეწეროთ-მეთქი. სახე გაუნათდა; ასე აჯობებსო. როცა დავუსახელე ორი-სამი მწერალი, ვისაც ეს შენიშვნა ეხებოდა, არა მარტო გვარების ჩაწერისაგან შეიკავა თავი, მთელს წინადადებას წითელი ფანქარი გადაუსვა და: მწყრალად შეეშმეხედა, ნამეტანს კი ნუ ვიზამთო.

მე ბრალს როდი ვდებ ჩვენს რედაქტორებს. კარგად მესმის მათი. ესუ-ლგულობის ჯოხი ბოლოსდაბოლოს მათს თავზე გადატყდება. გაკრიტიკებული მარტო ავტორს კი არა, რედაქტორსაც პირად მტრად მიიჩნევს. არც მტრის გამრავლებაა სახარბიელო, მაგრამ ამას თუ გაუძლო კაცმა. თავი მობეზრდება ახსნა-განმარტებების მიცემით და ჟურნალისთვის საზიანო ბევრი სავალალო შედეგი. ვანაწყენებულის საჩივრებს რომ მოჰყვება.

კითხვას ჩემი წიგნებიდან, რომელი მოგწონს ყველაზე მეტად, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე უნდა ვუპასუხო: 1970 წელს გამოცემული „კრიტიკა". ამის შემდეგ ოთხი სქელტანიანი კრიტიკული კრებული დავბეჭდე. მაგრამ „ძნელადაღსაზრდელის" ბედს ვერ ავიცდი. ვერ იქნა და ვერ მივაღწიე იმ მდგომარეობას, რომ კრიტიკულ წერილს (ხაქებარს, იეოცხლე ხელში მართმევენ) დავიდარაბის გარეშე მიბეჭდავდნენ. თუ იბეჭდება სუსტი ლექსი და სუსტი მოთხრობა, რატომ არა აქვს აპრობირებულ კრიტიკოსს თავისი კრიტიკული წერილის უბრძოლველად დაბეჭდის საშუალება? რატომ უნდა ველოდო გულისფანცქალით, „გასწირავს" თუ არა რედაქცია ავტორს, რომლის თხზულება არ მომეწონა?

კრიტიკოსისა და მწერლობის ურთიერთობა დღეს ამგვარად მესახება; არის დიდი ლიტერატურული გალავანი, რომლის შიგნით თავმოყრილია ჩვენი მწერლობის უმეტესობა. ამ გალავანს გარს უვლის ლიტერატურის „დაუძინებელი მტერი" — კრიტიკოსი, ხოლო გალავანში თავმოყრილთ ენერგიულად იცავს მძლე ლიტერატურული მანქანა — მწერალთა კავშირი, რედკოლეგიები. თუ კრიტიკოსმა მაინც იმარჯვა და მოახვედრა ქვა (კრიტიკული სტატია) რომელიმეს გალავანში მოქცეულთაგან, მისი მფარველები ხელს ასავსავებენ: „რა ვქნათ, გენაცვალე. ცოტა შენც ყოფილა იფხიზლოვო". პირველი წიგნის გამოცემისას მაინცდამაინც არ მიცნობდნენ და მოვახერხე მეტნაკლებად ჩემეზურად დამესტამბა. ახლა გამომცემლობები გამადიდებელი შუმით კითხულობენ ჩემს ხელნაწერს; მანდ, კიდევ კრიტიკა არ შემოგვაპაროს და კიდევ ვინმე არ მოგვამდურესო.

ასეთ პირობებში ვმუშაობთ ჩვენ. სიმართლისკენ წამქეზებელი ბევრი გვყავს, მაგრამ უკან რომ მივიხედავთ, არავინ არის ჩვენი მხარში ამომდგომი და ხელისგამომწვდელი.

ხომ ასეთი ზოგადი საუბარია, ვწერ და ვფიქრობ: განა ამ წერილს კ-დაბეჭდავენ? და თუ ისევე დაბეჭდავენ როგორც დავწერე. ბარაქალა „ცისკრის" რედაქციას.

მოგვეცინა ტრიბუნა, გვეარაზნობინეთ: რომ გვირდებით (სპეა არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა, განაწყენებული მწერლისაგან თავს, როგორმე, ჩვენ თვითონ დავიცავთ) და დავიგიჟეცეთ, შეგვიძლია თუ არა კახაბერი კახაბერად ვთქვათ

და ლიტერატურულ ავსა და კარგს თავიანი ადგილი მივუჩინოთ.

სოსო სიგუა

1. სალიტერატურო კრიტიკის უმთავრესი დანიშნულება არ არის გაკრიტიკება, უარყოფა. უკუგდება, როგორც ზოგიერთებს ეგონებათ. ისინი ლიტერატორს აფასებენ იმდენად, რამდენადაც ის გამოდის ერზაცლიტერატურის წინაალმდეგ: ასეთი პოზიციის კრიტიკოსი, სპორტსმენის დარად, იოლად იხვეჭს სახელს. ნამდვილი ლიტერატურის, როგორც შემოქმედის, პოპულარობა კი განფენილია არა სივრცეში, არამედ — დროში. კრიტიკოსის წინაშეც დგას ერთადერთი ამოცანა: შექმნას ნაწარმოებები, რომლებსაც წრფელი მღელვარებით წაიკითხავენ მომავალი თაობები. ამიტომ მას უფრო ის უნდა აინტერესებდეს, თუ მასზე რას იტყვიან, ვიდრე რას ამბობენ. ამ მიზნით ყველა ინდივიდუალურ გზას ირჩევს. მაგრამ ის მასალაც ვამძლე უნდა იყოს, რომელზეც კრიტიკული კონცეფცია აიგება. კრიტიკოსი, პირველ ყოვლისა, უნდა ეცადოს ლიტერატურის ზღვიდან მარგალიტების გამოტანას, იმ მცირე ნაწილის გადარჩენას, განსჯას და პოპულარიზებას, რომელიც მომავლის ესტაფეტად გადაეცემა. ღირებულებათა გადაფასება მარადიული პროცესია. წარუვალია ის, რაც ამ პერმანენტულ გადახარისხებას გაუძლებს. ლიტერატურის მიღმა მდგარი ნაწარმოებები კრიტიკას არ იმსახურებენ. მათ თავად დრო და ჟამი უმოწყალოდ ანადგურებს. ლიტერატორი არც უნდა მოიცდეს ამგვარი თხზულებების შესაფასებლად. მაგრამ როცა მწერლობაში მკვიდრდება მცდარი და მავნებელი ტენდენცია და ესწრაფვის გავატონებას, ეს უკვე სახიფათოა. რადგან იწვევს გემოვნების შერყვნას, მხატვრული აზროვნების გადაგვარებას.

მწერლობა კრიტიკით კმაყოფილი არასოდეს ყოფილა. კონფლიქტი კრიტიკულ აზრსა და მხატვრულ შემოქმედებას შორის განუწყვეტლივ იარსებებს, ვინაიდან ფანტასტიკურ ოცნებებს მეაბჯრედ ვერავინ დაუდგება. შემდეგ ჟამი სპობს დაპირისპირებებს. ჩადგება ზმანებათა ქარი და იწყება წარსულის ალიეინაციური განსჯა. აქ უკვე სუბიექტივიზმის მნიშვნელობა მინიმუმამდე დადის და მთლიანად ვლინდება ლიტერატორის შინაგანი პოტენცია.

იდეალურად უნდა ჩაითვალოს ისეთი კრიტიკული ნაწარმოები, რომელიც ერთ პლანში იკითხება მხატვრულ ქმნილებად, მეორე პლანში — მკაცრად სისტემატიზებულ გამოკვლევად. მაგრამ ორივე საწყისი — მხატვრული და მეცნიერული წარმოიდგინება დოგმატების დაცვის გარეშე. განუთიშელ ერთეულად მთლიანდება სახე და ცნება. მხატვრული პლანი გამორიცხავს ტრადიციად ქცეულ ლირიკულ რეფერანსებს. იმპრესიონისტულ შთაბეჭდილებათა ხატვას, მსუბუქ ესეისტურ განსჯას. აქ იგულისხმება თქმის ექსპრესიული წვდომა. ურთულესი შინაგანი მოტივებისა და კომპლექსების ამოწევა სახელველ ზღვრამდე. სამყაროსთან მიმართებათა დეტალიზებული ჩვენება. ლოგიკური განსჯით შეიმეცნება მხატვრული არსი. სუბიექტური განცდები და აზრები, როგორც საფუძველი ესთეტიკური ფენომენისა. მასალისა და სტილის სტრუქტურული დაშლა ამყოფვნებს სპეციფიკურ ნიშნებს. ხოლო პირობითი ქაოსიდან ინტუიციური მიგნებით გამოტანილი მოდელები შეძლებისამებრ განსაზღვრავენ ობიექტის ღირებულებას. მასზე დაყრდნობით კი აზრი ეძლევა

სისტემურ განზოგადებას. მაგრამ ანალიტიკური მიდგომა მოითხოვს სპეციფიკური ლიტერატურული ფორმებს. ამიტომ მთელი სიმძაფრით დგება სტილისტიკის პრობლემა. პოეტურ ქმნილებას წმინდა ლოგიკური მეთოდებით ვერ მოვიკიდებით. გარდა ამისა, კრიტიკას ხშირად სჭირდება კიდეც შაბლონური აზრის ვირტუოზული სტილით განსხეულება. სახისა და ცნების სინთეზირებით მშვენიერება ერწყმის ჭეშმარიტებას. ამდენად — იდეალური კრიტიკული ნაწარმოები ერთის მხრივ ცდილობს, დაადგინოს ობიექტური რაობა, ხოლო მეორეს მხრივ თვითგამოხატვის ძალით ქმნის ახალ ესთეტიკურ ფასეულობას. ანოტაციური, კონსპექტური, მიმოხილვითი წერილები კვლავაც საჭიროა, მაგრამ მათ მხოლოდ პოპულარიზების მისიის შესრულება ძალუძთ. ლიტერატურულ პროცესს სჭირდება სიღრმეში მიმალული მოტივების ამოფენა და გაცნობიერება. ეს ვერც ლირიკული და ვერც პუბლიცისტური სტატიებით ვერ მოხერხდება.

მე მგონია, კრიტიკა ისევე ვერ იქნება გამომრიცხველი ექსპერიმენტებისა, როგორც პოეზია და პროზა. რასაკვირველია, მთავარი ის კი არ არის, რას ვეძებთ, არამედ — რასაც ვპოულობთ. მაგრამ მხოლოდ ძიების პროცესი მიგვიყვანს პოვნამდე. დღეს — გაფეტიშებული კულტურისა და ცივილიზაციის საუკუნეში — წარმოუდგენელია ინსტინქტური, მარტოოდენ პირადი დაკვირვებებითა და შეგრძნებებით ამომცენებული ხელოვანი. ამიტომ სჭირდება კრიტიკოსს განეწყვეტილი სწრაფვა საარსების სიღრცის მოსაპოვებლად: ამიტომ ვერ იქნება იგი შემორკალული მიმდინარე შემოქმედებითი პროცესით. რადგან, მეტი რომ არაფერი, დარჩება ამ სააზროვნო მასალის ეპიგონად.

2. ზოგჯერ ესა თუ ის კრიტიკოსი განიხილავს ზნეობის, პიროვნების, ჰუმანიზმის პრობლემებს ლიტერატურაში. საკითხი თავისთავად საინტერესოა. მაგრამ შედეგი უფერული გვეძლევა: საქმე ის არის, რომ თვითეული მათგანი არის ფილოსოფიური ცნებაც. მათ გარშემო შექმნილია მრავალი რთული, მკცდარი და საგულისხმო კონცეფცია. თუ ეს თეორიული მასალა შემოქმედებითად არ გავითვალისწინეთ, ისე გიგულისხმიეთ ამ პრობლემის არსი და ვიზიღუდებით საყოველთაოდ ცნობილი, ზერელე ინფორმაციებით.

ჩვენს კრიტიკას აკლია კონტაქტი ფილოსოფიასთან, ესთეტიკასთან, ფსიქოლოგიასთან. პუბლიცისტური კრიტიკა ამ დისციპლინებს სპეციალურად არც საჭიროებს. მაგრამ მოსაზღვრე მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა პერმანენტულად უნდა გადმოვიდეს ლიტერატურის ენაზე. სხვათაშორის ეს დაშორება გამოწვეულია იმითაც, რომ მწერლობის დიდი ნაწილი იკვებება დაცვეთილი პრობლემატიკის პრიმიტიული ფორმულირებით. ხომ არ შეიძლება მწერალს, რომელსაც არაფერი სმენია ეგზისტენციალიზმის შესახებ — ეგზისტენციალური თვალსაზრისი მოვახვიოთ თავს. ეს იქნება სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია და გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც კრიტიკოსი-შემოქმედი ქმნის თავისებურ სისტემას და ლიტერატურა აინტერესებს, როგორც საყრდენი მასალა.

ახალი და მძლავრი აზრები, თუნდაც გაურანდავი და უხეშნი ფორმით იყოს გამოთქმული, მაინც იმორჩილებს აუდიტორიას. მაგრამ როცა ვსვლეტულობთ ან გამოვთქვამთ მეტნაკლებად საინტერესო შეხედულებებს — უნდა ვეძიოთ გამოხატვის ვირტუოზული სისტემა, მოულოდნელი და ეფექტური სტრუქტურა. მოხდენილი და არტისტული სტილი, რათა ჩვენს მსჯელობას სქემატიზმის ბინდი გასცილდეს.

დღევანდელი ქართული კრიტიკა სავსებით დამაკმაყოფილებლად მეჩვენება (ცხადია, ეს არ გამორიცხავს სურვილს მისი გაუკეთესებისა). ჩემთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგებარია ზოგიერთი მწერლის გაბოროტება. მათ ხომ კარგად უნდა იცოდნენ, რომ კრიტიკა ლიტერატურას ვერასდროს ვერ გაუსწრებს. რუსთაველს, შექსპირის, სერვანტესის, გოეთეს, ბალზაკის ან დოსტოევსკის მასშტაბის კრიტიკოსი ჯერ არ დაბადებული. ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან მხოლოდ ფილოსოფია უსწორებს თვალს ხელოვნებას. კრიტიკოსი აზროვნებს ლიტერატურის საფუძველზე. ის ერთხელ ასახულის ამსახველია. ამიტომ მეტწილად ხელოვნების პრიზმიდან ჭვრეტს სამყაროს, ხოლო მწერალი თავად ზუმს ახალ სინამდვილეს. რომელიც ჩამოჰკავს არსებულ რეალობას. მაგრამ ეს გარემოება ხელმოცარული მწერლისათვის ვერაფერი სასუგეშო საბუთია: ჩვენ ვაღიარებთ ლიტერატურისა და კრიტიკის მუშვერვალებს.

მე ვფიქრობ, ქართული კრიტიკა ზედმეტადაა გართული ცალკეულ პირთა შემოქმედების ანალიზით, ვიდრე მთლიანი ლიტერატურული პროცესის განსჯით. მხოლოდ ზოგიერთი კრიტიკოსი თუ იცნობს იმ ვითარებას, რაც სუფევს ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურებში, რომლებშიც წარმოიშვა კრიტიკის მრავალი ახალი მიმართულება. ტრადიციული კრიტიკის ინერცია საბოლოოდ უნდა დაიძლიოს, ვინაიდან ის სასკოლო ლიტერატურისმცოდნეობის (სასკოლო გრამატიკის ანალოგიით) გამოხატულებაა. კრიტიკის დარგშიც არის პრინციპული და საინტერესო ძერები, რომელთა გაზიარება თუ არა, გაცნობა მაინც აუცილებელია.

მე არ ვიზიარებ ზოგიერთი მწერლის პესიმისტურ და ნიჰილისტურ მიმართებას კრიტიკისადმი, რადგან მათი სიტყვიერი უარყოფის მიღმა დამკვიდრების პათოსი არ სჩანს. თუ მათ არცერთი კრიტიკოსის ნაწერი არ მოსწონთ, თვითონ უკეთესი დასწერონ და სხვებსაც მაგალითი მისცენ. ა. ბელი, თ. მანი და თ. ელიოტი არავისზე ნაკლები მწერლები არ ყოფილან, მაგრამ შექმნეს ისეთი ღირებულების კრიტიკული ნაწერთოგებები, რომლებიც მნიშვნელობით მეტად თუ არა, ერთი-ორად მაინც აღემატება ჩვენი სკეპტიკოსების შემოქმედებას.

ზოგიერთები კრიტიკაზე ნამეტან იმედებსაც ამყარებენ და თვლიან, რომ ის უნდა გახდეს ლიტერატურის წარმმართველი. ეს მისია კრიტიკას არასოდეს შეუსრულებია და არც ეკადება. როგორც ენის განვითარებას გრამატიკა არ წარმართავს, ისე არ შეიძლება მწერალი მისდევდეს კრიტიკის მიერ მითითებულ გზებს.

კრიტიკის ობიექტური ნაკლოვანებანი, რომლებსაც მეტისმეტად აზვიადებენ, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მისი სუბიექტური, შინაგანი მიზეზების გამო. ჩვენ ამ მხრივაც გვმართებს გადაეხედოთ სხვა ხალხთა ლიტერატურებს.

3. კრიტიკა მეტწილად შებოჭილია ლიტერატურის თეორიის მიერ დასაზღვრებული სივრცით. ამ ჰერმეტული გარემოდან თავის დაღწევა და ახალი, სინთეზური ჰერმეტიზმის მიღწევა, როცა ის ლოგიკურ გადასვლებს ეფუძნება, წარმოუდგენლად ჭირს. ხოლო მწერალი თავისუფლად ეკიდება, განწყობილებისამებრ აღიქვამს ლიტერატურულ მოვლენებს. ამიტომაც მისი სტატიები ხშირად იმპრესიონისტულია, ესეისტური, ზოგჯერ პარადოქსულ დებულებებზე აგებული, მაგრამ აზრობრივად და ემოციურად მუდამ საინტერესო. მწერალი სტატიას ოსტატია და ამდენად მას ძალუძს კრიტიკის დარგშიც თავისი შემოქმედების ტოლფარდი ნაწარმოებების შექმნა. მაგრამ მხოლოდ ინტუიციით ნასაზრდოდ შემოქმედთ. რომელთა სულიერი კულტურა ერთობ ღარიბია. არ შეუძლიათ თავიანთი სტატიებით ჩაფიქრონ და გაიტაცონ მკითხველი. სხვათაშორის, ეს პრობლემაც მწვავედ იჩრქნობა ჩვენს ლიტერატურაში. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველ მწერალთაგან კრიტიკული აზრის თვალსაჩინო ნიმუშები შექმნეს ...ჭავჭავაძემ, კ. გამსახურდიამ, ტ. ტაბიძემ ს. ჩიქოვანმა, ახალთაობიდან — ...ჭილაძემ და ტ. ჭანტურიამ.

მწერალი იმიტომ კი არ ქმნის კრიტიკულ ნაწარმოებს რომ სხვა ...ანრს წაეხმაროს, არამედ ავლენს თავის შეხედულებებს და ვნებებს ახლებური ფორმით, განსაზღვრავს და ამკვიდრებს საკუთარ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პოზიციას. ამდენად, მწერლისათვის კრიტიკაში მონაწილეობა არის არა თვითმიზანი, არამედ — აუცილებლობა. მაგრამ, მე ვფიქრობ, ფილოლოგიური პრობლემებით გატაცება ანელებს შემოქმედებით ენერგიას. მწერალი უნდა ერიდოს მშრალი ფაქტების პროპაგანდას, სტატისტიკურ ანრიცხვებს: ამ დროს ესთეტიკური აზრი იხრჩობა ფილოლოგიის ღიმში. შესანიშნავი გამოკვლევები დაწერეს გ. ლეონიძემ და ი. გრიშაშვილმა, მაგრამ ისინი არ ყოფილან ლიტერატურის უპირველესი ისტორიკოსები. ეს ენერგია რომ მათ ესთეტიკური პრობლემატიკის ჩამოყალიბების გზით. ან თვით პოეზიის სფეროსაკენ წარემართათ, კიდევ უფრო მოგებული დარჩებოდნენ.

4. მწერლობის კრატიკისადმი დამოკიდებულება მეტწილად მერკანტილური ინტერესებით განისაზღვრება. მწერალი იმდენად სცნობს კრატიკოსს, რამდენადაც ჰოსმთქმელია იგი მასზე. ალბათ არ ყოფილა მწერალი, რომელსაც თავისი შემოქმედების მძაფრი კრიტიკა მოსწონებოდეს, განმქიქებელ დასთანხმდებოდეს. თუ ვინმემ სცადა და დაარღვია გაბატონებული. მაგრამ დოგმატიზებული ეტიკეტები, მას ისეთ ვითარებას შეუქმნიან, რომ მსგავსი რამ მეორედ არ გაბედოს. საერთოდ მწერალს თანამედროვე კრიტიკა აინტერესებს იმდენად, რამდენადაც თვითონ არის მასში გამოხატული. ხელმოცარულნი მთლიანად გამორიცხავენ კრიტიკის ყოველგვარ საჭიროებას. ისინი თავს ინუგეშებდნენ, რომ მომავალი ახსნის მათი შემოქმედების პრიმიტიულ გაუგებარობას. ეს მხოლოდ ილუზიაა და გამართლება საკუთარი უმწეობისა, მდგომარეობის შესაბამისი თვალსაზრისის გამომუშავება. მწერლობის კრიტიკისადმი მიმართება არ უნდა განიზომებოდეს ემოციებით. მას უფრო ინტელექტუალური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ჩვენი მწერლობის უდიდეს ნაწილს აშკარად ეტყობა, რომ საერთოდ არ იცნობს კრიტიკულ ლიტერატურას. ზოგჯერ კრიტიკოსები წაუმატებენ ხოლმე ღირსებებს ლიტერატურულ პროცესს, ამოხსნიან ინტუიციურად გაელვებულ უახლეს ტენდენციებს, ქმნიან მირაჟს ესთეტიკური ფასეულობათა სიუხვისა, რათა ესეც იქცეს შთაგონების ნაწილად, რათა ამითაც მიანშნონ მომავლის გზებზე. ოღონდ თვით მასალა უნდა იძლეოდეს საბაბს მსჯავი ოცნებისა. ასეთი პოზიცია სადავოა, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია — წმინდა შემოქმედებითი სწრაფვის თვალსაზრისით.

მწერლები კრიტიკას ორ რამეს საყვედურობენ — არაობიექტურობასა და დაბალ დონეს. ზოგიერთს ეს ორი ცნება სინონიმის მნიშვნელობით ესმის, რაც მორიგი გაუგებრობაა: კრიტიკოსმა შეიძლება მცდარად შეიფასოს ესთეტიკური ფენომენი, მაგრამ თვით მსჯელობის პროცესი აზროვნების შედეგადაც ჩაითვალოს, ხოლო უნიკოდ გაცხადებული ჭეშმარიტება ჩვეულებრივ დავიწყებას ეძლევა. მწერლობის წინაშე აბსოლუტური ჭეშმარიტების წვდომის პრობლემა არცა დგას. ეს ევალება ფილოსოფიას, მაგრამ მასშიც ჭოსნა ...ფევს. ესთეტიკური ფენომენის, ისევე როგორც სამყაროსი, ბოლომდე შეცნობა პიროვნების შესაძლებლობებს აღემატება. ეს რომ მოხერხდეს, მაშინ დაიწყებოდა გენიალური თხზულებების სერიული წარმოება. შეცდომებისათვის ადგილი მუდამ დარჩება. უშეცდომო ისაა, ვინც არ აზროვნებს და არ მოქმედებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბოლო წლებში აშკარად საგრძნობია ქართული კრიტიკის პროგრესი. ეს შეიძლება 1972 წლის ცნობილ დადგენილებასაც დავუკავშიროთ. აღმავლობა ჩვენში ადრე დაიწყო, ხოლო დადგენილების შემდეგ ახალმა სტილმა და შეხედულებებმა კრიტიკაში გაბატონებული ადგილი დაიკავა. რომ გადავიკითხოთ გ. ასათიანის, რ. თვარაძის, თ. ჩხეიკელის, ო. ჰაკორიას, ა. ბაქრაძის მიერ ამ 10-12 წლის წინათ გამოქვეყნებული სტატიები და შევადაროთ მათსავე ბოლოდროინდელ ნაწერებს. ნათლად დავინახავთ თუ როგორ შეიცვალა ამ ავტორების ლიტერატურისადმი მიმართების ფორმა, აზროვნებისა და გამოხატვის სტილი. განახლება დაიტყო უფროსი თაობის კრიტიკოსებსაც. მათ ლიტერატურულ პოზიციაშიც ბევრი რამ გადახარისხდა.

ოფიციალური დადგენილება აჩქარებს პოტენციურად მოცემული ძალების გამოშკარავებას, მაგრამ არარსებულს არსებულად ვერ აქცევს. დღეს, როცა ამ მნიშვნელოვანი დადგენილების შემდეგ უკვე ოთხი წელი გავიდა, აშკარაა, რომ ლიტერატორთა უმრავლესობამ პარადოქსად აღიქვა ეს დადგენილება, რადგან დაპირება და საქმე კიდევ უფრო დაცილდა ერთმანეთს. აგიტაციურ-კამპანიურ პერიოდს ხომ უნდა მოჰყოლოდა ლოზუნგების პრაქტიკული რეალიზება.

6. ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნაადრევად მიმაჩნია.

7. ერთხმადაა აღიარებული, რომ ალმანახ „კრიტიკის“ დაარსება მნიშვნელოვანი ფაქტია, უკვე გამოვიდა 12 ნომერი. დაიბეჭდა არაერთი მწვავე და საინტერესო წერილი სხვადასხვა საკითხებზე. ალმანახმა გაამართალა ჩვენი საზოგადოებრიობის მოლოდინი. მაგრამ ცალკეული შენიშვნების გამოთქმა ცუდ ტონად არავის უნდა ჩამოერთვას: „კრიტიკის“ ფურცლებზე თითქმის არ იბეჭდება მასშტაბური წერილები, რომლებშიც იქმნებოდა წარმოსახული სურათი თანამედროვე ლიტერატურისა. ცალკეულ კრებულებზე სტატიები, რეცენზიები, ანოტაციები საჭიროა, მაგრამ ისინი მხოლოდ იმდენად არიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამზადებენ არენას მთლიანი პროცესის წარმოსადგენად. შემდეგ: არ ყოფილა ცდა, კრიტიკას ჩაეხედა საკუთარ თავში: კრიტიკული აზრის გამოთქმა კი არაა პრობლემა. არამედ მისთვის ადექვატური ფორმების ძიება. მხატვრულ ნაწარმოებზე თავისი აზრი აქვს ინჟინერსაც და მუშასაც, მოწაფესაც და მასწავლებელსაც. შეიძლება მათი თვალსაზრისი არც იყოს ინტერესმოკლებული, მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ ნაგრძნობისა და ნაფიქრალის ზუსტ და ლიტერატურულ გამოხატვას. საერთოდ, მწერალი ამით განსხვავდება ჩვეულებრივი მოქალაქისაგან. ამიტომ, ვფიქრობ, „კრიტიკის“ ფურცლებზე უნდა დაწყებულიყო ძიება ახლებური სტრუქტურებისა და სტილის მისაგნებად და ეზა ბახსნოდა ყოველგვარ ფასეულ უკიდურესობას. ცხადია, ეს უნდა მომხდარიყო არა ქრესტომათიული დოგმების გადაშლილი, არამედ სხვა ხალხთა ლიტერატურების უმდიდრესი გამოცდილების გათვალისწინებით.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ერთი ფუნქციონალური სენი სჭირთ: მათში იშვიათად თუ დაიბეჭდება წერილი გაკრეჭის, შემოკლების, შემცირების და დამცირების გარეშე (გამონაკლისია ჟურნალი „ცისკარი“). შეიძლება ეს ყველას მიმართ არც ხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეტწილად არის ცდა სტატია იმდენად ვასხიპნოს, რომ დეპეშას დაამგვანონ. რედაქციის მუშაკებს გასამართლებელი საბუთი ხელთ აქვთ: თითქოს ისინი ზრუნავენ წერილის გასაუკეთესებლად. მაგრამ კაცმა არ იცის, ამით კრიტიკული ნაწარმოები მართლა უმჯობესდება თუ თუჯდება. მე ვფიქრობ ლიტერატურას არ სჭირდება მსგავსი არტახები. სტატია. მოთხრობა, ლექსი თუ რომანი უნდა გამოქვეყნდეს ცვლილებების გარეშე. თუ რაიმე განსაკუთრებულ შეცდომას არ უშვებს ავტორი. ეს გაზრდის

მწერლის პირად პასუხისმგებლობას და წარმოგვიდგენს ლიტერატურული პროცესის ზუსტ სურათს, რადგან გაკოტაყვებით, ჩასწორებით, შეკვეცით წარმოიგებს თითქმის არაფერი ემატება. თუ სტატია სუსტია, ის არც უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ თუ იბეჭდება, უნდა დაცულ იქნეს მისი თავდაპირველი სახე.

ჯანსუღ ღვინჯილია

კითხვების თანმიმდევრობას, ალბათ, ვერც დავიცავ, პირველი, მეორე და მეოთხე კითხვა იმდენ საფიქრალს აღძრავს, რომ მასზე ანკეტის შესაფერი ლაკონსტრობით საუბარი ზერელე დასკვნებამდე თუ მივვიყვანს. შეეცდები ამჯერად გაკვრით მაინც შევეხო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხებს. გაკვრით, თორემ თუნდაც კრიტიკისადმი მწერლობის დამოკიდებულება, ალბათ, მოითხოვს ვრცელ, საფუძვლიან მტკიცებას, ლაკონური მასალების შეჯამებასა და ანალიზს...

„ოპოზიცია მწერალი-კრიტიკოსი“. „ცისკრის“ რედაქციამ დროულად შეგვახსენა, რომ არსებობს ასეთი მარადიული ფენომენი. რედაქციამ, ბუნებრივია, მწერლისა და კრიტიკოსის შემოქმედებითი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით გამოაქვეყნა თავისი ანკეტები (ერთი 1968 წელს, მეორე — ამა წლის პირველ ნომერში). ამავე მიზნით უკამრავი სხვა ღონისძიებაც გატარდა ჩვენში. ვატარდა, რადგან ასე ყოფილა და ასე არის: მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთობაზე დიდადაა დამოკიდებული ლიტერატურის აწმყო და მომავალი.

ოპოზიცია მწერალი — კრიტიკოსი არ არის მარტივი შინაარსისა. იგი არ ნიშნავს უბრალოდ შემქმნელსა და შემფასებელს. იგი მთლიანობაში ნიშნავს შემქმნელს, მწერალი და კრიტიკოსი საერთო პროცესის — შემოქმედებითი პროცესის — ნებაში ითქვიფება. უთუოდ აქვს რაიმე ობიექტური მიზეზი იმას, რომ ანკეტაში მონაწილე თითქმის ყველა მწერალმა დაუშვა სამწუხარო შეცდომა. მათ შემოქმედებითი პროცესის გარეთ დააყენეს კრიტიკოსი, წარმოიდგინეს ის ერთადერთი ფუნქციით — შემფასებლის ფუნქციით — და იოლად წაუყენეს ერთი შეხედვით სამართლიანი პრეტენზიები, აღმოუჩინეს უამრავი ნაკლი. კერძოდ:

ქართული სალიტერატურო კრიტიკა უპრინციპოა, არ უჭირავს სწორი პოზიცია, ვიწროა მისი ჰორიზონტი, ტენდენციურია, აკლია აზროვნების სიღრმე, ემსახურება მწერალთა „ნებიერ“ ჯგუფს, ეშმაკობს, არაგულწრფელია, შეპყრია ზოგიერთი ნიჭიერი მწერლის არდანახვის სენი და ა. შ. ახლოლოდ რამდენიმე მწერლის პასუხში გაისმა გონივრული აზრი: რა დონეზეც დგას ქართული მწერლობა, იმავე დონეზეა სალიტერატურო კრიტიკაც! სხვათა შორის, ისიც მოხდა, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ ეს საყოველთაოდ მიღებული აზრი 1968 წელს ჭკვიანურად შეახსენა საზოგადოებას, 1976 წელს კი რატომღაც დაავიწყდა იგივე სიბრძნე და კრიტიკა უსაშველოდ ჩამორჩენილ სფეროდ ცნო.

პირველ ანკეტაში ისიც გარკვევით და პირდაპირ ითქვა, ქართული სალიტერატურო კრიტიკა საერთოდ არ არსებობსო. ეს აზრი აგერ დღემდე ხმალივით გაიშუალებს ხოლმე ლიტერატურის ცაზე და ისე დაუნდობლად არის მოკვლეული ის ხმალი, რომ, ალბათ, ამ დაუნდობლობის შეგრძნებამ აიძულა ცნობილი კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი კრიტიკის პრესტიჟის დასაცავად დაწერილი სტატიისათვის მიეცა ასეთი სათაური „დიახ, არსებობს და ვითარდება!“ ნუთავინ ფიქრობს, ეს შემთხვევით შერჩეული სათაური იყო. უთუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა კრიტიკოსს აღძვრია სურვილი სწორედ ამ სიტყვებით დაესათაურებინა უმადურობის სასასუხო წერილი.

და მაინც: აქვს თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახის ნაკლი ქართულ სალიტერატურო კრიტიკას? რა თქმა უნდა, აქვს. სინამდვილეს ვერსად გაეჭცევი. მაგრამ იმავე სალიტერატურო კრიტიკას ამ ნაკლის გადამწონავი ღირსებაცა აქვს (ამაზე უფრო ქვემოთ).

დღეს ტრიბუნა კრიტიკოსებს ეთმობათ, ახლა მათ ეძლევათ საშუალება თავიანთი აზრი თქვან და მიუხედავად იმისა, რომ ანკეტის კითხვები არ ავალებთ ამჯერად თავიანთი აზრი მწერლობაზეც გამოთქვან, მაინც ხომ შეუძლიათ სიტყვა ჩამოაგდონ ამ საგანზე, ზემოდან დახედონ ქართულ მწერლობას და აღნიშნონ მისი ირანაკლებ სერიოზული ნაკლი. კერძოდ თქვან: ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს ჩვენ დიდი შეღავათით ვუდგებით და ამ შეღავათის წყალობით ბევრ ღირსებას მიეაწერთ. სინამდვილეში კი ქართულ მწერლობას აშკარად აკლია დიდი ეხებათაღელვის, ეპოქისა და ტრადიციის შესაფერი მხატვრული ტალიები, აკლია აზროვნების სიღრმე, მასშტაბურობა, ჩაკეტილია ეგზოტიკურ ნაშუაში, საგრძნობია ნასხვისარი განწყობილება, თვალნათლივია ბლაგიატობა, დაკრავს პროვინციალიზმის იერი და ა. შ.

აქვს თუ არა ეს ნაკლი ქართულ მწერლობას? სინამდვილეს ვერსად გაეჭცევი — აქვს, მაგრამ იმავე ქართულ მწერლობას ამ ნაკლის გადამწონავი ღირსებაც აქვს საბედნიეროდ (ამაზეც უფრო ქვემოთ).

ხომ შეიძლება გამანადგურებლად შეფასებული პროფესიის წარმომადგენელმა (გამანადგურებელად, რადგან აგერ აქამდე არ ასვენებენ თავს დაძახილით: არ არსებობ, არ არსებობო!) მთელი სერიოზულობით მოგვახალოს: ეს დაწყვეტილი პროფესია და მოვალეობა რომ არა, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის, მახეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის, ოთმას მანისა და ელიოტის, ბულგაკოვისა და ბლოკის, აპდაიკისა და მარკესის შემდეგ დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში, ორიოდე მწერლის გარდა, ვისთვის უნდა დაკარგო დროო (ნურავინ ნუ ჩამითვლის ამ აზრს გადაკრულ ნათქვამად). აქ, უბრალოდ, მინდა მოგვაგონით ის საფრთხე, რაც მოდამ იქმნება ხოლმე კრიტიკისა და მწერლობის მოპირდაპირე მხარეებად წარმოდგენისას, დღეს მათ შორის ნამდვილად არის გაწოლილი უნდობლობის ფართო მდინარე.

საქმე კრიტიკისადმი ჩვენს დამოკიდებულებას ეხება. ეს გახლავთ „ცისკრის“ ანკეტის მეოთხე კითხვა, მაგრამ სიტყვა-პირველად მასზე ჩამოვაგდე. რადგან სწორედ დამოკიდებულების კულტურა და ხარისხი განსაზღვრავს ყველაფერს.

„ცისკარმა“ ანკეტები ამ დამოკიდებულების მოწესრიგების მიზნით გამოიყენა და არა იმისათვის, რომ ტრიბუნაზე მორიგეობით შემდგარმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა ერთმანეთს ტალახი ესროლონ.

მაგრამ ფაქტია, რომ მწერალთა მხრიე ტალახი უკვე ნასროლია და, ვფიქრობ, ამ დაუფიქრებლად ნასროლ ტალახს არ სჭირდება რაიმეს მიმატება. არა იმიტომ, თითქოს კრიტიკოსებს უფრო ჰმართებდეთ დიდსულოვნება, არამედ იმიტომ, რომ აუცილებელია ერთ-ერთი მხარე გამოფხიზლდეს და მწერალსა და კრიტიკოსს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის აღდგენაზე იზრუნოს.

დიახ, ძალიან ცუდია დღესდღეობით კრიტიკისადმი ჩვენი დამოკიდებულება. ნუ გაუკვირდება ანკეტის მონაწილე მწერალთა უმრავლესობას: მათ პასუხებში მე პირადად დავინახე უკმარისობის გრძნობა, დიდი ლიტერატურუ-

ლი უკმარისობის გრძნობა! პირადი, დაწვრილმანებული, დაპატარავებული, უკმაყოფილების გამონაყონი თქვენად გასდის მათი სიტყვების ქსოვილს.

კრიტიკა თვითონ არის უკმარობის გრძნობა, ერთი კარგი ნაწარმოებიდან მეორის, უკეთესის შესაქმნელად ლარივით რომ მოზიდავს მწერლის არსებას, ერთი მიღწეული სიმაღლიდან მეორეზე ასაფრენად რომ შეამართავს ეროვნულ მწერლობას. ამიტომ კრიტიკას — იმავე უკმარობის გრძნობას — **მიმდინარე პროცესში** მხოლოდ ხანმოკლე გახარებისა და გულის გათბობის უფლება აქვს, შემდგომ იგი უკვე ახლის შექმნის წყურვილით იმუხტება და სწორედ თავისი ნამდვილი ხასიათი არ აძლევს ნებას ხანგრძლივ ტკბებოდეს მოწეულით. მაშასადამე, იგი ყოველი მწერლის სულსა და გულში, მისი არსებობის ყოველ უჯრედშია გამჯდარი (უნდა იყოს გამჯდარი!) და განუყოფელი ნაწილია შექმნის ნიჭისა. მწერლობა, კრიტიკა — ეს ხომ პირობითი გამოცალკევებაა შედეგია. ლიტერატურას არასოდეს არ დავიწყნია მათი გენეტიკური ერთთანობის აუცილებლობა, მწერლისა და კრიტიკოსის ფიქრები, სულისკვეთება შექმნისა და შექმნილის განხხრეკის წადილი ერთმანეთს აწონასწორებენ, ერთმანეთს ან წინ ეზიდებიან, ან უკან.

აი, ეს სულისაგან განუყოფელი უკმარობის გრძნობა არ იკითხება ანკეტის მონაწილეთა პასუხებში. დამოკიდებულების კულტურის დაქვეითებაში ორივე მხარეს საკმაო ცოდვა მიგვიძღვის.

რამდენი ტკივილი მიგვიყენებია ჰწერლებისათვის, რამდენი შეიგონება ჩაგვიქრია გულგრილობის ნიაღვრით, რამდენი განწყობილება მოგვიშხამავს აუხსნელი დუმილით რამდენისთვის მიგვიყენებია სულიერი ტრავმა ანგარიშწორების ვნებათაღელვით, რაოდენი უსამართლობისა და უმადურობა! განცდა დაგვიგუბებია მწერალთა გულში, რამდენისათვის გაგვიუფასურებია შექმნის ხალისი! თუ კარგად დავაკვირდებით ანკეტაში მონაწილეთა პასუხებს, იქ გამჟღავნებულ ტკივილს, ვირწმუნებთ, რომ ბევრ მათგანს თავისი სულიერი ენერგიის აუნაზღაურებელი მარაგი დაუხარჯავს იმაზე ფიქრში, როდისა და როგორ დაფასდებოდა ღირსეულად მათი ღვაწლი. იმ სულიერი ენერგიის მარაგი რომ ისევ ნაწარმოებების შექმნას მოხმარებოდა, დღეს ქართული მწერლობა ორგზის მდიდარი წარმოსდგებოდა ჩვენს წინაშე. ყოველივე ამას ლიტერატურული ატმოსფეროს შელახვა ჰქვია.

დიახ, ჩვენ ჩვენის მხრივ არ გავეფრთხილდით უკმარობის გრძნობას, შევიმკვიდრეთ და გავამრავლეთ შეფიავათის ფორმა, შეფიავათის გამრავლებულმა ფორმებმა კი მწერალთა ხასიათში დაბადა თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენის სენი. ამიტომაცაა, რომ ანკეტის მონაწილეთა ეფრავლისობა სრულიად არ გრძნობს უხეხულობას, თავისი თაობის კრიტიკოსებსა და კრიტიკას საერთოდ ზემოდან რომ დაჰყურებს.

დამოკიდებულების კულტურის აღორძინებისათვის აუცილებელია კრიტიკამ თავის მხრივ, საყვედური უთხრას ნახევარძმას: მწერლობა გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აკრძალული ილეთებით ებრძვის კრიტიკას: 1. როდესაც პოეტზე თქმულ კარგ სიტყვას უმაყოფილოდ დუმილით ხვდება მეორე პოეტი, ამ დროს მწერლობა ებრძვის კრიტიკას; 2. როდესაც პროზაიკოსზე თქმული კარგი სიტყვა არ უხარია მეორე პროზაიკოსს. ამ ღროს მწერლობა ებრძვის კრიტიკას; 3. როდესაც კარგ პიესაზე (!) თქმული სიტყვა არ ეჭაშნიკება მეორე დრამატურგს, ამ დროს მწერლობა ებრძვის კრიტიკას. ეს ერთი შეხედვით უწყინარი, პასიური ფორმებია.

აქტიური ფორმები: 1. როდესაც ვერც ერთი ჟურნალ-გაზეთის რედაქტორი ვერ ბედავს ცნობილ მწერალზე უარყოფითი სიტყვის დასტამბვას, ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობა ებრძვის კრიტიკას; 2. როდესაც ცნობილი მწერლები სულ მცირე შენიშვნისათვის საყვედურობენ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, ამ დროს მწერლობა ებრძვის კრიტიკას: 3. როდესაც დაუძინებელ მტრად ვექცევით შენიშვნის ავტორს, ამ დროს მწერლობა თავისთავად, აშკარად ებრძვის კრიტიკას; 4. თქვენ ებრძვით მის ნერვებს, მისი არსებობის წესს; 5. თქვენ, აქედან გამომდინარე, გზას უხსნით სუსტი ნებისყოფისა და უპატიოსნო კრიტიკოსის ტიპს, რადგან ცნობილ მწერალზე „კრიტიკული" წერილი მაშინღა ჩნდება, თუ მავანი კრიტიკოსი გაბრაზებულია ცნობილ მწერალზე.

ბრძოლის კიდევ მრავალი ფორმა არსებობს. მაგრამ ერთს შეგახსენებთ: ცნობილი პოეტი, გუშინ რომ ირედით შემოჰყურებდა შენს გზას ქართულ კრიტიკაში, გამოქეყნდება თუ არა შენი წერილი თანამედროვე პოეზიაზე და ძასში, მისი ჭკუით, შესაფერისად არ ეეყოლება დაფასებული, მოვა ხალხში, სხვებს ხელს ჩამოართმევს, შენ ზურგს შეგაქცევს დემონსტრაციულად და წავა. ამ ფორმითაც ებრძვიან მწერლები კრიტიკას.

და კიდევ, როდესაც უბრალოდ შენიშვნის შემდეგ გაბოროტებული მწერალი ათასვგარ ჭორებს იგონებს და თხზავს კრიტიკოსზე, ამ დროსაც ებრძვის მწერლობა კრიტიკას.

ანკეტის მონაწილეებმა (თითო-ოროლას გამოკლებით) რომ განაცხადეს, კრიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილაო, ჯიუტად ერთ ადგილს ტკეპნისო, ამ განცხადებითაც ებრძვის მწერლობა კრიტიკას, რადგან ეს განცხადება უმადურობის გრძნობითაა გაჟღენთილი. ასეთი განცხადება უხეცესი კრიტიკოსებიდან მოყოლებული ყველაზე და მათ შორის ჩემზეც მტრული დამოკიდებულების შთაბეჭდილებას ახდენს.

კრიტიკოსს კრიტიკოსის ფსიქოლოგია უნდა ჰქონდეს. ამდენად მზად უნდა იყოს სავარაუდო რეაგირებისათვის. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში რეაგირება აკბარბებს ყოველგვარ ზომას, არღვევს ყოველგვარ ლიტერატურულ ფორმას. კრიტიკოსი თავისი ფსიქოლოგიით ლიტერატურული რეაგირებისათვის შეიძლება იყოს მზად და არა პირადი მტრობისათვის, ის კი არცთუ იშვიათად იჭრება მწერლობის შუაგულში.

მწერლობა იმ ფორმითაც ებრძვის კრიტიკას, რომ ყოველი საშუალებით ცდილობს მოსამსახურედ გაიხადოს თავისი ნახევარმა. მაგრამ ყოველივე ამან უკან დასწია არა მარტო კრიტიკა, არამედ, პირველ რიგში მწერლობა, რადგან ჩვენ ჩვენსავე თავში ჩავქოლეთ უკმაყოფილების გრძნობა, რომლის გამომაფეხიზლებელი შემართების გარეშე წინ ნაბიჯი ვერავის გადაუდგამს: კიდევ კარგი, რამდენიმე მონაწილეს მაინც არ დაავიწყდა მწერლობისა და კრიტიკის განუყოფელი მოლიანობა, და ამ პირობითი დაპირისპირების შემდეგ მეც მინდა ეს ორი ფენომენი კვლავ მთლიანი სახით დავიბრუნოთ უკან. თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის ნამდვილ დონეზე ყველაზე ზუსტი შეფასება ისევე რედაქციის წინასიტყვაობაშია მოცემული და მხოლოდ იქ გატარებული აზრი თუ იქნება, საბედნიეროდ, საზოგადოებრივი რეზონანსისა.

ჩემი მხრივ, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში დღეს კრიტიკა უადრესად საინტერესო შინაარსით იმუხტება. უფრო გარკვევით და მკვეთრად კი შემდეგი უნდა ითქვას: დღეს ქართულ მწერლობაში არ ძოღვაწეობს მწერალი, რომლის ნაწარმოებთა დონეზე ქართველი კრიტიკოსები წერილებს ვერ წერდნენ. ამის თქმით არ მცირდება არც ერთი გამოჩენილი მწერლის შემოქმედება. ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს იმდენი კარგი კრიტიკოსი, რამდენიც მწერალია, ამიტომ მხატვრული ნაწარმოებები უფრო მდიდრულად გამოიყურება და ასეც

უნდა იყოს, მაგრამ თვისობრივად მწერლობა და კრიტიკა დღეს ტოტალურად უდგებენ ერთმანეთს.

ქართულ ლიტერატურაში დღითიდღე მრავლდება თანამედროვე ლიტერატურის შესატყვისი ნაწარმოებები, ქართული მწერლობის სულიერ პოტენციის დიდი სამაღლეებისაკენ აქვს კურსი აღებული. და თუ ჩვენ გულდასმით გავეცნობით სალიტერატურო კრიტიკას, დავინახავთ, რომ იგი ღირსეული მონაწილეა ამ აღმასვლისა. შინაგანად ზემოქმედებს მუდამ აღიზიანებს უკმაობის გრძნობა, ეს გრძნობა მაინცდამაინც ტკბილ გემოს არ ტოვებს პირში. იქნებ ამიტომაც უპირთ მწერლებს, თავის მხრივ, ტკბილი სიტყვა თქვან კრიტიკოსებზე.

ლიტერატურის მთლიან პროცესში კი კრიტიკას აქვს ის ნაკლი, რაც შეიძლება ჰქონდეს მას, ასევე მწერლობას აქვს ის ნაკლი, რაც შეიძლება მას ჰქონდეს. კრიტიკისა და მწერლობის ვალია, ერთად გამოვიდნენ ამ ნაკლოვანებათა გარსიდან, ცალ-ცალკე ისინი ვერაფერს გახდებიან, ვინც ამ მთლიანობას დაივიწყებს და კრიტიკის მისამართით იტყვის, უძრავ მდგომარეობაშიაო, უნებურად ლიტერატურას აცხადებს მკვდარ სივრცედ.

სიტყვა გამიგრძელდა პირველ, მეორე და მეოთხე კითხვებზე, მაგრამ, მგონია, ამას აქვს თავისი გამამართლებელი მიზეზი.

3. მწერლების მონაწილეობის შედეგად კრიტიკაში ფასდაუდებელი განძია დაგროვილი, მაგრამ იმას, რასაც ჩვენ პირობითად კრიტიკას ეუწოდებთ, დამადებინო კრიტიკოსი სჭირდება, კრიტიკოსის ხასიათი, ბუნება სჭირდება. ასე რომ, მაინც ნუ შევეცდებით თომას მანისა და დოსტოევსკის წერილების პოტენციით იპოლიტე ტენისა და ბელინსკის კრიტიკა დავჩრდილოთ. სწორედ შემოქმედის ბუნება უშლით მათ ხელს კრიტიკაში კრიტიკოსებზე მაღლა დადგნენ, არა თუ დადგნენ, უბრალოდ, გაუტოლდნენ.

5. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში შესამჩნევი გამოცოცხლება თვით მწერლობის გამოცოცხლებას მოჰყვა. ეს პროცესი კი აგერ ოციოდე წლის წინათ დაიწყო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, ბუნებრივია, საგრძნობლად შეუწყო ხელი ამ საქმეს.

6. კრიტიკოსებსაც გვაქვს შშობლის გრძნობა, — ნუ გამოგვარჩევენებთ ჩვენი პირქუში სახის შვილებს ერთმანეთისაგან.

7. აღმანახი „კრიტიკა“ ალბათ, ყველაზე მეტად განიცდის იმ დამოკიდებულების სუსხს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, რადგან კრიტიკის მთავარი არტერია მის ფურცლებზე გადის. სწორედ მის ფურცლებზეა მოსავლელი, უპირველეს ყოვლისა, ის უკმაობის გრძნობა, ჩვენი სულიერი ენერგიის სამრეკლოდ რომ უნდა მიგვაჩნდეს.

რედაქციისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების შთაგონებულ შრომას ეროვნ ხუთწლედის მანძილზე და განაცხადა, საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მუშაკები, ყველანი, ვინი ნიჭიცა და პროფესიონალური უნარიც ემსახურება ხალხს, კომუნიზმის საქმეს, ულრმეს მაღლობას იმსახურებენო.

ასეთი დაფასება ჩვენი შრომის საბჭოთა შემოქმედებით ინტელიგენციას ძალიერ სტიმულს აძლევს ახალი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, სადაც უფრო დიდი სიმართლითა და შთაგონებით იქნება წარმოსახული საბჭოთა ხალხის ცხოვრება და შრომა. XXV ყრილობის ისტორიული დადგენილების შესრულებისათვის თავდადებული შრომა თითოეული ჩვენგანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლები მხარში დგებენენ რესპუბლიკის მშრომელებს მე-9 ხუთწლეულის ვალდებულებათა შესასრულებლათა თავდაუზოგავი შრომის დროს და დღეს მათთან ერთად იზიარებენ გამარჯვებით მონიგებულ სიხარულს. მაგრამ ჩვენ არა გვწევია წარმატებით თავბრუდახვევა, მთელი უურადღება ახლა უკვე მომავლისაკენ გვაქვს მიმართული. სიბუმოთა მწერლობა კვლავაც იქნება კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში.

ყრილობიდან ყრილობამდე ჩვენი ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრება სისხლსავსე იყო, შეიქმნა მრავალი ახალი ნაწარმოები, რომელთაგან ბევრმა ხალხის გულებისაკენ გაიკვლია გზა, მისი გულშრფელი სიყვარული დიამსახურა. მწერლობის ამ მოსაკაფს სჭირდება თავისი მოეარნახული და მომგელელი, ვინც გაანალიზებს ლიტერატურულ პროცესს, შეაფასებს და დააფასებს მწერლობის მიერ გაწეულ შრომას. ეს მისია სალიტერატურო კრიტიკაა ეკალესა.

ამ დარგის ერთგვარმა ჩაშორჩენამ განაპირობა ის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1972 წლის იანვარში მიიღო ცნობილი დადგენილება „სალიტერატურო და მხატვრული კრიტიკის შესახებ", რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საბჭოთა ლიტერატურისათვის თუ ხელოვნებისათვის. ამ დადგენილებამ ახალი ძალა და ენერგია შემატა საბჭოთა კრიტიკას, ახალი ამოცანები დაუყენა, რომელთა განხორციელება ნაშუალეობს, რომ კრიტიკა სულ უფრო მეტად აქტიურად და ნაყოფიერად შეასრულებს თავის მოვალეობას პარტიისა და ხალხის წინაშე.

სალიტერატურო კრიტიკა ამ ოთხი წლის მანძილზე, რაც ეს დადგენილება იქნა მიღებული, კიდევ უფრო მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას გრძნობდა პარტიის, ხალხის, მწერალთა საზოგადოებრიობის მხრიდან. სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე გამოდის ახალი საკავშირო ყურნალი „ლიტერატურნოე ობზორენიე", რომელმაც მოკლე ხანში მოიპოვა პოპულარობა ხალხოდაც და ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამ დადგენილებას უნდა გუმადლოდეთ, რომ ქართველმა კრიტიკოსებმა ბოლოს და ბოლოს მიიღეს თავიანთი ნანატანი ორგანო, ალმანახი „კრიტიკა", რომელიც თავისი პერიოდულობითაც და, რაც მთავარია, შინაარსითაც აშკარად სპეციალური ყურნალის როლს ასრულებს.

ჩვენს რედაქციას, მუნებრივია, აინტერესებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა მოეწყო „ცისკრის ნასეტი" კრიტიკის საკითხებზე.

ამა წლის № 1 დაიბეჭდა მწერლების პასუხები, ახლა კი, ამ ნომერში თავად კრიტიკოსებსაც მოეუბნინეთ. ანკეტები გამოკითხვის ისეთი ფორმაა, სადაც მოსალოდნელია ცალმხრივი და იქნებ ღრმად მცდარი მოსაზრებებიც. საწყუხარიოა, ამდაგვარი თითო-ოროლა შემთხვევა ხდებ არც მწერალთა მოსაზრებები იყო დაზღვეული და არც კრიტიკოსების.

ჩვენ ყველანი მოგმსწრენი და მონაწილენიცა ვართ ამ დიდი გარდაქმნებისა, რაც რესპუბლიკის ცხოვრებაში შეიმჩნევა უკანასკნელი წლების მანძილზე, პარტიული ხელმძღვანელობის განსახორციელ შემდეგ. სავსებით გასაგებია ის კეთილი სურვილები ზოგი ჩვენთაგანისა, რომ კიდევ უფრო ქმედითი და მნიშვნელოვანი იყოს მწერალთა მონაწილეობა საზოგადოების განვითარების პროცესში, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ფორმირებაში. მაგრამ ამის გამო შეუმჩნევლად და დაუფასებელი არ უნდა დაგვრჩეს ის, რაც უკვე გაკეთდა, რამაც ნაყოფი გამოიღო.

ზოგი მონაწილე ანკეტისა ლამაზმა ფრაზეოლოგიამ გაიტაცა და ამ ღრმის ხშირად ხდება ხოლმე, რომ ეეშმარიტება ხელიდან გაგვისხლტება. სიბუმოთა კრიტიკის წინაშე უალრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას, მათ შორის ისიც, რომ მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცეს იგი და ანალიზის სიღრმე და სიზუსტე შეახამოს მხატვრულ აზროვნებასთან. სალიტერატურო კრიტიკისათვის არც მშრალი სიმართლე იკმარებს და არც მხოლოდ მაღალფარფოლანი კაზეუსლიტუვაობა. ერთ-ერთი კრიტიკოსი წერს: „პირადად მე, უწონარეს ყოველისა, მაინტერესებს თვითონ კრიტიკოსის პიროვნება, ნისი, როგორც შემოქმედის, ხასიათი. მაინტერესებს მისი „სუბიექტური სამართლე", ამ სიმართლის გამოთქმის ფორმა, არტისტიზმი. ოეე, მალე მივხვდი. — იქნება მაშინვეც მივხვდი, რომ ობიექტურად სწორი არაა ის, რასაც მიმეკიცება კრიტიკოსი, მაგრამ მე ვმდელმა მას ამ მშვენიერი ილუზიისათვის, ამ პიანისტური ბომბიგვლელი „ხელსნისათვის", რომელიც ჩამიტარა" (№ 1, გვ. 113). ეს ერთგვარი კოეეტობაა ლამაზი ფრაზებით და სხვა არაფერი, რადგან სალიტერატურო კრიტიკაში თავვარი ჯერ სიმარილია და უკვე მერე — მისი გამოხატვის ფორმა.

როდესაც „ცისკრის" ანკეტას" ვიწყებდით, მოკლე სარედაქციო წინათქმაში ვწერდით: „ეტუობა, ოპოზიცია „მწერალი-კრიტიკოსი" მარადიული ფენომენია". ქართველ მწერლებს და კრიტიკოსებს კარგი, მეეობრული ურთიერთობა აქვთ ზშირად ერთმანეთთან. მაგრამ აქ საყოველთაო ერთსულოვნებას მოლოდინი გულუბრყვილობა იქნებოდა. ურთიერთ გაღიზიანების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უკმაყოფილების მაკვანძ ფორმებმა ამ ანეკდოტშიც ირინა თავი. ამას, ეტყობა, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, თუმცა არც ამირანდელი გრძნობების აშალა გამორიცხული. ჩვენი პროფესიის და მდგომარეობის ხალხს მეტი თავშეკავება გვმართებს, თანაც უფრო საზოგადო საქმე უნდა გვიდაფუძნებდეს, ვიდრე საკუთარი პატივმოყვარეობა. ასეთი უნდა და უმრავ�eული ფორმები მხოლოდ თითო-ოროლა თუ გამოერია პასუხებში. საერთოდ კი, ანეკდოტის ეროსნაწილეთა უმრავლესობა, მწერლებიცა და ოფიციალურ კრიტიკოსებიც, ჯერ მაინც უკმაყოფილოა ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობით და ამ შემდეგისადაგვარად კიდევ ასაბუთებს ტაქტითა და კეთილგანწყობილი მსჯელობით.

ეურნალის რედაქცია იზიარებს ამ კეთილგანწყობილი, მეგობრული შენიშვნების დიდ ნაწილს კრიტიკის მისამართით, კერძოდ, რომ ჯერ კიდევ ზშირია უფერული და უსახო ნაწარმოებებისადმი შემრიგებელური დამოკიდებულება, მეტისმეტად კომპლიმენტარია იგი და უხვად არიგებს მაღალფარდოვან ეპითეტებს, ზოგჯერ კიდევ მიმართავს მწერლის შეურაცხყოფელ, დაუსაბუთებელ ლანძღვას, ყველა ახასიათებს სიფრთხილით ნაკარნახევი „კეთილგონიერება", „ხალმანის" ინერცია, გავლენიან მწერლთა წინაშე რიდი და გაუბედაობა, სხვათა მიმართ კი ოხახი და ეოყორობა, წყრილშანი ანგარიშსწორება. დიახ, საბუნებაოდ, ამდაგვარი ხასიათის ნაკლი ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, მაგრამ ეს მაინც არ არის მიზი განმსაზღვრელი.

ქართულ კრიტიკას სხვა, უფრო არსებითი ხასიათის ნაკლიც გააჩნია. ზშირად კრიტიკოსი განსაზღვლელი წიგნის ფარგლებს არ სცილდება, არ უფარდებს მას ცხოვრების რეალურ ხუთრთს, ამ უველაზე უტეკუარ საზოგმს მხატვრული ნაწარმოებისა თანამედროვე თემაზე. კრიტიკოსს არანაკლებ სჭირდება ცხოვრებისეული პროცესების ღრმა ცოდნა, მხოლოდ ამის შეშველებით შეძლებს იგი სწორი ორიენტაციია მისცეს ლიტერატურულ პროცესს. სკკა ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მთავარი საკვედრებები იმის შესახებ, რომ დაბალია კრიტიკის ფილოსოფიური და ესთეტიკური დონე, ან კიდევ — რომ ან ეოფაზნის კრიტიკას უნარი ხელოვნების ნაწარმოების შეკრებისა ცხოვრებასთან, ჯერ კიდევ ბევრწილად რჩება ქართული კრიტიკის სუსტ მხარედ.

რედაქციამ სწორედ იმ მიზნით მოიწყო ეს ანკეტური გამოკითხვა, რომ გამოიშკარავებულიყო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ნაკლი და აქედან გამომდინარე, მისი დღევანდელი ამოცანებიც. ცხადია, მას მიზნად სულაც არა ჰქონია კრიტიკის „დამუშავება", წინააღმდეგ შემთხვევაში თავად კრიტიკოსებს ბოლოს არ მისცემდა სიტყვას.

დიახ, ქართულ სალიტერატურო კრიტიკას ჯერ კიდევ გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი თუ ხარვეზები, ამის შესახებ ჩვენს ანკეტებშიც თქვა და სხვებანაც, მაკრამ რედაქცია ვერაფერით ვერ გაიზიარებს ზოგიერთი მწერლისა და კრიტიკოსის იმ განცხადებას, თითქოს უკანასკნელი წლების მანძილზე მწერლობის ამ უბანზე არაფერი შეცვლილიყოს. მომხმარებლობა საკუთარი თავისადმი და მერე სხვებისადმიც კარგი საქმეა, მაგრამ ეს თვითვეფმაში ან სხვათა დაუფასებლობაში არ უნდა გადაიზარდოს.

რესპუბლიკის მწერალთა საზოგადოებრივობამ ბევრი რამ მოიმოქმედა სკკა ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების „სალიტერატურო და მხატვრული კრიტიკის შესახებ" ცხოვრებაში გასატარებლად. ამ დინჯსიფეთია ჩამოთვლილა კი შორს წავალ ეეს, მთავარი კი ის არის, რომ ქართულ კრიტიკას მართლაც დაეტყო ამ მაცოცხლებელი ძალის შთაბერვა. ამას ისიც დაემატა, რომ რესპუბლიკაში დიდად შეიცვალა საზოგადოებრივი ატმოსფერო, ჯანსაღი კრიტიკისაკენ ჩვენი ცხოვრების ყოველი უბნის მოთხოვნილებად იქცა. ყველფერმა ამან თავისი შედეგი უთუოდ გამოიღო და დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა ბევრად უფრო აქტიურია, შემართებულია, პრინციპული, მოქალაქეობრივი, ვიდრე წინა წლებისა. საზოგადოებრივი ცხოვრების ფეშვლობის პროცესი ქართულ კრიტიკასაც ახალი სიმძლეეებისაკენ ეზიდება და ჩვენი ვალია, მწერალთა კავშირის, სალიტერატურო ეურნალებისა თუ გაზეთის, მთელი ლიტერატურული საზოგადოების თუ საერთოდ საზოგადოებრივობის ვალია, ყოველმხრივ შეეწეუოთ მას ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲘᲙᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ა. სუმბათაშვილის სამსახიობო ხელოვნება ორგანულადაა დაკავშირებული შექსპირის დრამატურგიასთან. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან ყველაზე ბევრი გაკეთა რუსულ სცენაზე შექსპირის დრამატურგიის დამკვიდრების საქმეში. ჯერ კიდევ პუშკინის სახელობის ბრენოს თეატრში განსასიერა მან კლავდიუსის მხატვრული სახე „ჰამლეტში". ამის შემდეგ, დიდი მსახიობი სიცოცხლის ბოლო წლამდე მუდამ უბრუნდებოდა შექსპირს, ანსახიერებდა უკვდავ სახეებს მისი შემოქმედებიდან.

ა. სუმბათაშვილმა 16 მხატვრული სახე შექმნა შექსპირის ტრაგედიაში. ამდენი როლი არავის უთამაშია მაშინდელ თეატრში. დღეს შექსპირი იმდენად პოპულარული ა, რომ მის ტრაგედიებს პატარა პროვინციულ თეატრებშიც დგამენ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი შექსპირი რუსულ სცენაზე იშვიათობა იყო.

ლეგენდები დადიოდა მოჩალოვის ჰამლეტზე. დასავლეთევროპელმა ვასტროლიორებმა (ბისარტი, სალვინი, როსი) საიდუმლოებით მოცული ისეთი ფსიქოლოგიური გარემო შექმნეს შექსპირის დრამატურგიის ირგვლივ, რომ დიდი რუსი მსახიობიც კი ზოგჯერ ერიდებოდა მას.

ცნობილი რუსი თეატრმცოდნე პ. ფილიპოვი წერს: „ჟორჟეველა და დოლმატოვის ცდები წარმატება არ მოჰყოლია, დიდმა ლენსკიმ — შესანიშნავმა ბენედიქტმა, პეტრუჩიომ და ფოლსტაფმა — საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობის გამო, ადრე შეწყვეტა გამოსვლები არა მარტო „ჰამლეტში" არამედ „ოტელოსა" და „რიჩარდშიც". და მართლაც, ვ. ვ. დოლმატოვის გამოსვლა ჰამლეტის როლში არსებითად მარტივი დამთავრდა.[2] ხოლო ფ. ა. ბუროვემა „აწკარად ვერ დაძლია მეფე ლირის სახე.[3]

ასეთ პირობებში, დიდი სასცენო ნიჭის გარდა, საჭირო იყო დიდი გამბედაობა და ნებისყოფა შექსპირის დრამატურგიასთან შესაბედნიერებლად. საესებით სამართლიანად წერდა ნ. ეფროსი, რომ იოფინი შექსპირის როლების განსახიერებელ მსახიობთა შორის ყველაზე დიდი იყო რუსეთში.[4]

შექსპირისა და საერთოდ, ჰეროიკულ-რომანტიკულ დრამატურგიის გზა გაეხსნა მცირე თეატრის სცენაზე XIX საუკუნის 80-იან წლებში. ეს იყო პროტესტი მცირე თეატრის დასისა იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც რუსეთის ცარიზმი რეაქციის წლებში ახორციელებდა. ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მცირე თეატრი ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის უკეთილშობილესი იდეალებისათვის ბრძოლით პასუხობდა.

ჰეროიკულ-რომანტიკული რეპერტუარის სულისჩამდგმელები მცირე თეატრის სცენაზე იყვნენ მ. ნ. ერმოლოვა, ა. ი. იოფინი და ა. პ. ლენსკი. მათ თეატრალურმა რუსეთმა საესებით სამართლიანად შეარქვა „ბრწყინვალე მსახიობთა ტრიო."

ა. სუმბათაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაძალული ბრძოლის ხანაში. ცარიზმის ბატონობა, რომელმაც ხალხს არგუნა ტირანია, კატორღული შრომა, სიღატაკე, უთანასწორობა და უსამართლობა, მასებში სხვადასხვა სახითა და სი-

მძლავრით წარმოქმნილი პროტესტისა და რევოლუციური ბრძოლის განწყობილებას.

რევოლუციური ნაროდნიკების თეორიას „აქტიური გმირის“ შესახებ, რევოლუციურ დემოკრატიზმსა და მოშუთა კლასის რევოლუციურ მოძრაობას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ არ შეეძლო არ წარმოშვა ისეთი ხელოვნება და ლიტერატურა, რომელიც ხალხს გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

მცირე თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკული ხელოვნება ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო ამ პროგრესული, მოწინავე ხელოვნებისა და ლიტერატურისა.

მოწინავე იდეალების მატარებელ ამვგარ სპექტაკლებში „მსახიობთა ტრიო“ — მ. ერმოლოვა, ა. იუკინი, ა. ლენსკი, როგორც წესი, მთავარ, წამყვან როლებს თამაშობდნენ. მხატვრული სახეების განსახიერებისას ისინი ყველანენბიდნენ როგორც მხატვარი რეალისტები, ცდილობდნენ ნათლად, მკაფიოდ და გასაგებად მიეტანათ მაყურებლამდე ნაწარმოების მხატვრულ-იდეური ჩანაფიქრი, თანამედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კული მგზნებარება უცხოა ლენსკის თეატრული დიალაზონისათვის".[8]

ამის შემდეგ ნ. ზოგრაფი შესაძლებლად თვლის ამგვარად დაუპირისპიროს ლენსკის ოტელო ა. იუენის ოტელოს: „ოტელოს როლის ლენსკისეული შესრულების თავისებურება ადვილად შეიძლება გამოჩნდეს, თუ მას შევადარებთ იუენის ოტელოს. იუენის შეკპირისეული სახეებისათვის დამახასიათებელია სცენის პირობითი გმირული იდეალიზაცია, მონუმენტურად ამაღლებული სტილი, ნათელი მგზნებარება, დეკლამაციის ბრწყინვალება... ლენსკი კი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა გაეხსნა ხასიათის ფსიქოლოგიური სირთულე და სიმდიდრე; ზოგ შემთხვევაში იგი აღწევდა კიდეც ამას სახის მთლიანობისა და სცენური ფორმის ნათელ გამოსახულებათა საზიანოდ".[9]

ჯერ ერთი, რა საპიროა ასეთი უმართებული დაპირისპირება ორი დიდი მსახიობისა. მეორეც, როგორც დავინახეთ, ნ. ზოგრაფის მტკიცება უსაფუძვლო. მესამეც, როგორ შეიძლება უჩვენო „ხასიათის სიმდიდრე", თუ შექმნილი მხატვრული სახე მოკლებული მთლიანობას, თუ იგი მონოლითური არ არის?

ახლა კი მოვუსმინოთ თვით ა. ლენსკის. 1890/91 წლის თეატრალური სეზონის წინ ა. სუმბათოვ-შაფილმა საგანგებო წერილით სთხოვა ლენსკის ეთამაშა მარკოს ანტონიოსის როლი შეკპირის „ოფელის კეისარში". ა. იუენი ამასთანავე დასძენდა, რომ ლენსკის ეს ნაბიჯი აუცილებელია არა მარტო თეატრის, არამედ თვით ა. ლენსკის შემოქმედებით ავტორიტეტისათვის. ამაზე ა. ლენსკიმ უპასუხა: „მე უარი ვთქვი ჰერიოიულ როლებზე და არ დავუბრუნდები მათ არასდროს. არაფრის გულისათვის. 15 წლის განმავლობაში დამკინოდნენ, როგორც ლეკსებითა და პროზით, ასევე ტამბოვად, ჩიჩერუოთთა და ნახატებითაც კი. მიმტკიცებდნენ ჩემს გამოუსადეგრობას ასეთი სახის როლებისათვის. თუმცა ჩემთვის ეს ძალზე მტკივნეული იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე ეს დავიჯერე და ჩემი გადარწმუნება ახლა შეუძლებელია.

მე რომ ჩემი თავისათვის შეეკპირის როლების თამაშის უფლება მიმეცა, ნუთუ ფიქრობ, რომ არ გამახსენდებოდა ანტონიოსის, ლირის ან შაილოკის სახეები, როცა ვეძებდი სპენციფისოდ პიესებს წარსულშიც და ახლაც?

ნუ გეწყინებათ, მაგრამ არ შემიძლია, არა და არ შემიძლია.

შენი ა. ლენსკი".[10]

ორგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ახლა მოვუსმენთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ერთ დროს პეტერბურგის ალექსანდრეს სამეფო თეატრის ხელმძღვანელს, ლენსკისა და იუენის მოწაფეს ი. მ. იუტევს, იგი წერდა: „ლენსკი-რომეო — ეს გასაგებია. იუენი — არავითარ შემთხვევაში. მაგრამ სამაგიეროდ იუენი — კარლოს V „ერნანდან", ან იუენი — მაკბეტი. აქ იუენის ეკუთვნის პირველობა ლირიოს ლენსკისთან შედარებით. ლენსკი მეტისმეტად რბილია, უკეთ რომ ეთქვათ, მეტისმეტად გამჭვირვალე; მისი სცენური მონაცემები ნაკლებად გაჭოსადგენა უდრეკი, ძლიერი ნებისყოფის როლებისათვის. იგი ოოგორღაც მთლანად თოლიეთი თეორი მარმარილოსგანაა ნაგები, მაშინ როდესაც იუენი ჩამოსხმულია მაგარი ლითონნიდან, გამოქედილია ბრინჯაოსაგან".[11]

ა. სუმბათოშვილი იყო ერთ-ერთი იმ რჩეულთაგანი, რომელნიც უნივერსალური სამსახიობო ტალანტი შერწყმულია მრავალფეროვან შემოქმედებით უნართან. თანამედროვეენ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ სუმბათოშვილისათვის მსახიობობა იყო არა „მეორე ნატურა", არამედ მისი პირველი, ძირითადი ნატურა, მისი შინაგანი მოთხოვნილება. ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ა. კუგელი წერდა, რომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — სახლში, სტუმრად, სამოგზაურობრივ შეკრებაზე, წვეულებაზე თუ სცენაზე, — ყველგან ერთნაირი, ერთი და იგივე იყო. ა. სუმბათოშვილი — ლაშარი და მგზნებარე, პათეტიური და შემართებული, თეატალური, რომელიც კი არ ლაპარაკობდა, არამედ „მონოლოგირებდა". იგი იყო სასიამოვნოდ სცენური ცხოვრებაში და ცხოვრებისეულად სასიამოვნო სცენაზე.

ა. კუგელი წერდა: „მას არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივობა ცხოვრებასა და ხელოვნებაში. იგი მიისწრაფოდა ეთამაშა პირო

ნობით გარსულებული შემოქმედებითი ამოცანების დაძლევისა, შემოქმედებითი სრულყოფისა: მას შეეძლო განეზოგადად ეშრომა, მუდამვან ემეცადინა თეატრალური ისტატობის დასახეწად. ამ მხრივ იგი იყო ეშეშარტად იდეალური მსახიობი, უფრეკი ნებისყოფითა და მიზანსწრაფვით. ეშრომა სულიერი სრულყოფისათვის, ეშრომა მხატვრული ზრდისათვის, — აი, ცხოვრების მიზანი, აი ადამიანის მიზანი დასახელობა. და, ამ რწმენით ზეთაგონებული, იგი მარადიული სათაურ წარმატებებს აღწევდა.

ა. სუმბათაშვილს შეეძლო წლების განმავლობაში ეშრომა ერთსა და იმავე მხატვრულ სახეზე და საბოლოოდ იგი მხატვრულ სრულყოფამდე მიეყვანა. მისი თანამედროვე თეატრალური კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ, როდესაც მას მეორედ ნახულობდნენ რიმეკლიდ წარმოდგენაში, როგორც ჭეკი, მის მიერ შექმნილი სახე უკვე სხვა იყო, ბევრად უფრო გამდიდრებული, გაღრმავებული, მიმზიდველი, თეატრალური და დამაჯერებელი.

იგი ამავე დროს გამეფდებით მეშაობდა საკუთარი მხატვრული ნიჭის განვითარებაზე. გონების ფუნქციონალური ვარჯიშით იგი იძიებდრებდა არა მარტო ცოდნას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ მხატვრულ ნიჭსაც. იფართოებდა მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასშტაბებსა და საზღვრებს.

ა. სუმბათაშვილს ეპოქაში მეცნიერებას არ შეეძლო ადამიანის შემოქმედებითი განვითარების ამ ფენომენის ახსნა. თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევები ადგილად ხსნის გონებისა და ემოციების განვითარების მექანიზმს ფუნქციონალური ვარჯიშის გზით.

ასე, თვითანალიზის, ფუნქციონალური ვარჯიშის გზით იგი ივითარებდა და იძიებდრებდა მეხსიერებას, შემოქმედებითი დამკვირვებლობის, აღქმის, ხმის მოდულაციის, ინტონაციის, სიმძლავრისა და ელეგანტურის ფლობა. ცხობილია რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში სუმბათაშვილს ცუდი მეხსიერება ჰქონდა, უიმისოდ კი ანელი წარმოსადგენია სამსახიობო მოღვაწეობა. მცირე თეატრის სცენაზე მეშაობის პირველ წლებში იგი სთხოვდა თეატრის დირეკტიას, რომ, ცუდი მეხსიერების გამო, მისთვის როლები ერთი წლით ადრე მეეცოდ, რათა დრო ჰქონდეა მისი შესწავლისათვის. ეს გარემოება მრავალ სირთულეს უქმნიდა მსახიობსაც და თეატრსაც. მაგრამ უკვე 80-იანი წლების მიწურულში იგი შეუდგა საკუთარი მეხსიერების გაძლიერებას და მოახდა „სასწაული“ — 40 წლის მსახიობს ისე განუვითარდა მეხსიერება, რომ მეგობრებისა და სპეციალისტების გაოცებას იწვევდა. საოცარი კი აქ არაფერი იყო. მეხსიერების ფუნქციონალური ვარჯიშის შედეგად მან თითქოს მიაღწიეველს მიაღწია.

ესევ ივარაუდებდა იგი ნიჭს სამსახიობო ხელოვნების სხვადასხვა ამბავლები. ამის შედეგად ის თანაბრად სარბენრესო იყო ეფექტურ ყველა როლში, მიუხედავად ხასიათისა და ეპოქისა, თავისი თეატრალური ცხოვრების მანძილზე მან შეასრულა რამდენიმე ათეული როლი, დაწყებული ვოდევიერი ხასიათის მოარშიეე ფარანტი და დამთავრებული შექსპირის ჰამლეტით. როგორც აღნაშნავდნენ იმ დროის თეატრმცოდნეები, ა. სუმბათაშვილი ძალი ორსებით მოისწრაფოდა შექსპირის ტრაგედიებისა და პიესის რომანტიკული დრამებისაკენ. ეს მისწრაფება ჩეროიკელ-რომანტიკული დრამატურგიისადმი მას ჩვეულთა ჯერ კიდევ ახალიში, გიმნაზიაში სწავლის წლებში.

ა. სუმბათაშვილის ბავშვობა და ყრმობა საქართველოსთანა დაკავშირებული. მეოცნებე ჭაბუკი იზრდებოდა იმ პერიოდში, როდა ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და განვითარდა განმათავისუფლებელი მოძრაობის რეალისტიკურ-დემოკრატიული იდეოლოგია. ამ იდეოლოგიამ თავისი გავლენა მოახდინა მომავალი მსახიობისა და დრამატურგის, სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე. აქ ისაცაა ყურადსაღები, რომ ილია ჭავჭავაძე ეპატეკის მამის, იგანე სუმბათაშვილის ახლო მეგობარი იყო და ზშრიად სტუმრობდა მის ოჯახში.

სულიერი კულტურა ერის ისტორიული განვითარების თავისებურებათა ამსახველია. იგი გამოხატავს ეროვნულ ფსიქოლოგიას, ხალხის ზნრეებსა და ფიქრებს. ისტორიულად ქართული ხალხის ცხოვრება დრამატული და ტრაგიკული იყო სიტყვნების განმავლობაში. ქართლის მატიანე ლასვსავა ეფაკაცური შემოქმედი, მზნე და ამაყი ხალხის მგრძობელი. უბედობამ, გაკვირვებამ, რმებმა, ბრძოლამ ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის გაკაკვა ხალხის ნებისყოფა, უფრეკი გახადა მისი სული. ეს გმირული ფურცლები ხალხის ისტორიისა ეკუმშარი კულტურამ — ხელოვნებისა ლიტერატურამ და თეატრმა.

ცხადია, ახალგაზრდა ა. სუმბათაშვილის პიროვნებაც ამ ისტორიისა და კულტურის ზეგავლენით ყალიბდებოდა.

ირსებობდა მეორე სტიმულიც: ეს იყო მისი საყვარელი დედა, თავის დროზე მეტად განაღლებული და კულტურული ქალი, რომელმაც ჩაენერგა მას სიყვარული ეროვიულ-რომანტიკული ხასიათის ლიტერატურისადმი. დედის ზეგავლენით იგი დაეწაფა შექსპირის, პუშკინის, პიუგოსა და ვალტერ სკოტის შემოქმედებას, რამაც მასში გმირობის, ეფაკაცობისა და კაცობიფაკერობის სულისკვეთება აღზარდა, როგორც ნ. ეფრონი წერდა, თბილისში სდამოობით დედის მონაყოლის ზეგავლენით, რომელიც ზღაპრებს შექსპირთან და გიქტერ პიუგოთი ცვლიდა, ეყრებოდა სადუღეული სიყვარულსა და მხატვრულ გემოვნებას, რომლითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუელნი მოვიდა სცენაზე... და როდესაც ფრანგულმა ალადინამ იგი პალმის ტოტით დაჯილდოვა პიუგოს როლების ბრწყინვალე შესრულებისთვის, ამ წარმატების ისეზიარე იყო ედდის ამაგი, ის თბილისური სალამოები...13

მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ისტორიულ და ოჯახურ გარემოს არ შეეძლო განესაზღვრა ა. სუმბათაშვილის თეატრალური კრედო. ა. სუმბათაშვილის მთელი სამსახიობო და მხატვრული არსება, მისი სულიერი სამყარო კარგად ეხამბოდა პერროიულ-რომანტიკულ დრამატურგიას. მისი ახოვანი გარეგნობა, ხავერდოვანი ბარიტონი, ულეველი მეზნებარება და ტემპერამენტი, სათაური ემოციურობა და მაღალი ინტელექტი სავსებით პასუხობდა იმ მაღალ მოთხოვნებს, რასაც ჰერროიული და რომანტიკული დრამატურგია, ამ შემთხვევაში კი შექსპირის ტრაგედიები, უყვნებდა მსახიობს.

იგი დაბადებული იო ჰერროიულ-რომანტიკული როლებისათვის და, ამდენად, მის მიერ ამ ჟანრში შექმნილი მხატვრული სახეები ბუნებრივად და ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ა. სუმბათაშვილში ტრაგიკული და რომანტიკული ერთ მთლიანობაში იყო მოკავშირე. ტრაგიკულ როლებს, როგორც წესი, ყოველთვის ახლავს რაღაც ხელოვნური, არამეგნერული, რადგანაც გმირული არ არის „ჭეშმარიტი“, მაგრამ დიდი მსახიობი იმიტომაცაა დიდი, რომ მას ძალუძს დაძლიოს ეს ბარიერი და როგორ ტრაგიკული სახე ფსიქოლოგიურად მოტივირებულად აქციოს.

ა. სუმბათაშვილმა თავისი მოღვაწეობა მცირე თეატრში იმით დაიწყო, რომ მ. ერმოლოვასა და ა. ლენსკისთან ერთად ტატიანენი შრომა გასწია იმისათვის, რათა დაემკვიდრებინა სცენაზე შექსპირისა და პიუგოს ტრაგედიები თეატრმაგები. 80-90-იანი წლები მცირე თეატრში იყო პერიოდი ერმოლოვას, ლენსკისა და იუელნის ტალანტის გაფურჩქნისა გმირულ და რომანტიკულ ორამატურგიაში; ეს იყო მაგი ოქროვანის წლები.

ა. იუელნის ბოგრატიონ, ცნობილი რუსი თეატრმცოდნე ელ. ფილიპოვი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „...სწორედ მას (იუელნს, დ. ჩ.) უნდა უმადლოდეს ბევრადენი წინაპერიოდის რუსული თეატრი, რომ შექსპირის ნაწარმოებები დაეფრწყვნა ან იყო მიეცემელი“14.

ცხადია, ყველა სახე, შექმნილი ა. იუელნის მიერ შექსპირის თეატრში, არ იდგა ერთ დონეზე: ყველა არ იყო ხელოვნების შედევრი. იყო შემთხვევები, როდესაც თეატრალური კრიტიკა გამოთქვამდა შენიშვნებს ცალკეულ როლებთან დაკავშირებით. მაგრამ ეს არ არის ესსენციალური; მთავარია ის, რომ მისი მაგბეტი და რიჩარდი, ოტელო და შალო�n, იაგო და ჰამლეტი მთელი ეპოქა თეატრალური ხელოვნების ისტორიაში.

„ტრაგედიის მუზამ ვეარგანენ დაადგა ოდენ ერნს, — წერდა მიხაილოსკი, — ყველგან ცხოვრობდნენ სიტყვის უდიდესი ოსტატები... მათ დიტოოვეს კაბალრიობას უძეირფასესი მეგზეურიდენიმ: ნათელი, ბრწყინვალე სილამაზე სახეებისა, აზრის სიღიდე... მაგრამ... ტრაგედიის მუზა ასე ცოტას თუ ადგამს თავზე დიდებულ-ს ვეიერგენს! ამისათვის, რომ სცენაზე განასახიერო ტრაგიკული სახე, საჭიროა დაიბადო ტრაგედიისათვის... და რიცა ეფეკრობთ ამის შესახებ, თუ რა ხდება თეატრის ყულტურაზე, ჩვენ ამ ეიდის თვალით, დიდი სიყვარულით შეეყურებთ ა. ი. იუელნს... ‹ერ კიდევ ეოცხლობს ტრაგედია, ჯერ კიდევ არის ადამიანი, ესოდენ შესწეგს უნარი რუსულ სცენაზე განასახიეროს ტრაგედიათა ეუდადეკ სახეები და ყველა თვალწინ დაგეიყენოს დიადი ხელოვნება, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე უნათებს ბაზას კაცობრიობას“15.

შეიძლება იდავო იმაზე, თუ რა იყო სუმბათაშვილის სამსახიობო ხელოვნებაში მთავარი — რომანტიკული თუ ჰერროიულ-ტრაგიკული როლები, საც, რომელ ამპლუაში უფრო ირნინა თავი მისმა ტალანტმა. ეს მარადიული დიდი დისკუსიის საგანი იყო თეატრალურ კრიტიკაში 50-60 წლის განმავლობაში. მაგრამ ერთი რაგ ცხადია: იუელნი „ყველაზე დიდი რუსი მსახიობია მათ შორის, რომლებიც შექსპირის ტრაგედიებში თამაშობენენ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე რეპერტუარის წინ“ (ნ. ეფროსი). „მაგრამ იგი არა მარტო ყველაზე დიდი“, ამავე დროს „ერთადერთი დიდი მსახიობია და, ეტეკვარეშეა, იუელნს რომ მარტოოდენ დიდი ინგლისელი დრამატურგის როლები ითამაშა და არ ჰქონოდა წარმატებანი სხვა პიესებში, მისი სახელი მაინც შეეიდოდა რუსული ოეატრის ისტორიაში. როგორც უკანასკნელი გმირული მსახიობისა ოტმბრამდელ ეპოქაში“16.

მის მიერ შესრულებული პირველი როლი შექსპირის დრამატურგიიდან იყო „ლუკეციოსენ „ჰამლეტში“ 1881-1882 წლების სეზონში, ბრენკის პუშკინის სახელობის თეატრში. ა. სუმბათაშვილი თავის „მოკლე ნუსხაში“ წერს, რომ ამ როლით მან „მიიპყრო მთელი დასის ყურადღება“.17 ამას, მოყვა ლაერტის როლი „ჰამლეტში“, რომელიც მან უკვე მცირე თეატრის სცენაზე ითამაშა 1883-84 წლების სეზონში.

მაგრამ ნამდვილი აღიარება მას ოტელოს ეკისის როლმა მოიტანა, რომელიც მან „ანტონიოს და კლეოპატრაში“ ითამაშა 1886-87 წლების სეზონში. ა. იუელნი წერდა: ამ წლის რეპერტუარში წარმატება ძირითადად მომიტანია კეისრის როლმა „ანტონიოს და კლეოპატ-

დავით ჩაიკიძეშვილი
სუბმაკუთვნილი და შეძლებრივ თეატრი

რაში". ადრე მე გულთბილად მომიღეს ლაგრის როლში. ეს იყო მეორე როლი შექსპირის დრამატურგიიდან. რომელსაც მოჰყვა ჩემი აღიარება მცირე თეატრში[18]. ა. სუმბათაშვილის ეს სიტყვები მუტად საყურადღებოა. საქმე ისაა, რომ მისმა გამოჩენამ თეატრში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. ასეთი ვითარები, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა ახალგაზრდა მსახიობის განწყობილებაზე, რადგანაც, ცნობილია, რომ ნორმალური ვითარებაშიც კი უჭირთ ახალგაზრდა, მით უმეტეს, ნიჭიერ მსახიობებს ძაღლორნ თეატრში ოდითგანვე გამეფებული კონსერვატიზმი და აღიარება მოიპოვონ. საგულისხმოა, რომ სწორედ შექსპირისა და ჰიუგოს ტრაგედიებმა და დრამებმა მოუტანეს პირველი წარმატება მსახიობს.

ა. იუენის არქივში ინახება ერთი მუტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ნათელს ჰფენს მსახიობის მიერ კეისრის როლის შესრულებას. ესაა „რუსკაია მილლის" რედაქტორის — ლაგროვის პირადი წერილი სუმბათაშვილისადმი. ლაგროვი წერს, რომ ბანკეტზე, რომელიც ერნსტ პისარმის[19] პატივსაცემად მოეწყო, ე. პისარმა ჩაზღასმით აღნიშნა ა. იუენის — მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობის — დიდი ნიჭი და მიუთითა, რომ მას დიდი მომავალი აქვსო. ა. იუენის კეისარმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ა. ლენსკიზეც. სწორედ ამ როლით მიიქცია სუმბათაშვილმა, როგორც ტრაგიკული ალანის მსახიობმა, ლენსკის ყურადღება. საგულისხმოა, რომ ა. ლენსკიმ, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან კარგად ხატავდა, საკანგებოდ ჩახატა იუენი ამ როლში.

შემდეგი იყო იაგოს როლი, რომელიც მან 1888 წლის თებერვალში შეასრულა ა. ლენსკის ბენეფისზე.

იაგოს როლი იუენმა მოკლე ხანში მოამზადა: ა. ლენსკიმ მას ეს როლი ბენეფისამდე სულ რადაც 20 დღით ადრე შესთავაზა. ა. სუმბათაშვილი ნაუჯდა როლს, ღამეებს ათენებდა მის დამუშავებაზე. როგორც მსახიობის მეუღლე იგონებდა, ეს იყო ძალზე მძიმე დღეები მის ცხოვრებაში. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ იუენის მცირე დრო ჰქონდა როლის დასამუშავებლად; მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ა. სუმბათაშვილი შეყვარებული იყო ოტელოს მხატვრულ სახეზე, ზეპირად იცოდა როლი, პროვინციულ სცენებზე გასტროლების დროს ბევრჯერ ასრულებდა მას, ამჯერად კი იაგოს სახის შექმნაზე უხდებოდა მუშაობა. „მას ხელს უშლიდა ოტელოს როლის ცოდნა და საყვარული მისდამი — იგონებდა მ. სუმბათოვა, — რეპეტიციების დროს მას სულ უფრო მეტად იტაცებდა ოტელოს მონოლოგები, ივიწყებდა, რომ შეასრულებინა იაგოს როლი, და მე ბახრჩობდა [illegible] კარგ დეზდემონასს... 30 წლის იუენი [illegible] ფდა პათოსი და ტემპერამენტი"[20]

თებერვლის მიწურულში შედგა ა. ლენსკის ბენეფისი, დადგა „ოტელო".

ა. ლენსკი მუტად ნერვიულობდა ბენეფისის წინ. მოსკოველ მაყურებელს კარგად ახსოვდა დიდი იტალიელი ტრაგიკოსის თომაზო სალვინის ოტელო, მისი ძლიერი ფიგური, ლომისებრი მოძრაობა, ხმის ფართო დიაპაზონი, მისი ულუკი ტემპერამენტი. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ა. ლენსკი რთული ამოცანის წინაშე იდგა. იგი იმდენად ნერვიულობდა, რომ პირველი მოქმედების შემდეგ განუცხადა ჩერნიშევსკის (თეატრის მმართველს), რომ მას ალარა აქვს ძალა დაამთავროს სპექტაკლი. იძულებული შექნენ კულისებში ვამოეძახათ მისი მეუღლე, რომელმაც დაამშვიდა დიდი მსახიობი. ლენსკიმ დაძლია ნერვიულობა და წარმატებით დაამთავრა სპექტაკლი. განსაკუთრებით კარგი იყო ლენსკი მეოთხე მოქმედებაში. დეზდემონასთან სცენა მან ისე ძლიერად ჩაატარა, რომ მაყურებელი დიდ ხანს არ უშვებდა სცენიდან. მაგრამ ლენსკის ოტელოს როლი ამის შემდეგ ალარ უთამაშია.

მ. ერმოლოვა დეზდემონას როლში ქმნიდა წმინდა, შეუყვარებელ და სათნოებით სავსე ქალის სახეს. მისი დეზდემონა იყო საოცრად ლირიკული, პოეტური, ჰაეროვანი.

იაგოს როლი ა. სუმბათაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა. მოსკოვის პრესა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ა. სუმბათაშვილმა შექმნა იაგოს შთამბეჭდავი სახე, რომელიც ოქროს ასოებით შევა რუსულ შექსპირიანაში. მართალია ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა, რომ იუენის იაგო მოგვაგონებს დიდი გერმანელი ტრაგიკოსის პისარტის იაგოსო, მაგრამ იუენის მანამდე არასოდეს უნახავს პისარტი, და თუ ეს მსგავსება მართლაც არსებობდა, იგი იუენის გამარჯვებაზე მეტყველებდა. იუენმა დახატა იაგოს საოცრად ცბიერი და ბოროტი სახე, რომელიც თავის შავ ზრახვებს ოსტატურად მალავდა ეკთილი და პატიოსანი ადამიანის სამოსელში. ერთ-ერთი თანამედროვე იგონებდა: „მაყურებლის თვალწინ იყო გასაოცრად ავბედითი სახე ცივი, თავხედი, ვეროვანი, ხოლო გარეგნულად — ქეიშქეიშა, შემპარავი და მლიქნელი იაგოსი... მსახიობი შეუდარებელი ოტელტობით ძერწავდა წინდახედული იაგოს ნიღაბს, რომლის შემწეობითაც მაყურებლისათვის ცხადი ხდებოდა, თუ რატომ გამოიყურებოდა ეს გულქვა, ყინულივით ცივი ადამიანი გარშემომყოფთა თვალში პატიოსან, ეკთილშობილ და მართალ კაცად. იუენის ოტატური თამაში უდიდეს, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა"[21].

1900 წლის აპრილში მცირე თეატრის სცე-

ნაზე ოტელოს როლი განასახიერა რუსეთში საგასტროლოდ ჩამოსულმა ცნობილმა ესპანელმა ტრაგიკოსმა თ. სალვინიმ. იაგოს როლს ა. სუმბათაშვილი ასრულებდა. თეატრალური კრიტიკოსი ს. გ. ყარა-მურზა წერდა, რომ იაგო-იუჟინი ოტელო-სალვინის ეშმარიტად ღირსეული პარტნიორი იყო"[22].

მაგრამ საყოველთაო აღიარება, როგორც შექსპირის ტრაგედიის მსახიობისა, ა. იუჟინს მოუტანა მაკბეტის როლმა. იგი მან 1890 წლის იანვარში შეასრულა გ. ფედოტოვას बენეფისზე.

1889 წელს, თებერვლის ერთ-ერთ საღამოს, სუმბათაშვილის ოჯახს მოულოდნელად მეტად პატივსაცემი ადამიანი ესტუმრა, ეს იყო გ. ნ. ფედოტოვა. სუმბათაშვილის ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. აქ ძალიან ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები, იმართებოდა კამათი თეატრისა და ხელოვნების საკითხებზე, იშლებოდა გულუხვი ქართული სუფრა. მაგრამ გ. ფედოტოვა იმ დღეს არაერნ ელოდა. კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა გ. ფედოტოვას წინადადება: მან სთხოვა ა. სუმბათაშვილს ეთამაშა მაკბეტის როლი მის მორიგ बენეფისზე. ეს იყო მოულოდნელი წინადადება, რადგანაც ფედოტოვა პარტნიორების შერჩევისას მანამდე უპირატესობას ყოველთვის ლენსკოსა და რიბაკოს ანიჭებდა. მართალია, ლენსკიმ რამდენიმე ჩერსის წინათ მოსინჯა მაკბეტის როლი, რეპეტიციაც კი ჩაატარა და შემდეგ უარი განაცხადა მასზე, მაგრამ რიბაკოს ზომ ასეთი ცდა არ ჩაუტარებია.

ფედოტოვას ეს წინადადება სუმბათაშვილს სამსახიობო ხელოვნების აღიარების ნიშნად. მაგრამ, ამასთანავე, იგი დიდ შემოქმედებით რისკთანაც იყო დაკავშირებული. იდეალი შესაძლებელი იყო, რომ ის, რასაც უდღესი შრომით მიაღწია სუმბათაშვილმა, ერთ დღეს, მაკბეტის პრემიერაზე დანგრეულიყო. საქმე ისაა, რომ მაკბეტის სახე ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესია არა მარტო შექსპირის, არამედ საერთოდ მსოფლიო დრამატურგიაში. ამ როლის შესრულებისას არაერთ დიდ მსახიობს განუცდია კრახი. იმ დროს მსოფლიოში ეროდერთი მსახიობი იყო იტალიელი როსი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ამ როლში და ისიც ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ოსტეოთად ეთამაშა იგი.

მაგრამ სუმბათაშვილს უყვარდა რისკი, შემოქმედებით სიძნელეთა გადალახვა, დარწმუნებული იყო საკუთარ თავში და, როდესაც ასეთი რწმენა და აღიარება გ. ფედოტოვას თხოვნაშიც დაინახა, იგი დათანხმდა. რადგანაც როლის დამუშავება დროს მოითხოვდა, შეთანხმდნენ, რომ პიესის დადგმას განაახორციელებენ მომავალ, 1889-90 წწ. თეატრალურ სეზონში.

ა. სუმბათაშვილი მეორე ღღესვე ჩაუჯდა როლს. გადაიკითხა პიესა, შეადარეთა მასალები შექსპირის ორგელოზ. ყოველ თავისუფალ წუთს შექსპირის მაკბეტს უთმობდა. თავისუფალი დრო კი მას, როგორც წესი, თითქმის არ გააჩნდა. იგი ტატნერ ზრომის ეწეოდა მეორე თეატრის სცენაზე. 1888-89 წწ. სეზონში მან გასასახეირა რვა ახალი სახე (ტუალეტიერისა — ნემიროვიჩ-დანჩენკოს „უკანასკნელ სურეალნის", კარლ XII-ისა — ფეოდოროვის „ჟილლონის ციხე-სიმაგრეში", ივანე ციმისსელისა — ავერკიევის „ოიოფანოში" და სხვა). ბეგრგერ გამოვიდა ძველ პიესებშიც („სეველიის ვარსკვლავი", „ორლეანელი ქალი", „ბარია სტიუარტი", „ეტიელ აკოსტა", „ეგმონტი", „ოტელო" და ა. შ.), დაამთავრა და დადგა თავისი პიესა „ჯაჭვები", მოსკოვის უნივერსიტეტში გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „ეურიეველ დამოკიდებულება სცენასთან", იყო გასტროლებზე სარატოვში და ა. შ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სუმბათაშვილი მომდევნო 1889-90 წწ. სეზონში. განასახიერა 9 ახალი ნიტერული სახე (ოტტოვეველა — პუშკინის „ბორის გოდუნოვში", დონ კარლოსისა — პიუკის „ჰერნანში" და სხვ.). 195-ჯერ თამაშა ახალ და ძველ პიესებში.

მიეხედავად ასეთი დატვირთულობისა, იუჟინი გულმოდგინედ მუშაობდა მაკბეტის როლზე. გაბაფხულზე ა. სუმბათაშვილი მეუღლესთან ერთად ცნობილი ანტროპერნიოროსკაეროვის მიწვევით საგასტროლოდ ქ. სარატოვში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ დასში უნდა ეთამაშა რამდენიმე სპექტაკლში, მათ შორის შექსპირის „ოტელოში", მაგრამ გასტროლები ცუდად იყო ორგანიზებული. იმისათვის, რომ არ ჩაკარდნილიყო წარმოდგენები, ა. სუმბათაშვილი იძულებული შეიქმნა დედაქალაქიდან გამოეძახა თავისი ნიჭიერი მოწაფე კ. იაკოლევი. ამ გასტროლებმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა დიდი მსახიობი, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო პერიფერიის თეატრები.

მსახიობი დაკავებული განაგრძობდა მაკბეტის როლზე მუშაობას. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ცოლ-ქმრის ერთი თვით დასვენება სოფელ პოგრომეცში, კორუფის ოჯახში. ა. სუმბათაშვილმა მაკბეტის როლის ძირფესვიანი დამუშავების მიზნით თან ჩაიტა-

ლეონ ჩხეიძეშვილი
სუმბათაშვილი და შექსპირის თეატრი

ნა. დიდძალი ლიტერატურა შექსპირის, მისი „მაკბეტის“ ირგვლივ.

როლის შესწავლასა და დამუშავებაში მას ყოველთვის ეხმარებოდა მისი მეუღლე, მ. სუმბათოვი. იგი, როგორც წესი, პარტნიორობა უწევდა მსახიობს, ეხმარებოდა მას ყოველ ფრაზის, ყოველი სიტყვის დახვეწაში.

1869 წლის 9 აგვისტოს ა. სუმბათაშვილი მოსკოვში დაბრუნდა. მას მაკბეტის როლი უკვე მზად ჰქონდა.

დაიწყო 1889-90 წლების თეატრალური სეზონი. იგი განსაკუთრებით სინანულით აღმოჩნდა ა. სუმბათაშვილისათვის. ეკეტმბრის ბოლოს მან დიდი წარმატებით შეასრულა ოტერპოეის როლი პუშკინის „ბოიის გოდენოვში“. ხოლო 15 ნოემბერს გორკეევა სპენეფოსოდ დაიდგა პიუკოს „ჰერნანი“, რომელშაც იუეინს საყოველთაო აღიარება და წარმატება მოუტანა. მაგრამ ამის შესახებ ცალკე იქნება საუბარი.

მთელი სეზონის განმავლობაში თეატრი ამზადებდა „მაკბეტს“.

ინტერესი სპექტაკლისადმი დიდი იყო. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ა. სუმბათაშვილის თამაში მაკბეტის როლის განხორციელებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო. მოსკოვის გაზეთები უკვე შემოდგომით იუწყებოდნენ, რომ მცირე თეატრი ამზადებს შექსპირის „მაკბეტს“. შემდეგ დაიბეჭდა წერილები, რომლებიც საზოგადოებას ალერსობდა შექსპირის დრამატურგიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი შექსპიროლოგის — პროფესორ ნ. ა. სტორიჟენკოს წერილები; ნ. სტოროჟენკო კონსულტაციას უწევდა თეატრს პიესის განხორციელების პროცესში.

დაისაბამა კრიტიკული ხასიათის წერილებიც. მათში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ შექსპირის ტრაგედიები უცხოა რუსი მაყურებლისათვის და, ამდენად, მცირე თეატრის ცდები მარცხით დამთავრდებიო. სკეპტიოსებს არ ესმოდათ, რომ ჭეროიკული პიესები, რომლებმაც ფეხი მოიკიდეს მცირე თეატრის სცენაზე, პირდაპირ ფასუხებდნა იმ რეჟიოლეციურ განწყობილებას, რაც რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობას ჰქონდა პოლიტიკური რეაქციის წლებში. ჭეროიკული დრამატურგიის იდეები მოწოდებდა საზოგადოებას ნათელი მომავლისაკენ, ბრძოლისაკენ ტირანიის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, გენერალური რეპეტიციის შემდეგ ბევრი სპეციალისტი ეჭიოსდა. თვით სპექტაკლის ზოგიერთი მონაწილესაც კი ეშვი ეპარებოდა წარმოდგენის წარმატებაში. განსაკუთრებით ღელავდა გ. ფედოტოვა. მას ალელვებდა მაკბეტი. ტრაგედიის ყველაზე რთული და ძნელი როლი; მაგრამ იუეინს სწეროდა თავისი თავისა და სპექტაკლზე საოცრად მობილიზებული მიედო.

და აი, დადგა 1890 წლის 15 იანვარიც. გ. ფედოტოვას ბენეფისზე მცირე თეატრმაც [illegible] ნა „მაკბეტი“.

წარმოდგენის დიდი წარმატება ხდება. ოვაციები არ წყდებოდა; რამდენჯერმე გამოიძახეს გ. ფედოტოვა, ლენსკი, რიბაკოვი და, ცხადია, იუეინიც. პრესა აღნიშნავდა, რომ გ. ფედოტოვამ დაძლია შექსპირის დრამატურგიის ერთ-ერთი ტრაგიული მხატვრული სახე, მან დამაჯერებლად გადმოსცა განცდები პატეტმოკენერ ქალისა, რომელიც მისი ხასიათის ამ თვისებამ დანაშაულამდე მიიყვანა. მაგრამ, როგორც აღნიშნავდა რეცენზენტი ვ. ნემირო�ენ-დანჩენკო, ფედოტოვას ლედი მაკბეტი რამდენადმე განყენებულ შთამბეჭდილებას ტოვებდა და მოკლებული იყო ცხოვრებისეულ სიმარილეს.

რეცენზიები ა. სუმბათაშვილის მაკბეტის მიმართ დადებითი იყო. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ა. იუეინი მაკბეტის როლში „ქმნიდა ძლიერ შთამბეჭდილებას“[23], რომ მან გამოძერწა „მონუმენტური სახე მაკბეტისა, უჩვენა მისი ძლიერება და ძალა“, რომ მის შესრულებაში იყო „ბრწყინვალე ფეტლები“, „დიალოგებში მსახიობი მდღდენოდა ეპეშმარიტად დრამატულ პათოსამდე“[24], რომ იუეინისათვის დამახასიათებელი იყო „მონუმენტურობამდე ამაღლებული სტილი“, ნათელი ტემპერამენტი, დეკლამაციის ბრწყინვალება.[25]. და, ბოლოს, რომ მაკბეტის მხატვრული სახე იყო „ნნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არამედ საეროოდ მცირე თეატრის ისტორიაში“[26]. უარყოფითი რეცენზია დაბეჭდა მხოლოდ კრიტიკოსმა ფლეროვმა, მაგრამ აქ სუმბათაშვილი არაფერ შუაში იყო. ფლეროვი საერთოდ პესიმისტურად უარყოფდა მცირე თეატრის ცდებს — დაენერგა ჰეროიკული რეპერტუარი და მისი რეცენზიაც ამის შედეგი იყო.

რეცენზიებში გამოთქმული იყო კრიტიკული შენიშვნებიც. ეს შენიშვნები შეიძლება შემდეგნაირად განზოგადდეს: სუმბათაშვილმა შესრულებაში „ძალა ჯარბობდა სიფაქიზესა და მკაფიობას, გამომსახველობა—გამოსაკვეთილ ნნი შვნელობას“, მსახობის მონუმენტურობა, მისი ამაღლებული სტილი და დიეტხოროელი ტემპერამენტი“, ბრწყინვალე დეკლამაცია და ეფექტურობა „რამდენადმე ჩრდილავდა სახეების ფსიქოლოგიურ სირთულესა და ტრაგიკულ სიღრმეს“[27].

მკვლევარი ვ. ფილიპოვი, რომელიც თვლიდა, რომ საოჯაველთაოდ აღიარებულ „შექსპირისეულ მსახიობად“ იუეინი გახდა მაკბეტის როლის შესრულებით, მაშინდელი პრესის მიერ გამოთქმული შენიშვნების გამო, წერდა: „მაკბეტის“ დადგმასთან და იუეინის მაკბეტთან დაკავშირებით ხელახლა წამოიჭრა საკითხი „ყმაღადგებული შინაგანი სულის“ შესახებ. „იუეინი, ეს თავისებური ფენქსია ნაკლებად კუნტრუტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობთა წრეში... თავისი მაღალი კულტურის გამო არაერთხელ გამხდარა თავდასხმის ობიექტი მათი მხრივ, ვინც ყველაზე მაღალ მსახიობის „შინაგან სულს“ აყენებდა. იუენინი კი „მაკბეტში“ გვთავაზობდა არა ტემპერამენტის „ფეიერვერკებს“, არა უეცარ „განთავისს“ ან „როლის ცალკეულ მომენტებში ინტიერესი წყდებას“, არამედ როლის საკუთარ გაგებას, რომელიც გადმოცემული იყო „ცოცხალი ადამიანის ცოცხალ სახეში“[28].

და მართლაც, ა. სუმბათაშვილი თითქმის ერთადერთი მსახიობი იყო მაშინდელ რუსეთში უმაღესი განათლებით. მაღალი ულტურა, და ერუდიცია, განსწავლულობა წითელ ზოლად გასდევდა მთელ მის შემოქმედებას. ზოგიერთი კრიტიკოსი სუმბათაშვილის მისწრაფებას რომანტიკული და ჰეროიკული დრამატურგიისადმი ხსნდა მსახიობის სუბიექტური მონაცემებით, როგორც იტყვიან, თეატრალური ამბლეთი. ცხადია, ეს სწორი აზრია, მაგრამ მთელად ზუსტი მაინც არ არის: არა მარტო ბუნებრივი მონაცემების გამო, არამედ მთელი თავისი მსოფლმხედველობით, ალზრდით, განათლებით, მხატვრული და იდეური მისწრაფებებით მეგიდა სუმბათაშვილი ჰეროიკულ რეპერტუარამდე. ჰეროიკა, რომანტიკა მის, თუ შეიძლება ასე ვიტყვა, მხატვრულ და იდეურ კრედოდ ფარმოდგენდა.

ისეთი განსწავლული მსახიობი, როგორიც სუმბათაშვილი იყო, მხატვრულ სახეებს ქმნიდა სცენაზე არა „ინტუიციით“, არამედ შეგნებულად. იგი სწავლობდა ეპოქას, ქვეყნის ისტორიას, კულტურას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს და ამის შემდეგ იძლეოდა სახის საკუთარ გაგებას. ასე მაგალითად, ამუშავებდა რა მაკბეტის როლს, იუენინ ვამოიღოდა ის დებულებიდან, რომ მაკბეტი ბუნებით პატიოსანი ადამიანია. მაგრამ გარემომ გახადა იგი ბოროტმოქმედი. იგი თავისი ეპოქის შვილია, თავისი ლოსის ბრალეულია. მისი მეუღლე შხამავს მაკბეტის სულიერ სამყაროს, ეერაგობისა და ბოროტების ბაზაზე აყენებს მას და ტახტის უზურპატორად, კაცის მკვლელად ხდის. ბ. ბელინსკი წერდა: „შეკსპირის მაკბეტი ბოროტმოქმედია. მაგრამ ღრმა და ძლიერი სულის მქონე ბოროტმოქმედი, რის გამოც ზიზღის ნაცვლად იგი თანაგრძნობას იწვევს. თქვენ მის სახით ხედავთ ადამიანს, რომელშიც გამარჯვების ისეთივე შესაძლებლობა ღვიძდება, როგორც დაცემისა და რომელსაც შეეძლო სხვა ვითარებაში სხვა ადამიანი ყოფილიყო“[29].

ამის შესახებ ამიტომ გვიჩდება საუბარი, რომ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ბიმართ მცირე თეატრის ისტორიასის ნ. ზოგრაფის მიერ გამოაქვეყნი ზოგიერთი მოსაზრება, ჩვენი აზრით, გარკვეულ პასუხს მოითხოვს.

ნ. ზოგრაფი თვლის, რომ 80-ინ წლების ბერეგ თეატრში ჰეროიკული დრამატურგია, კერძოდ კი შეკსპირის პიესები, მხატვრულ-შესრულების თვალსაზრისით, ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ხერხით ხორციელდებოდა. აქ თავი ჩანს ორმა სკოლამ, ორმა სამსახიობო მანერამ შეკსპირის გაგებისა და სცენური განხორციელების საქმეში.

პირველ სკოლას სათავეში ედგა ერმოლოვა, მეორეს — იუენინი. ნ. ზოგრაფი თვლის, რომ მ. ერმოლოვას თეატრალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო „პეროიკის პათოსი, განცდების უშფოთლობა, შემოქმედების გულწრფელობა, პოეტური გაზზოგადების სიღრმე, მისწრაფება იდეალისადმი ცხოვრებასა და ხელოვნებაში“[30]. ჰეროიკულ როლებში მ. ერმოლოვას არ ეალტობდა მხატვრული ასახვის რეალისტურ საშუალებებს. გაეერბოდა თეატრალურებულ დეკლამაციას, ეითხვის უბრალო მანერით აღწევდა ცხოვრებისეულ სიმართლეს.

მ. ერმოლოვასგან განსხვავებით, — წერს ნ. ზოგრაფი, — „წარმოსახავდა რა კეთილშობილ და ტემპერამენტიან ტრაგიკულ გმირებს, იუენინ **ბიმლავდა, იტაცებდა მაყურებელს** (ხაზი ჩვენია — დ. ჩ.) შესრულების პათოსითა და ამაღლებით, მაგრამ არ იყო ფაქიზი ფსიქოლოგიური თამაშის ოსტატი, არ გადმოსცემდა გრძნობათა ფაქიზლობას. მისი მიმიკა იყო **სტატიური**, მოალებული სიფაქიზეს, არ გაარნდა მრავალფეროვნება და გამოსახვის საშუალებათა სიმდიდრე. იუენინისათვის, ტრაგიკული და რომანტიკული დრამის მსახიობისათვის, დამახასიათებელია ჩინებული დედლამაცია, გარეგნული პლასტიკურობა, სუფრთოვნება, თეატრალად ეფექტური პოზა, ენებათა ვრცელი, გრძნობათა ბრწყინვალება“[31].

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგრაფის ეს მტკიცებანი (სტატიურობა, სიფაქიზისა და გრძნობის უქონლობა) მოალებული ყოველგვარ საფუძველს. ამას ჩვენ დაეინახავთ ზუსტად, როდესაც გავეცნობით მაშინდელი თეატრალური კრიტიკოსების შეხედულებებს ი. იუენინზე.

ექვს ბარეშეი, ჰეროიკული და რომანტიკული სახეების შექმნაში ერმოლოვასა და იუენინს გააჩნდათ სხვადასხვა მხატვრული მანერა. ეს თეატრის კანონია. ნიველირება მტერია მაღალი ხელოვნებისა. მაგრამ მთავარი ეს არაა: ნ. ზოგრაფი ა. სუმბათაშვილის მიმართ აშკარად ტენდენციერია, ამიკრმის ბის როლს მცირე თეატრის განეიოარების ისტორიაში. მეტიც, ხშირ შემთხვევაში იგი დამამცირებელ ეპითეტებსაც ხმარობს, ეთქვათ ასეთს: „ამბეტრის როლი იუენინს ნიჭის მიღმა იყო“[32] ჩვენ ქვემოთ დაეინახავთ, რომ ეს აშკარა შეცდომაა. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ნ. ზოგრაფი ამ ერთ-

ლაკინ ჩხიკვიშვილი
სუმბათაშვილი და შეკსპირი. თეატრი

ნეობი ეროვნ ორ ცნებას: ნიჭსა და თეატრალურ ამპარტას; გარდა ამისა, ეწყობიოდა, რომ ეფრე ქონი მსახიობი მცირე თეატრისა, ცხადია, თუ არ ჩაეფლით ლეგენდარულ მოსაზრებაში, ვერ ამაღლდა ა. სუმბათაშვილის დონემდე პერიოდული და რომანტიკული როლების შესრულებაში.

ა. სუმბათაშვილი იყო მსახიობი, რომელმაც შეესაბრის ბმირი რუსეთში პროფესიულ დონეზე წარმოადგინა. ვერ დავასახელებთ მაშინდელი ეპოქის ვერც ერთ მსახიობს, რომელსაც თავის ოჯახურ-ტაბრში შეესაბრის ამდენი როლი ჰქონდოდა.

ნ. ზოგრაფი თვლის, რომ ტრაგიკულ როლებს სუმბათაშვილის ნიჭი ვერ ძლეულ, მაშინ როდესაც მსახიობის თანამედროვენი მას ერთადერთ ტრაგიკოსად თვლიდნენ რუსულ სცენაზე. სწორედ ამ პერიოდში გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ახალგაზრდა სუმბათაშვილის შესახებ წერდა, რომ მის, როგორც მსახიობს, აქვს შესანიშნავი გარეგნობა, მეტად ძლიერი და ყოვლადი ხმის ამარტი. გაზეთი სუმბათაშვილის ფეოლამაციას სანიმეშოდ თვლიდა, რადგანაც მასში მედამ ისმოდა სწორი ტონი, ყოველგვარი ხელოვნური „ალალვების“ გარეშე. გაზეთი აღნიშნავდა, რომ მსახიობის მთელი ოსტატობა, შესრულების სტილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რასაც ევროპელები „ეთილ-შობილ“ უწოდებენ. ა. სუმბათაშვილი თავის ხელოვნებაში პრიმატს ანიჭებდა სიტყვას, „სიტყვის რომანტიკას“ , დიალოგს, მონოლოგს და არა „თამაშს“. მსახიობი სიტყვის წარმოთქმის ნიუანსებით ცდილობდა გამოეხატა პიესის ფილოსოფია. მას არაერთხელ უთქვამს, რომ გადამეტებულ, გადაჭარბებულ მიმიკას, მოქმედებას, მოძრაობას შეუძლია ზიანი მოუტანოს სიტყვას, რომელიც დრამატურგიისა და სცენური ხელოვნების ფიდაბძოიაო. ეს „ეპოლტიკური თავშეკავება“, ეს „მოძრაობის სიღინჯე“, „ზომიერება მოქმედებაში“, მისი „არისტოკრატული სიამაყე“ გაუთავებელ დისკუსიებს იწვევდა თეატრალურ პრესაში. შესრულების ასეთი მანერა უპირისპირდებოდა მოხეტიალე მსახიობთა „სცენურ მანერას“[33], რაც ასე გავრცელებული იყო რუსეთის პროვინციაში.

ა. სუმბათაშვილი იყო ხმის უდიდესი ოსტატი, მას შეეძლო ხმისათვის მიეცა ფრიცხეი ნიუანსი, ფრიცხეი ტონალობა. თუ ერთ როლში მისი ხმა ყოველდა მაღალი ტენორით, მეორე როლში იგი ეფაკაკეტი იყო, ვით ხაფერდოვანი ბარიტონი. „მაკბეტში“ ა. სუმბათაშვილი ისეთი ბანით მეტყველებდა, რომ ყველაზე უფრო ცნობილ სო

ნახა ცნობილი იტალიელი მსახიობი: როსი. როსი ამ დროს საკმაოდ ხანდაზმული იყო და, შესაძლებელია, ამიტომაც მისმა მაკბეტმა არც მაყურებელზე და არც სუმბათაშვილზე მოსალოდნელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა ა. სუმბათაშვილი აღნიშნავდა დიდი მსახიობის უდაო ოსტატობას. რაც შეეხება მონოლოგს ხანჯლით, ამ სცენას როსი სრულიად უბრალო ხერხით წყვეტდა: მონოლოგი მსახიობს საოცრად შეემცირებინა, ხანჯალი კი საერთოდ მონოლოგის დასასრულს ჩანდა და მხოლოდ მონოლოგის დასასრულს სცენის სიღრმეში ტექნიკური რეჟისორი შეეშვნიველად გადასცემდა მას. როსის. ამბობენ რომ სპეკტაკლიდან დაბრუნებული ა. სუმბათაშვილი კარგ ხასიათზე იყო და მეუღლეს უთხრა: „ჩვენი მაყურებელი ძალზე ბევრს მოითხოვს ჩემგან. თქვენ გსურთ, რომ მსახიობმა ალარაფერი დაიტოვოს სულს იქით და მხოლოდ მაშინ ხართ კმაყოფილი. მაგრამ ამა ნახეთ დასაცვლთის დარბაზები — იქ პატივს სცემენ შესრულების ოსტატობას“.... მაგრამ შემდეგ ჩაიცინა და დაუმატა: „მე მაინც ჭეშმარიტი ხელოვნება მირჩევნია ყველაზე უფრო ოსტატურად შენიღბულ სიყალბეს“[35].

დასასრულ, მოლიანი შთაბეჭდილებისათვის, მოვიყვანთ ვ. მიხაილოვსკის აზრს სუმბათაშვილის მაკბეტზე. იგი წერდა: იფერინის ტრიუმფი სრული იყო... ჩვენს თვალწინ იყო დიდი მსახიობი, რომელიც ცხოვრობდა სცენაზე მთელი თავისი არსებით და ხატავდა გრანდიოზულ სახეს თავისი გულის ... სისხლით, მან დაგვიანწყა ყველი და ყველაფერი... მასობრივი სცენებიც, ჩინებული ანსამბლიც, დიდებული დადგმაც კი, რომლიდანაც ქროდა შოტლანდიის მთის სიო... მაკბეტად იფერინი გახდა რუსული სცენის პირველი და ერთადერთი ტრაგიკოსი უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე. მაყურებლის განაჯნენი იმდენად ერთსულოვანი და შთამაგონებელი იყო, რომ გაზეთის ბეჭრებს უკვე არაფერს გაფუჭება ალარ შეეძლოთ. ალექსანდრე ივანეს ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს ყოფილა განებერებული ეგრეთ წოდებული კარგი პრესით. კრიტიკოსებმა, რომლებსაც არ სურდათ და არც შეეძლოთ ჩისწვდომოდნენ მის სამსახიობო ბუნებას და გენიოსის ჩანაფიქრს, თავს მოვალედ თვლიდნენ მეტნაკლებად ზრდილობიანი ფორმით ესწავლებინათ ჩუკა ალექსანდრე ივანეს ?ნიათვის, რაზეც ა. სუმბასაშვილი გულისაბედ იცინოდა... კრიტიკოსთა უმრავლესობის გულგრილი ტონი ბიზოლად გამოწვეული იყო იმით, რომ ალექსანდრე ივანეს ძე არასოდეს მიმართავდა თვითრეკლამას და არ პირფერობდა ეფერნალისტთა წინაშე... მაგრამ მაყურებელი მთელს რუსეთში უეცელად ჩრჩბოდა ალექსანდრე ივანეს ძის დროშის ერთგული. მისი ავტორიტეტი მსახიობთა წრეებში ყოველდღიურად კი ავდა, ყოველსათობით იზრდებოდა. იფერინის ტალანტის ჭეშმარიტი სიდიადე ნათელი გამოჩნდა ჩვენი თანამოსაკეთა ბხოლოდ მაშინ, როდესაც ენახეთ სცენის ეკრანეკი ოსტატები — როსი, ალასტი, ზერნანი, მიეტ-ესიელი. მაშინ მთელი თეატრალური მოსკოვი დარწმუნდა, რომ ალექსანდრე სუმბათაშვილს არაფერი ჭკნნდა სასწავლი ამ ბედნიერ ვარსკვლავზე დამაგებულთაგან.

3. მიხაილოვსკი თავის აზრს სუმბათაშვილის მაკბეტზე ამთავრებდა შემდეგი შენიშვნებით: „იფერინის გენიის მთელი ძლიერება განსაკუთრებით ნათლად მაშინ ალიჭვენი, როდესაც ენახეთ **როსის მაკბეტი ტარას ბულბას** ნაიდელი გარეგნობით, გაფუსკვეელ ასაკში, რომელიც ტრაგედიის დასაწყისიდან დასასრულამდე მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ შეშინებული და მოკრძალებული უსმენდა თავისი ცოლის ტირადებს“.[36]

„მაკბეტმა“ II აშშლაგი მისცა პრემიერის სეზონში და მომდევნო თეატრალურ სეზონშიც გადავიდა. 1895-1896 წლების სეზონში „მაკბეტი“ აღდგენილი იქნა მ. ნ. ერმოლოვას ბენეფიზზე. ერმოლოვა ლედი მაკბეტის როლს ასრულებდა.

ა. კუგელი იგონებს ერმოლოვას და იფერინის ჩამოსვლას პეტერბურგში და მათ მიერ მაკბეტისა და ლედი მაკბეტის როლების შესრულებას. ჩვენ არაფერს ვიტყვით ა. იფერინზე, ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. ორიოდე სიტყვით გადმოვცემთ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებს, რაც ა. კუგელმა მიიღო გენიალური რუსი მსახიობი ქალის მ. ერმოლოვას სასცენო ხელოვნებიდან.

„მაკბეტის“ წარმოდგენაზე, — იგონებდა ა. კუგელი,—მე ვიჯექი პარტიის უკანა რიგებში, ცუდი ხარისხის ბინოკლი საშუალებას არ მაძლევდა ახლოს დამენახა მსახიობი ქალის სახე. მაგრამ საკმარისი იყო სცენაზე გამოსულიყო ერმოლოვა, დაეწყო დიალოგის კითხვა, რომ მე მამ ჩაყფიდო ეზიდვადი გონების თვალით. ეს არ იყო ოტტიკური ხედვა. ეს იყო ილუზია, რომელსაც დიდი ხელოვანი ახდენს მაყურებელზე.“ ა. კუგელი წერდა, რომ სიტყვებს „კარგი“, „შესანიშნავი“, „ბრწყინვალე“ არ შეეძლიათ გადმოსცენ ვ. ერმოლოვას თამაშით მიღებული შთაბეჭდილება. ეს იყო ჭეშმარიტება, ან კიდევ უფრო დიდი რაღაც“. ვ. ერმოლოვას ჭკნნდა ძლიერი მეკრფისებრი ხმა. მაგრამ ლედი მაკბეტის როლში ისმოდა რაღაც სულ სხვაგვარი, ერმოლოვასთვის უნეველო ხმა. „ამ ხმაში ანთებდა სინათლე. წარმოდგენენთ ხმა, რომელიც არა მარტო ისმის, არამედ აგრეთვე ანათებს კიდეც. შეიძლება ეს ფანტასტიკაა, მაგრამ შთაგონებაც ხომ ფანტასტიკაა!“ — წერდა კრიტიკოსი.

ლაშინ ჩხეიძეიშვილი
სუმბათაშვილი და ფეოქსიორის თეატრი

10. „ცისკარი“, № 4.

„ერმოლოვა ყოველ მოქმედებაში. — ისკვნის ა. კუფელი, — იყო თავისი გვნის ფონზე, როლის ფონზე. თამაშობდა ინ ლეთვიანი ბენეფისიანი, როგორც ამის აკეთებს ბულბული, როცა მღერის. მისი ინტერესია იყო აბსოლუტურად სწორი, ეტლი — აბსოლუტურად ეპეშარიტი, მიმაკი — აბსოლუტურად მარადული.... თქვენ წინაშე იყო ხელოვნების აბსოლუტური ეპეშარიტება, გამოსახული კეთილშობილებისა და ზომიერების სრულყოფილი ფორმით"[37].

მაკმატის შემდეგ ა. იუერნმა მცირე თეატრის სცენაზე ჰამლეტი განასახიერა.

საგულისხმოა, რომ ამ როლს იგი მანამდე რუსეთის პროვინციული თეატრების სცენაზე თამაშობდა. პირველად იგი მან თბილისის რუსული დასის სცენაზე შესარულა 1887 წლის 29 მაისს, როცა ამ საგასტროლოდ ჩამოვიდა პეტერბურგის სამეცნიერო თეატრის წამყვან მსახიობ ქალ მ. სავინასთან ერთად. ეს იყო რთული გასტროლები იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ფინანსური მაქინაციებით იგი მოატყუეა თბილისელმა ანტრეპრენიორმა, მეორეც, ორაკოლეგიური ურთიერთობა დამყარდა მასსა და სავინას შორის. „...ხელ მე პირველად ეთამაშომ ჰამლეტს. შემოსავალი, როგორც ჩანს, მაქსიმალური იქნება", — სწერდა ა. სუმბათაშვილი თავის საცალოს მ. კორფს 1887 წ. 28 მაისს"[38]. მეორე დღეს, 29 მაისს, გაგზავნილ წერილში კი იტყობინებოდა: „ეზერ... თეატრიდან, რადგანაც „ჰამლეტსა" შემდეგ, რომელსაც ოღონდ ეთამაშომს პირველად, საეჭვოა, რომ შემრჩეს ძალა რაიმე მოგწერო. სიცხეა აუტანელი, დასი, რომელიც „ჰამლეტსა" დაკავებელი, ისეთია, რომ მასზე უარესი ძნელი წარმოსადგენია"[39]... ამავე დღეს გაგზავნ „ეფერა" (1887, 29 მაისი) იეუწყებოდა: „დღეს რუსულ თეატრში მოსკოვის ანტიატი ა. ი. იუერნი (თ. სუმბათაშვილი) პირველად ითამაშებს თბილისის საზოგადოების წინაშე ჰამლეტის როლს. ოფელიას როლ კი ქ-ნი სავინა ითამაშებს. ბ-ნი იუერნი სულ ხუთს წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობასო".

30 მაისს ა. იუერნმა მ. კორფს უდაბეშა: „პირველად შეესარული გუშინ ჰამლეტი. წარმატება ფუზარმაზარია, შემოსავალი — დიდი"[40]

გაზეთი „Тифлисский листок" (1887, 21 მაისი) ა. იუერნის ჰამლეტთან დაკავშირებით წერდა: ერთადერთი, ვინც მიიპყრო მაყურებლის ყურადღება, ეს იყო ამ დადგმის სულისჩამდგმელი, ბ-ნი იუერნი, რომელმაც, ადგილობრივ თეატრში საგასტროლოდ ჩამოსულმა, პირველად. შეასრულა ჰამლეტის როლი... ბ-ნ. იუერნმა, ჩანს, ღრმად შეისწავლა ეს სახე, რამაც, სამაგალითო ტალანტთან ერთად, შესაძლებლობა მისცა შესანიშნავად განესახიერებინა იგი სცენაზე. ბ-ნ იუერნზე, როგორც მსახიობზე, ბევრი ლაპარაკი არ ვარის საჭირო, რადგანაც იგი უკვე ცნობილია თბილისელთათვის და ადგილობრივ თეატრის სცენაზე პირველად არ თამაშობს. შეიძლება ბნელოდ ჩანდეს სტატეგია იმ ფაქტისა, რომ მსახიობი აღწევს სულ უფრო დიდ წარმატებებს თავის სამსახიობო მოღვაწეობაში. იგი ეკვე ეუნა ბეგიკეთებთან იმ დარნენილ მცირერიცხოვანებ მსახიობთა რიცხვს, რომლებიც წარმოადგენენ დედაქალაქის სცენის ბრწყინვალებას.

ამ გასტროლების დროს რეა სხვა სპექტაკლის გარდა, მან თამაშა შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულებაში", სადაც შესარულა პეტრუჩიოს როლი.

ა. იუერნი თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლისას თითქმის ყოველთვის თამაშობდა შექსპირის რომელიმე ტრაგედიას. 1903 წლის 10 მაისს ა. იუერნის ბენეფისზე დაიდგა „ჰამლეტი", რომელშიც მან მთავარი როლი შეასრულა. ამასთან დაკავშირებით, „ცნობის ფურცელი" (1903, 13 მაისი) წერდა:

„ზაბალს, 10 მაისს, მოსკოველმა არტისტებმა ბ-ნ იუერნის საბენეფისოდ წარმოადგინეს შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი". თეატრი ხალხით იყო სავსე. მობენფილეს აღტაცებით მიეგებენ და ყვავილებს ვვერაგვერ მიართვეს. იუერნი ჰამლეტის როლს ასრულებდა და კარგადაც შეასრულა. დამსწრე საზოგადოებას იუერნი უფრო მოეწონა ბესამე და უკანასკნელ მოქმედებაში". რუსული გაზეთის რეცენზენტი კი წერდა, რომ იუერნის ჰამლეტმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. მიეხდადად იმისა, რომ იუერნის ასაკი შეუფერებელია ჰამლეტის როლისათვის, „მან ეს როლი სანიმუშოდ შეასრულა, მისგან უნდა ისწავლის ახალგაზრდობამ".[41]

„ჰამლეტს" მცირე თეატრის სცენაზე უდიდესი ინტერესით ელოდა თეატრალური მოსკოვი. პრესაში მხლილდ ოფიციალური ცნობები ქვეყნდებოდა, ყოველგვარი კომენტარის გარეშე. „ჰამეტის" გამოცალებამ შეტად მწარე ალმოჩნდა. სეკპტიკოსები ფუძნენ, თუმცა, თუ საქმე საქმეზე წავიდოდა, სწორედ ახლა იყო ბევრი რამ საკეთო, რადგან თეატრი შექსპირის დრამატურგის ყველაზე რთულ დრამაზე მუშაობდა.

ჰამლეტის სახე თითქმის ვერავინ დაძლია რუსულ სცენაზე, თუ არ ჩავთვლით დიდ მოჩალოს, მაგრამ მოჩალოვის ლეგენდარულ ჰამლეტს იუერნის თანამედროვეები მხოლოდ ბელნესკის წერილით იცნობენენ. რაც შეეხება გასტროლიორებს დასავლეთიდან. მათ თითქმის ყველა სახე კარგად გამოსცდიოდათ შექსპირის ტრაგედიებში, გარდა ჰამლეტისა, არც ოფისსა და არც პისარეს ჰამლეტს შთაბეჭდილება არ მოუხდენია რეს მაყურებელზე.

პრესა დუმდა, თუმცა კულუარებში დიდი მოთქმა-მოთქმა იყო. ბევრს სუმბათაშვილის გადაწყვეტილება გაუმართლებელ სირთულად

მიიჩნევდა და ეშვიე არ ეპარებოდა, რომ იგი „ბრენთან დამთავრებულიყო.

ივნაზე, თუ რომელი თარგმანით ესარგებლო „ჰამლეტის" დადგმისას, დიდი დავა გაიმართა. მოსაზოლიის დროს ტრაგედია ნ. ა. პოლეკოის (1796-1846) თარგმანით იდგმებოდა. ორსებობდა პირველი რუსი დრამატურგის ა. პ. სუმაროკოვის (1718-1777) თარგმანი, მაგრამ ამ თარგმანმა სცენაზე ფეხი ვერ მოიკიდა. ნ. პოლეკოის თარგმანიც ადარ აკმაყოფილებდა ეპოქიდან მოთხოვნილებებს და XIX საუკუნის 80-იან წლებში მის თარგმნას სამმა ცნობილმა დრამატურგმა მოჰკიდა ხელი. ესენი იყვნენ ვ. ა. გნედიჩი (1855-1927), დ. ვ. ავერკიევი (1836-1905) და კ. ი. სოკოლოვსკი. თეატრალურ-ლიტერატურულმა კომიტეტმა განიხილა აღნიშნულ თარგმანები და რეკომენდაცია მისცა ვ. ა. გნედიჩის თარგმანს.

ს. ვ. ია ბლოჩკინამ, რომლის ბენეფისზეც უნდა დადგმულიყო შექსპირის ტრაგედია, თარგმანის შერჩევა ა. იუჟინს მიანდო. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა და არჩევანი ვ. გნედიჩის თარგმანზე შეაჩერა, თეატრის დირექცია კი ავერკიევის თარგმანის მიხედვით ამირებდა „ჰამლეტის" დადგმას. საბოლოოდ ა. იუჟინმა თავისი გაიტანა, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა. ავერკიევი საკმაოდ დიდი ეტერიტეტისა და გავლენის მქონე პიროვნება იყო და სულ მალე სამაგერო მიეზღო ა. იუჟინს.

როდესაც თეატრმა მუშაობა დაიწყო „ჰამლეტზე", თავი ინინა ვნედიჩის თარგმანის სუსტმხარეებმა. ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი შესწორებების გარეშე მისი დადგმა საზიანონ იქნებოდა. ამიტომ ა. იუჟინსა და ა. ვნედიჩს შორის ამ პერიოდში გაიმართა გაცცოველებული მიწერ-მოწერა. ერთ-ერთ წერილში ა. იუჟინი მოითხოვდა ვნედიჩისაგან, რომ მას, ჯერ ერთი, დაეყოვნებლივ ედგმაში მცირე ფეიერიის რეპლიკა ჩერნეკესოვთეს, რომ იგი უფლებას იძლევდა საკუთარი შეხედულებისაბამებრ შეეტანა თარგმანში საჭირო შესწორებანი. ამავე დროს ა. იუჟინი პპირებოდა ვ. გნედიჩს რომ იგი არ დაუშვებდა, „ამოგდით ტრაგედიიდან" თუნდაც ერთი საჭირო სიტყვა და სიინტერესო „ადგილი". მეორეს მოთხოვდა ვ. ვნედიჩისაგან, რომ რაც შეიძლება ჩქარა ჩამოსულიყო მოსკოვში და დასწრებოდა რეპეტიციებს. იგი ამტკიცებენდა, რომ თეატრში მოქმედებდა ძლიერი ძალა, მიმართული მისი თარგმანის წინააღმდეგ.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამავე წერილში ა. იუჟინი აყალიბებს და უგზავნის ვ. გნედიჩს „ჰამლეტის" დადგმის რეჟისორულ გეგმას. ვ. გნედიჩს სუმბათაშვილის ამ გეგმის მიხედვით სათანდო ცვლილებები უნდა შეეტანა თარგმანში. აღნიშნული წერილის ეს ნაწილი ქვემოთ მთლიანად მოგვყავს, რადგანაც იგი ერკვევა ეპოქიდან ეპოქიდან ნათელს ჰფენს დიდი მსახიობის შეხედულებებს „ჰამლეტის" ირგვლივ.

ა. იუჟინი მოითხოვდა, რომ დრამაში სურათები განლაგებულიყო შემდეგი გეგმით:

„1-ლი მოქმედება

1-ლი სურათი — ტერასა

მე-2 სურათი — სამეფო ტახტის დარბაზი

მე-3 სურათი — პოლონიუსის ოთახი

მე-4 სურათი — ტერასა

მე-5 სურათი — მისი სხვა ნაწილი

მე-2 მოქმედება

1-ლი სურათი — გალერეა

მე-3 მოქმედება

1-ლი სურათი — წარმოდგენათა დარბაზი (მასშივე — „ყოფნა არყოფნა").

მე-2 სურათი — სამლოცველო და დედოფლის ოთახი (ი. ა. კაეეოლოეკის გეგმით).

მე-4 მოქმედება

1-ლი და მე-2 სურათები — სასახლის ოთახები — „მიმალული სასახელოდ".

ნახევარი წუთით ეშვიეს ფარდა — ოფელია.

მე-4 მოქმედებაში სცენა „მიმალული სასახელოდ" მე შევიერთ ფორტინბრასის მონოლოგთან ისე, რომ მას მთლიანად ვაკოხლოდ, ...მე ყველაფერს მოყვება გალდენსტერნი, ჩემი სტატეების შემდეგ: „ისე რომ მშვიდობით, დედაჩემო, ჩვენ ინგლისში მივემგზავრებით", მეფე გადის და ჰამლეტი, მიმართავს რა როზენკრანცს და გალდენსტერს, კითხულობს: ვისია ეს მხეცრობა?" ჰამლეტისათვის ადვილია მოუნახოს მოტივირება ასეთ გადასვლას, რადგან კარებასაენ მიმავალნი შეუძლია გაიხედოს ფანჯარაში, საიდანაც დაინახავს კიდეც ამ მხეცრობას.

მე-5 მოქმედება

1-ლი სურათი — სასაფლაო

მე-2 სურათი — გალერეა

მთლიანად თორმეტი სურათი გამოდის... „მაგბეტში" თოთხმეტი იყო, მაგრამ ისინი უფრო ხანმოკლენი იყვნენ. ლაერტის მამასთან და ოფელიასთან გამოთხოვების სცენის მიწყობა სამეფო ტახტის დარბაზში რომ ყოფილიყო შესაძლებელი (რასაც რუსი მაყურებელი დიდ ხანია მიეჩვია), დროის დიდი ეკონომია გამოგვიგიდოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთელი მე-4 მოქმედება პირველი დეკორაციით მიდის, მაშინ ფაქტიურად მივიღებთ ათ მოქმედებას — „სეკელიის ვარსკვლავის" მზგავსი მოცულობით, რომელსაც ჩვენ 11 1/4 საათზე ვამთავრებთ. დავუშვით, რომ „ჰამლეტი" თორმეტამდე გაგრძელდა, ეს როდია დიდი უბედურება; მაგრამ თუ სპექტაკლმა ამ დროსაც გადაჰკრა, მაშინ იგი უკვე ძნიმე ასატანი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე მომწერეთ, ჩერნეკესკის კი, ამ პატარაის მიღების მომენტში,

დავით ჩხიკვიშვილი
სუმბათაშვილი და შექსპირი, თეატრი

აცნობეთ დეპეშით: „თანახმა ვარ კეთილმოსურნეობაზე“. წინააღმდეგ შემთხვევაში მსახიობს უნირთ შეუსწორებელი როლების დასწავლა. გარდა ამისა, ღვთის გულისათვის, დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთ: ა/ პროლოგის სიტყვები [illegible] ბ/ ანრიეტის სიტყვები დედასთან სცენაში [illegible] აუცილებლად ველოდები. გოცინო,

თქვენი ა. იუჟინი.“[42]

შენიშვნები:

[1] В. Филиппов, Актер А. И. Южин, М.-Л., 1941, стр. 72.

[2] «Артист», 1841, № 17, стр. 141—142.

[3] «Театральная хроника», 1895—1896, стр. 130.

[4] Н. Эфрос, А. И. Южин, М., 1922, стр. 74—75.

[5] Ю. М. Юрьев, Записки, т. I, стр. 276.

[6] Н. Зограф, А. П. Ленский, М., 1955, стр. 161.

[7] А. П. Чехов, Полн. собр. соч., т. XIV, стр. 49—50.

[8] «Московские ведомости», 23 февраля 1888 г.

[9] Н. Зограф, А. П. Ленский, М., 1955, стр. 166.

[10] А. П. Ленский, Статьи, письма, записки. «Искусство», М., 1950, стр. 161.

[11] Ю. М. Юрьев, Записки, т. I, стр. 276.

[12] А. Кугель, Театральные портреты, Л.-М., «Искусство», 1967, стр. 116.

[13] ЦГАЛИ СССР, ф. 878, оп. I, ед/хр. 136, лл. 14—15.

[14] В. Филиппов, Актер А. И. Южин, М.-Л., 1941, стр. 72.

[15] ЦГАЛИ СССР, ф. 878, оп. I, ед/хр. 136, лл. 96—97.

[16] В. Филиппов, Актер А. И. Южин, М.-Л., 1941, стр. 72—73.

[17] А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания, записи, статьи, письма, М.-Л., 1941, стр. 36.

[18] იქვე, გვ. 47.

[19] ერნსტ პისარტი (1841-1921) — დიდი გერმანელი ტრაგიკოსი, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა რუსეთში სადასტროლოდ შექსპირის რეპერტუარით, ერთ-ერთი ასეთი გასტროლების დროს ა. იუჟინმა „ანტონიოს და კლეოპატრაში“ მასთან ერთად ითამაშა. ე. პისარტი იყო სახეების გაოგნებული დამუშავების დიდოსტატი. გერმანელი თეატრმცოდნეები მას ფართო განათლებისა და კულტურის მქონე მსახიობად თვლიდნენ.

[20] ა. სუმბათაშვილის პირადი არქივიდან.

[21] Б. А. Щетинин, Князь А. И. Сумбатов-Южин, «Исторический вестник», 1908, март, стр. 1011—1012.

[22] С. Г. Кара-Мурза, Малый театр, М., 1924, стр. 253.

[23] ЦГАЛИ, фонд 878, ед/хр. I, стр. 1919, лл. 1, 2.

[24] «Артист», 1890, № 6, стр. 96.

[25] Н. Эфрос, А. И. Южин, стр. 76.

[26] В. Филиппов, Актер А. И. Южин, М.-Л., 1941, стр. 73.

[27] Н. Эфрос, А. И. Южин, стр. 76.

[28] В. Филиппов, Актер А. И. Южин, стр. 75.

[29] В. Г. Белинский, Собр. соч. в трех томах, т. I, М., 1948, стр. 479.

[30] Н. Зограф, А. П. Ленский, стр. 497—498.

[31] იქვე.

[32] იქვე, გვ. 531-532.

[33] Сборник «А. И. Южин, 1882—1922», М., 1922, стр. 78.

[34] იქვე.

[35] ბ. ნ. სუმბათაშვილის მოგონებებიდან, რომელიც ინახება არქივში.

[36] Сборник «А. И. Южин, 1882—1922», М., 1922, стр. 74, 75, 77.

[37] А. Кугель, Театральные портреты, стр. 122—126.

[38] А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания, записи, статьи, письма, «Искусство», М.-Л., 1941, стр. 50.

[39] იქვე, გვ. 51.

[40] იქვე.

[41] «Тифлисский листок», 13 мая 1903 г., № 110.

[42] А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания.., стр. 56—57.

დასასრული იქნება

„გოდების“ ჰორიზონტი

უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურა საკმაოდ მოღონიერდა ისეთი ტიპის რომანებით, რომლებიც გამოჩენილ ადამიანთა და მოღვაწეთა ცხოვრებას ეძღვნება. ამგვარ ნაშრომებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ერთობად მეცნიერულიც არის და მხატვრულიც. მათში მოხდენილია ობ?ექტიური სინთეზი პოეტურობისა და მეცნიერულობისა. თანამედროვე მკითხველისათვის ამ ტიპის თხზულებაში ყველაფერი მოსაწონია: ფაქტებისა და მოკლენების სიზუსტე, მასალის დალაგების მეცნიერული მეთოდები, ქრონოლოგიური წესის დაცვა და სხვა ისეთი კომპონენტი, ურომლისოდაც არ არსებობს მეცნიერული კვლევა და ამასთანავე, ესთეტიკურ-ფიგურალური ოვრები, მხატვრული სახეების გახსნა გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის ეშმენტებისა, მწერლური ხედვა, რომლის შემწეობითაც ცნობილი პიროვნება მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟად იქცევა. აქ შესაძლებელია მეტი გასაქანი მიეცეს ინტეიციას, რაც გულისხმობს მცირე ფაქტებისა და საბუთების მეშვეობით სერიოზული დასკვნების გაკეთებას. ამასთან, კვლევა-ძიებაში ებმება პოეტური ალღო, რაც ხშირად მეცნიერულ ალღოზე უფრო უტყუვარია.

ამგვარი ფიქრები გვეხვევა თავს ელგუჯა მაღრაძის წიგნის „გოდების“ წაკითხვის შემდეგ, რაც ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას მეტად თავისებურად გვესურათხატებს. ეს სიტყვა „დასურათხატება“ შესაძლებელია რამდენადმე ძველმოდურიც ჩანდეს სინთეზური წესით დაწერილი წიგნის გვერდით, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, რამდენადმე მაინც გვითვალისწინებს რელერ ეთიკურებას: დ. გურამიშვილის ირგვლივ დაწერილ შრომებს შორის ახალი ნაშრომი გამოირჩევა სისრულით, ფაქტების ამომწურავი განათვალი, მგონსის ეპოქის უფრო ფართო და შედარებით ყოველისმომცველი ალმანი, რითაც სალანდო და შესაფერი ფონი ეძებნება პოეტის პროფილის მოხუმენტურ გამოსახვას.

როგორც ჩვენს კრიტიკაში აღინიშნა და წიგნის პატარა ანოტაციაც გვამცნობს — ეს ნაშრომი არაა დავით გურამიშვილის ცხოვრების წმინდა მეცნიერული გამოკვლევა, არც წმინდა ბიოგრაფიული რომანია... ეს არის მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრების თავისებური „გაანალიზება“ განათლებული და გემოვნებიანი ავტორის მიერ და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიზანი, რაც, როგორც ყველაფერიდან ჩანს, დადასახავს ე. მაღრაძეს, უფრო რთულია არის და უფრო პრეტენზიულიც. მართლაც და, გაცილებით უფრო ადვილია ე. გურამიშვილზე გამოკვლევა დაწერო, სადაც მშრალი ფაქტები და მოვლენები ქრონოლოგიის სიზუსტით იქნება დალაგებული და ყოველ ციტატა წყაროსთან ზუსტად შედარებული, ყოველი ფრაზა-გამოთქმა სტილისტურად დახვეწილი. ეს ადვილი საქმეა, მაგრამ ძნელია მოვლს შენს არსებაში გაისეკრძეგანო, შეიფოკო და შეისისხლხორცო ე. გურამიშვილის ტკბილ-მწარე ცხოვრებისა და ღვაწლბრივი ბადლით ცხებული პოეზიის ყველა ნიუანსი, ყოველი ტონი და ბგერა მის მიერ დახატული ჯადო სამყაროსი და მერე გემოვნებით, ფაქიზად, დიდი სიყვარულით ძერწო მგოსნის სულისა და ხორცის მოძრაობის ზუსტი კვალი, შეუფარდო იგი უხეშ ფაქტებსა და სინამდვილეს, რომელიც ისევე არ ემორჩილება ხშირად მწერლის სურვილს, როგორც არ ემორჩილებოდა და ეფერებოდა ე. გურამიშვილის სურვილსა და მიდრეკილებას. ეს სინდვე ე. მაღრაძის წიგნში დამლეფილია ისე, რომ მეცნიერიცა და ლიტერატურის ყოველი მოსიყვარულე მკითხველი „გოდებაში“ იპოვის სულის საზრდოს, პოეტის სულისა და ხორცის საინტერესო ბიოგრაფიას, ხორცშესხმულ მხატვრული სტიკვეთ, რომელსაც მეცნიერული არგუმენტის ძალაც გააჩნია.

ნაშრომის აგებულებას თუ ღრმად ჩავუკვირდებით, შეენიშნავთ, რომ წიგნის პირველი ნაწილვარი მაინც ძირითადად უფრო ცხოვრების ამბავს გადმოგვცემს. ხოლო მეორე — პოეტურ შემოქმედებისა. ამ მხრივ „გოდება“ რამდენადმე ემსგავსება დაალოგრაფი ისეთივე ტიპის „გრიგოლ ორბელიანს“, მაგრამ მათ შორის კომპოზიციური სხვაობაც არის და სტილისეულიც. ჯერ ერთი — გრ. ორბელიანის შესახებ დაწერილი წიგნის პირველი ნაწილი თითქმის სუფთა მეცნიერული სახისაა, მაშინ, როცა მეორე ნაწილი მართალია მეცნიერული ტერმინოლოგიით, მაგრამ მაინც მხატვრული განხრით არის დაწერილი. „გოდებაში“ კი თავიდან ბოლომდე მხატვრული ფრაზა დომინირებს. მკვლევრი გადასცემა ბიოგრაფიულ-მეცნიერული ნაწილიდან მხატვრულ-ესთეტიკურზე არ შეინიშნება. დასტურად გამოგადგება დასაწყისიც, სადაც მორეკვივით უცბად გვეორევს ავტორი თავის აზრთა მსვლელობაში და ეს სწორედ

ძსტეფნოწდად ოხრობის პრიმატის მიზეზია: „ეული მოკვლა — საქართველოს უფლისწული ეკატერინე მეორის ფაფარიტის შუაში იმყოფებაო, რა ეს გელის გასახარი ამბავი ესმა, ისედაც გამეხოთილი ძილი და მოსეენება ერთიანად დაკარგა...." და შემდეგ ამგვარი სტილით ძალზე სინტრეფლოდ გვიყვება ავტორი დ. გურამიშვილის ფერეგნასა და განცდებზე და ამგვარი ემოციური ოხრობით ამბებისა და მოვლენათა მონაწილედ, უშუალოდ თვალმხილველებად გვხდის, ძალზე ახლოს მოაქვს გარდასული წელთა ამბები და თითქოს ფარდა გადასწევო, ისე ცხადად გვიჩვენებს მას. ინტერესის გამოწვევის ეს არი უდიდესი თვისებაა მწერლისა და ე. მაღლაძე იწვევს ამ ინტერესს. მაგალითად, ოხრობის პოეტორობასთან ერთად სანტრესოა გურამიშვილის პაპეკოვის ამბები, მოტაცება და ლეკთა ტყვეობიდან გაპარვა. ხომ კარგად არის ცნობილი, თე რა გადაწყდა თავს. მგოსანს ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთში, მაგრამ არ გადადგამრბეთ თე ეიტყვით, რომ „გოდების" შესაბამის რეალიებში ეს ამბები უფრო ეოცსალი და ახალი სალებავებითაა დახატული. შეინიშნება ერთი ქეთილი მომენტიც: ის, სადაც ყველაფერი ოღიბანანი გამოჩეკეულია და არაფერი შეიძლება ითქვას ახალი, ე. მაღლაძე აქცენტი გადაიტანს ამბის პოეტურად ოხრობაზე, მეტ ყურადღებას აქცევს დალაგების სილაღესა და ემოციური ზემოქმედების გამოსაყენებლად, ხოლო იქ, სადაც თვითონვე არაკვეს და ადგენს ცალკეულ სადაგო საკითხებს, ცდილობს ლოგიკურ და ზუსტ მსჯელობას დაეყრდნოს, უმთავრესად. ამით, ჯერ ერთი, აუცილებელია დამაბობმაეგებელი მრავალი, რასაც შეგვიქმნიდა სტრიფული მეცნიერული საკითხების ცალკეულის ლამაზ ფრაზებით თვალთა მეგრეეა, ხოლო მეორე მხრივ, ინის პრეტენზიაც არის გაცხადებული, რომ ავტორს სულაც არ ეშინია, კამათსა და სჯაში გაკეკეს გურამიშვილის თვით ყველაზე ცნობილ მკლეკვარებსაც. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება, მაგალითად ე. მაღლაძის მიერ გემოვნებითა და ღრმა ცოდნით გაანალიზებული დიდესტენერი სავლობლები, რაც აყად. ალ. ბარამიძისაც ალიარა ეურნალ „კრიტიკის" ფურცლებზე. ავრეთვე საგულისხმო არის მსჯელობა ვიტტანგ მეეკვლის გარშემო, ძალზე სანტრესოა ავტორის ძიებები პოეტის ქრისტიანული აღმსარებლობის ანსის გასასნელად და ბუთოლიკური პოეზიის ირგვლივ „ქაცეკა მეკემსთან" დაკავშირებით. განსაკუთრებით სანტრესოა და ბეერი სიახლის მომცველია მის მიერ სხვადასხვა თეოლოგთა ღებულებების შეფარვა-შეპირისპირება ე. გურამიშვილის გამონათქვამებთან. მსოფლიო მოღვაწეთა რანგში გურამიშვილის წარმოდგენა მხოლო ამგვარი ეზოი შეიძლება, რადგანაც იგი ფეზიკურად კი არ მეგობრობი მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნეებს, არამედ სულიერად. ამასთან, სულ უფრო ფეხს იკიდებს მხატვრული ფერწერმენის საერთო-ეკროპულ ფონტანტენი ეკლეკეის მეთოდი, რაც ერთი და იმავე მოპოოლებების შემოქმედთა ტიპოლოგიურ მსგავსებათა დადგენა-გარკვევას მოიკავს ამ მხრივაც საეულისმოა ე. მაღლაძის წიგნი, რადგან მრავალი ისეთი პარალელია დადენილი, რაც ბეკრად უფრო სხარტად და ეფექტურად გვიჩვენის მგოსნის შემოქმედებას, ვიდრე აკვიხსნიდა ცალკეული გამოკვლევები, სადაც მხოლოდ შინაარსის „მოყოლაა" მთავარი. სულ უკანასკნელი წყარეობი მიუთითებენ, რომ ე. გურამიშვილს ცოლიც ჰყავდა და სამარილიანდ კამათობს ამ საკითხზე ე. მაღლაძე. ე. მაღლაძე დამარწმუნებელად გვიხატავს ე. გურამიშვილის დაუნებებს რომელიღაც ზუბოკვლის ლაპარაკნის მიეო შესაძლოა აქ ავტორი მორეულად ეურნეზობოდეს მეო ოდი ოდი პოეტის კრ. ორბელიანის ღღიეტის, სადაც რომაიტიანი მოგვითხრობს, რომ ვილონში ერთმა რუსის დიალმა თუ როგორ დაიწუნა ეგი და ეიღაც რუსის ოფიცერში გასცეკალ. ასე რომ, ე. მაღლაძეს აქვს გამოცდილება დამაჯერებლად აღწერის მსჯელი მომეტება გურამიშვილის ცხოერებისა. ერთი ჩვენი შენიშვნა ეხება გურამიშვილისა და ფრანსუა ვიიონის შედარებას. ე. მაღლაძე ზედმეტ მოკრძალებას იჩენს ფრანსუა ვიიონსა და გურამიშვილს შორი მსგავსების ალმოჩენაში. ჩვენი აზრით კი, აქ არაფერია საკობლელი, რადგან თუ ზოგადად ეაკეთდალსწერნები ფრანსუა ვიიონის ლექსებს, რაც ჩვენთვის ცნობილია ე. წერილდანის ბიბლიოგაფიაში, ეაერწმენდნთ, რომ ლეგიანსა და ადამიანებისადმი ხელეაყრობილ მიმართვაში ორივე ეენიანი ერმანნეს ძალიან ჰგავს, ზმრი შემთხვევაში არ გაგეკვირდებოდა ფრანსუა ვიიონი რომ წარმოგვედგინა ზოგიერთი გურამიშვილისეული ლექსის ალმომძიერად. ასეეე ამსგავსებს მათ ერთმანეთთან ტრაგიზმის გაწეული და „ქილიკური სეედა", საწერთოს წარმაელობის განეცდით შეპირობებული.

თამაზ-ხანისა და რუსეთის ორთაბრძოლა ძალზე ხატოვნად აქვს შედარებული ე. მაღლაძეს სპილოსა და მარტორკას ორთაბრძოლასთან: „ყეიმპოყეა მარტორკამ. რეა ამოკოა, დაჭრა ბოლოითი სპილო და ეზა დაიომბინნა". ასევე ხატოვანი და ზზრიანი ბეერი სხეა კამოოქმა. მათიან მოეიოკეთ ჯარ: ომი შესახებ, თუ როგორ ოფასებს ე. მაღლაძე ე. გურამიშვილის ცალკეულ პაეკრობაში ბრძოლებსა: „ეს არისო დაუნა, რომელიც სულ მალე ეჩენნა".

„გოდებაში" აქაიქ შეინიშნება მცირე და ეწერილმანი უზუტობანა, რასაც სიზუსტისმოყვარეთა მეცნიერები აღნიშნავენ, ჩვენ კი კიტყვით, რომ რომანი გურამიშვილის ცხოერებამოღვაწეობის შესახებ ფრიად საგულისხმო წიგნია და აუცილებლოდ ის თარის, რომ მეტზეც მოოთავსებულია ამგვე ავტორის წიგნი გრ. ორბელიანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია კ ო ბ ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ტამბოვის გადასახლებაში

ძვირად დაუჯდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს მთიანეთის აჯანყებაში მონაწილეობა, 1805 წლის 11 ნოემბერს სამი წლის ვადით ტამბოვში გადაასახლეს. თან გააყოლეს მამამისიც.

„ჩვენი აზრით — წერს ზ. ციქტიშვილი — მცდარია ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ძველეგერთთ თვალსაზრისი, რომლებიც აცხადებენ: გორსევანი თავის შვილს ალექსანდრეს თანამეინე ნებით გაჰყავ ტამბოვში, სადაც იგი გადაასახლეს მთიელთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სინამდვილეში გორსევანი შვილს ნებით კი არ გაყოლია, არამედ „გააყოლეს“ ტამბოვში. ამის დამამტკიცებელ სამუთებს, სხვა რომ არა იყოს რა, „აქტებიც“ საკმარისად იძლევა. რუსეთის ცარიზმმა აიძულა იგი ეთხოვა რუსეთში გადასახლების ნებართვა“.

თემცა რა საჭიროა გაფენობა. ბოსეთის თვითონ გორსევან ჭავჭავაძის რწმენება ამ საკითხზე.

1806 წლის 6 ნოემბერს გორსევანი საქართველოს მთავარმართველს სწერდა:

«Сколь ни трудно для каждого оставить свое отечество, но следуя предложению, какое сделал мне кн. Цицианов о моем из Грузии переселении я предпочел всему на оное согласится, побужденный тогдашними обстоятельствами».

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება საგანგები საქმე: „გორსევან ჭავჭავაძის რუსეთში გადასახლების შესახებ“.

„ალექსანდრე ჭავჭავაძეს თურმე თავი გადაპარსეს, და ისე გაგზავნეს ტამბოვისაკენ. „ოღონ გამგზავრებაც სხვანირი ყოფილა. მკაცრი და უწყალო. თან გააყოლეს ცხენოსანი ჯარი — ეშინოდათ, რომ გუდამაყარის გზაზე მთიელებს არ გაეტაცნათ ახალგაზრდა პოეტი. ხოლო ტამბოვის გუბერნატორს შეუთვალეს, რომ ტყვე ჩაბარებულ — მკაცრად გვაკონტროლ“.

ტამბოვში სამი წლით გადასახლებული ალექსანდრე, გორსევანის მიერ იშპერატორისადმი მირთმეული თხოვნების საფუძველზე, 1806 წლის ნოემბრის დამდეგს გაანთავისუფლეს და ზედამზედველობის დაწესებით, 1807 წლის ივანაწყისში პეტერბურგის პაკეთა კორპუსში ჩარიცხეს.

ამბოხებულთა უმეტესობას კი, ის იყო, ეზლი ასახლებდნენ საქართველოდან.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში დაცული ერთი „დაუჯდომელის“-ს მინაწერებიდან ვეცნობით 1804 წლის ამბოხებაში მონაწილეობისთვის ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად დასაბრძანებული ოთხი მეამბოხისა და ერთი ყმა გლეხის ხვედრს.

ხსენებულ „დაუჯდომელს“ (ლოცვანს) აჯანყების მონაწილის, ხაალ კობიაშვილის შემდეგი მინაწერი ახლავს:

„ჩუ ბ წელსა ათას რვაას შვიდსა, ჩვენ, ეს ოთხნი გვამენი, საქართველოს თავდნი დაგვკარგეს ჩვენის ქვეყნდამ რუსთა.

ამისათვის რომ მათი უგანაკლებულესობა ჩვენის ბატონის შვილი ფარნავაზ მთიელეთს რომ მობრძანდა, იქ ომს ვახლდით და ამის გულისათვის ეს ოთხნი გვამნი დაგვკარგეს.

დამდეგს მარტს უეცრივ ღამე გამოგვიტუმრეს და დამდეგს თიბათეს (ივლისს — ი. ბ.) ციმბირის მამულში, პერმის ქალაქში მოგვიყვანეს და საწყალობელი ქობულოვი, მდივანი სეიმონ, სამს თიბათეს გარდაიცვალა.

იმოენს მწუხარებასა და თელეგაში გდებას ვერ გაუძლო და ეს სამნი გვამნი დავრჩინთ: ჩოლოყოვი, თუშმოურავის შვილი დიმიტრი და ვახტანგი, ბაზიერთუხუცესის შვილი დიმიტრი და მე, არაგველი აზნაურიშვილი, მთიულთის მოურავი კობიაშვილი ზაალ.

ეს სამნიდა დავრჩინთ და თქვენვე იფიქრეთ მდივნის სიკვდილო რა დღე ვეკეწებოდა ამ უცხოს ქვეყანაში დაკარგულთა!

და მეტის მწუხარების და უსაქმობისათვის მოვიგონე ამ „დაუჯდომელის“ გადმოწერა და

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3.

ოუ მეტნაკლები ეწეროს რამე, ნუ გამიწყრებით ამისთვის.

დედანიც ძველი იყო და არც ზესაფერისი მელანი და კალამი იშოვებოდა ჩემგან. ამისათვის რომ უცხო ქვეყნიდან გადმოკარგული ვიყავ და ამ მდინარის სეიმონის კაცს, კონდოლეულს ალადაშელს გოგიას ამ „დაუჯდომელით" ვასწავლე წიგნი.

ამ უცხოს ქვეყანაში ჩვენცა და ესეც რომ მწუხარე იყო თავის ბატონის სიკედილისათვის, უსაქმობისათვის მოეგონე ამისი გარდაწერა და ესისაც ამ „დაუჯდომელმა" გაამოსო, სიმთელით, ბედნიერებით დღეგრძელობის და ამ მპყობლობიდან გამოხსნაც და სასუფეველს მიბრძანებდეთ. აგრეშე ღმერთი თქვენც სასუფეველს ცათა ღირს გაფოსთ.

დამდეგს მარტს წარმოგვიყვანეს თფილისის ქალაქიდან და სამს თიბათვეს აქ ზეგზასხვეტელს ციმბირის მამეულში, პერმის ქალაქში მოგვიყვანეს. ვინც წაიკითხოთ, სიმთელით დღეგრძელობას და სასუფეველს მიბრძანებდეთ და ღმერთმა თქვენც გაგიღეგრძელოსთ და გაცხოვნოს.

საქართველოდამ გადმოკარგულმა არაგველმა აზნაურშვილმა ყობიას შვილმან, მთიულეთის მოურავმა ზაალმა გადავსწერე ციმბირის მამეულში, ქალაქსა პერმისასა. წელსა ჩაშზ. ათას რეალს შვიდსა მეათთვის კ (ივლისს — 20 — ი. ბ.), ქას უეე. საქართველოს აზნაურიშვილი არაგველი ყობიას შვილი, მთიულეთის მოურავი ზაალ".

ამბოხების სხვა წერილს სიმონ ქობულაშვილს ყმა გლეხი — გოგია ალადაშვილი, რომელიც გადასახლებაში თავისი ნება-სურვილით გაჰყოლია ბატონს და რომელმაც ქართული წერა-კითხვა პერმში ამ ლოცავნით ისწავლა, თავის მინაწერშინ გვიამბობს:

„მე ალადაშვილმა გოგიამ, ეარდავაწერინე ეს „დაუჯდომელი" წიგნის სასწავლებლად. ჩემის სწავლის ეამი კი ალარ იყო, მაგრამ რადგანაც ბატონი ჩემი აქ ვარდაიცვალა და მწუხარებისაგან ილაჯი არა მქონდა და ჩემის სიცოცხლის წამლათ გამოვეკიდე ამის სწავლასა.

ბატონს ჩემს გადმოვპყეე ციმბირს ჩემის ნებით და იმის გულისათვის დავიარეე. და ვინც წაიკითხოთ, შენდობას მიბრძანებდეთ".

შემდგომი ბედი პერმში გადმოსახლებულთა ჯერჯერობით ცნობილი არაა.

ქართლის მთიანეთის მშრომელთა აჯანყება, რომელიც ექვს თვეს გაგრძელდა, მართალია მარცხით დამთავრდა, „მაგრამ გლეხობის ამ პირველ მასობრივ შეიარაღებულ გამოსვლას და თავგანწირულ ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან რამდენადმე მაინც ლაგამი ამოსდო და საზღვარი დაუდვა იმ სამხედრო-ოლონიერ თავითნებობას, საქართველოს მთიანეთში რომ ჰქონდა ადგილი".

საფსებით სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი ლევან ბახარიძე, რომ ეს აჯანყება „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ტაპად უნდა ჩაითვალოს საქართველოში".

მკვლევარმა პაველ ინგოროყვამ დაადგინა, რომ ალეკსანდრე ჭავჭავაძეს ლექსების მთელი წყება დაუწერია ამბოხების მსვლელობის, თბილისში პატიმრობისა და ტამბოვის გადასახლებაში ყოფნისას. გვიდასო მკვლევარის მიერ შედგენილ ნუსხას:

„I ჯგუფი

ორი ლექსი, დაწერილი საქართველოს მთიულეთში

1804 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, აჯანბის დამარცხებამდე

1. პირველი ლექსი მიძღვნილია აჯანყების წინამძღოლისადმი*

2. მეორე ლექსი არის გამოახილი ლომისს ბრძოლისა**

* ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 59

**ი. გრიშაშვილის გამოცემა გვ. 58

II ჯგუფი

ლექსები საქართველოზედ

თქმული პატიმრობისა და გადასახლებაში 1804 წლის ოქტომბრიდან — 1806 წლის დასასრულამდე.

ეს მეორე ჯგუფი შეიცავს ერთ მთლიან (იოკლს, 10 ლექსს.

1. ესეკვრტ პატიმიად სამშობლოს.

(დასაწყისი: „ეესაც გსტარს ჩემთა ამბავთა სმენა")

თბილისი, სპპრობილე, 1804 წ. (ოქტომბერ-ნოემბერი).

(ი. გრიშაშვილის გამოცემა გვ. 34)

2. როს სამეკვიდრო დაეკარგეთ

(დასაწყისი: „ისმინეთ მსმენნო...")

თბილისი, სპპრობილე, 1804 წ. (ოქტომბერ ნოემბერი)

(ი. გრიშაშვილის გამოცემა გვ. 67)

3. ბედშერინრ

(დასაწყისი: „ოჰ, ვით გეეპტუნეა სოფლის ბრუნვა")

თბილისი, სპპრობილე, 1804 წ. (ოქტომბერ-ნოემბერი). (გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 25)

4. როს ეიქაღოდინ ბრძოლით

(დასაწყისი: „ოჰ, წარმეალნო...")

თბილისი, სპპრობილე 1804 წ. (ოქტომბერ-ნოემბერი)

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 32).

5. მე იგივე ვარ მარად

(დასაწყისი: „ეეს დრონი...")

თბილისი, სპპრობილე, 1804/5 წ. (1804 წლის 8 დეკემბრის შემდეგ)

ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პყრობილი“

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 4).

6. პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართი (დასაწყისი: „ჰკვნესს გული, ძმანო“) თბილისი, საპყრობილე, 1805 წ. (ოქტომბერ-ნოემბერი)

ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პყრობილი“

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 60)

7. აწ ვესალმოდე მიწა-წყალსა

(დასაწყისი: „მსურდა ოხვრა ჩემი მდუმარს მეკრძალა“)

თბილისი, საპყრობილე 1805 წ. ნოემბერი (უცხოეთში გადასახლების წინ).

სიმღერის ხმა: „რასტის გუშა“ (— კილო გლოვისა)

ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პყრობილი“.

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 56)

8. ადგილსა უცხოსა

(დასაწყისი: „რა ჰყოს, გლახ, გულმან“) ტამბოვი, საპყრობილე. 1806 წ. იანვარი

ბოლო სტროფში აღნიშნულია ავტორის ფსევდონიმი: „პყრობილი“.

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 121)

9. დაუხვლამან დამქრილა ქარმან

(დასაწყისი: „ვაჰ, სუსტსა სენით“) ტამბოვი 1806 წ.

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 47)

10. ზნათმნნი ტფილისსა დაზარულნი

(დასაწყისი: „უწყალო სენმან“.) პეტერბურგი. 1806 წ.

(ი. გრიშაშვილის გამოცემა, გვ. 17 “

მოყვანილ ლექსთა შესახებ პ. ინგოროყვა წერს:

„ეს ლექსები ყველა გამოცემებში (მათ შორის ი. გრიშაშვილის გამოცემაში) იბეჭდებოდა ერთმანეთისაგან დაცილებით, თითოთითოდ არის გაბნეული კრებულების სხვადასხვა ადგილას.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავაზუსტეთ ქრონოლოგია და ამგზით აღვადგინეთ ეს დიდი ციკლი ლექსებისა თავის მთლიანობაში, მათი თავდაპირველი თანამიმდევრობით, ქრონოლოგიური თანრიგით, გამოჩნდა მთელი სიდიადე ლექსთა ამ კრებულისა.

აქ ჩვენ გვაქვს არა ცალკეული სიმღერები, არამედ ლექსთა ერთი დიდი მთლიანი სიმფონია. ეს ლექსები მთლიანობაში აღებული, ერთი მეორეს აძლიერებენ, ყოველი ახალი ლექსი აგრძელებს და ავსებს მეორეს.

შთაგონებელია ლექსთა ეს ციკლი, რომელიც პატიმრობასა და გადასახლებაში არის დაწერილი 1804-1806 წლებში, ერთი სულით, — გმირული პატრიოტიზმით... ლექსთა ამ ციკლში ნაჩვენებია ... სახით ჩვენ გვაქვს „პყრობილის“ რეფერენტი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს ლექსები ხელნაწერებად ხელიდან ხელში გადადიოდა, იკითხებოდა და იმღერებოდა.

ჭავჭავაძის პოპულარობა იქნებად იმდენად დიდი ყოფილა, რომ ცნობილ დაციან რეტორს (1745—1824) ჭაბუკ მგოსნისათვის ორი ხოტბა მიუძღვნია.

ეს მიძღვნები მიწერილი აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძის „ახლოოს განჩხრეკილი ყაცის“ ენციალურ აუტოგრაფულ ნუსხას, რომელიც კ. ყეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A კოლექციაში № 701-თა აღრიცხულია. გაეცანით ამ ხოტბებს:

„თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძეზე
დაეთი რეტორისაგან თქმული

შაირი

I

მიწითა ივერისათა შენებრ არვინ არს
შობილი,
დაენატრი შენთა მშობელთა ვითარ გაეეს
აგრე ბრძნობილი,
გონება ერცელი, მდაბალი, ვულმყბა,
მზეებრ ცნობილი,
არ ძალმიძს შენსა მჭვრეტელსა ქება შეეიძლო
მყობილი.

II

დაეთი რეტორისგანვე თქმული ოროიოო
თავადს ალექსანდრე ჭავჭავაძეზედ
რომლისა კიდურ-წერილობა არს ესეგვარ
(ალექსანდრე)

ხმა დ. სამ სახეობა

აცეიფრებს უცხოდ
ლექსწყობილება

ელვარედ ნათხზი
ჭმნილი ლომბერ
სიკბატეანა

გონებისა ხელვასა
ნეტტრთა ოფაზ მადენ
მკობილი დალექსულად
სიმკეერითა მშეენერ
ქმსა გადმომცენარე“

რა თქმა უნდა, რომ დაეთი რეტორს, უწინარეს ყოველისა, ყრმა მგოსნის მიერ იმ ხანებში შექმნილი პატრიოტული ლექსები და სოციალური ხასიათის ოსნულება, „ახლოოთ განჩხრეკილი ყაცი“ ჰკრთნდა მხედველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონდო გვასალია

იკორთა

(აუდენებიდან 800 წლისთავის გამო)*

ისტორიული შიდა ქართლი საქართველოს გულს წარმოადგენდა, სადაც დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. შიდა ქართლი ხევებისა და თემებისაგან შესდგებოდა. ერთ-ერთი თემთაგანი იყო გვერდისძირი — ტერიტორია მდ. მეჯუდადან მდ. პატარა ლიახვამდე.

დიდი ქართველი ისტორიკოსის ეახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ჯარიაშენიდან ვანათამდენ, უწოდებენ გვერდისძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სეტნდებიან ნაყოფიერად. ვითარცა დავსწერეთ ქართლისსა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად".

გვერდისძირის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა ადამიანის სიცხოვრებლად. ქვეშა, არცეცა, ფლავიანსა, ოტრეესა, კულპიოსა, ხელოფასა და ვანაში მიკვლეული ადრებრინჯაო-გვიანბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორები.

VII საუკუნის სომხური ანონიმური გეოგრაფია იცნობს გვერდისძირს, როგორც ქართლის ერთ-ერთ თემს. იმავე გეოგრაფიისა და ნარატიული თუ ეპიგრაფიული ძეგლების მიხედვით, ქსნის ხეობაში ადრეფეოდალურ ხანაში ორი ადმინისტრაციული ერთეულია: 1) ცხრამძისხევი, რომელიც ავრთიანებს ქსნის ხეობის ზედაწელს. ლეხურისა და მეჯუდის ზემო ნაწილებს და 2) ქსნისხევი, რომელიც მოიცავს ქსნის, ლეხურის, მეჯუდის ხეობათა შუა ნაწილებს და გვერდისძირს. ქსნის საერისთავოს ისტორია ფაქტიურად ცხრამძისხევისა და ქსნის ხევის ანუ მთისა და ბარის ურთიერთობის ისტორიაა.

XII საუკუნეში ქსნური მიწები და გვერდისძირი სამეფო კარის საკუთრებაშია.

სწორედ ამ პერიოდში გვერდისძირის სოფ. იკორთაში მთავარეპისკოპოსის სახელზე შენდება შესანიშნავი მონასტერი. ეახუშტი ბაგრატიონის თქმით: „ორბოძლის მთის სამხრეთ არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუმბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი". მისი აშენების თარიღი — ჯორანიკონი ტან (392 წ.), რაც უდრის 1172 წელს, დაცული იყო ეკლესიის დასავლეთ ფასადზე მოთავსებულ საამშენებლო წარწერაში. ეს უკანასკნელი დღეს დაღუპულია და მას ვიცნობთ აკად. მ. ბროსეს ჰიბლიოგრაფიით.

იკორთის ტაძარი ქრონოლოგიურად, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებთან და ხუროთმოძღვრული გადაწყვეტილი სათავეში უდგას XII-XIII საუკუნეების გუმბათოვანი ნაგებობების ჯგუფს, რომელშიც აგრეთვე შედის ბეთანის, ქვათახევის, ფიტარეთის, კაბენის, წულრეთამენის ტაძრები.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვადასტურებთ ქსნის (უფრო ზუსტად, ცხრამძისხევის) ერისთავებს — ქვენიფსეველებს, რომლებიც პოლიტიკურად მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ ადრეფეოდალური ხანის ცხრამძისხევის ხევისუფლისა. ქვენიფსეველთა რეზიდენცია იყო ქვენიფსევში, ხოლო საგვარეულო სამარხი — ლარგვისში.

ცენტრალური ხელისუფლების მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში იწყება ქსნის ერისთავთა არნახული აღმავლობა ცხრამძისხევის მეთაურობით. XIII—XIV საუკუნის მიჯნაზე ცხრამძისხევის ერისთავები საგრნობლად ზრდიან მამულებს. XIV საუკუნის შუა წლებისათვის ერისთავები იფართოებენ მიწებს ქართლის ვაკის მიმართულებით. აქ ინდეგრძით იღებენ სოფლებს კარბსა და გარეჯვარ ბაკურიანებამს. მათსავე სამფლობელოში შედის იკორთის საყდარი, რომლის ხელახლა აშენებაზე ზრუნავენ.

XV-XVI საუკუნეებში ქსნის საერისთავოს ტერიტორიული განვრცობა მატულობს, იზრდება ცალკეულ ხევებს შორის ურთიერთობა, ფართოდება რელიგიური ერთმანეთისაგან განსხვავებული რაიონებს შორის ეკონომიური ურთიერთკავშირის აუცილებლობა. ასეთ პირობებში მაღალმთიანი ხეობის ვიწროებში მოქცეული რეზიდენცია — ქვენიფსევი ვეღარ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს. XVII

* სიტყვა წარმოთქმული იკორთაში 1975 წლის 1 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის დასაწყისში ერისთავებს რეზიდენცია ახალციხეში გადმოაქვთ, ხოლო საგურამოელ ამირანს ლარგვისადან იკორთაში. ისინი ხელ-ძღვანელობენ პრინციპით, რომელიც გამოხატულია ქსნის ერისთავთა წარკვრილ მეტრანგში „ძველი ერისთავთაში“: „ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს (ე. ი. შეჰფერის — ჯ. ბ.) ეკლესია და ყოველი შიმდგომი მისი“.

იკორთაში დღესაც ჩანს ქსნის ერისთავთა მრავალი სამარხი ეპიტაფიით. მათგან განსაკუთრებით გამოყოფილია სამარხები ბახტიონის გმირებისა. შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძისა ჩოლოყაშვილისა, რომლებმაც თავი დადეს საშობლოსთვისაც.

XVII საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სპარსელებმა კახეთში თურქ-ქანონ ტომების ჩამოსახლება დიაწყეს, ქვეყანა საფრთხეში ჩავარდა. თურქ-ქანონები ჩეხავდნენ ბალ-ვენახებს, ანადგურებდნენ კულტურულ ნარგავებს. ხალხმა კარგად ასახა შექმნილი ვითარება ლექსში:

ბახტრიონს სხედან თათრები.
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებენ ელსაო.

საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება. 1659 წლის ზაფხულში კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ. მისი მეთაურობა აკისრა ზაალ არაკვის ერისთავმა. მისი მოწოდებით კახთის გასათავისუფლებლად გაემართნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. კახეთის აჯანყების მომზადების სული და გული სუფთაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო. მისი მეთაურობით დაირაზმა კახეთის ბარის მოსახლეობა. დასაჭურვლად მოეწოდეს მეიელვანის. თუმ-ფშავეთსა და ხევსურეთ დიდის ბინდოლმებით გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას.

აჯანყებულთა ერთი ნაწილი ბახტრიონის ციხეს დაეცა, სადაც სპარსელთა ჯარის ძნიშვნელოვანი ძალა იყო თავმოყრილი, ხოლო მეორე ნაწილმა შეიტანა ალაყერდეში ბრძოლა მტერს. ორივე ციხიდან გაუძევეს მტერი ქართველებს ალაზნის ბარეებსა სანაპიროზე მოემზადებოდა და ამოუწყვეტათ. ! თუ ქაჯნები კახეთიდან გაფიზეულნენ, კახეთი ერთიანად იქნა გაწმენდილი შეჰარსახლებული მომთაბარეებისაგან.

ზაალ ქართველებისათვის ანგარიშის სწორებას შეუდგა. ზაალ ერისთავი 1661 წელს მოღალატედ იქნა მოკლული. ზაალს მშვიდობის ჩამოგდების საფასურად. აჯანყების მეთაურები მოითხოვა. მეტის ახალი შეშფოთება რომ აეცილებინათ ქვეყნისათვის, ქართველი გმირები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, თავის ნებით ვახლეს სპარსეთის შაჰს. შაჰმა ისინი თურქ-ქანონ-ამ ტომებს ბალ-ბაზეს, რომელთა მეტოქეობა კახელებს გაეკლიტეს. ამ გმირები სპანიელი წაბეთით დახოცეს — „ბახტრიონთა დაჭრეს ბეგნი ასოყოლად და დახერიტეს რომელიმე თოფთა. და რომელიმე მახვილებითა“. ეს მოხდა 1662 წლის 18 სექტ[illegible] ბერს. ქართულმა ეკლესიამ ჭაბუკელი რაინდ[illegible] თავის წმინდანთა რიგებში შერაცხა.

რამოდენიმე წლის შემდეგ შალვა ერისთავთა მეუღლეა ბეგეთ ბეგეთანა და ვაჟის დედითის ინციკა-ტრეთ გმირთა გვამები გადმოაკვეხეს. საშობლოში და დაკრძალეს იკორთის მონასტერში.

იკორთაში დაკრძალული აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი და სახოგადო მოღვაწე ბეიერი ერისთავი.

ქსნის ერისთავთა ოჯახიდან იკორთაში უკანასკნელად იკრძალება 1908 წელს ერისთავის მეუღლე მართა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, 1811 წლისათვის იკორთის მონასტერი სოფლის რიგით ეკლესიად აქცევენ, რომელსაც ყმა-ვალეხები ჰყავდა სოფლებში — იკორთასა, არაცეესა და ვეგეში.

იკორთაში იყო ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი ზტოს რეზიდენცია. იკორთის ტაძრთან ზედაურეთს ერისთავთა ციხე-დარბაზი, რომელიც ციტადელი ქვედა ციხეს კიბით ეერთდებოდა. იგი მდებარეობს სამხრეთ ნაწილში, ხოლო მის მარჯვნივ დიდი ზომის სასახლე მდგარა. ტაძრის ირგვლივ ოთკუთხად შემოუკვეთიდა გალავანი, რომლის მხლიდ კვალია შემორჩენილი.

XVIII ს. ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1732 წ. ქართლის ასათრგზელად მოამხდური ლეკები იკორთასთან საბოლოოდ გაუნადგურებიათ. 1736 წელს ირანის ჯაჰს ვანდეგა-ზანდრ-შაჰის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი სეფე-ხანის მეთაურობით იკორთასთან მარცხდება. ერთი წელის შემდეგ იგივე სარდალი დიდი ლაშქრით დაბრუნდა. იკორთა დაეცა.

აკად. ი. ბეგოლეშვილეტდის ცნობით (1772 წ.), იკორთა ვანთქმული, გაძარცულია მონასტერია:

„ვეეროსსარსა და, კერძოდ, იკორთას მოსახლეობა ოდითგანვე ქართული იყო. ვახუშტისა და ბეგოლეშვილეტდის მონაცემებით, იკორთა XVIII საუკუნეშიც ქართველებით იყო დასახლებული. 1804 წელს კაპარალური აღწერის მიხედვით, იკორთაში ქართველნის ვეურდთ ოსებიც ცხოვრობენ. ამაშიდან ,ოფელი იკორთა ზედის ცხინვალის რაიონის არაცეეს სასოფელო საბჭოში.

ჩვენი წერილი იკორთის შესახებ ბეგინდა დავამთავროთ აკად. ეკვთიმე თაყაიშვილის სტატეგებით: „ასეთი შშვენიერი ნაგებობა თამარის დროისა, ჩვენ მეტი არა ვგავეს, რა შესანიშნავი დეკორი აქვსო მისი ტოლფასი ბეთანიაც, კაბენიც, მაგრამ მასთან ეერც ერთი ვერ მოვა. დეკორით თითქოს XI საუკუნის ძეგლებს ეერო ჩამოგავს, მაგრამ მაინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ასე მრავალფეროვანი დეკორი, საქთაეისაც კი ვერ შეედრება ამ მხრივ იკორთას. იკორთა ანუ ეკლესია და ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შეეინახოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაროდიები

მაყვალა მრევლიშვილი

ქალბატონო მაყვალა,
ჩვენსკენ აღარ ჩანდითო,
სტაფილო მაქვს ჩანთითო,
აქეთ ჩამობრძანდითო,
— ვერ ჩამოვალ ნუკრიავ,
ბევრჯერ გამაწბილესა,
ბაჭიები სკუპიან,
მელა კბილებს ილესავს.

კარლო კალაძე

გალაკტიონს და ჩიქოვანს ვფიცავ,
ვიმღერებ, სანამ არაა გვიან...
თერგს ჰქვია თერგი, რიცას კი რიცა,
შავი ზღვის ტალღას ენგური ჰქვია.

ირაკლი აბაშიძე

მე ჰასაკი არ მაშინებს,
არც მწყურია, არცა მშივა,
მე ქართველი აბაშიძე,
ენციკლოპედიაში ვარ.

და ვუბარებ სტამბის მუშას,
ნუ გამიხდის კომედიას,
მოკვდეს, მაგრამ გამოუშვას
ჰ-ზე ენციკლოპედია.

გრიგოლ აბაშიძე

ხან „ტუ“ — ასოთხით, ხან ელმავალით,
ჯაჭვგაუხდელმა უნდა ვათენო,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის, სხვა საქართველო.
ამ ყმობის უღელს როგორ ვუწამლო,
ძვირფასო, გული გადამიშალე.
ვეფხვზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ,
რისთვის მომკალი, რა და-გრიშა-ვე.

რევაზ მარგიანი

აი, ჩემი „პრაპაგანდეს“,
საქართველოს პატრიოტებს,
საქართველო პაპას გავდეს.
ხეც ხარობდეს ათიოდე.

იოსებ ნონეშვილი

მასწავლებელი ვცანით მგოსნებმა
ზოიას დედად, დედად ტიტოვის,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება,
ზოგჯერ კი მხოლოდ რეპეტიტორი.

მასწავლებელი — ღმერთი, უფალი,
მასწავლებელი — დედა მშობელი,
მასწავლებელი — ზოგჯერ უფუღო,
ზოგჯერ, მაგარი ფულის მშინელი.

მასწავლებელი — შენკენ მოელტვის,
ცოდნის და სწავლის მართლა მძებნელი,
ნეტავი იმას, ვისაც ყოველთვის
ჰქვია ნამდვილი მასწავლებელი.

მურმან ლებანიძე

ვნახე ფრანკფურტი
ფინალის მერმე,
თვალი შევავლე
ძრხეებს ნასუქალს,
„გუტენ მორგენო“,
გავძახე ფერრერს,
„გუტენ ტაგ, მურმან!“
მან მიპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

ათასი ყავს მეგობარი,
ერთი მტერი არა ყავს,
თუ კი ვინმემ ზედმეტი თქვა,
აიღებს და დანაყავს.
ააშენებს სვეტიცხოველს
და ჩაივლის ამაყად.

ანა კალანდაძე

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ,
ქართულო ცაო, გურულ ჭას გავხარ
ქართულ ცას გავხარ,
გურულო ჭაო,
რძისფერი კვამლი მეფინება —
მივდივარ,
ჩაო.

ოთარ მამფორია

მდივანი — ხუთი, თეატრი — სამი —
შენზე მოსულებს, შენზე ტანადებს.
ცარიელია ეს ერთი სკამი,
მოდი, დაჯექი და გვითამადე.

ოთარ ჭელიძე

მე ჩემთვის ვცურავ, არ ვსდევ კიტებსა,
ჩემი ღვინო მაქვს, ჩემი მოთალი,
რად არ დამარქვა დედამ ქიტესა,
რატომ დამარქვა დედამ ოთარი.

მიხეილ ქვლივიძე

ბრუნავს, ო, ბრუნავს, ასე ამბობს
ჯორდანო ბრუნო,
თუმცა ბრუნვისთვის საჭიროა „ტუ“ ან
ვილისი“.
ჩემო მიხეილ, დედამიწა ისე არ ბრუნავს,
მოსკოვში იყო, და გეგონოს თავი
ეიბილისში.

გივი ძნელაძე

წარსულზე ფიქრი
მართლაც სულ სხვაა,
გზები —
წამებში გადასაფრენი...
„დილით“ „ცისკრამდე“ —
რამხელა გზაა,
„ცისკრით“ „დილამდე“ —
აღარაფერი

არჩილ სულაკაური

მე ახლაც მახსოვს, მახსოვს ფიცივით
რაიც ყოველგვარ არეს სცილდება —
ცოდვაა კაცი, როცა იცინის
და გულით სულაც არ ეცინება.

გულში მჭირს შენი ჰანგი და ფერი
გადმოღვარული მყუდრო ფერებად,
ჩემი ძვირფასო, მე თუ კი ვმღერი,
„ნაკადული“ ვარ და მემღერება.

ნაზი კილასონია

ო, ნაზი, ნაზი,
უშენოდ ვერ ვძლებ,
გნატრობ, ისე ვით გნატრობს ივერი.
თვალებს ვიჩრდილებ,
გიხმობ და გეძებ,
გიო,
გიიომ აპოლონერი.

მუხრან მაჭავარიანი

ღვინოა და მწვანილია,
კაკალია და ხაპია,
მეცხრე ჭიქას სწვდა ილია,
მშვენიერი აღაპია.
მეთხუთმეტეს სწვდა ილია,
რაც ბოლომდე დაილია.
ირიჟრაჟა მერე როცა,
დაიცალა ოცი ბოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცალა გრაფინა,
ვაი ჩვენს პატრონსო,
თქვა აგრაფინამ —
ეს თუ აღაპიაო.

ᲗᲝᲗᲐ ᲜᲘᲜᲘᲜᲘᲫᲔ

პრემიაზე მქონდა ხმები,
წწერლობასთან შოთანხმებით,
თავმჯდომარის შოთანხმებით,
ახლა მინდა ოთახები.
თრაკიაში, სკვითიაში,
ეზიეარ, როგორც პიტიახში.

ᲕᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რა ჭყივილია, რა ჭაჭყანია,
ვიღაც გალიის გამსხვრევას ცდილობს,
მაიმუნები ყველგან არიან?
საუბედურო ა არიან შვილო.
და უცებ მგელმა მგელი შეჭამა,
ბავშვს შეეცვალა უეცრად კილო:
მგელს ჩვენს ქუჩაზეც შევხვდებით, მამა?
კი, ჯერჯერობით შევხვდებით, შვილო.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ

ყვითელ ბალახში სიცხე და ხიბლი,
მზის კიჟინა და მარულის ჯიბრი,
ის მაინც მირბის, ის მაინც მირბის,
თვალებახვეულ ცხენივით მირბის.
ის უეჭველად გააღწევს ნაპირს,
რამდენიც გინდა გზები მოუჭრა,
ჩამოწყვეტია საკინძე აპრილს
და ჭორფლიანი ძუძუ მოუჩანს.

ᲭᲐᲠᲘᲔᲚ ᲭᲐᲜᲭᲣᲠᲘᲐ

ტოლმა და ტოლმა,
გენი და გენი,
მე გადმოხტომა
გემიდან ვქენი.
ბოჩოლა, ბოჩლის,
ბორჩალო, ბორჩლის,
თუ შეგამჩნიე
ნიშანი წყენის, —
ცხნის, ცხენმა, ცხენის,
ცხნის, ცხენმა, ცხენის.
ვუმზერ და მთვარე
უმწეოდ მღერის...

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ

ბევრი რამ ხდება საოცარი ამ ქვეყანაზე —
წინადღეს.
ცოლი რომ უნდა შემერთო ხვალ —
ხელი მოვაწერე
წინადღეს.
შვილი რომ უნდა შემძენოდა ხვალ,
შემეძინა
წინადღეს.
წიგნი რომ უნდა აკინძულიყო ხვალ,
დაიბეჭდა
წინადღეს.
წიგნი რომ უნდა გამოსულიყო ხვალ,
გამიჩერეს
წინადღეს.
ხვალვე გაიტანეთ წიგნიო,
დარეკეს
წინადღეს.
იყურებოდა მთაწმინდისკენ გალაკტიონი
წინადღეს.

ᲖᲐᲣᲠ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ

მე ჩემი ლექსის მყუდრო სამკალი
ვანანავე და ვადარჩიავე.
რა ვუყოთ, არ ჩანს ზოგის კაკალი,
რა ვუყოთ, ზოგის ბამბა ჩხრიალებს.
თქვენ ჩემი ლექსის წვიმით ირწყვებით,
დაგდევენ ჩემი მკრთალი ლანდები,
მე ამ პატარა ჭიქით ვიწყები
და ამ პატარა ჭიქით ვთავდები.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲔᲓᲔᲭᲙᲝᲠᲘ

შენ გქონდეს ძმაო ოქრო, ვერცხლი,
გვირგვინი დაფნის,
ჩემს სულში ახლა რომანტიკა
კრამიტის დაქრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თან მიმყვება სიბრალული
წაქცეულ ზაქის.
ნაკადულების არეჯიო
და სოლფეჯიო.

მედეა კახიძე

მე ვისვენებ, მე ვყამირობ,
ოქრო, ხელი შემახეო.
უშენობით ვერ ვყვავილობ,
სად ხარ ჩემო მებაღეო.

ოთარ ჭილაძე

პოემებსა და რომანებს ვქარგავ
და, როგორც ბედი ყველა მეგუთნის —
რაც დღეს მეკუთვნის, მე იმას ვკარგავ.
მე იმას ვიძენ, რაც ხვალ მეკუთვნის.
ზარზმა, არმაზი
იყალთო, გრემი,
დიდი ცემი და
პატარა ცემი,
სუყველაფერი მგონია ჩემი,
სუყველაფერი მგონია ჩემი.

ემზარ კვიტაიშვილი

რა გასაოცრად ყვავიან ბლები,
რუ კალაპოტით მოდის ვიწროთი.
ერთი დოქტორი ყოფილა ბლეფი,
ბლეფი ყოფილა, მე არ ვიცოდი...

რეზო ამაშუკელი

მე ჩავედი კაიროში,
დავიჭირე კაი როში,
არა მქონდა კაპიკ-გროში,
ისე შეველ კაზინოში.
ისკანდერია,
ისკანდერია!
ალექსანდრია,
ალექსანდრია!
გაფრინდაშვილი?

ლია სტურუა

ქალები წყვლიან ქმრებს,
ოთხკუთხედ ქმრებს
სადილის წინ და სადილის შემდეგ,
ფეხმძიმე ტანებით ეფარებიან
ხორცის ოხშივარს
და ხორხოცებენ,
ხოლო მშვილდისრით
დახოცილი დომბა და არხარი
ახარხარებულ რიტუალში
ჩაფუძნებულა.

იზა ორჯონიკიძე

იზა თავისთავს ლექსებს ურჩევდა
ამოურჩია ყველაზე „ფინთი“ —
„ყაყაჩო ისე მტკივა ტუჩებთან,
როგორც უცაცად გაჭრილი თითი.“

ბესიკ ხარანაული

რამხელა გაზრდილა მწერალთა კავშირი,
ჩვენ რა გვეშველება, ჭიჭი.
ყველანი დამსხდარან, ადგილი აღარაა,
სად უნდა ჩამოვჯდეთ, ჭიჭი.
ცოტა ჩაიჩოჩონ, ჩვენ დაგვაჯინონ,
მე და შენ დაგვაჯინონ, ჭიჭი.
ახს რომ ისინი იტყვიან,
ერთი ჩვენ გვათქმევინონ, ჭიჭი...
ათს რომ ისინი გამოსცემენ,
ერთი ჩვენ გამოგვიცემენ, ჭიჭი.
თუ არა, წავიდეთ სოფელში წავიდეთ,
თეთრახევის ყელთან, ჭიჭი.

ჩიტო ჯუაშვილი,
მწერალთა VIII ყრილობის დელეგატესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი" — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 20/II-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თბ. 14.35. შეკვეთა № 625. უე 00710. ტირაჟი 31.000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236